
სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ისტორია

თბილისი - სტოკჰოლმი 2025

წიგნი მომზადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვედეთის წმინდა გიორგის სამრევლოს ინიციატივით. იგი დააფინანსა ბატონმა შოთა ქობალიამ.



რედაქტორი: ელდარ ბუბულაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ლაშა დეისაძე-შარვაშიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი
ირაკლი ლორთქიფანიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-9846-8-6

სარჩევი

I. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, ქართველი ხალხი, მისი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში.....7

II. საქართველოს ისტორია თვალის ერთი გადავლებით.....11

III. კულტურა და ყოფა.....55

IV. ქრისტიანობა I-IV საუკუნეებში.....59

V. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში IV საუკუნეში.....67

VI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, წმინდა მირონის მომზადება.....81

VII. დიდი საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში VII საუკუნეში.....99

VIII. საეკლესიო-კულტურული კოლონიები საქართველოში და საზღვარგარეთ (VI-XVIII საუკუნეები).....109

IX. სამონასტრო ცხოვრება შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიაში 121

X. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა შუა საუკუნეებში.....128

XI. დიდი საეკლესიო მოღვაწენი.....137

1. კათოლიკოზი კირიონ I.....137
2. გრიგოლ ხანცთელი.....138
3. არსენ დიდი.....139
4. მიქაელ მოდრეკილი.....140
5. იოანე ზოსიმე.....140
6. ექვთიმე მთაწმინდელი.....141
7. გიორგი მთაწმინდელი.....144

8. ეფრემ მცირე.....146
9. არსენ იყალთოელი.....147
10. იოანე პეტრიწი.....148
11. ნიკოლოზ I გულაბერიძე.....149
12. სულხან-საბა ორბელიანი.....150
13. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ I.....151
14. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ანტონ II.....154
15. ეპისკოპოსი წმინდა გაბრიელ ქიქოძე.....155
16. ეპისკოპოსი წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე.....157
17. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე.....159
XII. საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირულნი.....162
1. არგვეთის ერისმთავარნი წმ. დავით და წმ. კონსტანტინე მხეიძეები.....162
2. წმინდა აბო ტფილელი.....163
3. წმინდა კონსტანტი კახი.....163
4. წმინდა თევდორე კველთელი.....163
5. წმინდა ლუარსაბ II.....163
6. კახთა სამეფოს დედოფალი წმინდა ქეთევანი.....164
7. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ევდემოზ დიასამიძე.....164
8. წმინდა მოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი, ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.....165
9. მიტროპოლიტი წმინდა დოსითეოზ წერეთელი.....166
10. მიტროპოლიტი წმინდა ექვთიმე შარვაშიძე.....167
11. წმინდა დიმიტრი ყიფიანი.....169

12. წმინდა ილია მართალი ჭავჭავაძე.....169
13. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა კირიონ II.....172
14. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ამბროსი.....178
15. ქუთათელი მიტროპოლიტი წმინდა ნაზარ ლეჟავა.....181
16. ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი მახარაძე.....183
17. არქიმანდრიტი წმინდა გრიგოლ ფერაძე.....188
18. წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი - თაყაიშვილი.....191
XIII. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და რუსული საეგზარქოსო მმართველობა, ავტოკეფალური მოძრაობა XIX-XX საუკუნის პირველ მეოთხედში.....195
XIV. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს, ეკლესია და სახელმწიფო 1918-1921 წლებში.....212
XV. ბოლშევიკური ოკუპაცია და საბჭოთა „მებრძოლი ათეიზმი“ (XX საუკუნის 20-იანი წლები).....237
XVI. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1927 წლებში, კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი, ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიები.....248
XVII. „განახლებისა და რეფორმების ჯგუფი“ საქართველოს ეკლესიაში (XX საუკუნის 20-იანი წლები).....264
XVIII. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1972 წლებში..... 274
XIX. საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან XXI საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით.....319
XX. საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 50-80-იან წლებში.....349
XXI. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება ქრისტიანულ ეკლესიებთან და სხვა

რელიგიებთან, ტრადიციული და არატრადიციული რელიგიები.....360
XXII. საეკლესიო მოწყობის და მართვა-გამგეობის მოდელები (1917-1995 წლებში მიღებული დოკუმენტების მიხედვით).....386
XXIII. საქართველოს ეკლესიის მამამთავარნი.....399
I. ქართლის მთავარეპისკოპოსები.....399
II. ქართლის კათოლიკოზები.....399
III. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები.....401
IV. ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) აღმ. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები.....402
V. ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზ-პატრიარქები.....403
VI. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ არჩეული კათოლიკოზ-პატრიარქები.....404
XXIV. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები.....405
ბოლოთქმა.....413

I. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, ქართველი ხალხი, მისი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში


საქართველო კავკასიის ცენტრალურ რეგიონში მდებარეობს. მისი ტერიტორია გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში შეადგენს 69 500 კვადრატულ კილომეტრს. ქართველი ხალხის სამწერლობო და საღვთისმსახურო ენა ქართულია, რომელიც იბერიულ კავკასიურ ენათა ქართველურ ჯგუფს მიეკუთვნება. იგი აერთიანებს ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენათა ჯგუფს. საქართველოს ტერიტორიის 20% (აფხაზეთის და შიდა ქართლი-ცხინვალის რეგიონი) ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 მილიონ 700 ათას მცხოვრებს, აქედან 70%-ზე მეტი ეთნიკური ქართველია. საქართველოში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ: ებრაელები, აფხაზები, ოსები, რუსები უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ეზიდები

ქართველი ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში მიმდინარეობდა. ქართველთა წინაპრების შესახებ პირველი წერილობითი ცნობები გვხვდება ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში, ბერძნულ რომაულ წერილობით წყაროებში. ქართველი ერის ფორმირება მოხდა სამი ქართველური ტომის გაერთიანების შემდეგ. ესენია: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა ქართველ ტომთა განსახლების არეალი და მისი მეზობლები. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, ქართველები არიან: „შვენიერნი ჰაეროვანნი... წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენთა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთმოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი, სტუმართა და უცხოთა მოყუარენი, მხიარულნი, უკეთუ ანუ სამნი არიან, არრაის შეიჭირვიან,

უხუნი (ხელგაშლილნი), არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ, საუნჯეთა (სიმდიდრის) არა მმესველნი, გონიერნი, სწრაფმომხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი“

ანტიკური ხანიდან ქართველ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ: ასურეთთან, ურარტუსთან, სკვითებთან, კიმერიელებთან, აქემენიდთა თუ სასანიანთა სპარსეთთან, ათენის საზღვაო კავშირთან, პონტოს სამეფოსთან, სომხეთთან, რომთან, ბიზანტიასთან, არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან, ხვარაზმელებთან, მონღოლებთან, თემურ ლენგთან, ყიზილბაშურ ირანთან და ოსმალეთთან, რუსეთთან. შუა საუკუნეებში ქართველ მეფეებს და სასულიერო პირებს საქმიანი მიმოწერა ჰქონდათ საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის მეფეებთან, რომის პაპებთან. ისტორიულად ქართველთა განსასლების არეალი მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებისათვის. აქ გადიოდა აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა, რომელსაც „აბრეშუმის გზას“ უწოდებდნენ. აქ იკვეთებოდა დიდ სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესები. საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა საქართველოს სახღვრები და მისი ისტორიული მეზობლები. თანამედროვე საქართველო სახმელეთო საზღვრით ემეზობლება: თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთის ფედერაციას, ხოლო ზღვით: რუსეთის ფედერაციას, თურქეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, უკრაინას.

საქართველო გამორჩეულია თავისი ფლორა-ფაუნით. მის ტერიტორიაზე ერთმანეთს ენაცვლება მარადთოვლიანი კავკასიონის და ერუშეთის მთები, ალპური, სუბალპური, ტროპიკული და სუბტროპიკული სივრცეები, რომლებიც დაფარულია მრავალრიცხოვანი მდინარეებით, წყაროებით, ბუნებრივი ტბებით, სამკურნალო წყლებით. სახელწოდება „საქართველო“ მომდინარეობს სიტყვა „ქართველისაგან“, როგორც თავის თავს უწოდებს ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა. ტერმინი „საქართველო“ დამკვიდრდა XI საუკუნიდან. იგი ეწოდებოდა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ მოსახლეობას. ევროპელთა უმრავლესობა, ბერძენთა გავლენით,


აფხაზეთი
სოხუმი
მთა 5 193 მ
სამეგრელო-ზემო სვანეთი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
ზუგდიდი
ამბროლაური
შავი ზღვა
ფოთი
ქუთაისი
იმერეთი
ოზურგეთი
გურია
შიდა ქართლი
მცხეთა-მთიანეთი
გორი
მცხეთა
თბილისი
ბათუმი
აჭარა
ახალციხე
სამცხე-ჯავახეთი
ქვემო ქართლი
რუსთავი
კახეთი
5100 მ
4800 მ
4500 მ
4200 მ
3900 მ
3600 მ
3300 მ
3000 მ
2700 მ
2400 მ
2100 მ
1800 მ
1500 მ
1200 მ
900 მ
600 მ
300 მ
100 მ
50 მ
0 მ
სახელმწიფო საზღვარი
რეგიონის საზღვარი
მაგისტრალი
მთავარი გზა
მეორადი გზა
დედაქალაქი
ავტონომიის დედაქალაქი
რეგიონის ცენტრი
პორტი
აეროპორტი
მწვერვალი
ქანობი
აღლუმებული
მდინარე
ტბა/წყალსაცავი
გზის ნომერი
0 20 40 80 120 კმ

ქართველებს „გეორგიანელებს“ უწოდებენ, არაბები, სპარსელები, ოსმალები - „გურჯებს“, სომხები -„ვრაცებს“, რუსები - „გრუზინებს“.

ისტორიულად საქართველო იყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. აღმოსავლეთ საქართველოში შედის:

1. ქართლი, რომელიც იყოფა: ა .შიდა ქართლი, ბ. ზემო ქართლი და დ. ქვემო ქართლი. ქართლის მთიანეთია: მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, მაღრან-დვალეთი.

2. კახეთი, რომელშიც შედის: ქიზიყი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ისტორიული ჰერეთი (დღევანდელი საინგილო, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია).

დასავლეთ საქართველოშია:

1.იმერეთი - იმერეთის მთიანეთში შედის რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი;

2. გურია

3. სამეგრელო-სამურზაყანო

4. აფხაზეთი

5. აჭარა

ისტორიული საქართველოს - ზემო ქართლის - ნაწილი - ტაო-კლარჯეთი 1921 წლიდან თურქეთის შემადგენლობაშია. საქართველოს დიდი მდინარეებია: აღმოსავლეთში: ალაზანი, იორი, მტკვარი, ხრამი, პირიქითა ალაზანი, თერგი. დასავლეთში: ენგური, ცხენისწყალი, რიონი, აჭარისწყალი. საქართველოშია კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები: შხარა (5068 მ), მყინვარწვერი (ყაზბეგი) (5003).

ისტორიულად ქართველმა ერმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. საქართველო არის ვაზის ერთ-ერთი სამშობლო, დადგენილია ქართული წარმოშობის 500-მდე ჯიშის ვაზი, ხორბლის 2 უნიკალური სახეობა - მახა და ზანური. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, ანტიკურ ხანაში ქართველ ტომებს - ხალიბებს ერთ-ერთ პირველებს დაუწყიათ მელითონეობა (რკინის სამუშაო და საბრძოლო იარაღის წარმოება). ძველი ბერძნები კოლხი მედეას სახელს უკავშირებდნენ საქიმო

საქმის წარმოებას, აქედან მოდის ტერმინი „მედიცინა“.

ქართველებს ძველთაგან ჰყავდათ ფუტკარი, რომლის თაფლი განთქმულია მსოფლიოში. გამორჩეული იყო ხევსურული ძროხა, თუშური ცხენი, ქართული ნაგაზი, რომელსაც დღეს „კავკასიურს“ უწოდებენ. ქართველები ამაყობენ თავიანთი ორიგინალური დამწერლობით, რომელიც სათავეს ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნიდან იღებს. პირველად იყენებდნენ ასომთავრულ ანბანს, შემდეგ - ნუსხა-ხუცურს და მხედრულს. ამჟამად მხედრული გამოიყენება სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ასომთავრული და ნუსხა-ხუცური სასულიერო სასწავლებლებსა და მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს. 2016 წელს იუნესკომ ქართული ანბანი კაცობრიობის ცოცხალ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.

თვითმყოფადი ეროვნული სიმდიდრეა ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი, ხალხური მუსიკა, ქორეოგრაფია, ქართული სამზარეულო და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები. ქართული ენა გამოირჩევა მდიდარი ლექსიკური მარაგით. როგორც ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მარი შენიშნავდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით, აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენააა“.[1] ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნაში თანაბარი წვლილი მიუძღვის როგორც დასავლურ ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ, ასევე აღმოსავლურ ქართულ მოსახლეობას, რომელთა თავდადებამაც შემოგვინახა მდიდარი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, ტრადიციები.

[1] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1976:14.

II. საქართველოს ისტორია თვალის ერთი გადავლებით

საქართველოს ისტორია იწყება ჩვ.წ.აღ-მდე XV-XIV საუკუნეებში, როდესაც უძველეს ქართველ ტომებს ქაშქებს და მუშქებს წინა აზიაში უცხოვრიათ და ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ანტიკური ხანის დიდ სახელმწიფოებთან - ასურეთთან და ხეთებთან. ანტიკური ხანის მსოფლიომ ქართველები, ძირითადად, ბერძნების მეშვეობით გაიცნო. ანტიკური ხანის საბერძნეთში პოპულარული იყო „არგონავტების თქმულება," რომელიც მოგვითხრობს ბერძენი იაზონისა და მისი 90 რჩეული ვაჟკაცის საბერძნეთიდან სახელგანთქმულ კოლხეთში ლაშქრობას, სადაც მზის ღმერთ ჰელიოსის შვილი აიეტი მეფობდა. ბერძნების მიზანი იყო კოლხეთიდან ჯადოსნური „ოქროს საწმისის" წაღება. თქმულების თანახმად, „ოქროს საწმისი" თავდაპირველად საბერძნეთში იყო და კოლხეთში გადაუტანიათ, რასაც საბერძნეთის დასუსტება მოყოლია, ამიტომ აუცილებელი გამხადარა მისი უკან დაბრუნება. იაზონი თავის თანამებრძოლებთან ერთად კოლხეთში გამოემგზავრა ხომალდ „არგოთი", ამიტომ მოლაშქრეებს „არგონავტები" ეწოდათ. არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზე მოგვითხრობენ ბერძენი მწერლები: აპოლონიოს როდოსელი, ევრიპიდე. ისინი თანხმდებიან იმაზე, რომ ჩვ.წ.აღ-მდე XIII საუკუნეში, როდესაც არგონავტები კოლხეთში მოვიდნენ, აქ დახვდათ სახელგანთქმული მეფე აიეტი, რომელსაც ჰქონდა მდიდრული სასახლე, აყვავებული ქალაქები, ჰყავდა კარგად გაწვრთნილი ჯარი. ბერძნები „ოქროს საწმისს" ვერ წაიღებდნენ, რომ არა მეფე აიეტის შვილის მედეას ღალატი, რომელსაც იაზონი შეუყვარდა და დაეხმარა მას კოლხეთიდან „ოქროს საწმისის" გატაცებაში. ამ თქმულებით გაიცნო ანტიკური ხანის მსოფლიომ კოლხეთი და მისი ბუნება, მეომარი ხალხი, რომლებიც უფრთხილდებოდნენ თავიანთ ქვეყანას.

1984 წლის ზაფხულში ინგლისელმა გეოგრაფმა

ტიმ სევერინმა გაიმეორა არგონავტების ისტორიული მარშრუტი და იმოგზაურა საქართველოში. ჩვ.წ.აღ-მდე XII-IX საუკუნეების ისტორიული კოლხას და დიაოხის გაერთიანების შესახებ ასურული და ურარტული ლუსმული წარწერები მოგვითხრობენ, თუ როგორ ლაშქრობენ ისინი ზემო ზღვის ქვეყნებში (დიაოხი, კოლხა), იქიდან მიჰყავთ, მსხვილფეხა საქონელი, დატყვევებული ადამიანები. მეზობელი ქვეყნების გამუდმებულმა შემოსევებმადაასუსტადიაოხიდაკოლხა,რითაცისარგებლეს ხმელთაშუა ზღვისპირეთში გაძლიერებულმა ბერძნებმა და ჩვ.წ.აღ-მდე VII-VI საუკუნეებში კოლხეთის (ეგრისის) ქვეყანას წაართვეს შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი, სადაც მათ დააარსეს ბერძნული ახალშენები: ამისო, კერასუნტი, ტრაპეზუნტი, ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა). ბერძენმა მოახალშენეებმა აქ შემოიტანეს ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ცივილიზაცია. ისინი აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. კოლხეთიდან გაჰქონდათ თაფლი, ცვილი, რკინის იარაღები, ოქრო, ხე-ტყის მასალა, შემოჰქონდათ ნელსაცხებლები, ლამაზად მოხატული თიხის ჭურჭელი, ზეითუნის ზეთი, ფუფუნების საგნები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დასავლეთ საქართველოში ძველი ცივილიზაციის არაერთი ნაშთია აღმოჩენილი ვანში, რომელსაც ბერძნები „სურიონს“ უწოდებდნენ, ფაზისში (ფოთი), პიტიუნტში (ბიჭვინთა), ნოქალაქევში (ციხე-გოჯი), კუტაიაში (ქუთაისი). ანტიკური ხანის ბერძნულ გადმოცემებში განსაკუთრებით პოპულარული იყო პრომეთეს მითი. თქმულების თანახმად, პრომეთე თვითნებობისთვის (ცეცხლის მოტაცებისათვის) ზევსმა დასაჯა და მიაჯაჭვა კავკასიონის მთებში. პრომეთეს ქართული ვარიანტია ამირანი, რომელიც ღმერთმა კადნიერებისა და ურჩობისათვის დასაჯა. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბერძნული და ქართული თქმულებების მსგავსება ამ ხალხების ეკონომიკური და

კულტურული მჭიდრო ურთიერთობის გამომხატველია.

ბერძენი პოეტის ჰომეროსის (ჩვ.წ.აღ-მდე IX-VIII ს.ს.) „ოდისეაში“ ჩართულია ცნობები არგონავტების თქმულებიდან.“[1] ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ჩვ.წ.აღ-მდე V ს.) კოლხეთში მოგზაურობის შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას ეგვიპტელთა შთამომავლებად მიიჩნევდა, თუმცა მისი ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული თანამედროვე მეცნიერთა მიერ. ჰეროდოტეს ისტორიაში დიდი ადგილი ეთმობა სხვა ქართველურ ტომებსაც: სასპერებს, ხალიბებს, მაკრონებს, მოსხებს, ტიბარენებს, მოსინიკებს. ანტიკური ხანის ქართველ ტომთა შესახებ ასევე საინტერესოა ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს (ჩვ.წ.აღ-მდე V-IV ს.ს.) ცნობები. მას წინა აზიაში ბერძენთა ლაშქრობის დროს მოუხდა ქართველი ტომებით დასახლებულ ადგილებში გავლა, დაახასიათა ქართველი ტომები: მაკრონები, კარდუხები, მოსინიკები, ტიბარენები, კოლხები, რომელნიც გამოირჩეოდნენ, როგორც კარგი მეომრები, ჰქონდათ საკმაოდ გამაგრებული ქალაქები, ჰყავდათ შინაური საქონელი, ფუტკრის სკები, ჰქონდათ ღვინო, წაბლი, ზღვის ღორის ხორცი, გამომცხვარი პური. ჩვ.წ.აღ-მდე. VI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხეთის სამეფო.

ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი შეიჭრა აზიაში, დაამარცხა აქემენიდური სპარსეთი და იქ გაბატონდა. როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ალექსანდრე მაკედონელს უშუალოდ საქართველოში არ ულაშქრია, მაგრამ მის მიერ წინა აზიაში აქემენიდური სპარსეთის დაპყრობის შემდეგ „არიან ქართლის“ (სპარსეთის ქართლი) ტერიტორიიდან ქართლში შემოვიდა აზო, რომელმაც მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და თვითონ გაბატონდა. ჩვ.წ.აღ-მდე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე დღევანდელი აღმო-

[1] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ. 1976:35.

სავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო. ქართლის ცხოვრების წიგნში ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ქართლის მამასახლისის სამარას ძმისწულმა ფარნავაზმა ჩრდილო კავკასიელთა დახმარებით დაამარცხა აზო და თვითონ გახდა ქართლის მეფე. ფარნავაზმა მოკავშირედ გაიხადა ეგრისის მმართველი ქუჯი. ფარნავაზის სახელს უკავშირდება ქვეყნის გაერთიანება. მან ქვეყანა დაჰყო 8 საერისთაოდ და ერთ სასპასპეტოდ (სპასპეტი - ჯარების სარდალი). ფარნავაზმა მცხეთა (არმაზციხე) ქართლის დედაქალაქად გამოაცხადა. მემატიანე მოგვითხრობს, რომ მან აზოს დროს არსებული წარმართული კერპები: გაცი, გაიმი, აინინა დაუქვემდებარა არმაზის მთაზე მის მიერ აღმართულ არმაზის კერპს, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. ფარნავაზი ითვლება პირველი დიდი ქართული სახელმწიფოს დამაარსებლად, მეფობდა ჩვ.წ.აღ-მდე 328-263 წლებში. ფარნავაზის მემკვიდრეებმა ქართლის სამეფოში გააგრძელეს თავდაცვითი და საკულტო ნაგებობების მშენებლობა, მათ ურთიერთობა ჰქონდათ სელევკიდების, სომხეთის, პონტოს სამეფოებთან.

ჩვ.წ.აღ-მდე II საუკუნეში მცირე აზიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა გაძლიერებული პონტოს სამეფოსა და რომის ინტერესები. რომაელთა ჯარებმა დაამარცხეს პონტოს მეფე მითრიდატე VI, რომელმაც თავი მოკავშირე სომხეთს შეაფარა, მაგრამ მას დაედევნა რომაელთა სარდალი ლუკულუსი. მითრიდატე სომხეთიდან ქართლისაკენ წამოვიდა. რომაელთა ჯარები, გნეუს პომპეუსის სარდლობით ჩვ.წ.აღ-მდე 65 წელს მითრიდატეს მოკავშირე ქართლში შემოვიდა. დიდი ბრძოლები გაიმართა ქართლის სატახტო ქალაქ მცხეთასთან, სადაც ქართლის მეფე არტაგმა მტკვარზე არსებული ხიდი დაანგრია და თავდაცვისათვის მოემზადა, მაგრამ პომპეუსმა ახალი ხიდი ააგო (მცხეთაში იმ ადგილზე შემდეგ ქვის ხიდი ააგეს, რომელსაც დღემდე „პომპეუსის ხიდს“ უწოდებენ), გადავიდა

ქალაქში, დაამარცხა ქართველები და აიძულა რომთან „მეგობრობის“ ხელშეკრულება გაეფორმებინა. რომისათვის ქართლს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა, ქართლი აკონტროლებდა კავკასიონის მთებში იმ უმნიშვნელოვანეს გადმოსასვლელებს, საიდანაც ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეებს შეეძლოთ გადმოსვლა და რომის იმპერიის პროვინციების დარბევა. ამიტომ რომაელები ქართლის სამეფოსთან ურთიერთობაში ფრთხილობდნენ. პომპეუსმა ქართლიდან ეგრისში გადაინაცვლა და დაედევნა მითრიდატეს, რომელმაც ველარ მოახერხა ახალი ჯარების შეკრება და თავი მოიკლა, პომპეუსმა გასცა განკარგულება და მითრიდატე სამხედრო პატივით დააკრძალვინა.

ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნიდან ქართლი და ეგრისი რომის ქვეშემდგომებად იქცნენ. ამ პერიოდის ქართლისა და ეგრისის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ჩვ.წ.აღ-მდე 64 - ახ.წ.აღრიცხ. 24 წლები). ის თავის „მოგზაურობაში“ საუბრობს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველურ ტომებზე: ჰენიოხებზე, სვანებზე, კოლხებზე. იცის მდინარე ფასისი (რიონი), ციხე-სიმაგრე სარაპანა (შორაპანი). სტრაბონის მიხედვით, იბერიის მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა: „ბარში ცხოვრობენ მიწათმოქმედები, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი და მიდიელთა მსგავსად იჭურვებიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ისინი ცხოვრობენ სკვითების და სარმატების ყაიდაზე“.[1] სტრაბონს თავის ჩანაწერებში საგანგებოდ ჩაუნიშნავს ქართლის (იბერიის) სატახტო ქალაქ მცხეთაში აბანოები და თიხის სახურავიანი სახლების არსებობა.

I-III საუკუნეებში რომმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი პოზიციები წინა აზიაში. რომის იმპერატორები წინა აზიის მმართველებს, როგორც ქვეშემდგომებს, ისე ექცეოდნენ,

[1] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ. 1976:149.

თუმცა ქართლის მეფე ფარსმან II-მ იმპერიის მესვეურებს თავისი შესაძლებლობები დაანახა. მან გახსნა დარიალის კარი და იქიდან გადმოსულ მომთაბარეებს სასტიკად დაარბევინა რომის პროვინციები. რომის იმპერატორმა ანტონინე პიუსმა ფარსმანის შემოსარიგებლად იგი რომში მიიწვია, კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლება მისცა და ომის ღმერთ მარსის ტაძარში ფარსმანის ბრინჯაოს ქანდაკებაც აღმართა. ამ დროს ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), ქართლისა - მცხეთა.

მრავალფეროვანი იყო ანტიკურ ხანაში როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რელიგიური წარმოდგენები. ისინი თაყვანს სცემდნენ ციურ სხეულებს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, პატარ-პატარა ვარსკვლავები და-ძმანი არიან ჩემი," - ასე უმღეროდა ანტიკური ხანის ქართველი ციურ სხეულებს. დროთა მანძილზე მნათობთა თაყვანისცემა შეიცვალა კერპებით. წარმართული კერპები იყო: ზადენი, გაცი, გაიმი, აინინა. ჩვ.წ.აღ-მდე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ფარნავაზ მეფემ ქართლის დედაქალაქ მცხეთაში აღმართა არმაზის კერპი, რომელსაც დაუქვემდებარა დანარჩენი კერპები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თაყვანს სცემდნენ ხეებს, მუხას - დიდი ჭყონი - დიდი მუხა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული სალოცავების ახლოს გვხვდება ე.წ. „ნატვრის ხეები", რაც წარმართობიდან მოდის. საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილია თქმულებები ნადირთ ღმერთებზე: დალიზე, ოჩოპინტრეზე, ანატორზე. საქართველოს მთიანეთში ივლის-აგვისტოში ახლაც იმართება კოპალობა, იახსაროზა, პირიმზის ფუძ-ანგელოზობა, ლაშარობა. წარმართული რელიგიის გადმონაშთია აღდგომის კვირაში „ჭიაკოკონობა".

საქართველოში განსაკუთრებული დამოკიდებულებაა წმინდა გიორგის მიმართ, რაც იმან განაპირობა, რომ წმინდა გიორგის სალოცავები, ძირითადად, იქ აღმართეს,

სადაც წარმართობის დროს იყო მთვარის ღვთაების სახელზე აგებული წარმართული ტაძრები. ქართველებმა ბევრი რამ, რაც მთვარის ღვთაებასთან იყო დაკავშირებული, წმინდა გიორგის სახელთან დააკავშირეს. დასავლეთ საქართველოში, ფაზისში, ბერძნების გავლენით, მრავლად იყო აპოლონის და მისი დის - არტემიდას სახელზე აგებული ტაძრები. III საუკუნეში ქართლის მეფე რევ მართალმა მცხეთაში, არმაზის კერპის მახლობლად, აღმართა ბერძნულ ქალღმერთ აფროდიტეს კერპი. მანვე აკრძალა არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შეწირვის მავნე ტრადიცია. სტრაბონი ადასტურებს იბერია-ალბანეთის საზღვარზე მთვარის ღვთაების ტაძრის არსებობას. მის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ღმერთებად აღიარებენ: მზეს, ზევსს და მთვარეს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. მისი სალოცავი იბერიის მახლობლადაა. აქ ქურუმობს მეფის შემდეგ უწარჩინებულესი კაცი, რომელიც განაგებს დიდ და კარგად დასახლებულ ტაძრის მიწას და ტაძრის მსახურთ“.[1]

III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, კავკასიის ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად, ერთმანეთს ებრძოდა რომი და სპარსეთი. ხანგრძლივი ომის შემდეგ, 298 წელს დადებული ზავის თანახმად, ირანმა თავი დამარცხებულად სცნო და ქართლი, სომხეთი და ალბანეთი რომის გავლენის ქვეშ მოექცა. ამ დროს დასავლეთ რომის იმპერიაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, იმპერატორმა კონსტანტინემ 330 წელს მარმარილოს ზღვის სანაპიროზე დააარსა ქალაქი, რომელსაც კონსტანტინოპოლი ეწოდა, იგი შემდგომ ახალი იმპერიის - ბიზანტიის დედაქალაქად გამოცხადდა. აღმოსავლეთ რომის იმპერია - ბიზანტია ქართულ წყაროებში „ბერძენთა ქვეყნად“, ხოლო მათი მმართველნი „ბერძენ მეფეებად“ მოიხსენებოდა. ბიზანტიის იმპერიაში 313 წელს მილანის ედიქტით, ქრისტიანობა შეწყნარებულ რელიგიად

[1] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ. 1976:156.

იქცა, ხოლო 325 წელს კონსტანტინე იმპერატორის მიერ მოწვეულ იქნა ქალკედონის საეკლესიო კრება. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა თავის დაქვემდებარებულ კავკასიის ქვეყნებში: ქართლში, ეგრისში, სომხეთსა და ალბანეთში ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას და ამით ეს ქვეყნები ძალიან დააშორა მაზდეანურ ირანს. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღზე, თუმცა ერთი რამ უდავოა, ეს უნდა მომხდარიყო IV საუკუნის პირველ მეოთხედში, დაახლოებით 324-326 წლებში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ქართლსა და ეგრისში დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ქართველმა ხალხმა მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია, ზურგი აქცია მაზდეანურ ირანს და, ქრისტიანული ბიზანტიის მეშვეობით, დაუკავშირდა ცივილიზებულ ევროპას. ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართველი ერის გაერთიანებას, ქართული საღვთისმსახურო ენისა და მწერლობის განვითარებას.

კავკასიის ქვეყნების გაქრისტიანება მაზდეანური ირანის დიდ მარცხს მოასწავებდა, რასაც იგი ადვილად არ შეეგუებოდა, დაიწყო ირანისა და ბიზანტიის ახალი ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირება. ბიზანტიამ ვერ შეინარჩუნა თავისი უპირატესობა კავკასიაში, რითაც ისარგებლა ირანმა, 428 წელს მეფობა გააუქმა სომხეთში და აღმოსავლეთ საქართველოშიც გააძლიერა თავისი პოზიციები, მაზდეანობის მქადაგებლები დაუბრკოლებლად დადიოდნენ ქართლის ქალაქებსა და სოფლებში, ქადაგებდნენ თავიანთ სარწმუნოებას და ავიწროებდნენ ქრისტიანებს. ამას დაერთო ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ალანების (ოსები) შემოსევები... ამ დროს დასავლეთ საქართველოში შედარებით სიმშვიდე იყო, იქაურ ციხე-სიმაგრეებში ბიზანტიელთა გარნიზონები იდგნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ირანელებმა მიაღწიეს იმას, რომ ქართლის მეფეს ირანის შაჰი ამტკიცებდა.

V საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართლის მეფეა ვახტანგ გორგასალი. ახალგაზრდა მეფე ურთულესი გამოწვევების წინაშე დადგა. დასუსტებული იყო სამეფო ხელისუფლება, ხშირი იყო მომთაბარე ჩრდილო კავკასელი ტომების შემოსევები, ქვეყანაში მაზდეანობა დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა, ვახტანგმა დაიწყო სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. მეფე ეყრდნობოდა წვრილ აზნაურებს, თავისუფალ მეთემეებს, რომელთაც ერთგული სამსახურისათვის აწინაურებდა. ვახტანგმა დაარწმუნა ირანის ხელისუფლება დარიალის კარის ჩაკეტვის აუცილებლობაში, საიდანაც მომთაბარე ტომები დაუბრკოლებლად გადმოდიოდნენ და ძარცვავადენ არა მარტო ქართლის, არამედ ირანის ჩრდილო პროვინციებსაც. 448 წელს ვახტანგმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხა ოსები და ჩაკეტა დარიალის კარი. როგორც ვახტანგის ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს: „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი. მოისრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალი შეიპყრეს... მერმე განიბნივნეს ტყევნად ოვსეთისა, მათგანი ცოცხალი შეიპყრეს... შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუევნავი ურიცხვი... და მეფენი ოვსთანი შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასიათა, აღდგეს მათ შორის მოციქულნი, და დაიზავნეს“.[1] გამარჯვებულმა ვახტანგმა გააერთიანა საქართველო. V საუკუნის 50-იან წლებში ბიზანტიელთა მოკავშირეობით გულმოცემულმა ბრძოლა გამოუცხადა ირანელებს და არაერთი მარცხი აგემა მათ. მის სახელს უკავშირდება საეკლესიო რეფორმა, მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის იდეაც. ერთი-ერთი ბრძოლის დროს, მდინარე ივრის მახლობლად, უჯარმაში (აღმოსავლეთ საქართველო) ვახტანგ მეფე ღალატის მსხვერპლი გახდა. მისმა მსახურმა ირანელებს აცნობა, სად შეიძლებოდა დაეკრათ მოწამლული შუბი მებრძოლი მეფისათვის და ასეც მოხდა, მეფე ჭრილობისაგან

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955:156.

მალე გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მცხეთში, მის მიერვე აგებულ სვეტიცხოველში.

VI საუკუნის დასაწყისში ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში უპირატესობა ირანელთა მხარეზე გადავიდა, ირანელებმა ალბანეთის და სომხეთის შემდეგ მეფობა გააუქმეს ქართლში და იქ თავისი მოხელე „მარზპანი“ (განაპირა მხარის მმართველი) დასვეს. ქვეყანაში კიდევ უფრო გაძლიერდა მაზდეანობის პროპაგანდა. მოსახლეობას აიძულებდნენ მიეღოთ ან ცეცხლთაყვანისმცემლობა, ან ირანისაგან მხარდაჭერილი მონოფიზიტური ქრისტიანობა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელები ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს, ეგრისის ყველა ციხე-სიმაგრეს ბიზანტიელი ჯარისკაცები იცავდნენ. ისინი ქედმაღლურად ექცეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უმძიმებდნენ გადასახადებს. ამ ვითარებაში ეგრისის მეფე გუბაზ II-მ ასეთ ხერხს მიმართა: დაუკავშირდა ირანელებს და მათი მეშვეობით მოინდომა ბიზანტიელთა ბატონობისაგან გათავისუფლება. მისი წინადადება ძალიან მოეწონა ირანის შაჰ ხოსრო ანუშირვანს და სასწრაფოდ ჯარები გაგზავნა ეგრისში, დაიწყო ირან-ბიზანტიის ახალი ომი (542-562 წ.წ.), მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც გუბაზ მეფეს სურდა, ირანელები ბიზანტიელებზე უფრო ცუდად იქცეოდნენ, მათ გუბაზ მეფის მოკვლაც ჰქონდათ გადაწყვეტილი და საგანგებოდ დაუკავშირდნენ გუბაზის ერთ-ერთ მოწინააღმდეგე დიდებულს - ფარსანს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. მაშინ მიხვდა გუბაზი ეგრისში ირანელების მოწვევით რა დიდი შეცდომა დაუშვა და ისევ ბიზანტიელებს მიემხრო. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ მას სასწრაფოდ ჯარები მიაშველა. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ეგრისის ციხე-სიმაგრეების გასათავისუფლებლად. ბიზანტიელი სარდლები გუბაზს არ ენდობოდნენ და იგი 554 წელს ღალატით მოკლეს. გუბაზ მეფის მკვლელობამ ეგრისში დიდი სახალხო მღელვარება გამოიწვია. მოსახლეობამ

ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს გუბაზ მეფის მკვლელების დასჯის მოთხოვნით ულტიმატუმი წაუყენა, რაც იმპერატორმა შეასრულა, ასევე დაეთანხმა ეგრისელებს გუბაზის ვაჟის წათეს გამეფებაზე. ოცწლიანი ომი 562 წელს ეგრისელების და ბიზანტიელების გამარჯვებით დასრულდა, ირანელებს პოზიციები შეუსუსტდათ ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში.

571 წელს ქართლში აჯანყებას ირანელთა გაძევება მოჰყვა. ქვეყანას სათავეში მეფის ნაცვლად ერისმთავარი გუარამი ჩაუდგა. გუარამი ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ბაგრატიონები, რომელიც შემდეგ თითქმის 17 საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფოებს მართავდნენ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია სპერიდან იყვნენ. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითისძის თანახმად, ბაგრატიონები დავითიან-იესიანთა სახლს ენათესავებოდნენ. შუა საუკუნეების ქართულმა ისტორიოგრაფიამ უკრიტიკოდ გაიზიარა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის ეს ვერსია.

VII საუკუნის 40-50-იან წლებში კავკასიის ქვეყნებს ქართლს, სომხეთს, ალბანეთს, ეგრისს - ახალი უბედურება დაატყდა თავს არაბთა შემოსევების სახით. არაბებმა დაიპყრეს ქართლი და ერისმთავარ სტეფანოზთან დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქართველები იხდიდნენ საარაბო გადასახადს „ჯიზიას“ (კომლობრივ გადასახადს), თუმცა VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანას არაბთა ახალი დამპყრობელი მურვან-ყრუ შემოესია, მოსახლეობას „ჯიზიას“ ნაცვლად „ხარაჯის“ (სულადობრივი გადასახადი) გადახდა დააკისრეს. არაბ დამპყრობლებთან ბრძოლას შეეწირნენ: არგვეთის (დასავლეთ საქართველო) ერისმთავრები დავით და კონსტანტინე მხეიძეები (737 წ.) ქართლის ერისმთავრის მირის ვაჟი ევსტატე (738 წ.), ქართლის ერისმთავარი არჩილი. არაბებმა ქართლში დასვეს თავისი მოხელი ამირა, რომელსაც დაუმორჩილეს ქართლის ერისმთავარი. ქართლის

ერისმთავრები ცდილობდნენ ქვეყნის შველას, მაგრამ უშედეგოდ, დამპყრობლები კიდევ უფრო აძლიერებდნენ თავის პოზიციებს. არაბი ამირას ბრძანებით, ქართლის ერისმთავარი ნერსე II 3 წლით საპყრობილეში ჰყავდათ გამომწვდეული. არაბებმა არ დაინდეს და სიკვდილით დასაჯეს წარმოშობით არაბი ყმაწვილი აბო (786 წლის 5 იანვარს), რომელმაც ნერსე ერისთავის შთაგონებით ქრისტიანობა მიიღო. ქართლსა და ეგრისში არაბთა ბატონობა გაგრძელდა 914 წლამდე.

VII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შესუსტდა არაბთა ბატონობა. ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ყოფილი ქართლის სამეფოს ნაცვლად, რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა:

1.ჰერეთის სამთავრო, რომელიც მოცავდა ისტორიულ ქიზიყს, გვიანდელ საინგილოს ქალაქ შექითურთ (ახლანდელი აზერბაიჯანის ქალაქი),

2. კახეთის სამთავრო, ცენტრით თიანეთში, მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. სამთავროს გამგებლებს ქორეპისკოპოსები ეწოდებოდა,

3. ტაო-კლარჯეთის ქართველთა ქვეყანა, რომელიც შექმნა ქართლის უკანასკნელმა ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა. თბილისში მჯდომ არაბ ამირასთან უთანხმოების გამო მან დატოვა შიდა ქართლი, გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) და აღადგინა ვახტანგ გორგასალისეული ციხე-ქალაქი არტანუჯი,

4. ეგრის-აფხაზეთის ქვეყანა, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, სამეფოს ცენტრი ქუთაისი იყო,

5. თბილისის საამირო, რომელშიც თბილისთან ერთად შედიოდა ქვემო ქართლის ტერიტორია.

არაბთა ბატონობის შესუსტების პირობებში, ქართული სამეფო-სამთავროების წინაშე სამი მთავარი საკითხი იყო გადასაჭრელი: 1. არაბთა ბატონობის მოსპობა, 2.

ეკონომიკური თანამშრომლობა, 3. საგარეო საფრთხეების გათვალისწინებით აუცილებელი იყო ქვეყნის გაერთიანება. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV საუკუნის დასაწყისში), ქართული სამეფოები გარკვეულწილად დამოკიდებული იყვნენ ბიზანტიაზე. IX-XI საუკუნეებში ქართულ საისტორიო აზროვნებაში ჩნდება „ქართული მესიანისტური“ იდეა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ-კულტურულ კონსოლიდაციას და იმის მტკიცებას, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ქართველ ხალხს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა. ამ დროს აქტიურად დაიწყო იმის მტკიცება, რომ:

1. საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ეს მტკიცებულება დღემდე აქტუალურია ქართულ სინამდვილეში და მას უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

2. ქრისტეს კვართი საქართველოშია და ქართველთა მთავარი ტაძარი სვეტიცხოველი იმ ადგილზეა აგებული, სადაც საეკლესიო გადმოცემის თანახმად დაფლულია უფლის კვართი - „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წამოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას“.[1]

3. ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს მეფენი ბაგრატიონები ღვთიური წარმოშობის, მირონცხებული მეფენი არიან, ამიტომ ქვეყანა მათ გარშემო უნდა გაერთიანებულიყო.

4. ქართული ენა არის საუფლო ენა და ღმერთი მეორედ მოსვლის დროს ამ ენაზე განიკითხავს კაცობრიობას (იოანე ზოსიმე, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“). ეს მტიცებულებანი დაედო საფუძვლად IX-X საუკუნეებში ქართული სამეფო-სამთავროების გამაერთიანებელ მოძრაობას. „ნელადრე შეკრბა ქართლი“, „ყოველი ქართლი“.

მირონცხებულ, „მესიის მახვილ“ ბაგრატიონებისა და ქართული ენის გარშემო უნდა მომხდარიყო საქართველოს

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955:99.


გაერთიანება. ეს პროცესი დაიწყო ტაო-კლარჯეთის მეფე დავით კუროპალატმა (ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულია, ს.ვ.), რომელიც 975-978 წლებში ქართლის მეფის გურგენის ვაჟი ბაგრატ ჯერ უფლისციხეში (ქართლის მეფეთა რეზიდენცია, ს.ვ.), ხოლო შემდეგ ქუთაისში აკურთხა ერთიანი საქართველოს მეფედ ბაგრატ III-ის სახელით. მის სამეფოში შედიოდა IX საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სამეფო-სამთავროების უმრავლესობა (კახეთ-ჰერეთის გარდა, ს.ვ.). ამ დროს ქართლის საკათოლიკოზოს შემოუერთდა IX საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოყოფილი აფხაზთა საკათოლიკოზო და გაერთიანებული ეკლესიის მეთაურს ეწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

X საუკუნიდან XV საუკუნის 60-90-იან წლებამდე საქართველო ერთიანი ქვეყანა იყო, რომელსაც თავისი პოლიტიკური და ეკლესიური ამბიციები ჰქონდა, რის გამოც მას დაპირისპირება მოუხდა თავის ძველ მოკავშირე ბიზანტიის იმპერიასთან. ბიზანტიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ძლიერი ქრისტიანული მეტოქე - ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ამიტომ ახალგაერთიანებულ საქართველოს და მის მეფეებს ბაგრატ III-ს (978-1014 წ.წ.), გიორგი I-სა (1014-1027 წ.წ.) და ბაგრატ IV-ს (1027-1072 წ.წ.) სასტიკი ბრძოლები გაუმართა, წაართვა იმიერტაოს ტერიტორიები (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), გააქტიურა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, მაგალითად, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ბიზანტიელების მიზანი იყო საქართველო მეორეხარისხოვან, ვასალურ სახელწიფოდ დარჩენილიყო, რომელიც მის ნებისმიერ სურვილს დააკმაყოფილებდა. XI საუკუნის 40-იან წლებში მცირე აზიისა და ირანის ტერიტორიაზე წარმოიშვა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო, რომელმაც ბიზანტიის იმპერიას ბრძოლით წაართვა დიდი

ტერიტორიები. ბიზანტიელთა მთავარი ყურადღება თურქ-სელჩუკებზე გადავიდა, ამან საქართველოს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, თუმცა მცირე ხნით. თურქ-სელჩუკები საქართველშიც შემოიჭრნენ და დაიწყეს ქვემო ქართლის დარბევა. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო „დიდი თურქობა“, როგორც ქართველი მემატიანე დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „და დღესა ივანობისასა (ივნისი) ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო, და ჭყონდიდი აღივსო თურქითა.“[1] ქვეყანაში ქაოსმა და უიმედობამ დაისადგურა, რითაც კარგად სარგებლობდნენ დიდგვაროვანნი და ზოგიერთი სასულიერო პირები. ამ უდიდესი გამოწვევების ჟამს, 1089 წელს, საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 16 წლის დავით IV, რომელმაც კარგად გაიაზრა შექმნილი ვითარება და დაიწყო გამოსავლის ძიება. მან რკინის ხელით ალაგმა დიდგვაროვანთა თავგასულობა და ყველა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილა, შეკრიბა და გაწვრთნა მეომარი ჯარისკაცები, ჩრდილო კავკასიიდან გადმოასახლა 40 ათასზე მეტი ყივჩაღი, შექმნა მუდმივი ჯარი, დაუკავშირდა ევროპელ ჯვაროსნებს, რომელნიც ამ დროს იერუსალიმში მაჰმადიანთაგან დაკავებული წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და დახმარება შესთავაზა მათ. ამის შემდეგ დაიწყო თურქ-სელჩუკთაგან დაპყრობილი ქართული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების გათავისუფლება. თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვან ჯართან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1121 წლის 12 აგვისტოს, თბილისის მახლობლად, დიდგორის ველზე, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. დიდგორის ომისა და ქართველთა გამარჯვების შესახებ მოგვითხრობენ: დავითის ისტორიკოსი, სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი, არაბი ისტორიკოსი ალ ფარიკი, ფრანგი ისტორიკოსი გოტიე. გოტიეს ცნობით, ომში ქართველებს 200 ფრანგი ჯვაროსანი ეხმარებოდა. 1122

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955:319.

წელს დავითმა 400 წლოვანი მაჰმადიანური ბატონობისაგან გაათავისუფლა თბილისი და მას ქვეყნის დედაქალაქის ფუნქცია დაუბრუნა. ამ დროს თბილისში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ: მუსლიმები, ებრაელები, სომხები, ქურთები. დავით მეფის პოლიტიკა მათ მიმართ იყო ლოიალური. თბილისში ფუნქციონირებდა მუსლიმანური მეჩეთები, სომხური ეკლესიები, ებრაული სინაგოგები. დავით IV-მ 1104 წელს, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ იოანესთან შეთანხმებით, ჩაატარა დიდი საეკლესიო კრება. საეკლესიო კრებამ უღირსი სასულიერო პირები თანამდებობიდან გადააყენა და დაადგინა, მომავალში საეკლესიო იერარქიაში წინსვლის საფუძველი პიროვნების ღირსება იქნებოდა და არა წარმომავლობა-გვარიშვილობა. ეს ფეოდალური ქვეყნის მეფის უდიდესი გაბედულებისა და პროგრესული აზროვნების მაჩვენებელია. მისი ბრძანებით, მწიგნობართუხუცესობა (მთავრობის ხელმძღვანელობა) შეუთავსეს ჭყონდიდელს, მასვე ჩააბარეს „სააჯო კარის“ (მოსახლეობის თხოვნების განხილვა) ხელმძღვანელობა. დავით მეფის გააზრებულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ საქართველო მცირე აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. მისი საზღვრები იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ოვსეთიდან არაგაწამდე. დავით მეფე დიდ ყურადღებას უთმობდა სწავლა-განათლების საქმეს. ქუთაისის მახლობლად დააფუძნა გელათის აკადემია „სხუაი ათინაი და მეორე იერუსალიმი“ როგორც მისი ისტორიკოსი წერდა მეფე მოცალეობის ჟამს თვითონაც ბევრს კითხულობდა და წერდა, პატივს სცემდა განათლებულ ადამიანებს. ჩვენამდე მოღწეულია დავით მეფის თხზულება „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც კარგად ჩანს მეფის განსწავლულობა და ქრისტიანული სათნოება. ქართველმა ხალხმა ამ გამორჩეულ მეფეს, რომელიც გელათშია დაკრძალული, „აღმაშენებელი“ უწოდა, ხოლო საქართველოს ეკლესიამ (XVI საუკუნეში) იგი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 8 თებერვალი (ძვ. სტ. 26 იანვარი). XIX



წმინდა მეფე დავით IV აღმაშენებელი

საუკუნის ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ ასე შეაფასა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა: „მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, ეს იქნება იმისი ღვაწლი... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობით, არამედ თავის დიდბუნოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე იყო თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა, მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან ?“ [1]

დავით IV-ის პოლიტიკა განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა: დემეტრე I-მა (1125-1155 წ.წ.), გიორგი III-მ (1156-1184 წ.წ.), თამარ მეფემ (1184-1207/13 წ.წ.). ქალის სამეფო ტახტზე ასვლა მაჰმადიანური სახელმწიფოებისათვის სასიხარულო მოვლენა იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალი ვერ გაართმევდა თავს სახელმწიფოს მართვას და მათთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა კავკასიაში, მაგრამ ასე არ მოხდა. თამარ მეფემ მოახერხა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარება. მან 1195 წელს შამქორთან და 1203 წელს ბასიანთან სასტიკი მარცხი აგემა თურქ-სელჩუკებს, განავრცო საქართველოს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთში, ბიზანტიის იმპერიას ბრძოლით წაართვა ტრაპიზონი და შექმნა საქართველოზე ვასალურად დამოკიდებული ტრაპიზონის საკეისრო. თამარ მეფემ მოახერხა მეჭურჭლეთუხუცეს (ფინანსთა მინისტრი) ყუთლუ არსლანის დასის განეიტრალება. საყურადღებო იყო ყუთლუ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, თბ. 1987:171.



წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი

არსლანის დასის მოითხოვნები: ა) მეფის აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვა, ბ) სამეფო კართან „კარვის“ დაარსება, სადაც მოხდებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და მეფისათვის დასამტკიცებლად წარდგენა. მათი გამარჯვების შემთხვევაში, ფეოდალურ-აბსოლუტური მმართველობა კონსტიტუციურით შეიცვლებოდა. მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლება დაბალანსდებოდა. აჯანყებულებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. თამარ მეფის დროს საქართველო იყო მრავალეროვნული ქვეყანა, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ: სომხები, მაჰმადიანები, ებრაელები, ოსები. თამარის მეუღლე დავით სოსლანი ოვსთა მეფის უფლისწული იყო. აქ სახელმწიფო სამსახურში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქურთული წარმოშობის ძმებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა (მათ ეკავათ ამირსპასალარის სამხედრო მინისტრის თანამდებობები). ქვეყანა ძლიერი იყო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, გაჰყავდათ გზები, სარწყავი არხები, მდინარეებზე აგებდნენ რთული კონსტრუქციის ქვის ხიდებს, რომელთა ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. საქართველოს მოსახლეობა, დაუზუსტებელი ცნობით, 8-დან 12 მილიონამდე იყო. განვითარებული იყო ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, საქალაქო ცხოვრება. თამარ მეფე საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

XII-XIV საუკუნეებში საქართველო დიდი განსაცდელების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოს ახალოი მომთაბარე დამპყრობლები მოევლინენ მონღოლების სახით, რომელთაც ჯერ ჩინეთი, ხორეზმის სამეფო დაიპყრეს და შემდეგ კავკასიაში შემოვიდნენ. მონღოლთაგან დევნილი ხორეზმის მმართველი ჯალალ ედ დინი 1226 წელს საქართველოში შემოვიდა, მოახერხა თბილისის აღება და ქალაქში საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ნოემბრის დასაწყისში ყოველწლიურად აღნიშნავს ჯალალ ედ დინის მიერ გაჟლეტილი 100 000 მოწამის

ხსენებას. ჯალალ ედ დინს მონღოლები ჩაენაცვლნენ და მათი ბატონობა 100 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (1235-1335 წ.წ.) ქართული სახელმწიფოსთვის დიდი უბედურება იყო მონღოლთა მომთაბარე ტომების ბატონობა. ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებდა გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, დაწერილი იყო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მომთაბარე-მეჯოგე ხალხის ქვეშემდგომი გახდა. მონღოლებმა საქართველო დაყვეს ნაწილებად, ერთმანეთს დაუპირისპირეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენა და ამ გზით გაიხანგრძლივეს თავიანთი ბატონობა. დამპყრობელი ცდილობდა მოსახლეობის ზნეობრივი ღირებულებების დაკნინებას და მედროვე, მოღალატე ადამიანების აღზევებას, მაგრამ ამ რთულ დროში ჩვენი ხალხის წიაღიდან არაერთი ზნეობრივად მისაბაძი გმირი გამოჩნდა, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა მაგალითი გახდა თავისუფლებისათვის მებრძოლი მოსახლეობისათვის. ასეთები იყვნენ ცოტნე დადიანი და მეფე დემეტრე II.

1247 წელს კოხტასთავში (ბაკურიანთან ახლოს) ქართველმა დიდებულებმა საიდუმლო შეხვედრა და მონღოლთა წინააღმდეგ მოქმედების გეგმა შეიმუშავეს, მაგრამ, მოღალატეთა წყალობით, ამ შეხვედრის დეტალები მონღოლთა ყაენს აცნობეს, რომელმაც შეთქმულნი დააპატიმრა და სომხეთის ქალაქ ანისში ხელ-ფეხ შეკრულნი, ტანზე თაფლწასმული მცხუნვარე მზის ქვეშ დაასმევინა. დაპატიმრებას გადარჩენილმა ცოტნე დადიანმა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ანისში მივიდა, თვითონაც წაისვა ტანზე თაფლი და მათ გვერდით დაჯდა. როდესაც გაკვირვებულ მონღოლებს მიზეზი უკითხავთ, ცოტნე დადიანს დაურწმუნებია ისინი, რომ არავითარი შეთქმულება არ იყო და თვითონ იმიტომ მოვიდა, თუ უდანაშაულო ადამიანებს სჯიდნენ, მაშინ ისიც უნდა დაესაჯათ. ცოტნე დადიანის თავდადებამ მეგობრებისადმი მონღოლები მოხიბლა და ყველანი გაათავისუფლეს, 1289 წელს, მონღოლთა საყაენოში მორიგი

გადატრიალების შემდეგ, ახალმა ყაენმა თავისთან იხმო ქართველთა მეფე დემეტრე II, რომელმაც იქ წასვლის წინ დარბაზის სხდომა მოიწვია. მეფეს ყველამ ერთსულოვნად ურჩია, არ წასულიყო საყაენოში და უსაფრთხო ადგილზე გახიზნულიყო, მაგრამ დემეტრე II-მ მტკიცედ განაცხადა: ჩემი წაუსვლელობის შემთხვევაში ყაენი ქვეყანაზე შურს იძიებსო, და წავიდა საყაენოში, სადაც ის 1289 წლის 12 მარტს სიკვდილით დასაჯეს. ქართველი სალხისათვის, იმ დროს, როდესაც ბრძოლის ველზე მტრის დამარცხებას ვერ ახერხებდა, თავისუფლებისა და ქვეყნის ინტერესებისათვის თავდადებული ერთეული ადამიანების ზნეობრივი გმირობის მაგალითებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

XIV საუკუნის დასაწყისში მონღოლთა საყაენოში გაძლიერდა ურთიერთდაპირისპირება და ქაოსი, რამაც საქართველოში კიდევ უფრო გააძლიერა ანტიმონღოლური მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში საქართველოს მეფე გიორგი V (1218-1346 წ.წ.) ჩაუდგა. ახალგაზრდა მეფემ მონღოლთა ზედაფენის ერთი ჯგუფის ნდობა მოიპოვა, მათი მხარდაჭერით, სამ ნაწილად დაყოფილი საქართველო გააერთიანა, მონღოლთა მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტიგენტი, რომლის შენახვაც ხალხს ძალიან ძვირი უჯდებოდა, მინიმუმამდე შეამცირა, განკერძოების მომხრე ურჩი ფეოდალები დასაჯა, იმოგზაურა საქართველოს მთიანეთში და შეადგინა სამართლის წიგნი „ძეგლისდება“, რითაც მოაწესრიგა მთისა და ბარის მოსახლეობის გამწვავებული ურთიერთობა, ისარგებლა მონღოლთა საყაენოში შექმნილი არეულობით და ქვეყანაში მყოფი მონღოლური გარნიზონები აქედან გააძევა. გიორგი V-მ ქართველებს წმინდა მიწაზე განსაკუთრებული პრივილეგიები მოუპოვა მაცხოვრის საფლავის ეკლესიის კლიტენი ქართველებს ეპყრათ და იერუსალიმში სალოცავად ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი დროშებით შედიოდნენ, რაც სხვა ქრისტიანებისათვის არ იყო დაშვებული. ამ დროს ქვეყანა აღდგა ძველ საზღვრებში, აღორძინდა

მისი ეკონომიკა და კულტურა, ამიტომ მადლიერმა შთამომავლობამ გიორგი V-ს „ბრწყინვალე“ უწოდა. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ასე ხსნიდა გიორგი V-სათვის „ბრწყინვალეს“ სახელის მინიჭებას: „ხოლო ამისათვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვანებითა უებრო, მოწყალე, უხვ, ობოლთა და ქურივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუვალად შემოკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენა, განაახლნა და განანათლნა, ხოლო რანი, შარვანი და მოვაკანი მოხარკედ ჰყვნა თავისად, სძოლ ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ჰხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისისთა დაამშვიდნა“.[1]

XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის I ნახევარში საქართველოს თავს დაატყდა თემურ ლენგის შემოსევები. შუა აზიაში მონღოლთა გადაშენებული საილხანოს იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოს მბრძანებელმა თემურ ლენგმა გადაწყვიტა ჩინგიზ ყაენის იმპერიის აღდგენა, დაიპყრო მეზობელი ქვეყნები და საქართველოს გავლით გადავიდა ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის სტეპებში, შეეჯახა და დაამარცხა იქ გაბატონებული ულუს მონღოლთა მმართველი ტოხტამიშ ყაენი, თემურ ლენგის რვაჯერ შემოსევას შეეწირა ქართული ქალაქები, სოფლები, ციხე-სიმაგრეები, მოსახლეობა. როგორც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, მაშინ ქართულ ენაში გაჩენილა შემდეგი სიტყვები: ნაფუძარი, ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნატაძრალი. ამ სასტიკმა დამპყრობელმა ჩრდილო კავკასიის ხალხებში: ყარაჩაი-ჩერქეზებში, ყაბარდოელებში, ადიღეელებში,

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973:259-260.

ოსებში, ინგუშებში, ჩეჩნებში, დაღესტნელებში გაავრცელა მაჰმადიანობა და თუ მანამდე ეს ხალხები საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიური და კულტურული გავლენის ველში იყვნენ მოქცეულნი, ამიერიდან აშკარა გახდა ქართველებიდან მათი გაუცხოების და დაპირისპირების პროცესი, რომელიც გაგრძელდა XX საუკუნემდე. თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ დაიწყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის პროცესი, რომელიც დასრულდა XV საუკუნის 60-90-იან წლებში, როდესაც ქვეყანა დაიყო სამ სამეფოდ: 1. ქართლი, 2. კახეთი, 3. იმერეთი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიებით სათავეში და 1 სამთავრო სამცხე-საათაბაგო ჯაყელების მეთაურობით. ქვეყნის დაშლის პროცესი გაგრძელდა XVI-XVIII საუკუნეებში. იმერეთის სამეფოს გამოეყო: ა. გურიის, ბ. ოდიშის (სამეგრელო), გ. აფხაზეთისა და დ. სვანეთის სამთავროები. საქართველოს პოლიტიკური დაშლა დაემთხვა წინა აზიაში მომხდარ დიდ მოვლენებს - 1453 წლის მაისში, ორთვიანი ალყის შემდეგ, თურქ-ოსმალებმა დაიკავეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, ჩაკეტეს ბოსფორის და დარდანელის სრუტეები, შეაჩერეს ისტორიული აბრეშუმის გზის ფუნქციონირება. ეს მოვლენები დაშლა-დაქუცმაცებული საქართველოს სამეფო სამთავროებისათვის იყო გეოსტრატეგიული კატასტროფა. ისინი მარტო აღმოჩნდნენ: აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშური ირანის და დასავლეთ საქართველო ოსმალეთის პირისპირ. ევროპის ქვეყნებმა თითქოს სცადეს ოსმალთაგან გაუქმებული აბრეშუმის გზის გახსა, ანტიოსმალური კოლიციის შექმნა, რომის პაპ პიუს II-ის წამომადგენელი ლუდოვიკო ბოლონელი საქართველოშიც ჩამოვიდა, რათა ქართველი მეფე-მთავრები ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაერთო, მაგრამ ეს გეგმები ჩაიშალა, საქართველოდან ელჩები 1461 წელს საფრანგეთში ჩავიდნენ, რეიმსის ტაძარში დაესწრნენ ლუი XI-ის საზეიმო კურთხევას, ითხოვეს დახმარება, მაგრამ უშედეგოდ. 1471

წელს საქართველოდან დახმარების თხოვნით ელჩობა ჩავიდა ვენეციასა და რომში, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ამასობაში ევროპა გადაერთო ახალაღმოჩენილი ამერიკის კონტინენტის ათვისებაზე, მცირე აზიის ქვეყნები ყიზილბაშური ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მარტოდმარტო დარჩნენ. სამწუხაროდ, ქართველ მეფე-მთავრებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, თუ რა დიდი საშიშროების წინაშე იდგნენ და გაერთიანების ნაცვლად გადაეშვნენ ფეოდალურ შინაომებში. კახთა მეფეები ლაშქრობდნენ ქართლში, ქართლისა - კახეთსა და იმერეთში, ამას ემატებოდა ცალკეულ ფეოდალთა ურჩობა და მტრის სამსახურში ჩადგომა, რამაც ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა. როგორც XVII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტზე (ყანჩაეთის ჟამგულანზე) უცნობ გადამწერს გულისტკივილით მიუწერია, საქართველოს მეფე-მთავარნი და დარბაისელნი: „არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას, და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერცარას უზამდნენ და ვერც არას მტერი წაართმევდა რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ.“[1] ოსმალებმა დაიწყეს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების (ისტორიული ტაო-კლარჯეთის) დაპყრობა, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის სულისშემხუთველი გადასახადებით დაბეგვრა და გამაჰმადიანება. ამ მოვლენების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს 1595 წელს ოსმალების მიერ შედგენილი „გურჯისტან ვილაეთის დიდი დავთრის წიგნი“

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში დაიწყო ყიზილბაშთა შემოსევები. ამ მხრივ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა შაჰ თამაზის და შაჰ აბასის ლაშქრობები. მათ დაანგრიეს ასობით ეკლესია-

[1] ს. ვარდოსანიძე, ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები, თბ. 2004:46.

მონასტერი, ქალაქები, შაჰ აბასთან ბრძოლებს შეეწირა 100 ათასი ქართველი, ხოლო 200 ათასი კი გადასახლებულ იქნა ირანის შიდა პროვინციებში (აქედან ფერეიდანში გადასახლებულებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ტრადიციები). ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპნენ: კახთა მეფე ალექსაანდრე II და მისი ვაჟი გიორგი, კახთა მეფე თეიმურაზ I-ის შვილები. შაჰის ბრძანებით, 1624 წლის 12 სექტემბერს, შირაზში, სასტიკად აწამეს თეიმურაზ I-ის დედა ქეთევან დედოფალი, რომელსაც შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო კათოლიკე მისიონერების: ამბროზიო დუშ ანჟუშის, არქანჯელო ლამბერტის, დონ კრისტეფორ დე კასტელის მეშვეობით. ამბროზიო დუშ ანჟუში ესწრებოდა ქეთევან დედოფლის წამებას და მას სულიერად ამხნევებდა. „შაჰის ვეზირებმა უკვე დაანთეს ცეცხლი და შიგ რკინის შანთები ჩააწყვეს, რომლებიც ძალიან გაახურეს, დედოფალი გააშიშვლეს და ყელიდან წელამდე ცხელი შანთებით ულმობლად ააგლიჯეს ნაზ ხორცში, სანამ სულით მოძრავი ძირს არ დაეცა, თუმცა მაინც მხნედ და მტკიცედ აგრძელებდა დიდი ღმერთის მოხმობას. როცა დედოფალი ძირს დაეცა, შაჰის ვაზირებმა აიღეს ნაკვერჩხლები და ზედ დააყარეს, ბოლოს კი მშვილდის ლარით მოაშთვეს... ქეთევან დედოფალი, მიუხედავად თავისი მართლმადიდებლობისა, დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული კათოლიკური ეკლესიის და ყველა ლათინელის მიმართ".[1] ქეთევან დედოფლის მოწამებრივ აღსასრულს გამოეხმაურა რომის პაპი ურბან VIII, რომელმაც თეიმურაზ I-სადმი გამოგზავნილ სამძიმრის წერილში აღნიშნა: „თავი უნდა ინუგეშო შენ, რომ დედაშენმა გაიმარჯვა სპარსეთის ხელმწიფის ტირანიაზე იმით, რომ თავისი უბიწობა და კდემამოსილება შეინარჩუნა".[2]

---

[1] ამბროზიო დუშ ანჟუში, იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902:539.

[2] დონ კრისტეფორ დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დაცულია ინდოეთში, გოაში, ესპანეთში, რომში, საქართველოში. მისი სიმამაცით აღფრთოვანებულმა გერმანელმა დრამატურგმა ანდრეი გრიფიუსმა 1648 წელს დაწერა ტრაგედია „ქართველი ქალი ეკატერინე, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე". ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ II-ის სულიერმა სიმტკიცემ დიდი ძალა მისცა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველებს, მათ გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვის ერისთავის და მეფე თეიმურაზ I-ის ხელმძღვანელობით, არაერთი მარცხი აგემეს ირანელებს, განსაკუთრებით 1660 წელს ბახტრიონის ბრძოლაში, სადაც ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარი დაამარცხეს და ირანის მბრძანებელ შაჰ სეფის კახეთის გათათრების გეგმაზე ხელი ააღებინეს. ამ ბრძოლაში ქართველთა ჯარს ხელძღვანელობდნენ: ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ზეზვა გაფრინდაული, ნადირა ხოშარაული.

რთული ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ოსმალების ხელში იყო დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა. ოსმალები ხელს უწყობდნენ ფეოდალურ ანარქიას, განსაკუთრებული უბედურება იყო დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტყვეთა სყიდვა, რომელიც აჩანაგებდა მოსახლეობას. ქართველი ტყვეები იყიდებოდა ირანისა და ოსმალეთის მონათა ბაზრებზე, ისინი მიჰყავდათ ეგვიპტესა და ერაყში, XVIII საუკუნეში ეგვიპტესა და ერაყს სათავეში ედგნენ წარმოშობით ქართველი მამლუქები. დაპირისპირება იყო დადიანსა და გურიელს, დადიანსა და აფხაზეთის მთავრებს, დადიანსა, გურიელსა და იმერეთის მეფეებს შორის. იმერთა მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წ.წ.) სცადა ოსმალთა წინსვლის შეჩერება, 10 წლით სამცხეც დაიპყრო, მაგრამ მრავალრიცხოვან ოსმალებთან მარტო ვერაფერს გახდა... XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა სამეგრელოს სამთავრო ლევან II დადიანის დროს

შესახებ, თბ. 1976:214.

(1611-1657 წ.წ.) ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1672 წ.) ასე ახასიათებდა მას: ლევან დადიანი სამეგრელოს ერთი შესანიშნავი მთავარი იყო, გულადი, დიდად გონიერი, მართალი და მტერთან ბრძოლაში გამარჯვებული. ეს მთავარი იქნებოდა საუკეთესო ადამიანი, რომ იგი დაბადებულიყო უკეთეს ქვეყანაში. დადიანის გაძლიერება იმერთა მეფის ხარჯზე მოხდა, იგი ხშირად ლაშქრობდა იმერეთში, იქიდან მიჰყავდა ტყვეები და ოსმალებზე ჰყიდდა. ლევან დადიანის მაგალითი აჩვენებდა, რა მძიმე იყო იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა, როგორ იყო ერთმანეთში არეული საერთო ქვეყნის და პატარა სამთავროს ინტერესები და ამ ანარქიით როგორ რჩებოდა მოგებული ოსმალეთის იმპერია. ქვეყნის მომავალზე მოფიქრალი ადამიანები ეძებდნენ გამოსავალს, მოკავშირეებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მოკავშირეები არ ჩანდა.

XV საუკუნეში, სადღაც შორს, ჩრდილოეთში, გამოჩნდა ახალი ქრისტიანული სახელმწიფო მოსკოვის, შემდგომში რუსეთის სამეფო, რომელსაც XVI საუკუნეში „მესამე რომის“, ბიზანტიის მემკვიდრის პრეტენზიები გაუჩნდა და ქართული სამეფო- სამთავროების მმართველებმა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების თხოვნით ელჩობა გაგზავნეს რუსეთში. სამი საუკუნის განმავლობაში დაპირებების მეტი არაფერი მიუღია იქიდან საქართველოს. პარალელურად, ქართველი ელჩები ევროპის ქვეყნებშიც ეძებდნენ ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს, ხვდებოდნენ რომის პაპებს, საფრანგეთის, ესპანეთის მეფეებს (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხან საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში), მაგრამ არც ევროპას შეეძლო რეალური დახმარების გაწევა. ამასობაში ყიზილბაშებმა მოსპეს მეფობა კახეთსა და ქართლში, სადაც მმართველებად გამაჰმადიანებული ქართველები დასვეს, რომელნიც ირანის სახელმწიფო ინტერესებს იცავდნენ. გამაჰმადიანებულ მეფეთაგან გაორებულობის კლასიკური მაგალითი იყო ქართლის მეფე როსტომ ხანი, რომელიც 1633

წელს შაჰ სეფმა ქართლში გამოგზავნა. როსტომმა, თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის და მარიამი, არ მოსთხოვა მას გამაჰმადიანება, პირიქით, მისცა უფლება დანგრეული ეკლესია-მონასტრების შეკეთების, ქართლის ცხოვრების გადაწერის, სხვა ქართული საქმეების კეთების, მაგრამ მისი მოჩვენებითი პატრიოტიზმი იქამდე იყო დასაშვები, სანამ ირანის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა, როგორც XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი დანანებით აღნიშნავდა, თუ რამ მუსლიმური უგვანო ჩვეები იყო საქართველოში, ყველაფერი როსტომ ხანის დროს დაიწყო. როდესაც როსტომი გარდაიცვალა (1658 წ.), ირანელებმა დიდი პატივით გადაასვენეს და ყუმში (ირანის რელიგიური ცენტრი) დაკრძალეს შაჰ აბასის გვერდით. გამაჰმადიანებულ მეფეთაგან იყვნენ ისეთებიც, ვინც ქართულ საქმეს მაინც აკეთებდა: გიორგი XI, ვახტანგ VI. ამ უკანასკნელმა მოახერხა თბილისში სტამბის დაარსება (1709 წ.), მანვე შეადგინა სამართლის წიგნი „დასტურლამალი," სცადა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის დახმარებით ირანელების გავლენის შესუსტება, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა და იძულებული გახდა რუსეთში გადახვეწილიყო. ქვეყანა კვლავ ირან-ოსმალეთის სათარეშო ასპარეზად იქცა. ამას ემატებოდა „ლეკიანობა", რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოსათვის კატასტროფა იყო. ლეკები იტაცებდნენ ადამიანებს და ჰყიდდნენ, ქართლსა და კახეთში აღარც ხვნა-თესვა და აღარც მიმოსვლა იყო. ამ რთულ ვითარებაში ქართლსა და კახეთში 1744 წელს 111 წლის შემდეგ, პირველად ქრისტიანული წესით ნაკურთხი თეიმურაზ II და მისი შვილი ერეკლეს II გამეფდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმერთა მეფე გახდა სოლომონ I (1752 წ.). ამ სამი მმართველის შეთანხმებულმა მოქმედებებმა გარკვეული შედეგი გამოიღო, აღმოსავლეთ საქართველოში აღიკვეთა „ლეკიანობა", შეიზღუდა თავნება ფეოდალთა ურჩობა, ირანში შექმნილი ქაოსის ფონზე ერეკლემ და

თეიმურაზმა დაიმორჩილეს: განჯის, ერევნის და ნახჭევანის სახანოები. იმერთა მეფე სოლომონ I-მა აკრძალა დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა, ხრესილის ომში (1758 წ.) სასტიკად დაამარცხა იმერეთში შემოჭრილი ოსმალთა ჯარები, ილაშქრა აფხაზეთსა და ჯიქეთში და დროებით აღკვეთა მთიელ ტომთა უკონტროლო შემოსვლა აფხაზეთში. თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ (1762 წ.) ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე გახდა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში მომწიფდა ოსმალეთთან ომის იდეა და გაასხენდათ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რომელნიც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მოკავშირეები იქნებოდნენ. ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა ქართველების დასახმარებლად რუსეთიდან ჯარის გამოგზავნა. რუსეთის ჯარს გენერალი ტოტლებენი ხელმძღვანელობდა,ქართველთადარუსთაგაერთიანებულმა ჯარმა სამცხეში 1770 წლის აპრილში, ასპინძასთან, შეუტია თურქებს, მაგრამ აქ გამოჩნდა ტოტლებენის ღალატი, რომელმაც ბრძოლის ველზე მიატოვა ერეკლე II და სოლომონ I, ამის მიუხედავად, ერეკლემ დაამარცხა თურქები, აიღო ახალციხე, ახალქალაქი, მაგრამ ტოტლებენის ქმედებებმა, რომელიც თვითნებურად ქართლის სოფლებში რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე აფიცებდა ხალხს, აიძულა დაეტოვებინა განთავისუფლებული ქართული ქალაქები და ქართლში გამობრუნებულიყო. ტოტლებენი ქართლიდან იმერეთში გადავიდა და იქაც არია სიტუაცია, ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ იგი საქართველოდან გაიწვია. როგორც გაირკვა, რუსებს არ აწყობდათ ოსმალებთან ქართველების გამარჯვება, მათი მთავარი მიზანი იყო შეესწავლათ ადგილობრივი ვითარება და ამის მიხედვით ემოქმედათ, ისინი კავკასიაში დასამკვიდრებლად უფრო მზაკვრულ გეგმებს აწყობდნენ.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი. ერეკლე II ცდილობდა რუსეთის მფარველობა და გარანტიები ქართლ-კახეთის

სუვერენტეტის ნაკლები შეზღუდვის ფასად მიეღო, მაგრამ რუსებს თავისი გეგმები ჰქონდათ, ტრაქტატის თითოეული მუხლი იმდენად ორაზროვნად იყო შედგენილი, რომ რუსებს მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ეს ეხებოდა როგორც ბაგრატოვანთა სამეფო სახლის მომავალს, ასევე საქართველოს ეკლესიას, ქართლ-კახეთის სამეფოს. ტრაქტატის რატიფიკაციის (დამტკიცების) შემდეგ გაირკვა, რომ რუსეთი არ აპირებდა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 1795 წლის 10-11 სექტემბერს, ირანის შაჰის აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის დროს, რუსეთმა ერეკლე მეფეს არანაირი სამხედრო დახმარება არ გაუწია, ირანელთა 36 ათასიან ლაშქარს ერეკლე მეფე 5000 მეომრით დაუპირისპირდა თბილისის მისადგომებთან, კრწანისის ველზე და დამარცხდა, მტერმა დაარბია ქალაქი, მეფე ერეკლე თბილისს განერიდა და თელავში გადავიდა, სადაც 1798 წელს გარდაიცვალა. რუსებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ზეწოლა ქართლ-კახეთის ახალ მეფე გიორგი XII-ზე. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს, გამოიცა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს მანიფესტი თბილისში წაიკითხეს 1802 წლის 12 აპრილს. ერთმორწმუნეობის დოგმებზე დამყარებული ილუზიები გაქრა, ქართველი ერი ახალი რეალობის წინაშე დადგა. დასავლეთ საქართველოში რუსებმა სამეგრელოს სამთავროსთან მფარველობის ხელშეკრულება გააფორმეს და იმერთა მეფე სოლომონ II-ს მოსთხოვეს, რუსეთისათვის ოფიციალურად მიემართა მფარველობითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, როდესაც უარი მიიღეს, 1811 წელს შეიჭრნენ იმერეთში, მეფე სოლომონი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადეს და იმერეთის სამეფოც რუსეთის იმპერიას შეუერთეს.

XIX საუკუნეში გაგრძელდა სამთავროების გაუქმების და რუსეთთან შეერთების პროცესი.

დასავლეთ საქართველოს სამთავროები: საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV-XIX საუკუნეებში არსებობდა: 1. სამცხის, 2. გურიის, 3. ოდიშის (სამეგრელო), 4. აფხაზეთის, 5. სვანეთის სამთავროები.

სამცხის სამთავრო მოიცავდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიას, XV საუკუნის 60-იანი წლებიდან სამცხის მთავარი ყვარყვარე აღარ ემორჩილებოდა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს, სამცხის მთავრები იყვნენ ჯაყელები. 1625 წელს ოსმალებმა გააუქმეს სამცხის სამთავრო და მის ნაცვლად შექმნეს ახალციხის საფაშო, რომლის მმართველადაც გამაჰმადიანებული მანუჩარ ქაიხოსროს ძე დასვეს. ოსმალებმა თითქმის მთლიანად გაამაჰმადიანეს ქართველი მოსახლეობა, ვინც გამაჰმადიანებას გადაურჩა, კათოლიკობა, ან სომხური სარწმუნოება მიიღო, ვინაიდან ოსმალეთის იმპერიაში არც კათოლიკებს და არც სომხებს არ დევნიდნენ. XIX საუკუნის 20-70-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, სამცხის ტერიტორიის ნაწილი ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა რუსებმა წაართვეს ოსმალებს, მაგრამ იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები აიძულეს თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო მათ ნასახლარებზე შემოიყვანეს ერზუმელი სომხები.

გურიის სამთავრო შეიქმნა XV საუკუნის 60-იან წლებში და მოიცავდა გურიის, ჭანეთის და აჭარის ნაწილს. სამთავროს მმართველები იყვნენ გურიელები. გურიის მთავრები, ერთის მხრივ, ებრძოდნენ ოსმალებს და, მეორეს მხრივ, იმერთა მეფეებს და სამეგრელოს მთავრებს. XVII საუკუნის დასაწყიში გურიის გაძლიერებული მთავარი მამია II თავის თავს მეფეს უწოდებდა და ოსმალებს ხარკს აღარ აძლევდა, სამთავრო კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ცდილობდა რომის პაპთან ურთიერთობის დამყარებას. 1790 წელს სიმონ III გურიელმა ხელი მოაწერა ივერიელთა ერთობის ტრაქტატს. 1810 წელს გურიის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა, 1829 წელს რუსეთმა გააუქმა გურიის სამთავრო.

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრომ იმერეთის სამეფოსაგან სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია XVI საუკუნის 50-იან წლებში. მთავრები იყვნენ „ხელმწიფე დადიანები“ სამეგრელოს საზღვრები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. თავდაპირველად ოდიშის სამთავროში აფხაზეთიც შედიოდა, დადიანები იმერთა მეფეებს ეცილებოდნენ ლეჩხუმსაც და ზოგჯერ იკავებდნენ კიდეც. სამთავრო განსაკუთრებით გაძლიერდა ლევან II დადიანის დროს (1611-1657 წ.წ.). ლევან დადიანმა დიდი ბრძოლები გადაიტანა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულ მომთაბარე ტომებთან, მანვე არაერთხელ დაამარცხა იმერთა მეფეები. დადიანი მეგობრობდა ევროპელ კათოლიკე მისიონერებთან და მოგზაურებთან (არქანჯელო ლამბერტი, ჯუდიჩე მილანელი, დონ კრისტეფორ დე კასტელი). ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ხელნაწერი ლევან დადიანის დაკვეთით არის შესრულებული. ოსმალეთის წინააღმდეგ ხრესილის ომში იმერთა მეფე სოლომონ I-ს ოდიშის მთავარმა კაცია დადიანმა ჯარი მიაშველა. 1803 წელს სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა. 1857 წელს რუსეთმა გააუქმა სამეგრელოს სამთავრო და ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების სახით ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანა.

აფხაზეთის სამთავრო ოდიშის სამთავროს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა XVII საუკუნეში. აფხაზეთის მთავრები იყვნენ შერვაშიძეები. ამ დროს ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან ერთად სამთავროში ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზების წინაპრები. აფხაზეთის სამთავროს, ისევე როგორც ოდიშს, ხშირად ლაშქრავდნენ ოსმალები, მიჰყავდათ ტყვეები, ზღვისპირა ციხე-სიმაგრეებში ოსმალურ გარნიზონებს აყენებდნენ, მოსახლეობაში ავრცელებდნენ ისლამს. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთმა გააუქმა აფხაზეთის სამთავრო.

სვანეთის სამთავრო შეიქმნა XVII საუკუნის II ნახევარში.

სვანეთის მთავრები იყვნენ დადეშქელიანები. XIX საუკუნის 20-იან წლებში მათი გვარეულობა და სამთავრო ორად გაიყო: დადეშქელიანთა უფროსი შტო ჩუბეხევს (სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორია) დაეუფლა, ხოლო უმცროსი — ეცერის, ცხუმარისა და ბეჩო-ლეჩყანის თემებს. ორივე შტოს მეთაურები ერთპიროვნულ ბატონობას, სამთავროსა და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. 1833 წელს დადეშქელიანებმა მეფის რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მაგრამ პირველობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, რაც ზოგჯერ მოქიშპე თავადთა და მშრომელი მოსახლეობის აწიოკებით მთავრდებოდა. დაპირისპირებულ დადეშქელიანთა საქმეებში ხშირად დადიანები და მეფის მოხელეებიც ერეოდნენ. ყოველმხრივ შევიწროებული ჩუბეხევის დადეშქელიანები ბრძოლას განაგრძობდნენ. 1857 წელს სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი. კონსტანტინე საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს და მისი ოჯახის წევრები მალე რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. ამის შემდეგ მცირე ხანში სამთავრო ოფიციალურად გაუქმდა, გადასახლებას გადარჩენილი დადეშქელიანები კი, როგორც კერძო პირები, სვანეთში მემამულეებად დარჩნენ.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მომავალზე დაფიქრებულმა პოლიტიკოსებმა სცადეს გაერთიანება, საგანგებოდ შეიკრიბნენ თბილისში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან და გააფორმეს სამოკავშირეო ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროთა შორის. ივერიელთა ერთობის ტრაქტატის მომზადების ორგანიზატორი იყო ერეკლე მეფესთან დაახლოებული სოლომონ ლიონიძე. ტრაქტატის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულების საფუძველია ქართველთა ეროვნული ერთობა: „ყოველნი ივერიელნი“ არიან „სისხლით ნათესავნი, ერთმოწმუნენი და ერთისა ენისა მქონებელნი“; აქედან

გამომდინარე, საქართველოს მეფე-მთავრები დებდნენ ზემო და ქვემო ივერიის (ე. ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს) ერთობისა და ურთიერთდახმარების პირობას. ერეკლეII,რომელიცამხელშეკრულებაშიგამოდიოდაროგორც მოკავშირეთა შორის რანგით უმაღლესი ხელისუფალი, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა „საზოგადო მამა“, საჭირო შემთხვევაში, ყოველგვარი საშუალებით, დახმარებას აღუთქვამდა მოკავშირეებს და ჰპირდებოდა, რომ იზრუნებდა მათ შეყვანაზე რუსეთის მფარველობაში. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ერეკლე II-ს პირობას აძლევდნენ, რომ ისინი, ნებაყოფლობით უერთდებიან რა რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის მიერ დადებულ მფარველობით ხელშეკრულებას (გეორგიევსკის ტრაქტატს), საჭირო შემთხვევაში, ყოველგვარი საშუალებით დაეხმარებიან ქართლ-კახეთის სამეფოს. სამწუხაროდ, ხელშეკრულება ქაღალდზე დაწერილ ლამაზ სურვილად დარჩა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთმა ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ იმერეთის სამეფო დაიპყრო და ქვეყანაში რუსული მმართველობა დაამყარა, საქართველოდან იძულებით რუსეთში გადაასახლეს ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წევრები, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ II, გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და პატრიარქის ნაცვლად ეკლესიას რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი დაუყენეს. უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოზოს ბედი. რუსეთის ხელისუფლებამ ქუთათელ მღვდელმთავარ დოსითეოზს (წერეთელი) და გენათელ ექვთიმეს (შარვაშიძე) ბრალი დასდეს იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების ორგანიზებაში, დააპატიმრეს ისინი, დოსითეოზი დაახრჩვეს, ხოლო ექვთიმე რუსეთში გადაასახლეს, დასავლეთ საქართველოს ეკლესიაც რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. დევნა-შევიწროება დაუწყეს ქართულ ენას, ტრადიციებს, სამსახურიდან დაითხოვეს

ეროვნული სულისკვეთების მოხელეები და მათ ნაცვლად აიყვანეს საეჭვო რეპუტაციის ადამიანები.

სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ თუ ხალხი არ შეეგუებოდა ამას და გააპროტესტებდა, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო, თუ ქვეყნის ანექსია-დაპყრობა იმ გეგმით წავიდოდა, როგორც ეს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტში იყო ჩამოყალიბებული, მაშინ გზა ხსნისა აღარ იქნებოდა. ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას მთელი XIX საუკუნე ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და შეუპოვრად იბრძოდა სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების დასაბრუნებლად. ამის გამოხატულება იყო 1802 წლის კახეთის, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1832 წლის, 1841 წლის გურიის, 1857 წლის სამეგრელოს, 1874 წლის სვანეთის აჯანყებები. შექმნილმა რთულმა სიტუაციამ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I შეაშფოთა და აიძულა კავკასიის მმართველ ალექსი ერმოლოვისათვის ეკითხა: „რა უნდა ამ ხალხს? ჩვენ ხომ გავაბედნიერეთ და ჩვენს ქვეშემდგომებად მივიღეთ“?.. ერმოლოვმა გულახდილად უპასუხა მას: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, ეს ხალხი (ქართველები) არ არიან თქვენი ქვეშემდგომობის ღირსნი. თუ კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებს ადამიანობაზეც კი არ აქვთ პრეტენზია და ბედნიერებად მიაჩნიათ თქვენი ქვეშემდგომობა, ამათ არა თუ ადამიანობაზეაქვთპრეტენზია,არამედროგორცთანასწორნი, ასე გვიყურებენ, მათ უბედურებად მიაჩნიათ თქვენი ქვეშემდგომობა... არ იქნება ქართველი? არ იქნება კავკასიის პრობლება. იქნება ქართველი? იქნება კავკასიის პრობლემა.“ შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსეთის საიმპერატორო კარმა კავკასიის კოლონიურ პოლიტიკაში უხეში მეთოდები შედარებით დახვეწილით მათრახისა და თაფლკვერის პოლიტიკით შეცვალა. ამ გეგმის განხორციელება

მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს დაევალა. ვორონცოვმა ფულით, თანამდებობებით, „ჩინ-მედლებით“ მოისყიდა ქართველი დიდკაცობა, მოსახლეობის ის ფენა, რომელთაც შეეძლოთ ემხილათ რუსული კოლონიური პოლიტიკა და მისი დამღუპველი შედეგები. ამ ზედაფენამ ფულისა და უზრუნველი ცხოვრების სანაცვლოდ დაკარგა ღირსება, და შეეგუა რუსეთის ქვეშემდგომობას.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდებმა (თერგდალეულებმა) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, უფროსი თაობის დამპყრობელთან შემრიგებლობა (კომფორმიზმი) ამ სიტყვებით ამხილა: „ჩვენც ვვლეთ რუსეთი, მაგრამ არცერთი, თქვენი ხელობა არ გვისწავლია, ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა, თქვენებრ ჩინებზედ, არ გაგვიცვლია“.[1] მან ქართველი ერის ღირსების საქმედ გამოაცხადა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ და ამ დროშის ქვეშ გაერთიანებულ ხალხს სამი მთავარი ამოცანა დაუსახა: 1. ქართველი ერის კულტურულ-ნაციონალური ავტონომია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, 2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, 3. ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

XX საუკუნის დასაწყისში სამივე ეს ამოცანა აღსრულდა: 1917 წლის 12 (25) მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, 1918 წლის 8 თებერვალს თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ მთავრობას ნოე რამიშვილი ჩაუდგა სათავეში, რომელიც იმავე წლის ივნისში ნოე ჟორდანიამ შეცვალა. დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ 2 წელი და 9 თვე იარსება, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში გაატარა დემოკრატიული რეფორმები, დაამტკიცა ქვეყნის კონსტიტუცია, მსოფლიო თანამეგობრობას (ერთა ლიგას) აღიარებინა მისი სახელწიფოებრიობა და საზღვრები,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, თბ. 1985:109.




წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

საბჭოთა რუსეთთან გააფორმა ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი), მაგრამ მაინც ვერ აიცილა ბოლშევიკური რუსეთის აგრესია და ანექსია. სამწუხაროდ, მაშინდელი მსოფლიო არ აღმოჩნდა მზად, დაეცვა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო. საბჭოთა რუსეთის ანექსიის ფასი განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოსათვის. ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) კარნახით, ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ, რომელსაც საქართველოს „რევკომი“ ერქვა, თურქეთს გადასცა ისტორიული ტაო-კლარჯეთი, რუსეთის ფედერაციას - სოჭის რაიონი, სომხეთს ლორე ტაშირი, აზერბაიჯანს ზაქათალა, ბელაქნის და კახის რაიონები (საინგილო), საქართველოს შიგნით ნელი მოქმედების ნაღმებად ჩადეს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები. ამის შემდეგ საქართველო მისი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანეს ახალ მოდერნიზებულ რუსულ იმპერიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

1921-1990 წლებში საქართველო საბჭოთა იმპერიაში იყო. ამ პერიოდს იყო ტოტალიტარიზმის ეპოქა, როდესაც საბჭოთა მმართველის იოსებ სტალინის ექსპერიმენტებს: ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციასა და კულტურულ რევოლუციას შეეწირა ასი ათასობით ქართველი პატრიოტის სიცოცხლე. რეპრესიები შეეხო სასულიერო წოდებასაც. რთული იყო ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო სისტემატურად მიმართავდა რეპრესიებს. 1941-1945 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომს შეეწირა 300 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე.

1953 წელს, ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თითქოს დაგმო სტალინური რეპრესიები, ქვეყნის მართვის მისეული მეთოდები, თუმცა 1956 წლის 9 მარტს და 1989 წლის 9 აპრილს თვითონაც მიმართა რეპრესიებს მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ, გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, დაიჭრა და დაიხოცა ასობით ადამიანი. საბჭოთა კავშირი



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამფუძნებელი კრება-პარლამენტი, საგანგებო, ფარული და პარლამენტური სხდომა ორშაბათს 26 მაისს 1918 წ. მოწვეული პრეზიდიუმის მიერ, ქალაქ თბილისში, 1919 წ. მარტის 12-ს, ქალაქის და იმპერიის წინაშე ღირსეულ, რომ ის საქმეები იქნას და აღსრულდეს საქართველოს ერისკაცს მიერ 1915 წ. მაისის 26-ს, ჩამოვლის 5 წ. და 10 წ. თ. ... გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის ბეჭედი ჭდე


საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი

ნამდვილი პარადოქსების ქვეყანა იყო. 1956 წლის 9 მარტს დაღუპული 17 წლის კიაზო ჭანტურიძის დედა სონია მერაბიშვილი-ჭანტურიძე საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში სვამდა ასეთ კითხვას: „გთხოვთ მიპასუხოთ, როდის დავაშავე? ჩემი მშობლები 20-იან წლებში იმიტომ დახოცეთ, რატომ არ გიყვართ სტალინიო, ახლა ჩემი შვილი სტალინის სიყვარულისათვის დასაჯეთ? სად დავუშვი შეცდომა?“ ამ კითხვაზე გაუბედურებულ მშობელს პასუხი არ მიუღია, მაგრამ ერთი რამ ნათელი იყო, სტალინის მიერ შექმნილი ულმობელი სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ ყოველი მომდევნო ბელადი წინამორბედის ლანძღვის ხარჯზე მიიწევდა დიდებისაკენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მასაც ძირს დასცემდნენ. ასე დაემართა 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი დღის შემოქმედს ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელიც 1964 წელს მოისროლეს თანამდებობიდან და მას აჰკიდეს ქვეყნის ყველა წარუმატებლობა.

1978 წელს მოსკოვმა კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს სრულირუსიფიკაციადასაქართველოსახალიკონსტიტუციის პროექტიდან ამოიღო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, მაგრამ ქართველი ახალგაზრდების, მეცნიერების, შემოქმედებითი ინტელიგენციის მედგარი წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა, უკან დაეხია და ახალ კონსტიტუციაში ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად დაეტოვებინა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში დაწყებული ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდა 1990-1991 წლებში. 1990 წლის ოქტომბერში, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში დამარცხდა მმართველი კომუნისტური პარტია და გამარჯვება მოიპოვა „მრგვალი მაგიდა თავისუფალ საქართველოში“ გაერთიანებულმა პარტიებმა. 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე,



1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი

მოსახლეობის 98%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. 1991 წლის 9 აპრილს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1991 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა კავშირიც დაიშალა, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია აგრძელებდა საბჭოთა კავშირის „ველიკოდერჟავულ“, იმპერიულ პოლიტიკას და ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალგაზრდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას და მათ კვლავ რუსეთის ფედერაციის სატელიტებად მიჩნევდა. ვინც რუსეთის ფედერაციის ამ გაცხადებულ კურსს ეწინააღმდეგებოდა, იმ ქვეყნებში „ოპოზიციის“ მეშვეობით ცდილობდა კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობას. ასე მოხდა საქართველოში 1991-1992 წლებში

მოსკოვის მხარდაჭერით, ადგილობრივმა მეამბოხეებმა მოახდინეს სამხედრო გადატრიალება, დაამხეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ჭაობში გადაჩეხეს. უმძიმესი წლები გამოიარა საქართველომ, ქართველმა ხალხმა: პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, საზოგადოების სხვადასხვა ფენების უკიდურესი დაპირისპირება, „გადემოკრატიულებული“ კომუნისტური ძალების რევანში და ხელისუფლებაში დაბრუნება, ველური პრივატიზაცია, დევალვირებული ვალუტის - კუპონის პერიოდი, რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში და ბოლოს, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარების შემოჭრა, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაცია. ეს იყო გოლგოთის წლები. იმ დროს მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები, ხალხები ქართველი ერის გვერდით დადგნენ და ხელი შეუშალეს რუსეთს საქართველოს სრულ ოკუპაციაში.

დღეს საქართველო, მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, ფრთხილ ნაბიჯებს დგამს ნატოსა და ევროპულ ოჯახში გასაწევრიანებლად. 2023 წლის ბოლოს ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. წინ დიდი რთული გზაა გასავლელი, იმედია, ქართველი ერი წარმატებით გაართმევს თავს ამ გამოწვევებს და საქართველო აუცილებლად გამთლიანდება, დაიბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს და გახდება თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრი.

III. კულტურა და ყოფა

ქართველ ტომებს და პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა, კოლხეთი, ქართლი) მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებდა ასურეთის და ურარტუს, მიდიის და სპარსეთის, ათენის საზღვაო კავშირის, რომისა და ბიზანტიის სახელმწიფოებთან. ანტიკური ხანის ქალაქები იყო: არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), კუტაია (ქუთაისი), ვანი, პიტიუნტი (ბიჭვინთა), ცხუმი (სოხუმი), დიოსკურია, ფაზისი (ფოთი), მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, ოძრხე (აბასთუმანი).

IV საუკუნეში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, დაიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. პირველად აშენდა სვეტიცხოვლის ხის ტაძარი, რომელიც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა შეცვალა ქვის ტაძრით, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში აშენდა ახალი ტაძარი, რომელიც ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მშვენებაა. V-VI საუკუნეებში საქართველოში შენდებოდა ბაზილიკური ტიპის ეკლესიები: (ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისი, ძველი შუამთა), VII საუკუნიდან - ჯვარგუმბათოვანი (მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, მარტვილი, წრომი, ბანა, ხახული, ოშკი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა).

პირველი ქართული ასომთავრული მოზაიკური წარწერა აღმოჩენილია პალესტინაში, რომელიც თარიღდება V საუკუნის 20-30-იანი წლებით. საქართველოში ბოლნისის სიონის წარწერა 493 წლით თარიღდება. ქრისტიანობა მოითხოვდა წერა-კითხვის, საღვთისმეტყველო წიგნების ცოდნას. ქართველებმა IV-V საუკუნეებიდან დაიწყეს საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა, ამას მოჰყვა. პირველი ორიგინალური ქართული თხზულება „მოქცევაი ქართლისაი“ „წმინდა შუშანიკის წამება დაიწერა V საუკუნეში, წმინდათა ცხოვრებას მიეძღვნა „აბო ტფილელის

წამება“ (VIII ს), ქართული ჰაგიოგრაფიის მშვენებაა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ (IX-X ს.ს.).

ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაზე დიდია ბიზანტიური კულტურის გავლენა. ბიზანტიის უშუალო მოსაზღვრე ტაო-კლარჯეთიდან დანარჩენ საქართველოში ვრცელდებოდა როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური ლიტერატურა. განათლებისა და კულტურის დიდი კერები იყო ეკლესია-მონასტრები.

XII-XIII საუკუნეებში საქართველოში ფუნქციონირებდა გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, სადაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ ღვთისმეტყველებას, ასტრო-ლოგიას, ფილოსოფიას. ქართული კულტურის კერები იყო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებშიც. V საუკუნიდან პალესტინაში, მაიუმის უდაბნოში განთქმული იყო ქარ-თული მონასტერი. X საუკუნეში დაარსდა ათონის ივერთა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები. XI საუკუნიდან მაშინდელ ბიზანტიის ტერიტორიაზე, დღევანდელ ბულგარეთში დაარსდა პეტრიწონის მონასტერი (ბაჩკოვო, ბულგარეთი), რომელიც ბიზანტიაში მოღვაწე ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. XI საუკუნიდან გამორჩეულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, რომელიც წმინდა მიწაზე ქართველთა სულიერების ცენტრი იყო. იგი დააარსა პროხორე ქართველმა. სასულიეროს გარდა განვითარდა საერო ლიტერატურაც. XIII საუკუნეში დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, XVII-XVIII საუკუნეებში თეიმურაზ I-ის „ქეთევან დედოფლის წამება“, დავით გურამიშვილის „დავითიანი“ XIX–XX საუკუნეებში ქართულ მწერლობას ამშვენებდნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ რობა-ქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე ,ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი.

შუა საუკუნეებში განვითარდა ქართული ისტორი-

ოგრაფია, დაიწერა არაერთი საისტორიო თხზულება, რომელთა შორისაც გამორჩეულია: „მოქცევაი ქართლისაი“ (IV-X ს.), დავითის ისტორიკოსის, თამარ მეფის ისტორიკოსების, „ჟამთააღმწერლის“, ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებანი. XIX–XX საუკუნეებში ქართული ისტორიული მეცნიერება თავიანთი შრომებით გაამდიდრეს: პლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, კათოლიკე მღვდელმა მიხეილ თამარაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, მურმან მაჭავარიანმა, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, მარიამ ლორთქიფანიძემ, გიორგი მელიქიშვილმა.

შუა საუკუნეებში განვითარდა ტიხრული მინანქრის ხელოვნება, ხატწერა, დაიწერა: ანჩისხატი, ხახულის ხატი, წმინდა გიორგის ტიხრულ მინანქარში შესრულებული ხატები. ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეკლესია-მონასტრების მოხატვას. ჩვენამდე მოაღწია VIII საუკუნიდან ეკლესიების კედლებზე შესრულებულმა ფრესკებმა, ამ მსრივ გამორჩეულია: ატენის სიონის, სვეტიცხოვლის, გელათის, ყინწვისის, ბეთანიის, ვარძიის, ალავერდის, უბისას ტაძრებში შესრულებული მხატვრობა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამორჩეული იყო ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის შემოქმედება, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის მხატვრობა. მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ხალხური მუსიკა, საკრავები, ცეკვა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კონცერტები გამართა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი ხელმძღვანელობდნენ, სიმღერის ანსამბლმა „რუსთავმა“, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა.

საქართველოში მოღვაწეობდნენ: ცნობილი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე, მათემატიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი. XX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსთაველის სახელობის

აკადემიურმა თეატრმა თავისი სპექტაკლებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა. XIX საუკუნიდან ქართველი ბავშვები დედაენას სწავლობენ დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოთი, რომელსაც „დედა-ენა“ ჰქვია. სახელმძღვანელოში ანბანის შესწავლის პრინციპი ასეთია - უმარტივესიდან რთულისაკენ „ია“, „აი ია“. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც მცირერიცხოვან ერებს, მათ თავის-თავადობას, ტრადიციებს გაფერმკრთალების საფრთხე ემუქრება, ყოველი ქართველის ვალია, გაუფრთხილდეს თავის ენას, ისტორიას, ტრადიციებს.

IV. ქრისტიანობა I-IV საუკუნეებში

ქრისტიანობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. კაცობრიობის დიდი ნაწილი კალენდრის ათვლას იესო ქრისტეს ხორციელი შობიდან იწყებს (I საუკუნე). ქრისტიანობა პალესტინიდან სწრაფად გავრცელდა ხმელთაშუაზღვისპირეთში, რასაც ხელი შეუწყო ქრისტეს მოწაფეების, მოციქულების ქადაგებამ. ამ დროს პალესტინა რომის იმპერიაში შედიოდა. ქრისტიანობა თანდათან ვრცელდებოდა იმპერიის გავლენის არეალში მოქცეულ ქვეყნებში (სირია, ეთიოპია, საქართველო, სომხეთი). ქრისტიანობა დაკავშირებულია იესო ქრისტესთან, რომელიც ქრისტე თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად გალილეაში, იუდეასა და იორდანიის სოფლებში ქადაგებდა ხალხში ღვთის სასუფეველზე, ამხელდა ებრაული სინაგოგის სჯულის მასწავლებლებს, რაბინებს, თავის თავს აცხადებდა ღვთის ძედ მესიად, რომელსაც უნდა ეხსნა ისრაელი. მან ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვა, კურნავდა სნეულებს, დავრდომილებს, გააცოცხლა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე. ებრაელი რაბინებისთვის მისი მოღვაწეობა საშიში და მიუღებელი ხდებოდა. მათ აიძულეს იუდეას პროკურორი პილატე, რომის ხელისუფლების მტრობის ბრალდებით, იესო ქრისტესათვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა. 33 წლის ასაკში იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. იგი სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღდგა. აქედან იწყება შემდგომში ქრისტიანების მიერ ყოველწლიურად აღდგომის დღესასწაულის აღნიშნვნა. ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრების პირველი ეპიზოდები პავლე მოციქულის (48-63 წ.წ.) ეპისტოლეებიდან გახდა ცნობილი, ამას მოჰყვა სახარებები: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი. ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი მოვლენებია: ბეთლემის მახლობლად ქრისტეს შობა, იესოს ტაძრად მიყვანება, ნათლისღება მდინარე იორდანეში, ეშმაკის მიერ მისი გამოცდა უდაბნოში, ფერისცვალება, უკანასკნელი სერობა, უკანასკნელი ლოცვა გედსიმანიაში, უფლის გაცემა,

ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება. თავისი პირველი მოსვლით ადამიანის მიწიერ სხეულში ქრისტემ ახარა კაცობრიობას ხსნის შესაძლებლობა, ასწავლა გზა ხსნისა, ხოლო მეორედ მოსვლისას იგი მოჰკითხავს ადამიანს თავისი ცხოვრების ნაყოფს და უკანასკნელ სამსჯავროზე მიაგებს საზღაურს.

ცნობილია, რომ 33 წელს მოხდა სულთმოფენობა, როდესაც მაცხოვრის მოწაფეები ღმერთის მიერ პატივდებულნი გახდნენ მოციქულებად. მიემადლათ სხვადასხვა ენაზე მეტყველების ნიჭი, რათა ქრისტიანობა ექადაგათ მთელ მსოფლიოში. ქართველი ხალხის ქრისტიანობასთან დაკავშირება I საუკუნის 40-70-იან წლებში მომხდარა. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ქრისტიანობა საქართველოში პირველად მოციქულებს ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს უქადაგიათ. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხობს:

„მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონსად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყვებრივი მკვიდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა... და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მკვიდრნი მის ქუეყნისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელთა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა და აღაშენეს ეკკლესია შვენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისასა... ხოლო იგი წარმოემართა და გარდავლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვით ნეტარსა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ გორა... აქედან წმინდა მოციქული წამოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი... ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოვსეთისასა, მიიწია

ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქციეს და განანათლეს, მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი. და უქადაგეს სიტყვა ღვთისა, და მრავალთა შეიწყნარეს. და მუნ დაუტევა ნეტარმა ანდრია სიმონ კანანელი".[1]

ქართლის ცხოვრების მიხედვით, მოციქული ანდრია ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის კურთხევით წამოვიდა საქართველოში. „მაშინ რქუა ყოვლაწმინდამან მიმართა მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩანს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი. და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასვენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხვდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ."[2] ამ ცნობების თანახმად, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების პირველ მქადაგებლებად ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ყოფილან, ქვეყანა კი ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი.

ქართლის ცხოვრება ასევე მოგვითხრობს მცხეთელი ებრაელების ელიოზის და ლონგინოზის მიერ უფლის კვართის ქართლში, მცხეთაში ჩამობრძანების ამბავს:

„და წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისასა და მათ მოიღეს მუნით კუართი უფლისა, ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა... ვითარცა მოიღო ელიოზ მცხეთას, მყის წინა უკუე მიოეგება დაი იგი მისი გოდებითა და ტირილითა საშინელითა და ცრემლითა

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955:36-43.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955:38.

შესვარული,დამოეხვიახელსასასურველისამისძმისასა,ხოლო ვითარცა იხილა უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მხსნელისა ჩუენისა, მყის წადიერებით უკუე და სიყვარულით შეიტკბო მკერდსა თვისსა, და მეყვსეულად სულნი წარხდეს ნეტარსა მას დედაკაცსა... ხოლო ელიოზ დამარხა დაი იგი თავის სანატრელითა დამარხვითა, რამეთუ ერთბამად ვითარცა აქუნდა მკერდსა თვისსა ზედა კუართი იგი, ეგრეთვე დამარხნა. ხოლო წმინდა იგი კუართი წმინდავე უკუე დაშთა და წმინდავე გიეს ვითარცა პირველვე, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა."[1] ამ ცნობის თანახმად, მცხეთაში, იქ, სადაც დაკრძალეს ელიოზის და სიდონია უფლის კვართთან ერთად, ამოვიდა ხე კვიპაროზისა, რომელიც კურნავდა ადამიანებს. ქართლის ცხოვრების ამ მონათხრობის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ უფლის მოწაფენი ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ამიტომ საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია. ანდრია პირველწოდებული ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით მოქმედებდა, საქართველო არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი და მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშმყოფი ქვეყანა, სადაც ინახება ქრისტიანებისთვის განსაკუთრებული სიწმიდე კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს საეკლესიო გადმოცემა, ძირითადად, ქართლის ცხოვრების ცნობებს ეყრდნობოდა და უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული XIX საუკუნემდე. ამ საკითხებზე კამათი არაერთხელ გამართულა. XI საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსსა და ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარს გიორგი მთაწმინდელს შორის დისკუსია ეხებოდა, იყო თუ არა საქართველოს ეკლესია სამოციქულო. პატრიარქ თეოდოსის მტკიცებით, „მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათისა"[2]. გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქს დაუსახელა

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955:36-37.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. თბ. 1946:202.

წიგნი „მიმოსვლაი ანდრეა მოციქულისაი“:

„წმინდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, და ერთი წმინდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი სიმონს ვიტყვი კანანელსა ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთსა, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმინდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ... წმინდაო მეუფეო, შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმას ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“.[1]

გიორგი მთაწმინდელის პასუხით კმაყოფილმა ანტიოქიის პატრიარქმა თავის მღვდელმთავრებს ამ სიტყვებით მიმართა: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტოი ესოდენსა სიმრავლესა გუერევის? ვეკრძალნეთ.“[2] XVII საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოში შედგენილ საეკლესიო დოკუმენტში ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი დაწვრილებით საუბრობს საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივ საქმიანობაზე: „ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისა ჩუენისა და მოქცევისათვის მოავლინა თვისთა სამეუფოთა შესამოსელთა“.[3]

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში, მცხეთაში, ახლანდელი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, დაფლულია საუფლო კვართი. თუმცა არსებობს განსხვავებული ვერსიაც: XVII საუკუნის 20-იან წლებში ირანის მბრძანებლის შაჰ აბასის საქართველოში ლაშქრობების დროს, შაჰის ბრძანებით,

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. თბ. 1946:202-203.
[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. თბ. 1946:203.
[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. თბ. 1970:227.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან ამოასვენეს საუფლო კვართი და საჩუქრად გადასცეს რუსეთს. „უფლის კვართად მიჩნეული სიწმინდის მოსკოვში ჩამობრძანებამ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ფაქტის აღსანიშნავად, 1627 წელს, საგანგებოდ დაიწერა ხატი, რომელზედაც გამოსახულია უფლის სამოსლის საზეიმო დადება კუბოზე: პატრიარქი ფილარეტი და ყმაწვილი მეფე მიხეილ თევდორეს ძე ერთად დებენ სამოსელს.“[1] მეცნიერთა უმრავლესობა არ იზიარებს ამ ვერსიას და მიაჩნია, რომ შაჰ აბასმა ვერ დაადგინა მცხეთაში უფლის კვართის ნამდვილი ადგილსამყოფელი და ის აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც რუსეთში გაიგზავნა, არ იყო უფლის კვართი, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც ბიზანტიის მემკვიდრედ აცხადებდა თავს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ სიწმინდეებს რუსეთში აბინავებდა, სჭირდებოდა ასეთი დამაჯერებელი ვერსიის შეთხზვა.

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არსებულ საეკლესიო გადმოცემას დაუპირისპირდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ წერდა: „ის გარემოება, რომ უძველესი ბიზანტიელი და ლათინთა მწერლები (ორიგენი, ეკხერი) ანდრიას პონტოში ქადაგების შესახებ არას ამბობენ, პავლეს ეპისტოლეებსა და „საქმე მოციქულთა“-ში კრინტიც არ არის დაძრული პირველწოდებულ ანდრიას ქადაგებრივ მოღვაწეობაზე, რადგან თვით „მიმოსვლის“ შინაარსს ზღაპრული ხასიათი აქვს... ის გარემოება, რომ არც თვით საქართველოში იცოდნენ VIII-IX საუკუნემდე ანდრიას იბერიაში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრია პირველწოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში, საზოგადოდ, და, კერძოდ, საქართველოში“.[2]

[1] ე.ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ. 2008:72.
[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII. თბ. 1998:51.

ქართველი მეცნიერის ეს თვალსაზრისი მაშინ შეფასდა, როგორც პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ტენდენციის გამოვლინება, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიკული (ზედმეტად კრიტიკული) დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლი და ეგრისი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნიდან რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და იმპერიაში მიმდინარე მოვლენები მათთვის უცხო არ იყო. ამ დროს როგორც ქართლში, ასევე ეგრისში, მრავლად იყო ქრისტიანული თემები. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების მონაცემებიც. მცხეთასა და მის შემოგარენში მრავლად აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალულთა სამარხები. „ნასტაკისის ველზე (მცხეთასთან ახლოს) უფრო ძლიერი დასახლება ყოფილა ადრეულ შუა საუკუნეებში, რასაც ნაქალაქრის ტერიტორიაზე გათხრილ ნაგებობათა ნაშთები მოწმობს. საცხოვრებელი ნაგებობანი მრავალი ოთახისა და ერთი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. ამგვარ ნაგებობებში ერთი ოთახი მცირე ეკლესიას წარმოადგენდა. ამ პერიოდში (I-II საუკუნეები) ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად, არალეგალურ მდგომარეობაშია და თავშეფარებული ჩანს საცხოვრებელ ნაგებობებში. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის შესასწავლად".[1] ამ დროისათვის ქართლი და ეგრისი, ისევე, როგორც ებრაელთა ქვეყანა, რომის იმპერიაში შედიოდა, სადაც ახალი რელიგიის გავრცელებას დიდი დაბრკოლებები შეხვდა. ქრისტიანთა პირველი მდევნელნი იუდეველები იყვნენ, რომლებიც მათ შეცდენილ შვილებად და იუდაიზმის ერთ-ერთ სექტად მიიჩნევდნენ. ამას მოჰყვა ქრისტიანთა დევნა. რომის იმპერატორებიდან ქრისტიანთა პირველი მდევნელი იყო ნერონი, რომელმაც 64 წელს დაიწყო ქრისტიანების სასტიკი დევნა. მისი საქმე გააგრძელეს დომიციანემ (81-96 წ.წ.), ტრაიანემ (98-117 წ.წ.),

[1] ა. ბოხოჩაძე, ძალისი და ნასტაკისი, გაზ. „კომუნისტი," 1988.28.08.


მარკუს ავრელიუსმა (161-180 წ.წ.), სეპტიმუს სევერიუსმა (193-211 წ.წ.), მაქსიმინე თრაკიელმა (235-238 წ.წ.), დეციუსმა (249-251 წ.წ.), ვალერიანემ (253-260 წ.წ.), ავრელიანემ (270- 275 წ.წ.), დიოკლიტიანემ (284-305 წ.წ.). დევნის მიზეზი მრავალი იყო, მაგრამ მთავარი მაინც ახალი რელიგიის წინააღმდეგობა იყო რომაულ კანონებთან, იმპერიაში აღიარებულ წარმართ ქურუმობასთან, რომელნიც სრულად აკონტროლებდნენ მოსახლეობას და სახელმწიფო მოხელეებთან სრულ ჰარმონიაში იყვნენ. დევნა-შევიწროებამ გამოიწვია ის, რომ ბევრმა ქრისტიანმა, მათ შორის მოციქულებმაც, მოწამებრივად დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე. საქართველოში განსაკუთრებულია წმინდა გიორგი, რომელიც რომაელთა ჯარის სარდალი იყო და ქრისტიანობისათვის აწამა რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ. ასეთ რთულ ვითარებაში რომის დაქვემდებარებაში მყოფ ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობა თავისუფლად ვერ გავრცელდებოდა, წარმართი ქურუმობა აქაც დიდ წინააღმდეგობას უწევდა ახალ რელიგიას და მის მიმდევრებს, მაგრამ ქრისტიანობა მოსახლეობის ქვედა ფენებში სწრაფად ვრცელდებოდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ ქრისტიანებს თანაუგრძნობდა ქართლის მეფე რევ მართალი (265-280 წ.წ.), რომელსაც ქრისტიანობის გავლენით არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა მსხვერპლშეწირვა აუკრძალავს. ქართლის ცხოვრების თანახმად, „რევ მეფე, თუმცა იყო წარმართი, მაგრამ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა გაჭირვებულთა, რამეთუ ცოტა რამ სმენოდა სახარებიდან უფლისა ჩვენისა ქრისტესი და ჰქონდა სიყვარული ქრისტესი.“[1] წარმართობა კვლავ მძლავრობდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, ქურუმები ყველანაირად ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები, ამის მიუხედავად, ქრისტიანული თემები ფარულად არსებობდნენ და მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ. 1955:58.

V. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში IV საუკუნეში

I-III საუკუნეებში კავკასიის ქვეყნებში დასამკვიდრებლად რომის იმპერიასა და სპარსეთს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. რომაელებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს I-II საუკუნეებში. მათ თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენეს ეგრისში, ქართლში შედარებით მორიდებულად იქცეოდნენ, მაგრამ რეალურად ეს ქვეყანაც მათი ქვეშემდგომი იყო. 224-226 წლებში სპარსეთში არშაკიანთა მმართველობა სასანიანთა მმართველობით შეიცვალა. სასანიანებმა მთავარ რელიგიად მაზდეანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა) გამოაცხადეს. მათ ჯერ შიდა პრობლემები მოაგვარეს და შაბურ I-ის მეფობის დროს (241-272 წ.წ.) რომის იმპერიას შეუტიეს. მათი უმთავრესი ამოცანა იყო კავკასიის დაუფლება და აქედან რომაელების გაძევება. რომაელებისა და სპარსელების დაპირისპირების ძირითადი ასპარეზი იყო როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთ საქართველო. III საუკუნის 60-იან წლებში სპარსეთის შაჰმა შაბურ I-მა დაამარცხა რომაელები და განდევნა ისინი კავკასიიდან, თუმცა III საუკუნის 80-იან წლებში რომმა ნაწილობრივ მოახერხა თავისი პოზიციების დაბრუნება. ბრძოლები გრძელდებოდა. 298 წელს, ნიზიბინთან გადამწყვეტ ბრძოლაში, სპარსელები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ, რომთან გაეფორმებინათ 40 წლიანი საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქართლი, სომხეთი, ეგრისი, ალბანეთი რომის გავლენის ქვეშ გადავიდა.

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიაში შიდა ბრძოლები მიმდინარეობდა. იმპერია იშლებოდა. იმპერატორმა კონსტანტინემ 312 წელს დაამარცხა იმპერატორი მაქსენციუსი და აიღო რომი. როგორც ისტორიკოსი ევსევი კესარიელი წერდა: „ბრძოლის წინ კონსტანტინემ ქრისტიანთა ღმერთს დახმარება შესთხოვა. შუადღისას, როცა მზემ დასავლეთისაკენ იწყო



წმინდა ნინოს ჯვარი

გადახრა, კონსტანტინემ ცაზე იხილა ჩვენება: მზის დისკოზე გამოისახა ჯვრის ნიშანი და წარწერა: „ამით სძლევ“ ეს ჩვენება არა მარტო კონსტანტინემ, არამედ მთელმა მისმა ჯარმა იხილა. ამის შემდეგ კონსტანტინემ ბრძანა, რომ ყველგან იესო ქრისტეს აღმნიშვნელი ნიშანი გამოესახათ და ასე წასულიყო ჯარი საბრძოლველად.“

313 წელს კონსტანტინემ გამოსცა მილანის ედიქტი (ბრძანება), რომლის თანახმადაც, შეწყდა ქრისტიანების დევნა რომის (ბიზანტიის) იმპერიაში. 324 წელს კონსტანტინე აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბიზანტიის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ახლა მისი მთავარი საზრუნავი იყო ყოფილი რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები და იქ თავისი პოზიციების განმტკიცება. ახალ რელიგიას - ქრისტიანობას მაზდეანობასთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. ამ პერიოდს უკავშირდება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში. ქართლისა და ეგრისის გაქრისტიანება ერთდროულად უნდა მომხდარიყო. ამ ისტორიული მოვლენის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ბერძნულ-ლათინურ საისტორიო მწერლობაში. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, პირველი ცნობები ყოფილა IV საუკუნის ბოლოს შედგენილ გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ სამწუხაროდ, თვით გელასი კესარიელის ისტორიას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი ისტორიით სარგებლობდნენ V საუკუნის ისტორიკოსები: რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე, სოზომენი, გელასი კვიზიკელი. ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაცული ცნობების შინაარსი ასეთია: იბერთა (ქართლის) ქვეყანაში კაბადოკიიდან მოვიდა ვინმე ქრისტიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ხალხში ქადაგებდა ქრისტიანობას. ამავე დროს მან სახელი გაითქვა, როგორც მკურნალმა. იგი ქრისტეს ძალის დახმარებით კურნავდა ავადმყოფებს. ტყვე ქალს, როგორც მას უწოდებდნენ, განუკურნავს იბერთა (ქართლის) მეფის მირიანის მეუღლე, დედოფალი

ნანა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, თუმცა მას ქრისტიანობა მაშინვე არ უღიარებია. ერთხელ, თხოთის მთაზე (ახლანდელი კასპის მუნიციპალიტეტი) ნადირობის დროს, ბურუსი ჩამოწოლილა და მას გზა ვეღარ გაუგნია. მეფემ დახმარებისათვის მიმართა ჯერ თავის, წარმართულ ღმერთებს, მაგრამ უშედეგოდ, მაშინ ტყვე ქალის ღმერთისათვის (ქრისტესათვის) მიუმართავს და ბურუსი გაფანტულა, ნათელი დღე დამდგარა, სამშვიდობოს გამოსულ მეფეს ეს ღვთის მინიშნებად მიუჩნევია და ქრისტიანობის მიღება გადაუწყვეტია. ტყვე ქალის რჩევით, მეფეს დაუწყია ხის ეკლესიის მშენებლობა, მაგრამ ერთ-ერთი სვეტი მშენებლებს თავის ადგილზე ვერაფრით დაუმაგრებიათ. ტყვე ქალის ვედრებითა და ლოცვით ეს სვეტი ვერტიკალურად გაჩერდა ჰაერში თავისი ადგილის ზემოთ. დილით, როდესაც ხალხი შეგროვდა ამ სასწაულის სანახავად, სვეტი დაეშვა თავის ადგილზე. ამან ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალი სარწმუნოების (ქრისტიანობის) სახელზე აშენებული ეკლესიის შემდეგ იბერიის (ქართლის) მეფემ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს ელჩობა გაუგზავნა თხოვნით ეკლესიის საკურთხებლად და ხალხის მოსანათლავად გამოეგზავნა მღვდელმსახურები. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ თხოვნა შეასრულა. გელასი კესარიელის ეს მონათხრობი, ავტორის ცნობის თანახმად, ეყრდნობა იბერთა (ქართლის) სამეფოს სახლის წარმომადგენლის ბაკურის ინფორმაციას.

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი დაწვრილებით აღწერდა ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას და ახსენებდა ქართლის მეფე მიჰრანს და ტყვე ქალ ნუნეს. ქართლის გაქრისტიანების ისტორიაზე ცნობები დაცულია ქართულ საისტორიო წყაროებშიც. ამ მხრივ გამორჩეულია ერთ-ერთი უძველესი თხზულება, რომელსაც ეწოდება „მოქცევაი ქართლისაი“, ამ თხზულების სრული ტექსტი შეტანილია X საუკუნეში

შედგენილ შატბერდის კრებულში.[1] მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ „მოქცევაი ქართლისაი“-ს პირველი ვერსია IV საუკუნეში უნდა შეედგინათ. ასევე საინტერესოა წმინდა ნინოს ცხოვრების ჭელიშური რედაქცია, ნინოს ცხოვრება, რომელიც შედის ქართლის ცხოვრებაში და, სავარაუდოდ, XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს უნდა შეედგინა,[2] ასევე XII საუკუნეში არსენ ბერის მიერ შედგენილი „ნინოს ცხოვრება“.[3]

ქართული წყაროების თანახმად, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო კაბადოკიიდან (დღევანდელი თურქეთის პროვინცია) იყო. მის დედას ერქვა სუსანა, მამას - ზაბილონი. ნინოს ბიძაიყო იერუსალიმის პატრიარქი იუბენალი. ნინო 12 წლის იყო, როდესაც მისმა მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს, გლახაკებს დაურიგეს, მიატოვეს საერო ცხოვრება და დაიწყეს ღვთის სამსახური. ახალგაზრდა გოგონა ჯერ იერუსალიმში იყო, შემდეგ - სომხეთში და იქიდან ჯავახეთის გზით ქართლში შემოსულა. წმინდა ნინოს ცხოვრების აღმწერ საღვთო უჟარმელის ცნობითა და უფლის ჩაგონებით, იგი სომხეთიდან ჯავახეთის გზით წამოვიდა მცხეთისაკენ (ქართლის დედაქალაქი). მან დიდი განსაცდელები გადაიტანა და მოაღწია ურბნისს (ქართლის პატარა ქალაქი). „და ვიხილე ერი უცხოთა ღმერთთა მსახური, ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს. შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოვედ ბაგინსა (დასახლება მცხეთასთან)... და ვიყავ მუნ ერთი თუე და განვიცდიდ ძალსა ამის ქუეყანისასა. და იყო დღესა ერთსა ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაი, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმერთისა მათისა. ხოლო მე წარვჰყევ მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიაღით მოგუთას, ხიდსა ზედა დავდეგით მუნ, და ვხედავდით ცეცხლის მსახურსა მას ერსა. და მოგუებასა

[1] იხ. შატბერდის კრებული, თბ. 1979:320-355.

[2] იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955:72-133.

[3] იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, 1947:216-231.

და ცთომასა მათისა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათვის, და უცხოვებასაცა ჩემისა ვეგლოვდი".[1]

წმინდა ნინოს ლოცვის შემდეგ ღმერთმა საშინელი ავდარი მოაწია და დაამსხვრია არმაზის, გაცის და გაის კერპები. მცხეთაში წმინდა ნინოს 9 თვე უცხოვრია ქართლის მეფის მირიანის მებაღესთან, ახლანდელი სვეტიცხოვლის მიდამოებში. შემდეგ მას ვაზის ლერწისაგან გაუკეთებია ჯვარი და იქ დაუდგამს, სადაც ახლა სამთავროს ტაძარია და თვითონაც იქ, მაყვლოვანსა შინა დასახლებულა, სადაც 6 წელი ცხოვრობდა, ჯერ ფარულად, შემდეგ კი ცხადად ქადაგებდა ქრისტიანობას, ამავე დროს ქრისტეს სახელით კურნავდა ავადმყოფებს. ქართული და უცხოური წყაროები ერთნაირად გადმოგვცემენ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის ისტორიას. წმინდა ნინომ ურჩია მირიან მეფეს, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესათვის ეთხოვა ქართლში სასულიერო პირების (მღვდლების) გამოგზავნა, რომლებიც მოსახლეობას მონათლავდნენ. ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილმა სასულიერო პირებმა ჯერ მეფე მირიანი, მისი ოჯახის წევრები და ქვეყნის წარჩინებული ზედაფენა მონათლეს, შემდეგ მტკვრისა და არაგვის შესართავთან (მცხეთასთან) უბრალო ხალხი. „აკურთხეს მდინარე მტკვარი და ებისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი მიწურვითა ხიდისა, კარსა მოგვითასასა, სადა ყოფილა სახლი ელიოზ მღვდელისა. და მუნ ნათელს სცემდა წარჩინებულთა ერთ-ერთსა და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლავი, ხოლო ქვემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორნი მღვდელნი და დიაკონნი ნათელსა სცემდეს ერსა."[2] წმინდა ნინოს რჩევით, ქართლის გაქრისტიანების აღსანიშნავად, მცხეთაში სვეტიცხოვლის ხის ტაძრის აშენების პარალელურად, სამი ჯვარი აღმართეს: ერთი იმ ბორცვზე, სადაც ახლა მცხეთის ჯვარია (მცხეთასთან), მეორე - თხოთის მთაზე (კასპის მუნიციპალიტეტი), სადაც მირიან

[1] წმინდა ნინო, თბ. 2009:13.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955:116.

მეფემ პირველად იწამა ქრისტე ღმერთი, მესამე ქალაქ უჯარმაში (ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). ქართული წყაროების თანახმად, წმინდა ნინომ „წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსრული და ერისთავი ერთი, წარვიდა, დადგა წობენს (მთიულეთში, ს.ვ.) და მოუწოდა მთეულთა, ჭართლელთა და ფხოველთა (ფშავ-ხევსურები, ს.ვ.), და წილკნელთა და უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტესი, ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარმართა მახვილი და შიშითა მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ (ახლანდელი თიანეთის მუნიციპალიტეტი, ს.ვ.) და დადგა ჟალეთს (ნასოფლარი თიანეთის მუნიციპალიტეტში, ს.ვ.), დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა (ნასოფლარი ფშავში, ს.ვ.) ესმა ესა, გარდაკრბეს (გადაიხვეწნენ, ს.ვ.) თოშეთა (თუშეთში, ს.ვ.), რომელნი უკანასკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“.[1] ამის შემდეგ წმინდა ნინო გადავიდა კახეთს, მონათლა კახელნი. „და დასნეულდა და წამოემართა მცხეთად და ვითარცა მოიწია მცხეთას დაბასა, რომელსა ჰქვიან ბოდენი, ვერღარა ეძლო სვლად.“[2] და იქვე აღესრულა.

ასეთია მოკლედ ბერძნულ-რომაული და ქართული წყაროების მონაცემები ქართლის გაქრისტიანების შესახებ. ქართულ წყაროებში ზოგი ფაქტი, მოვლენა უფრო განვრცობილადაა წარმოდგენილი. როგორც ქართული წყაროები მოგვითხრობენ, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდა. წარმართობა აქ უფრო მყარად იყო დამკვიდრებული და წარმართი ქურუმები ბევრს კარგავდნენ ამ ახალი რელიგიის გავრცელების შემთხვევაში, თუმცა მათ ვერ მოახერხეს ქრისტიანობის გავრცელების შეფერხება. წმინდა ნინო აღესრულა ბოდეში 335-338 წლებს შორის. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბოდე უნდა

[1] მოქცევაი ქართლისაი, იხ. შატბერდის კრებული, თბ. 1979:323-324.
[2] მოქცევაი ქართლისაი, იხ. შატბერდის კრებული, თბ. 1979:324.

ყოფილიყო ისტორიულ კახეთში (ერწო-თიანეთში) და X საუკუნეში წმინდა ნინოს ნეშტი უნდა გადაესვენებინათ ახლანდელ ბოდბეში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი), წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ქართული საეკლესიო ტრადიციის თანახმად, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელია. საქართველოს ეკლესია ყოველწლიურად, 27 იანვარს აღნიშნავს წმინდა ნინოს გარდაცვალების და 1 ივნისს მისი ქართლში შემოსვლის დღეს. წმინდა ნინომ ქრისტიანობით მოიტანა ახალი იგი ჟამი, სვეტიცხოვლის აღმართვით ქართველებში აღმართა ახალი დროის ნიშან-სვეტი. წმინდა ნინოს უდიდეს პატივს მიაგებენ საქართველოში. წმინდა ნინოს სახელობისაა არაერთი ეკლესია-მონასტერი, წმინდა ნინოს მიერ დამზადებული ვაზის ჯვარი ინახება თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ეს ჯვარი მრავალ სასწაულს ახდენდა, იგი 544 წლამდე მცხეთაში ყოფილა, შემდეგ საქართველოდან გაუტანიათ, ერთხანს სომხეთში, ჯერ აღთამარში, შემდეგ ვანანდში და ბოლოს ანისში ყოფილა, საიდანაც „XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა, როდესაც ანისი გაათავისუფლა, წმინდა ნინოს ჯვარი საქართველოში წამოასვენა და ისევ მცხეთაში სვეტიცხოველში დაასვენა.“[1] ჯვრის უკეთ დაცვის მიზნით, ჩვენს წინაპრებს იგი მთაში, გერგეტის სამებაში (ხევი-ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) დაუბრძანებიათ. ამის შემდეგ ჯვარი ერთხანს ანანურის ტაძარში იყო, საიდანაც 1749 წელს თბილელ მიტროპოლიტ რომანოზს (ერისთავი) მალულად რუსეთში გადაუსვენებია. „მიტროპოლიტ რომანოზის მიერ რუსეთში წასვენებული წმინდა ჯვარი მოსკოვიდან გადაასვენეს ნიჟნი ნოვგოროდში (რუსეთის ფედერაცია, ს.ვ.) მდებარე სოფელ ლისკოვოში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის შვილის, ბაქარის შვილიშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონთან

[1] ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეკლესიო სიწმინდეები, თბ. 2007:214.

(გრუზინსკი).“[1] წმინდა ნინოს ჯვარი საქართველოში დაბრუნდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანების საფუძველზე, 1802 წლის 9 აპრილს. ჟამთა სიავეს ვერ გადაურჩა წმინდა ნინო ხატები. ნინოწმინდის ეკლესიაში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) დაცული იყო წმინდა ნინოს ერთ-ერთი ძველი ხატი, რომელსაც რესტავრაცია ჩაუტარდა ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბას (ტუსიშვილი) ლოცვა-კურთხევით XVIII საუკუნეში. ხატი კათოლიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს (1932-1952 წ.წ) დროს გადმოაბრძანეს თბილისში. ის 1978 წელს საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის დროს განადგურდა. წმინდა ნინოს საფლავი ბოდბეში არაერთმა მეფემ გაამშვენიერა, XVIII საუკუნეში ბაქარ ბატონიშვილის ბრძანებით ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია, XXI საუკუნის დასაწყისში, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, აღებულ იქნა XIX საუკუნეში მიხეილ საბინინის (საეკლესიო მკვლევარი) მიერ დადგმული მარმარილოს ლუსკუმა და საფლავი შეიმოსა ვერცხლით, იქვე ახლოს აშენდა ბოდბის მონასტერი. საქართველოში ყოველწლიურად, 1 ივნისს, ფარავნის ტბიდან (სამხრეთ საქართველო) მომლოცველები სიმბოლურად გადიან იმ გზას, რომელიც წმინდა ნინომ გაიარა. ისინი 13 ივლისს ჩამოდიან მცხეთში და სვეტიცხოველში ათორმეტი მოციქულის ხსენების დღეს უერთდებიან მორწმუნე მრევლს.

ქართული და ბერძნული წყაროები არაფერს ამბობენ ბიზანტიის იმპერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკურ მიზეზებზე. ბიზანტიის ახალშექმნილ იმპერიაში ამ ახალ რელიგიას ქვეყნის კონსოლიდაციის საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, ხოლო მის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყნებში (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი) ქრისტიანობის გავრცელებით განემტკიცებინა თავისი

[1] ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეკლესიო სიწმინდეები, თბ. 2007:215.

სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური პოზიციები, გაეუცხოებინა ისინი სასანიდური სპარსეთისა და მაზდეანური სარწმუნოებისაგან. ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 337 წელს, პროფესორ სარგის კაკაბაძე 313 წელს მიიჩნევდა ყველაზე ოპტიმალურ თარიღად, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე 355 წელს. უკანასკნელ წლებში ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი დაიწერა. დღეს ქართული ისტორიოგრაფია თანხმდება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ასეთ თარიღზე 324-326 წ.წ. (პროფ. ლელა პატარიძე, პროფ. ანრი ბოგვერაძე), ამ თარიღს იზიარებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. ქართული ისტორიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქრისტიანობა კავკასიაში (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი) ერთდროულად უნდა გავრცელებულიყო. სხვა შემთხვევაში ბიზანტიის იმპერია არ დაუშვებდა თავის დაქვემდებარებაში მყოფ რომელიმე ქვეყანაში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარებას, ეს 312-325 წლებზე ადრე ვერ მოხდებოდა. უფრო რთულად დგას საკითხი დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ. წყაროთა სიმწირის გამო რთულია IV საუკუნეში იქ არსებული რელიგიური პროცესების სრული ანალიზი. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს იყო დამკვიდრებული აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებდა, რომ პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში VI საუკუნის 20-იანი წლებიდან გამოცხადდა, როგორც სახელმწიფო რელიგია. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქრისტიანობა ეგრისში IV საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად. ამ მოსაზრებას დაეთანხმა პროფესორი ნოდარ ლომოური, რომელმაც

განაცხადა: „ბიზანტიური წყაროების უფრო ყოველმხრივმა და ღრმად შესწავლამ, არქეოლოგიური მონაცემების მოხმობამ, მიგვიყანა იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება უნდა მოხდარიყო IV საუკუნეში, ე.ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც გაქრისტიანდა იბერია“.[1] ამ მოსაზრებას ამყარებს 325 წელს ნიკეას პირველ საეკლესიო კრებაში ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს მონაწილეობა და ასევე პროკოფი კესარიელის ცნობა: „აფსილები (დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველური ტომები) ლაზების ქვეშემდგომები არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე აქ მოვიხსენიე“.[2] როგორც პროფესორი ნოდარ ლომოური წერდა: „ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ნოქალაქევში (ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი) გათხარა ეგრის-ლაზიკის ძველი დედაქალაქის არქეოპოლისის ნაქალაქარი და აქ, ამ ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, აღმოაჩინა V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, ხოლო მათ ქვეშ უფრო ადრეული, IV საუკუნის დარბაზული ეკლესიის ფრაგმენტები. ამ ახალ ეკლესიათა აღმოჩენამ აშკარა გახადა, რომ ქრისტიანობა ეგრისში წარმოადგენდა სახელმწიფო რელიგიას.“[3]

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ქრისტიანობის მეშვეობით ამ ქვეყნებმა უარი თქვეს მაზდეანურ სპარსეთზე და დაუკავშირდნენ ევროპულ ცივილიზაციას. ილია ჭავჭავაძის შეფასებით, „წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ საქართველო იხსნა არათუ სულიერად,

[1] წმინდა ნინო, ტ. I, თბ. 2009:213.

[2] წმინდა ნინო, ტ. I, თბ. 2009:215.

[3] ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წიგნი II, თბ. 1970:37-38.



მცხეთის ჯვრის მონასტერი VI-VII სს.

არამედ ხორციელადაც, იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხოვრებად... ქრისტიანობამ ქვიტკირივით შეგკვრა და გაგვამაგრა, ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის".[1] აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, „ქრიტიანობამ ძირიანად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. შემდეგ საუკუნეებში ბევრჯერ ყოფილა საქართველოს თავგადასავალი ამ ახალ სარწმუნოებაზე დამოკიდებული, რადგან ქრისტიანობაზე უწინ მთელ საქართველოში, მნათობთა თაყვანისცემის შემდეგ, სპარსეთის მეზობლობისა და გავლენის წყალობით, ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელდა, ამიტომ მით უფრო მიდრეკილება ექნებოდა ერთმორწმუნე სპარსეთისადმი. საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და სპარსეთი თანდათან მტრად იქცა."[2] პროფესორ მიხეილ თარხნიშვილის აზრით: „იბერია ქრისტეს სჯულის აღიარებით აღმოსავლეთს გამოეყო და დასავლური ცხოვრების ფერხულში ჩაება".[3] ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ ქართლსა და ეგრისში დაიწყო ქრისტიანთა კრებულის, ეკლესიის ჩამოყალიბება, შემდგომში ეკლესია დაერქვა შენობასაც, სადაც ქრისტიანთა კრებული ლოცვისათვის იკრიბებოდა. პირველი სასულიერო პირები ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი, რომლებმაც ქართლის და ეგრისის მოსახლეობა გააქრისტიანეს, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ გამოგზავნა. მათ საქართველოში ჩამოაბრძანეს ქრისტიანული სიწმინდეები: „ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი", „სამსჭვალნი ფერხთანი" ქართლსა და ეგრისში დაიწყო ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა. ბიზანტია მის იმპერიაში შემავალი ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების მეშვეობით ეხმარებოდა და, გარკვეულწილად, აკონტრო-

[1] წმინდა ნინო, ტ. 1, თბ. 2009:62.
ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, თბ. 1980:273-274.
[3] მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ. 2014:177.

ლებდა მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებას. ქართლისა და ეგრისის ეკლესიები ანტიოქია-კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ეპისკოპოსებიც იქიდან ინიშნებოდნენ. ეს ტრადიცია გაგრძელდა V საუკუნემდე. პირველი ეკლესიები იყო მცირე ზომის, ბაზილიკური, სადაც მხოლოდ ღვთისმსახურნი იყვნენ, მრევლი კი წირვა-ლოცვის დროს გარეთ იდგა. საქართველოში IV-V საუკუნეებში აშენებული ეკლესიებია: ნეკრესი (კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი), ძველი შუამთა (კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტი), ბოლნისის სიონი (ქვემო ქართლი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი), ურბნისი (ქართლი, ქარელის მუნიციპალიტეტი), ანჩისხატი (თბილისი), ნოქალაქევი (სამეგრელო, სენაკის მუნიციპალიტეტი), ბიჭვინთა (აფხაზეთი). ქრისტიანობამ თანდათან შეცვალა ქართველი ხალხის სულიერი სამყარო, მან შექმნა და განამტკიცა ახალი ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამ დღის წესრიგში დააყენა საღვთისმსახურო წიგნების ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა და დაიწყო წმინდა წიგნების თარგმნა. ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული სასულიერო მწიგნობრობის განვითარებაში.

VI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, წმინდა მირონის მომზადება

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში, სომხეთსა და ალბანეთში ბიზანტიის სერიოზულ წარმატებას ნიშნავდა, მაგრამ ამ რეალობასთან შეგუებას არ აპირებდა სპარსეთი, რომელმაც 337 წელს განაახლა ომი ბიზანტიასთან. ეს ომი მცირე შესვენებებით გაგრძელდა 363 წლამდე, ვიდრე ბიზანტიამ არ აღიარა დამარცხება და სომხეთი გადასცა სპარსელებს. 368 წელს ირანელები ქართლშიც შეიჭრნენ, დაამარცხეს მეფე საურმაგი, გააძევეს ქვეყნიდან და მის ნაცვლად ასფაგური დასვეს. საურმაგს ბიზანტიელები წამოეშველნენ, მაგრამ გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ასეთ რთულ ვითარებაში ბიზანტიამ და სპარსეთმა ქართლი შუაზე გაიყვეს: მდინარე მტკვრის ჩრდილო ნაწილი სპარსეთს დარჩა, სადაც თავისი მომხრე ასფაგური დასვა, ხოლო სამხრეთ ნაწილში ბიზანტიელთა მომხრე საურმაგი იჯდა.

IV საუკუნის 70-იან წლებში სპარსელებმა მთელი ქართლი დაიპყრეს და იქ თავისი მოხელე პიტიახში (განაპირა ოლქის მმართველი) დასვეს. სპარსელებმა ქართლის მოსახლეობას დიდი ხარკის გადახდა დააკისრეს და დაიწყეს ქრისტიანული სარწმუნოების დევნა. შედარებით უკეთესი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფო ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ იყო, მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ქალაქ რიზედან (თურქეთი) გაგრის (აფხაზეთი) ჩრდილო-დასავლეთამდე. ეგრისში დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა ქრისტიანობა, შენდებოდა ეკლესიები. V საუკუნის პირველ ნახევარში ირანელებმა კედევ ერთხელ დაამარცხეს ბიზანიელები, გააუქმეს მეფობა სომხეთში, ქართლშიც შემოვიდნენ და მოსახლეობას მოსთხოვეს მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობა) მიღება. სამეცნიერო ლიტერატურაში (მიტროპოლიტი

ანანია ჯაფარიძე) გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულებმა (ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი) იქადაგეს ქრისტიანობა და დააფუძნეს პირველი ეკლესია, ამიტომ ქართლის ეკლესია იმთავითვე დამოუკიდებელი იყო, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გოილაძე) მიიჩნევენ, რომ V საუკუნის 80-იან წლებამდე ქართლის და ეგრისის ეკლესიები ბიზანტიის იმპერიაში არსებულ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების იურისდიქციაში შედიოდა.

ბიზანტია-ირანის დაპირისპირება კავკასიაში არა მარტო სამხედრო, არამედ რელიგიურიც იყო. ბიზანტიის იმპერატორების საგანგებო ბრძანებით, 325-451 წლებში ჩატარდა ნიკეას, კონსტანტინოპოლის, ეფესოს და ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებები. ამ კრებებზე იყო სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა იესო ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების, აღდგომის დღესასწაულის, სასულიერო პირთა მღვდელთა და დიაკონთა ქორწინების, ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული ნორმების შესახებ. კრებებზე, დიდი დისკუსიის შემდეგ, დაგმობილი იქნა ალექსანდრიელი მღვდლის არიოზის მწვალებლური აზრი იესო ქრისტეს არაღვათაებრივობის შესახებ (ნიკეას კრებაზე 325 წ.). ასევე დაგმობილ იქნა ნესტორიანელობა (ეფესოს კრებაზე 431 წ.). 451 წელს ჩატარებულ ქალკედონის საეკლესიო კრებაზე, რომლის მუშაობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნის 630 ეპისკოპოსი მონაწილეობდა, მთავარი განსახილველი საკითხი იყო კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის ევტიქის მწვალებლური სწავლების უარყოფა, რომელიც ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეში იყო მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება. ამ სწავლებას ეწოდა მონოფიზიტობა (ერთბუნებიანობა). ამის საწინააღმდეგოდ კრებამ დაამტკიცა, აღიაროს ქრისტეში შეერთება ორთა ბუნებათა განუყოფლად, განუყრელად, შეურევნელად და

უქცეველად. ამ სწავლებას დიოფიზიტობა (ორბუნებოვნება) ეწოდა. კრებამ ევტიქი და მისი თანამოაზრენი ეკლესიიდან განკვეთა. ქრისტიანულ მსოფლიოში მონოფიზიტობაზე დარჩა სომხური ეკლესია. ქალკედონის საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. ქრისტიანულ სამყაროში ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების და ადამიანური ბუნების საღვთისმეტყველო განმარტების სხვადასხვაობის გამო სერიოზულ დაპირისპირებას მოხერხებულად იყენებდა სპარსეთი. იგი, ერთის მხრივ, აძლიერებდა დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში ცეცხლთაყვანისმცემლობას, მეორეს მხრივ, მხარს უჭერდა ქრისტიანობის იმ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფილ და დაგმობილ იყო ბიზანტიის იმპერიაში. ირანელებმა გააძლიერეს სომხური ეკლესია, რომელიც უპირისპირდებოდა ქალკედონის საეკლესიო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მათ განსაკუთრებით შეუტიეს ქართლის, ქრისტიან მოსახლეობას და სასულიერო პირებს. ამ მხრივ თავი გამოიჩინა სპარსეთის მეფე იეზდიგერდ II-მ, რომელმაც გადაწყვიტა ქართლში ცეცხლთაყვანისცემლობის გავრცელება. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო ვახტანგ გორგასლის მამის მირდატის და დედის საგდუხტის დროს (V საუკუნის 20-30-იანი წლები). ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით ვახტანგის დედა საგდუხტი წავიდა მამასთან, რანის მთავარ ბარზაბოდთან და სთხოვა ქართლიდან ცეცხლთაყვანისმცემელ მსახურთა გაწვევა. ბარზაბოდმა შვილს მიუგო: „იძულებით არცა-ვის ქართველსა სხვასა დავაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნე ცეცხლის-მსახურნი ქალაქსა თქვენსა და მუნ იყვნენ მუნ ებისკოპოსნი მათ ზედა სჯულისა ჩვენისანი. და ვინცა ქართველი ნებითა თვისით აღირჩევდეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აყენებთ... მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და მათზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასახდეს მოგუთას. და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობისა ძალითა მამისა მისისათა... ხოლო ბინქარან

ებისკოპოსი ცეცხლის მსახურთა ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, არამედ წული ერი (დაბალი ფენა) მიიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა, და შეერია ქართლს წურილისა ერსა ცეცხლის მსახურება“.[1] ცეცხლთაყვანისმცემლობა ვრცელდებოდა ქართლის სხვა დასახლებულ ადგილებშიც, ჯუანშერის ცნობით, ნიქოზში (შიდა ქართლი, გორის მუნიციპალიტეტი) იდგა „საგზებელი ცეცხლისა“, კახეთში, ლოპოტის ხევში, ნეკრესში ასევე მრავლად იყვნენ სპარსელი ცეცხლთაყვანისმცემლობის გამავრცელებელნი. მემატიანის ცნობით, ბევრ ქრისტიანულ ტაძარში, სადაც მანამდე წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა, ახლა მაზდეანთა ცეცხლი გიზგიზებდა. V საუკუნის 40-იან წლებში ქართლის მეფე გახდა ვახტანგ გორგასალი. ვახტანგ გორგასალმა თავისი დიპლომატიით და მოქნილი პოლიტიკით დიდი როლი შეასრულა ქართლის გაერთიანების, ჩრდილო კავკასიელ მომთაბარე ალან-ოსებთან და ირანელებთან ბრძოლაში. მან მოშალა ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავები, განდევნა მოგვები, მათი ეპისკოპოსი ბინქარანი საპყრობილეში გამოამწყვდია, ხოლო ქართლის ეპისკოპოსად დასვა მიქაელი. ქართული საისტორიო წყაროები მის სახელთან აკავშირებენ ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV- საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლში ეკლესიის სამართავად კონსტანტინოპოლიდან ინიშნებოდნენ მთავარეპისკოპოსები. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი ასე გადმოგვცემს ქართლში კათოლიკოზობის დაწესების ისტორიას. სპარსელებთან ომში გამარჯვების შემდეგ

„ვახტანგმა წარავლინა მოციქული ლეონ ბერძენთა მეფესთან... პეტრესათვის კათოლიკოზისა და სამოელისა-თვის ეპისკოპოსისა. წარმოვიდა ვახტანგ ქართლად. და მიეგება ძე მისი დაჩი და მისთანა ყოველნი სპასალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი. და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან

[1] მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ. 2014:215-216.

(მიქაელმა), ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათოლიკოზისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა, და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად, და მიუვლინა მეფესა და რქუა, ვითარმედ: „შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ, ხოლო ვახტანგ მოუვლინა, ვითარმედ: „ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმართლით გამოვედ ძალითავე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის! მაგრა წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათოლიკოზისა და ეპისკოპოსთა. და ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, დაიდასტურა: და ჰგოდებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსვლა მათი, და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“.[1]

ჯუანშერი კიდევ უფრო ამძიმებს ამ დაპირისპირების ისტორიას და ნაკლებსარწმუნო ინფორმაციას გვაწვდის: გაბრაზებულმა მიქაელ ეპისკოპოსმა მეფეს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა, განრისხებულმა მეფემ მიქაელს „ვერცხლისმოყვარე, მეგვადრუცე უწოდა“ და წარგზავნა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან მსჯავრის დასადებად. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინოპოლის და ანტიოქიის პატრიარქების კურთხევით, მიქაელი გადააყენეს ქართლის ეპისკოპოსობიდან და მის ნაცვლად ქართლის კათოლიკოზად გამოგზავნეს პეტრე და ახალნაკურთხი 12 ეპისკოპოსი. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, „აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის კათოლიკოზი სწორედ დამოუკიდებელი ეკლესიის მთავარი საჭეთმპყრობლის აღმნიშვნელი წოდებულება იყო, ამიტომ ვახტანგ გორგასლისაგან საქართველოში კათოლიკოზობის დაწესება ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა.“[2] ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ში ქართლში კათოლიკოზობის დაწესების ისტორიაში რეალურ ფაქტებთან ერთად ნახევრად

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955:195.
ვახტანგ გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან.თბ.1991:134.

ნაკლებსარწმუნო ისტორიაც. ქართლის ეპისკოპოს მიქაელსა და ვახტანგ გორგასალს შორის დაპირისპირება ვახტანგ გორგასლის მიერ ქრისტიანობის უარყოფის გამო კი არ მოხდა, არამედ მიქაელი თანაუგრძნობდა მეფის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებს და სურდა დიდი გავლენის შენარჩუნება. ვახტანგი რომ მაზდეანობაზე გადასულიყო, ის ვერც ბიზანტიის იმპერატორის ძმისწულ ელენეს შეირთავდა ცოლად და ვერც მათი მოკავშირე იქნებოდა. V საუკუნის 60-იანი წლებიდან, ბიზანტიელთა სამხედრო დახმარებით, ვახტანგ გორგასალმა არაერთი მარცხი აგემა ირანელებს ქართლში და განიმტკიცა პოზიციები. ამავე დროს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე სწორად გაიაზრეს კავკასიაში მაზდეანური ირანის რელიგიური პოლიტიკის არსი, როდესაც ირანელები ბიზანტიელთაგან ქართლის, ალბანეთის და სომხეთის ჩამოშორების მიზნით მხარს უჭერდნენ მონოფიზიტობასდაგანსაკუთრებითაძლიერებდნენსომხურ ეკლესიას. ასეთ ვითარებაში ვერც კონსტანტინოპოლის და ვერც ანტიოქიის საპატრიარქოები, ტერიტორიული სიშორის გამო, ეფექტურად ვერ დაუპირისპირდებოდნენ ირანისაგან მხარდაჭერილ მონოფიზიტობას, ამიტომ ბიზანტიის იმპერატორის სურვილითა და მხარდაჭერით, გაითვალისწინეს ვახტანგ გორგასლის თხოვნა მიქაელ მთავარეპისკოპოსის გაწვევისა და მის ნაცვლად ქართლში კათოლიკოზის დანიშვნის შესახებ. ქრონოლოგიურად ეს უნდა მომხდარიყო 472-484 წლებს შორის. ქართლის ეკლესიაში კათოლიკოზობის დაწესებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, კათოლიკოზს უფლება ჰქონდა ეკურთხებინა ახალი ეპისკოპოსები, დაეფუძნებინა ეპარქიები, ენერგიულად ებრძოლა ირანისაგან მხარდაჭერილი მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასალმა კათოლიკოზობის დაწესების გარდა ქართლში შექმნა 12 ახალი საეპისკოპოსო. ესენი იყო: 1. მცხეთის (სამთავრო), 2. არტაან-ერუშეთის (სამხრეთ დასავლეთ საქართველო, ახლანდელი თურქეთი), 3. წუნდას (ჯავახეთი ზემო ქართლი), 4. მანგლისის

(ახლანდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), 5. ბოლნისის, 6. რუსთავის, 7. ნინოწმინდის (ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), 9. ჭერემის (კახეთი, ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის), 10. ჩელეთის, 11. ხორნაბუჯის (ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), 12. აგარაკის (ხუნანის ქვემო ქართლი). ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეებმა ააგეს ნიქოზის ეკლესია, ვახტანგმა მცხეთაში დაშალა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მიერ აგებული ხის ეკლესია და მის ნაცვლად ააშენა ქვის ეკლესია, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში ახალი ეკლესიით ჩაანაცვლეს გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი I-მა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა. პროფესორ გიორგი მამულიას მართებული დასკვნით: „ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკა მის მიერვე გატარებული საგარეო პოლიტიკის დარად, ანტიირანული ორიენტაციის გამო, პრობიზანტიური იყო... ქართლში პროირანულ პოლიტიკას მეორე დარტყმა მიაყენა იმით, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა".[1]

VI საუკუნის დასაწყისში ქართლის ეკლესიის გაძლიერებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 506 წელს, დვინის საეკლესიო კრების დროს, აღმოსავლეთ საქართველოში 33 საეპისკოპოსო არსებობდა. 681 წელს VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია. „აქ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმინდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმინდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი... 681 წელს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პოგონატისა, მსოფლიო პატრიარქების და ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათოლიკოზი ქართლისა და ჰყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოვლისა

[1] გ. მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ. 1992:34.

ზედა საქართველოსა."[1] ქართლის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე. მის შემადგენლობაში იყო: ჰერეთი (ახლანდელი აზერბაიჯანი), კლარჯეთი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინცია ახლანდელი თურქეთი), გუგარეთი (ახლანდელი ქვემო ქართლის ნაწილი და ჩრდილო სომხეთი). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (ეგრისს), მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის IX საუკუნემდე ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე არ ეთანხმება მეცნიერთა ამ მოსაზრებას და აცხადებს: „ვახტანგ გორგასალმა საქართველოს დაუბრუნა ბერძენთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. მან არათუ აღადგინა ქართლის სამეფოს საზღვრები, არამედ შეჰმატა მას ახალი ტერიტორია, მოქცეული მდინარეებს ეგრისწყალსა და კლისურას შორის. გაზარდა და გააფართოვა ეკლესიის საზღვრები, მოაწყო ის, როგორც სამამამთავრო ეკლესია".[2] პროფესორ მიხეილ თარხნიშვილის ვარაუდით, V-VII საუკუნეებში ბიზანტიის (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქოში შედიოდა: „1. ლაზიკის სამიტროპოლიტო: ფაზისი, მის ხელქვეით იყო საეპისკოპოსო: როდოპოლისა, საესინონისა, პეტრასი და მიგენონისა, 2. ეპარქია აფხაზეთისა: სამთავარეპისკოპოსო სებასტოპოლისა (ცხუმი-სოხუმი)".[3] აკად. ივანე ჯავახიშვილი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიისაგან გამოყოფას და მცხეთის ტახტთან გაერთიანებას VIII-IX საუკუნეებში ბიზანტიაში არსებულ ხატმებრძოლობას, ბიზანტიის დასუსტებას და დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას უკავშირებდა.[4] IX-X საუკუნეებში არაბთა ბატონობისაგან

[1] ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ. 1991:194-195.

[2] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ. 2009:330.

[3] მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ. 2014:271. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1973:422.

განთავისუფლებულ ქართულ სამეფო-სამთავროებში საქართველოს გამაერთიანებელი მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ეგრის-აფხაზთა მეფეები, მათთვის მიუღებელი იყო ეგრის-აფხაზეთში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული საეპისკოპოსოები, მათ მხარი დაუჭირეს ჯერ აფხაზთა საკათოლიკოზოს შექმნას, რომელსაც დაუქვემდებარეს იქ არსებული საეპისკოპოსოები, ხოლო შემდეგ, XI საუკუნის დასაწყისში „მცხეთის საკათოლიკოზოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს.“[1] დასავლეთ საქართველოში გაუქმდა ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრები: გუდაყვის (აფსაზეთი), ფოთის. შეიქმნა ახალი ქართული კათედრები: ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის. ქართულმა საღვთისმსახურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის გაერთიანების საქმეში. X საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე წერს: „ქართლად ფრიად ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების. ხოლო კვირილეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო, წყალობა ყავ, გინა თუ უფალო შეგვიწყალენ.“[2]

X საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები გაერთიანდა (გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეა ბაგრატ III, 978-1014 წ.წ.). ქვეყანას ეწოდა საქართველო, ხოლო გაერთიანებული ეკლესიის მეთაურს სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი. გაერთიანებული ეკლესიის მეთაური გახდა იოანე IV (980-1001 წ.წ.). სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ. 1966:50.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბ. 1946:132.

ტიტულით ქართულ წყაროებში მოიხსენიება მელქისედეკ I, რომელსაც სვეტიცხოვლის მეორედ აღმშენებელს უწოდებენ. აკად. როინ მეტრეველის დასკვნით, „საფიქრებელია, რომ ბიზანტიაში მელქისედეკის ვიზიტის დროს მიღებულ იქნა აღმოსავლეთის პატრიარქების თანხმობა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის საპატრიარქო ხარისხში აღყვანაზე. 1031-1033 წლებში არის შედგენილი მელქისედეკის I-ის „დაწერილი მცხეთის საყდრისადმი“, საქართველოს ეკლესიის მამამთავარი აქ კათოლიკოზ-პატრიარქად მოიხსენება.“[1]

საქართველოს პოლიტიკურ და ეკლესიურ გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მცირე აზიაში მზარდი პოლიტიკური და ეკლესიური ამბიციების მქონე ქვეყანა მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ბიზანტიელებმა სამხედრო მოქმედებები დაიწყეს გაერთიანებული საქართველოს მეფეების ბაგრატ III-ისა (978-1014 წ.წ.), გიორგი I-ისა (1014-1027 წ.წ.) და ბაგრატ IV-ის (1027-1072 წ.წ.) წინააღმდეგ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ 1057 წელს გაილაშქრა ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ, რომელსაც დამაჯერებელი პასუხი გასცა გიორგი მთაწმინდელმა. XI საუკუნიდან XV საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველო იყო პოლიტიკურად და ეკლესიურად ერთიანი, ქვეყნის მმართველებს საქართველოს მეფეები, ხოლო ეკლესიის საჭეთმპყრობლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები ეწოდებოდათ.

როგორი იყო წმინდა მირონის მომზადების ტრადიცია საქართველოს ეკლესიაში? ქართული ტრადიციის თანახმად, ავტოკეფალურ ეკლესიას მირონი ადგილზე უნდა მოემზადებინა, მაგრამ ქართლის ეკლესიას მირონი იერუსალიმიდან მოჰქონდა IX საუკუნემდე. გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

[1] რ. მეტრეველი, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ. 2010:53-54.

„არამედ დიდი ეფრემ (მაწყვერელი) მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათოლიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტეის მიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაი ქართლსა განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით.“[1] თავდაპირველად ქართლის ეკლესიას მირონი რომ იერუსალიმიდან მოჰქონდა, ამას ადასტურებს ეფრემ მცირეც. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ თუ VI-VII საუკუნეებში მირონს ადგილზე ამზადებდა სომხური ეკლესია, ქართლის საკათოლიკოზოშიც ასე უნდა ყოფილიყო. პროფესორი ვახტანგ გოილაძე მიიჩნევს, რომ პირველად მირონი მცხეთაში უნდა მომზადებულიყო 681 წელს.[2] ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო დოკუმენტი „კურთხევა მირონისა“, რომელიც XI საუკუნეშია შედგენილი. საეკლესიო ტრადიციის თანახმად, მირონი მზადდებოდა მცხეთაში, სვეტიცხოველში. XV საუკუნიდან, როდესაც მცხეთას გამოეყო ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოზო, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის მირონი ჯერ ბიჭვინთაში, ხოლო XVI საუკუნიდან გელათში მზადდებოდა. 1811-1812 წლებში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის უკანონო ბრძანებით, მცხეთის საკათოლიკოზოსა და ლიხთ-იმერეთის საკათოლიკოზოს გაუქმების შემდეგ მირონი რუსეთიდან შემოჰქონდათ. 1917 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო მირონის მომზადება. ამ საკითხზე საკათოლიკოზო საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II. გადაწყდა, მირონი მომზადებულიყო 1918 წლის აპრილში, აღდგომის

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. თბ. 1946:132.

[2] ვ. გოილაძე, მირონის კურთხევის დაწესება საქართველოში, თბ. 2008:15.



მცხეთა, სვეტიცხოველი XI საუკუნე

კვირაში. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ საინტერესო ჩანაწერი გაუკეთებია ბერ გობრონს (შემდგომში ეპისკოპოსი გობრონ წკრიალაშვილი, 1899-1954 წ.წ.): „მირონის მოხარშვის ადგილად არჩეულ იქნა ყოფილი საკათოლიკოზო სასახლის კარის ეკლესია (ანჩისხატი). თვით ეკლესიაში გამზადებულ იქმნა ქართულ სტილზე აგებული ქურა... ქურა აშენებული იყო ეკლესიის შუა ნაწილში, მარცხნივ, ივერიის წმინდა ღვთისმშობლის, ჯვარცმის და წმინდა პანტელეიმონის ხატების პირისპირ. ქურაზე იდგა ზედადგარი, რომელზეც სპილენძის დიდი ქვაბი იყო შემოდგმული. წმინდა მირონის მოხარშვისათვის მოწვეულ იყო განსვენებული პროვიზორი ახვლედიანი, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული უშუალო ხელმძღვანელობა და სრული პასუხისმგებლობა საქმისათვის. ვნების კვირეულის ორშაბათ დილით, ბ-მა ახვლედიანმა ქვაბში ჩაუშვა ყველა ხარშვისათვის განკუთვნილი მასალები. დღის 12 საათისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კირიონ II-მ, ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდესთან და თბილისის სამღვდელოებასთან ერთად, გადაიხადა ღვთისმშობლის პარაკლისი, რის შემდგომშიც საკუთარი ხელით აიაზმის სხურებით ჩაუშვა ქვაბში ჯვარის სახით სპეციალურად პინაკებზედ და სასმისებში კანდელაკის მიერ გამზადებული მირონის მასალების ნაწილი. შემდგომ ამისა, კანდელაკმა კათოლიკოზ-პატრიარქს მიართვა ანთებული კვარი, რომელმაც საკუთარის ხელით მოუკიდა წინასწარ ქურაში გამზადებულს და სპირტდასხმულ რამდენიმე ნახშირის ნატეხს ცეცხლი. შემდგომ ამისა, კათოლიკოზ-პატრიარქი აბრძანდა კათედრაზე და იწყო წმინდა სახარების კითხვა: იოანე, თავი I – „პირველიდან იყო სიტყვა...“ მას ცვლის ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, შემდგომ ხარისხის მიხედვით ერთი მეორეს მონაწილენი (თითოეული მათგანი წმინდა სახარების წაკითხვის შემდეგ სტოვებს მირონის ქვაბს, შედის საკურთხეველში და სამოსელს იხდის). მირონის ქვაბთან იქმნენ მორიგენი მუდმივად მთავარ-დიაკონნი,

რომელთაც ევალებოდათ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქვაბის მორევა განუწყვეტლივ, ხოლო სამღვდელოებას ევალებოდათ ორ-ორი საათი სახარების კითხვა. ესე წესი სრულდებოდა დიდ ოთხშაბათს მწუხრამდე. დიდ ხუთშაბათს, დილით ადრე, გაწურულ იქმნა ნახარში და შეზავებულ ნაირ-ნაირი სურნელ-ეთეროვანი სითხეებით და ეს სურნელოვანი მასსა სახელწოდებულად მირონი, ჩაუშვეს სპეციალურ თუნუქის ჭურჭელში, რომელსა ეწოდების სამირონე ალაბასტრი, რომელიც იქვე იქმნა მოკრძალებით დალუქული საკათოლიკოზო ბეჭდით. წირვის დაწყებამდე ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე თანამწირველებითურთ და მორწმუნე ერით გაემგზავრა სიონის ტაძრიდან საკათოლიკოზო სასახლის კარის ეკლესიაში, სადაც შეხვდნენ მის უწმიდესობას კირიონ II-ს. ურთიერთმისალმების შემდეგ პროცესია დაბრუნდა სიონის ტაძრისაკენ, მოაბრძანებდნენ წმინდა მირონს, მათ უკან მოჰყვებოდა მანტიაწამოსხმული კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II. პროცესიას ამკობდა ქართული გუნდი და მქუხარე ზარები როგორც დედა სიონის, აგრეთვე მეზობელ ტაძართა. სიონის ტაძარში ალაბასტრნი მირონით შესვენებულ იქმნა სამკვეთლოში, ხოლო „სერობასა საიდუმლოსა შენისასა"-ს დროს სამეუფოსა სვლით გარდასვენებულ იქმნა საკურთხევლად ტრაპეზსა ზედა, ხოლო დიდი ალაბასტრი იქმნა გარდამოსვენებულ სამღვდელოთა მიერ და დასვენებული წმინდა ტრაპეზის მარცხნივ, ქიმში საგანგებოდ მომზადებულ კვარცხლბეკზედ. პატარა ალაბასტრი კი წმინდა მირონით გადმოასვენა ტფილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ, ხოლო კათოლიკოზ-პატრიარქი შეხვდა სამეუფო ბჭესთან და იგი ჩამოართვა მას, რომელიც დაასვენა წმინდა ტრაპეზსა ზედა მარცხნით ფეშხუმისა. შემდგომათ მათ მიერ იქმნა მიღებული ჩვეულებისამებრ სიწმინდენი." ამის შემდეგ, XX საუკუნეში, საქართველოს ეკლესიაში წმინდა მირონი მომზადდა 1920 წელს სიონის ეკლესიაში, 1947 და 1962 წლებში კვლავ სიონის

ეკლესიაში, 1980 წელს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მირონი მომზადდა სვეტიცხოველში. ამის შემდეგ საქართველოს ეკლესიის წმინდა მირონის მომზადების ადგილად კვლავ დადგინდა სვეტიცხოველი და ამით აღდგა ისტორიული ტრადიცია. 1978-1990 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხანგრძლივ მოლაპარაკებებს აწარმოებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის და ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარებაზე. დისკუსიების დროს კვლავ წამოიჭრა მირონის მსოფლიო საპატრიარქოდან მიღების საკითხი, რასაც საქართველოს ეკლესია კატეგორიულად არ დაეთანხმა. ბოლოს მიღებულ იქნა კომპრომისული ვარიანტი, სადაც ჩაიწერა მირონის საკითხი გადაიჭრას, როგორც იყო ტრადიციულადო, ეს ნიშნავდა იმას, რომ მირონს საქართველოს ეკლესია ადგილზე მოამზადებდა.

XV საუკუნეში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა, საფრთხის წინაშე დადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა. ერთიანობას პირველი ბზარი გაუჩნდა მაშინ, როდესაც სამცხის მთავარმა ყვარყვარე ათაბაგმა მაწყვერელი ეპისკოპოსი სამცხის კათოლიკოზად გამოაცხადა და მცხეთასთან კავშირის გაწყვეტა მოსთხოვა, მაგრამ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი დავით IV (სამეცნიერო ლიტერატურაში დაზუსტებული მონაცემებით დავით V), საფარაში ავიდა და უზიარებლობის და განკვეთის სასჯელით დაემუქრა ყველა იმ სასულიერო იერარქს, ვინც ყვარყვარე ათაბაგის მოთხოვნებს დაემორჩილებოდა. შეშინებულმა სასულიერო პირებმა პატიება ითხოვეს. მაშინ დაიწერა „ვარძიას დაწერილი ერთგულების სიგელი“, რომლითაც მესხეთის სამღვდელოება მცხეთის საპატრიარქო ტახტს ერთგულებას აღუთქვამდა. თუმცა ყვარყვარეს მემკვიდრე მზეჭაბუკმა, ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსის

მხარდაჭერით, XVI ს. დასაწყისში მაწყვერელი აღამაღლა კათოლიკოზად: „მივათვალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ებისკოპოსნი მისგან იკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა მორჩილებდენ და სჯულითა მისითა ერჩოდნენ და მისგან იმწყემსებოდნენ და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი მისნი წყეულ".[1] მზეჭაბუკმა მესხეთის ეკლესიის მცხეთისაგან ჩამოშორებით „მესხეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ის კავშირიც გაწყვიტა, რომელიც ამ დაქსაქსულობის და განკერძოების ჟამს საქართველოს ერთობის გრძნობას და ხსოვნას არ აქრობდა."[2] ამ სეპარატისტულ მოძრაობაში ანტიოქიის პატრიარქის მოქმედება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უხეში ხელყოფის მაგალითია.

XV საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ჩამოვიდა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი. ამ დროს ოსმალებს დარბეული ჰქონდათ როგორც ანტიოქიის, ასევე იერუსალიმის საპატრიარქოს ტერიტორიებზე არსებული ქრისტიანული საეპისკოპოსოები, მრევლის დიდი ნაწილი გაძევებული თავიანთი საცხოვრებლიდან. რეალურად აღარც ანტიოქიისა და აღარც იერუსალიმის საპატრიარქოები აღარ არსებობდა. პატრიარქ მიხეილს გაუერთიანებია იერუსალიმის და ანტიოქიის საპატრიარქოები და მოწყალების სათხოვნელად ჩამოსულა დასავლეთ საქართველოში, სადაც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა მას სთხოვეს ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსის იოაკიმეს ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზად კურთხევა. პატრიარქმა მიხეილმაც გაიხსენა, რომ თავდაპირველად ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. მან დიდი ძღვენის მიღების შემდეგ დასავლეთ საქართველოს მთავრებთან ერთად შეიმუშავა დასავლეთ საქართველოს

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 3, თბ.1982:391.
[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 3, თბ.1982:391.

ეკლესიის მცხეთიდან გამოყოფის საეკლესიო კანონიკური „საფუძველი“ დასავლეთ საქართველოში მიღებულ დოკუმენტში, „მცნებაი სასჯულოი“-ში ის ამტკიცებდა, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - მოციქულთასწორმა წმინდა ნინომ. რატომ უნდა ემორჩილებოდეს მოციქულის მიერ დაარსებული ეკლესია მოციქულთა სწორის მიერ დაარსებულ ეკლესიას? ამიტომ მან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთასთან კავშირი მიუღებელ წესად გამოაცხადა და ლიხთ-იმერეთისა და აფსაზთა კათოლიკოზად აკურთხა იოაკიმე: „ცათა მობაძვისა იერუსალიმისა მადლითა და ცათამდის მაღალისა კათოლიკე საყდრისა ანდიოქიისა ღვთისმშობლისა მეოხებითა, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი და კურთხეულ-მცა არის, დავაყენეთ და დავსუით აფხაზეთს საყდართა მათ ანდრია მოციქულის“.[1] ამ ქმედებით იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია შელახა. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს... ანდრია მოციქული ც და წმინდა ნინო ც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალ-ცალკე განსაკუთრებული მქადაგებლების არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც კი არა ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოსათვის იღწვოდნენ.“[2]

XV-XVIII საუკუნეებში საქართველოში არსებობდა ორი საპატრიარქო: 1. მცხეთის კათოლიკოზს ეწოდებოდა

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, თბ. 1970:222.
ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 3, თბ. 1982:338-339.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, ლიხთ-
-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოზო, რომლის მეთა-
ურსაც ჰქონდა კათოლიკოზ-პატრიარქის ტიტული. მისი
იურისდიქცია ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე,
რელიგიური ცენტრი XVI საუკუნის 60-იან წლებამდე იყო
ბიჭვინთაში, ხოლო შემდეგ - გელათში. ლიხთ-იმერეთისა და
აფხაზთა კათოლიკოზები იყვნენ ეროვნებით ქართველები
(აბაშიძე, ჩხეტიძე, საყვარელიძე, მაჭუტაძე, გურიელი,
ქვარიანი, ლორთქიფანიძე, ერისთავი, ბაგრატიონი, ნემსაძე).

VII. დიდი საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში VII საუკუნეში

I-III საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებში (რომის იმპერია, სირია, პალესტინა) ქრისტიანობა სწრაფად ვრცელდებოდა. ამავე დროს ქრისტიანობასთან დაკავშირებით გაჩნდა განსხვავებული სწავლებანი. პირველად 325 წელს, რომის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ მოწვეულ ნიკეას (ახლანდელი თურქეთი) მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 300-მდე ეპისკოპოსი ესწრებოდა, მთავარი განხილვის საკითხი იყო ალექსანდრიელი მღვდლის არიოზის მწვალებლური აზრის უარყოფა, რომელიც ამტკიცებდა ქრისტე მამის თანასწორი არაა, არსით იგი ქმნილებაა, თუმცა უსრულესი და უმაღლესი არიანული სწავლებით, ვინც შობილია, ვინც ქმნილია მას თავისი საწყისი აქვს, ის ყოველთვის არ არსებობს. კრებამ არიოზი განკვეთა. არიოზის მწვალებლობის უარყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს: წმ. ნიკოლოზ მირონლუკიის მთავარეპისკოპოსმა, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელმა, ალექსანდრიის ეპისკოპოსის დიაკვანმა წმ. ათანასემ. I და II საეკლესიო კრებებზე შეიმუშავეს სარწმუნოების სიმბოლო „მრწამსი“ მიუხედავად ასეთი მკაფიო განსაზღვრებისა, ქრისტიანულ თემებში მწვალებლობა სხვადასხვა სახით მაინც ვრცელდებოდა. 381 წელს კონსტანტინოპოლში (ახლანდელი სტამბული) მოწვეულ მეორე საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 150-მდე ეპისკოპოსი ესწრებოდა, კიდევ ერთხელ დააზუსტეს ნიკეას საეკლესიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი და დაგმეს იმ მწვალებელთა შეხედულებანი, რომელნიც უარყოფდნენ სულიწმინდის ღვთაებრიობას. ამ საეკლესიო კრებას ესწრებოდა ქართლის ეკლესიის წარმომადგენელი ეპისკოპოსი პანტოფილე.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი იქნა მიღებული 431 წელს ქ. ეფესოში (ახლანდელი თურქეთი) გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელსაც კირილე

ალექსანდრიელი თავმჯდომარეობდა. კრების მოწვევის მიზეზი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ნესტორის (428 წლიდან) ცრუსწავლება გახდა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა ანტიოქიურ ქრისტოლოგიას. ნესტორი უარს ამბობდა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისათვის ღვთისმშობელი ეწოდებინა, რაც ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი მთელ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დაპირისპირების მიზეზი გახდა. კრებამ გაასამართლა ნესტორი და დაამხო იგი, როგორც ერეტიკოსი. ქრისტიანული მსოფლიოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 451 წელს ქალკედონში (ახლანდელი თურქეთი) მოწვეული მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი. კრებას 630-ზე მეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა და განიხილებოდა კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის ევტიქის მწვალებლური სწავლების უარყოფა. ევტიქი ამტკიცებდა, რომ ქრისტეში იყო მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება. ამ სწავლებას ეწოდა მონოფიზიტობა (ერთბუნებიანობა). კრებამ უარყო არქიმანდრიტ ევტიქის მოძღვრება და ერთხმად მიიღო: „იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, ჩვენი მსგავსი, ცოდვის გარეშე: განხორციელებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთპირად, შეურევნელად და განუყოფელად“ კრებამ ევტიქი განკვეთა. ამიერიდან ქალკედონის კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილების მომხრეებს ეწოდათ დიოფიზიტები (ორბუნებოვნები, ვინც ქრისტეში აღიარებენ ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებას).

V-VI საუკუნეებში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების გარდა, დაპირისპირება იყო მაზდეანობასა და ქრისტიანობას შორის. ქართველი ხალხი დაუპირისპირდა მაზდეანობას. როგორც რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობაშია აღნიშნული: „აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვითა მხედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობაი ქრისტეანთა

ზედა და უფროისად ბერძენთა მიმართ. ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისათვის, რამეთუ ეძვნებოდა ბერძენთა მიმართ. ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობაი. და ესე იყო ნებაი მათი, რაითა ჩუენცა მათ თანა მტერ ვექმნნეთ ბერძენთა."[1] ამ ურთულეს პერიოდში ბევრი ქრისტიანი გადასულა მაზდეანობაზე და, პირიქით, მაზდეანი გაქრისტიანებულა. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოში გავრცელებული ყოფილა მანიქეველობა და ნესტორიანელობა, მაგრამ მაღალი ქართველი იერარქები შეუწყნარებელნი იყვნენ მათ მიმართ. საკმარისია გავიხსენოთ V საუკუნის II ნახევარში ქართლში ნესტორიანელობის საქადაგებლად მოსული პეტროს მკაწვრალის ისტორია, რომელსაც დაუპირისპირდა მიქაელ მთავარეპისკოპოსი. მან „უპყრა სახელსა მისსა და შთამოზიდა ძლიერად და შთამოათრია და ქუეყანად დააკვეთა და სცა ქვითა და ამგვარად განტევნა უღმრთო იგი. მიქაელმა მხოლოდ დასდვა წყლულებაი სასიკვდინე, ხოლო მისმა თანამხლებლებმაც დაჰკრიბეს მას ზედა ქვა და დაზვნეს ქვითა და ესრეთ მოკლესო."[2]

მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის ბრძოლა ქართლსა და ეგრისში გრძელდებოდა V-VI საუკუნეებში. ამ პერიოდს უკავშირდება 13 ასურელი მამის საქართველოში ჩამოსვლა. ესენი იყვნენ: იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თათე სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისიდორე სამთავნელი, ზენონ იყალთოელი, მიქაელ ულუმბოელი, სტეფანე ხირსელი. საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ასურელ მამათა საქართველოში ჩამოსვლისა და მათი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესახებ, თუმცა უმრავლესობა თვლის, რომ მათი მიზანი იყო ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებული მრწამსის

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, თბ. 1946:242. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, თბ. 1979:378.

განმტკიცება და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება. „ასურელ მამათა ქადაგებით განმტკიცდებოდეს ყოველნი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა... ვიდრემდის თვით თავადიცამეფეყოველნიმთავარნიქართლისანიმიიწივნესმუნ და... განათლდებოდეს სწავლათაგან ნეტარისა იოანესათა“.[1] ასურელი მამები იყვნენ როგორც განმანათლებლები, ასევე „სჯულის განწმენდელნი“ (ჯუანშერი). ასურელმა მამებმა დაიკავეს მთელი ქართლი და კახეთი. მათ დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ ულუმბოდან - კახეთში ხირსამდე, ხევში სტეფანწმინდამდე დაუსახლებელ ადგილებში დააფუძნეს მონასტრები და შეუდგენენ მოღვაწეობას. ჩვენამდე მოღწეულია დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, იოანე ზედაზნელის, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფრაგმენტები, რომელნიც ადასტურებენ მათ განსაკუთრებულ ღვაწლს VI საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს რელიგიურ-კულტურულ ცხოვრებაში.

კავკასიაში რელიგიურ-პოლიტიკური კუთხით რთულ ვითარებას კარგად ასახავს 506 წლის დვინის საეკლესიო კრება და იქ მიღებული გადაწყვეტილებები, კერძოდ, კრებამ სცადა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების მორიგება, მიიღო ზენონის ჰენოტიკონი, მაგრამ უშედეგოდ, ვინაიდან ამ დროს უკვე ირანსა და ბიზანტიას შორის დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა და სარწმუნოებრივი საკითხები მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურთან, მონოფიზიტობა-დიოფიზიტობას შორის დაპირისპირებაში უპირატესობა იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ მიაღწევდა გამარჯვებას ბრძოლის ველზე.

VI საუკუნის 20-70-იან წლებში ირანმა მოახერხა ბიზანტიელთა დამარცხება კავკასიაში (ქართლი, ალბანეთი, სომხეთი). ბიზანტიელებმა გაჭირვებით მხოლოდ ეგრისი შეინარჩუნეს. ირანელებმა თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიაზე ბიზანტიისაგან უარყოფილ მონოფიზიტებს

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, თბ. 1979:411.

ყველანაირი პრივილეგიები მიანიჭეს და დაუპირისპირეს ისინი ქალკედონიანებს (დიოფიზიტებს). როგორც უკვე ავღნიშნეთ VI-VII საუკუნეების კავკასიაში ამ ბრძოლაში ირანის დასაყრდენად იქცა სომხური ეკლესია, რომელიც პირველ სამ მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს აღიარებდა და მკვეთრად უპირისპირდებოდა 451 წელს ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. როგორც ჩანს, სომხეთში მონოფიზიტობა უკვე ისე მძლავრად იყო გავრცელებული, რომ სომხური მოსახლეობის უმრავლესობისათვის იგი ეროვნულ სარწმუნოებად იყო გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ დვინის საეკლესიო კრებაზე სომხურმა ეკლესიამ ოფიციალურად დაგმო ნესტორიანელობა, მან მაინც დაიწყო მონოფიზიტობისაკენ გადახრა, ეს გამოიკვეთა დვინის მეორე ადგილობრივ კრებაზე (551-553 წ.), რომელზეც მონოფიზიტობა სომეხი ხალხის მთავარ იდეოლოგიურ არჩევანად გამოცხადდა. VI საუკუნის 20-70-იან წლებში სომხურ ეკლესიას დიდი რელიგიური და პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა. სომხები განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქართლის საკათოლიკოზოში შემავალ ცურტავის საეპისკოპოსში, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ. VI საუკუნის 50-70-იან წლებში ირანელებმა დაკარგეს პოზიციები როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ამ დროს ქართლის ეკლესიას სათავეში ჩაუდგა კირიონ I, რომელმაც ქართლის საკათოლიკოზოში დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მონოფიზიტობას. მას ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია ცურტავის ეპისკოპოს მოსეზე, რომელიც მიდრეკილი იყო მონოფიზიტობაზე, ამიტომ იგი გადააყენა ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან. მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი სომხეთში გაიქცა და სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს (ამ დროს სომეხთა კათალიკოსი მოსე გარდაცვლილი იყო) ვრთანეს ქერდოლს მიმართა წერილობით. მოსე ცურტაველი წერდა: „გაცნობებ ჩვენს

უფალს მძიმე გასაჭირს, მცირეს მრევლისაგან, რომელმაც ჩვენზე მოაწია. მომიხდა მე სიყრმის დღეებში მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფეც ვიყავი იმ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა. სადაც მე, უღირსს, მომენიჭა უფლება, რომ მივწევნულიყავ სამოძღვრო საყდარს იმავე პიტიახშის სახლის კარზე... ხოლო როცა შევიტყვეთ ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრების განდიდება და გინება ღმრთის ძის მიმართ... ამიტომ სმა აღვიმაღლეთ და მტერი გავხდით კათალიკოსად წოდებულისა და ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე."[1] მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა კათალიკოსის ადგილის მცველს (მოსაყდრეს) არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო ქართლის საკათოლიკოზოს შიდა საქმეებში, მან მაინც საჭიროდ ჩათვალა, გაემხნევებინა ცურტავის საეპისკოპოსოდან დევნილი მოსე ეპისკოპოსი და საგანგებო წერილით მიემართა ქართლის კათოლიკოზ კირიონისათვის. „ახლა შევიტყვეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და დიდების ღირსად თვლით, რადგან არ გაქვთ განსწავლა, რომ გამოიძიოთ წვალებათა ბოროტება, ვინაიდგან ურიულ უარყოფაზე უბოროტესი გაგაშორებს გულწრფელი რწმენისაგან, რომელიც ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიმართაა. ხოლო თქვენმა ღმრთისმოყვარეობამ არ უნდა მიიღოს მეტი ვისიმე მოძღვრება რაიმე, თუ არა სამი წმიდისა და წრფელისა კრებისა."[2] სომხური ეკლესიის წარმომადგენელთა ქართლის საკათოლიკოზოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობამ ფრიად გაანაწყენა ქართლის კათოლიკოზი კირიონ I, რომელმაც საპასუხო წერილში სიცრუეში ამხილა მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი: „მე ის არ გამომიძევებია, არამედ ჩემთან დავიბარე, რადგან მისი ზოგიერთი სულმდაბალი საქციელის შესახებ გავიგე. მისი დარიგება და შეგონება

[1] ეპისტოლეთა წიგნი ზაზა ალექსიძის კომენტარებით, თბ. 1968:41.
[2] ეპისტოლეთა წიგნი ზაზა ალექსიძის კომენტარებით, თბ. 1968:41.

მინდოდა ისე, როგორც მოწაფეს შეშვენის. მაგრამ ჩემს მოწოდებაზე ის არ გამოცხადდა, არამედ მიატოვა ეკლესია და ღამე ჩუმად გაიპარა."[1] კათოლიკოზი კირიონი გაკვირვებული კითხულობდა, თუ ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ სცნობდა მოსე, მაშინ არც ეპისკოპოსობა უნდა მიეღო მისგან, ვინაიდან მან კარგად იცოდა ქართლის კათოლიკოზის პოზიცია. ქართველთა და სომეხთა დოგმატურ-სარწმუნოებრივ პოლემიკაში აქტიურად ჩაერთო ახალარჩეული სომეხთა კათალიკოსი აბრაამი, რომელმაც არაერთი წერილი გამოგზავნა ქართლის კათოლიკოზ კირიონ I-თან. წერილების უმრავლესობა არის იმის მტკიცება, რამდენად უკეთესია ქალკედონამდელი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები. „ხოლო ქალკედონს შეკრებილებმა, მოციქულთა და წმინდა კრების საწინააღმდეგოდ, აღიარეს ორი ბუნება: ამბობენ რა ერთ ქრისტეს, აცთუნებენ გულუბრყვილოებს და სამების ნაცვლად ოთხებას ქადაგებენ. უმატებენ განკაცების ბუნებას და ძეთა ორობას და ამნაირად ყბედობენ, რაც სატანას მოძღვრებიდანაა."[2] აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე თავისი შინაარსითა და მედიდური ტონით სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა კირიონ ქართლის კათოლიკოზისთვის. მან მშვიდად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა მის ბრალდებებს. „მეც შერიგების საზღვარს ვიცავ, როგორც წმინდა სახარება გვამცნებს, რომ მხოლოდ თქვენგან არ იყოს შფოთი, რადგან თქვენ ისე გვწერთ ჩვენ, როგორც ახალნერგსა და ახალმორწმუნეს და ისე არ გვწერთ, როგორც შეჰფერის პატიოსანს და მარად მართლმადიდებელს, რადგან დღეს, ღმერთის მოწყალებით, მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართლმადიდებელი, ვიდრე ცოტა ვინმე. თქვენზე ადრე, როცა მაგ საყდარზე ნეტარი მოსე იჯდა, ჩემსა და მას შორის დიდი სიყვარული იყო... ახლა არ გეკადრებათ თქვენ, რომ ერთი რაღაც სიტყვით შეიწყალოთ ჩვენი სარწმუნოება,

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, თბ. 1979:419-420.

[2] ეპისტოლეთა წიგნი ზაზა ალექსიძის კომენტარებით, თბ. 1968:95-96.

რადგან ვიდრე თქვენამდე მოაღწევდა მაგ საყდრის დაკავების ჟამი, ჩვენი და თქვენი სარწმუნოება ერთი იყო და მთელი სარწმუნოება იერუსალიმიდან გვქონდა და გვაქვს, როგორც ეწერა. მაგრამ რა სარგებელი ექნება კაცს, თუ ყოველ მცნებას აღასრულებს და ერთს დაიკლებს. მაშინ ხომ მთელი სჯული შეიშლება. თქვენი ერთი დიდი მცნებათაგანი ის არის, რაც უფალმა იესო ქრისტემ პეტრეს უთხრა: „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა. აჰა, აწ ჩვენ, რომელნიც მათ საყდარზე ვსხედვართ, ეგ მოსე რომელიც მომიზეზებით თავს ცურტავის ეპისკოპსს უწოდებს, კრულ ვყავით სარწმუნოებით ჩემით და ყველა ეპისკოპოსის პირით და თქვენ მიიღეთ იგი, ვითარცა კეთილმოქმედი ვინმე... ახლა, თუ ჩემდამი სიყვარული გაქვს, ნებსით ან უხუცესობით, უმრწემესობით ან მოძღვრებით, ამის შემდეგ, თუ რაიმე წერილს მომწერთ, იქნება ის მოკითხვის, თუ სხვა რამ საჭიროებისათვის, რომელსაც სიყვარულით ნაწილობრივ შევიწყნარებ, ამ მსჯავრის შესახებ ნუღარას მომწერ და ნუ დაშვრები, თორემ პასუხს არ მიიღებ. ხოლო, უკეთუ გსურს, გამოიძიო ჩვენი სარწმუნოება და გაიცნო, ვათარგმნინე და მოვატანინე ოთხ კრებათა წიგნები, რომლებითაც რომაელნი ხელმძღვანელობენ და წმინდა ანასტასსა და წმინდა სიონშიც იგინი იქადაგება. უნდა თუ არა ვისმეს ჩვენი სარწმუნოება, ეს არის."[1] "ხოლო უკეთუ სხვაგვარად გსურთ ფიქრი, მეტად ნუ გაირჯებით და ამის შესახებ ნუღარ მოგვწერთ, რადგან ახლა მე სომხეთზე გზად გავლა თუ მომიწევს ოდესმე, თორემ სხვა საქმე არაფერი მაქვს."[2] კირიონ კათოლიკოზის ამ პასუხმა წონასწორობა დააკარგვინა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, რომელმაც თავის საყოველთაო ეპისტოლეში თანამემამულეებს მოუწოდა: „სრულიად არ ეზიაროთ (ქართველებთან) არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში,

---

1 ეპისტოლეთა წიგნი ზაზა ალექსიძის კომენტარებით, თბ. 1968:101-102.

2 უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ. 1975:143.

არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს."[1]

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის უკან სპარსეთი იდგა და მისი მოიმედე იყო. იგი ფიქრობდა, რომ ქართლის ეკლესია აღმოსავლეთის, სპარსეთის საეკლესიო ტრადიციასა და მოძღვრებას (მონოფიზიტობას) უნდა მიმხრობოდა და უარი ეთქვა დასავლეთის, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობაზე დიოფიზიტობაზე, მაგრამ კირიონ ქართლის კათოლიკოზმა მტკიცედ დაიცვა თავისი პოზიცია. 609 წელს დასრულდა ეს პოლემიკა: „ამიერიდან ქართველთა და სომეხთა შორის ის სარწმუნოებრივი კავშირიც გაქრა, რომელიც წინათ მათ აერთიანებდათ და ასე თუ ისე, აძლიერებდათ: პოლიტიკურ-კულტურული გეზისა და სიმპათიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდა."[2] VII საუკუნის ათიან წლებში ბიზანტიასთან ომებში გამარჯვებულმა ირანმა მოიწვია საეკლესიო კრება და და მოუწოდა ყველა ქრისტიანს, ეღიარებინა მონოფიზიტობა. ვინც არ დაემორჩილებოდა, სამშობლო უნდა დაეტოვებინა. საფიქრებელია, რომ ქართლის კათოლიკოზი კირიონიც დროებით გაეცალა ქვეყანას, მაგრამ სულ მალე ბიზანტიამ კვლავ წარმატებას მიაღწია ირანელებთან ბრძოლაში, სომხური ეკლესია დროებით დაუბრუნდა კონსტანტინოპოლთან ერთობას, თუმცა 726 წელს მანასკერტის კრებაზე სომხური ეკლესია საბოლოოდ დაუბრუნდა მონოფიზიტობას. ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთილებას წმინდა დოგმატურის გარდა ჰქონდა პოლიტიკური და კულტურული ხასიათი. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა: თუ არა ქართლის კათოლიკოზ კირიონის სიმტკიცე, ირანელთა მხარდაჭერით

[1] ეპისტოლეთა წიგნი ზაზა ალექსიძის კომენტარებით, თბ. 1968:121-122. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 1, თბ. 1979:428.

გაძლიერებული სომხური ეკლესია ქართლის რელიგიურ-კულტურულ გასომხებას განახორციელებდა.

საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ქართლის ეკლესიაში კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნული მიმართულება. XII-XVIII საუკუნეებში არაერთხელ იყო მცდელობა საქართველოს და სომხეთის ეკლესიების გაერთიანებისა, მაგრამ უშედეგოდ. შუა საუკუნეებში საქართველოში მცხოვრებ სომხებს ჰქონდათ თავიანთი ეკლესიები, ჰყავდათ სასულიერო პირები და არავინ უზღუდავდათ სომხურ (მონოფიზიტურ) სარწმუნოებაზე ღვთისმსახურებას. ქართლის საკათოლიკოზო მტკიცედ იცავდა ქალკედონის საეკლესიო კრებაზე მიღებულ დოგმატს და ამით ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

VIII. საეკლესიო-კულტურული კოლონიები საქართველოში და საზღვარგარეთ (VI-XVIII საუკუნეები)

ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგია იყო და იგი მორწმუნეებისაგან გარკვეულ ცოდნას მოითხოვდა, IV-V საუკუნეებში ქართლსა და ეგრისში ეკლესიებთან დაარსდა სასწავლებლები, სადაც მორწმუნე მრევლს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღვთისმეტყველო შინაარსის ტექსტებს. საღვთისმეტყველო ტექსტებს V საუკუნიდან დაემატა ჰაგიოგრაფიული შინაარსის წიგნებიც. ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია იწყება V საუკუნის თხზულებით „მარტვილობაი შუშანიკისი“ VI-XI საუკუნეებში დაიწერა ევსტატე მცხეთელის, რაჟდენ პირველმოწამის, პეტრე იბერის, აბო ტფილელის, არჩილ მეფის, ცხრა ძმა კოლაელთა, კონსტანტი კახის, გობრონის, სერაპიონ ზარზმელის, გრიგოლ ხანცთელის, იოანე ზედაზნელის, შიოსა და ევაგრეს, დავით გარეჯელის, აბიბოს ნეკრესელის, დავითისა და კონსტანტინეს, ილარიონ ქართველის, იოანესა და ექვთიმეს, გიორგი მთაწმინდელის, პროხორე ქართველის, წმინდა ნინოს, ნიკოლოზ დვალის ცხოვრება და მოწამეობა.

სასულიერო პოეზიაში - იოანე ზოსიმეს, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრას, იოანე ქონქოზიძის, კურდანაის, ფილიპეს, სტეფანე სანანოისძის, ბორენა დედოფლის, გიორგი მთაწმინდელის, ეზრა ათონელის, ზოსიმე ათონელის, ეფრემ მცირის, დავით აღმაშენებლის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, არსენ ბერის, დემეტრე მეფის, იოანე ანჩელის, იოანე შავთელის, ნიკოლოზ გულაბერისძის, არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელოზის, პეტრე გელათელის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საგალობლები, საკითხავი წიგნები.

საერო ლიტერატურიდან - შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის ნაწარმოებები.

საისტორიო თხზულებებიდან ლეონტი მროველის, ჯუანშერ ჯუანშერიანის,სუმბატ დავითის ძის დავითის ისტორიკოსის, თამარის ისტორიკოსების, ჟამთა-აღმწერლის, სეხნია ჩხეიძის, ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, ომან ხერხეულიძის, პაპუნა ორბელიანის ისტორიები, რომელნიც მოგვითხრობენ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიას ანტიკური სანიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ჩამოთვლილ ჰაგიოგრაფთა, მწერალთა და ისტორიკოსთა უმრავლესობა სასულიერო პირი, ან ეკლესიასთან დაახლოებული იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველი ხალხის სულიერ-ინტელექტუალური სიმდიდრე ეკლესიის წიაღში იქმნებოდა. კულტურულ-საგანმანათლებლო კერები არსებობდა როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. საქართველოში გამორჩეული იყო: მცხეთის, ურბნისის, ქსნის, ალავერდის, რუისის, ყანჩაეთის, შიომღვიმის, ცურტავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული იყო დავით გარეჯის კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. ეს მონასტერი VI საუკუნეში დააფუძნა დავით გარეჯელმა. იგი შემდეგ გაფართოვდა. ეს იყო „მონასტერი ყოვლად სახელოვანი და პატივითა პირუელ მდგომარე ყოველ მონასტერთა“.[1] აქ მოღვაწეობდნენ ქართული სასულიერო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელნი: ონოფრე გარეჯელი, დემეტრე პირველი, „სიბრძნე-სიცრუის“-ას, ქართული ლექსიკონის და მრავალი საღვთისმეტყველო თხზულების ავტორი სულხან საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, გაბრიელ საგინაშვილი და სხვები.

XII საუკუნეში განთქმული იყო იყალთოს აკადემია, რომელიც დააარსა ცნობილმა ფილოსოფოსმა და ღვთისმეტყველმა არსენ იყალთოელმა. აკადემიაში

[1] ლევან მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები.1992:35.

ასწავლიდნენ ფილოსოფიას, მათემატიკას, რიტორიკას, ასტრონომიას. საგანმანათლებლო ცენტრები იყო: ნეკრესში, ალავერდში, მარტყოფში, ნინოწმინდაში, თელავში (აღმოსავლეთ საქართველო).

XII საუკუნის დასაწყისში, მეფე დავით აღმაშენებლის ინიციატივით, გელათში (ქუთაისის მახლობლად) დაარსდა დიდი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრი გელათის აკადემია (დღემდე შემორჩენილია აკადემიის შენობის კედლები). მას „სხვაი ათინაი და მეორე იერუსალიმი“ ეწოდებოდა, სადაც ისწავლებოდა ფილოსოფია, მათემატიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია, ღვთისმეტყველება. სასწავლებელს ხელმძღვანელობდა რექტორი მოძღვართმოძღვარი, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა სახელმწიფოში. გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ: არსენ იყალთოელი იოანე პეტრიწი, იოანე ბულმაისიმისძე. გელათში უნდა დაწერილიყო ქართული სამართლის გამორჩეული თხზულება „ხელმწიფის კარის გარიგება“ მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნიდან გელათში აკადემია აღარ იყო, ის ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას. აქ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ: ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზები: ევდემოზ ჩხეტიძე (XVI ს.), ექვთიმე საყვარელიძე (XVI ს.), მღვდელმთავრები: გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ ბაგრატიონი (XVIII ს. შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ I). გელათში არსებობდა დიდი წიგნსაცავი, სადაც დაცული იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო შინაარსის ორიგინალური და ნათარგმნი ხელნაწერები.

შუა საუკუნეებში ცნობილი იყო მარტვილის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც იყო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესების მეთვალყურეობის ქვეშ. მარტვილში (დასავლეთ საქართველო) მოღვაწეობდნენ: გიორგი ჭყონდიდელი, ანტონ გლონისთავისძე, სტეფანე სანანოისძე, იოანე მესვეტე, იოანე ჭყონდიდელი, ანტონ ცაგერელ-



ოშკი X საუკუნე

ჭყონდიდელი, რომანოზ მესვეტე, გაბრიელ ჭყონდიდელი. საგანმანათლებლო კერები იყო; ზუგდიდში, წალენჯიხაში, ცაისში, ბედიაში, მოქვში, ოზურგეთში, შემოქმედში, რაჭაში.

VIII-IX საუკუნეებიდან სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ახლანდელი თურქეთი), რომელიც ბიზანტიას ესაზღვრებოდა, მონასტრებთან დაიწყო დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. ამ მხრივ გამორჩეული იყო: ოპიზა, ხანცთა, შატბერდი, ხახული, პარეხი, ბერთა, მიძნაძორი, წყაროსთავი, ოშკი, პარხალი, საფარა, ზარზმა, ანჩი, იშხანი, ბანა, ტბეთი, აწყური, კუმურდო. ამ საგანმანათლებლო ცენტრებში იქმნებოდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის შედევრები, უპირატესად ჰაგიოგრაფი-ჰიმნოგრაფიაში. აქ გადაიწერა და დასურათდა სახარების სხვადასხვა ნუსხები (შატბერდის, ოპიზის, პარხალის, ტბეთის, ბერთის, წყაროსთავის, ოშკის (IX-XI ს.ს.). ჰიმნოგრაფიაში მუშაობდნენ: გრიგოლ ხანცთელი, გიორგი მერჩულე, იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე ანჩელი. აქ დაიწერა სუმბატ დავითისძის ბაგრატიონთა ისტორია, მესხური დავითნის ქრონიკა. სამხრეთ დასავლეთ საქართველოში უპირველესი იყო ოპიზის ტაძარი, რომელიც, გიორგი მერჩულეს თქმით, „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს“ ოპიზაში მოღვაწეობდნენ: გრიგოლ ხანცთელი (VIII-IX ს.ს.), მიქაელ პარხელი (IX ს.), გიორგი მაწყვერელი (IX –X ს.ს.), სერაპიონ ზარზმელი (IX ს.), გრიგოლ ოპიზელი (IX –X ს.ს.), ათანასე ოპიზელი (XI ს.), ანტონ ოპიზელი (XII ს.), ილარიონ ოპიზელი (XIII ს.). ოპიზიდან იყვნენ ცნობილი ოქრომჭედლები: ბექა და ბეშქენ ოპიზრები ბერთის და წყაროსთავის სახარების ოქროს ყდით მომჭედელნი. ხანცთაში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანცთელი, რომელიც იყო ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრების დამაარსებელი. მის სახელთან არის დაკავშირებული დიდი სამონასტრო მშენებლობა და კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის

გაფართოება. გრიგოლ ხანცთელის ღვაწლი აღწერა გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“-ში. შატბერდში მოღვაწეობდნენ: სოფრონ შატბერდელი, გიორგი ათონელი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი (IX-XI ს.ს.). აქ შედგენილ იქნა „შატბერდის კრებული“, რომელშიც შემონახულია ქართლის მოქცევის გაქრისტიანების ყველაზე ძველი ნუსხა), აქვე გადაიწერა ოთხთავი, რომელიც პარეხის მონასტერს შეწირეს და ახლა პარეხის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. პარეხში არსებობდა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც მიქაელ პარეხელს დაუარსებია IX საუკუნეში. ისტორიულ კლარჯეთში (ახლანდელი თურქეთი) IX საუკუნეში წყაროსთავში არსებობდა სემინარია. აქ მოღვაწე სასულიერო პირთაგან ცნობილია ექვთიმე გრძელი, პროხორე შავშელი, ეგნატი ხუცეს-მონაზონი. წყაროსთავში 1195 წელს სახარება გადაუწერიათ იოანე ფუკარალიძესა და გიორგი სეთაიძეს, მისი ყდა ოქროთი მოუჭედავს ბექა ოპიზარს. კლარჯეთში მდებარეობდა ანჩის საეპისკოპოსო, სადაც მოღვაწეობდნენ: ეზრა ანჩელი, იოანე ანჩელი (X-XII ს.ს.). აქ იყო დაბრძანებული ანჩისხატი, რომელიც მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში (XVII ს.) გადმოაბრძანეს თბილისში, ისტორიულ ზარის საყდარში, რომელსაც ხატის პატივსაცემად ანჩისხატი დაერქვა. ტაოში (ახლანდელი თურქეთი), თორთუმის წყლის პირას, მდებარეობდა ოშკის ტაძარი, სადაც მეათე საუკუნეში გადაიწერა ბიბლია. მეათე საუკუნეში. ოშკში მოღვაწე სასულიერო პირებიდან ცნობილია ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ ოშკელი (XI ს.). თორთუმის წყლის ხეობაში იყო ხახულის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ: იოანე ხახულელი, ბასილ ბაგრატისძე, გიორგი ათონელი (შემდეგ მთაწმინდელი). ხახულის მონასტერში იყო განთქმული ხახულის ხატი, რომელიც ამჟამად დაცულია ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში. პარხალის ხეობაში (ახლანდელი თურქეთი) იყო პარხალის მონასტერი, სადაც ქართულად არაერთი წიგნი ითარგმნა,



ათონის ივერთა მონასტერი XI საუკუნე

აქვე შეუდგენიათ პარხალის მრავალთავი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ნოსელის საკითხავებს. გამორჩეული იყო ბანას ეკლესია, რომელიც ულამაზესი იყო მთელს აღმოსავლეთში. X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი მოღვაწეობდა ტბეთის მონასტერში, ამ მონასტერში შეუდგენიათ „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის XII-XVI საუკუნეების სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაზე. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში ასევე გამორჩეული იყო აწყურის, საფარის, ზარზმის, ვარძიის, კუმურდოს მონასტრებთან არსებული სკოლები. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა ამ საგანმანათლებლო-კულტურულმა ცენტრებმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

ქართული საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვარგარეთ სამონასტრო ცენტრების დაფუძნებას. „საზღვარგარეთ მყოფი ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების. მწერლების, მეცნიერების და ხელოვანთა წყალობით, საქართველოს საშუალება ჰქონდა სცოდნეოდა: საეკლესიო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“ (აკად. ივანე ჯავახიშვილი). ამავე დროს, რაც საქართველოში საუკეთესო საღვთისმეტყველო, ან ლიტერატურული ნაწარმოები იქმნებოდა, ისიც ითარგმნებოდა იმ ენაზე,

რომელ ქვეყანაშიც იყო ქართული სამონასტრო ცენტრი. საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო ცენტრების წყალობით, ქართული საღვთისმეტყველო აზროვნება არასოდეს ჩაკეტილა თავის თავში და მხარს უსწორებდა აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ცივილიზაციას. საზღვარგარეთის გამორჩეული ქართული სამონასტრო ცენტრები იყო ახლო აღმოსავლეთში (სირია, პალესტინა), დასავლეთში (ბიზანტია). ჯერ კიდევ IV საუკუნეში ეგვიპტეში მოღვაწეობდა ევაგრე პონტოელი. V საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობდა პეტრე ქართველი. 1950-იან წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ ბეთლემის მახლობლად, გათხრების დროს, აღმოაჩინა იატაკის მოზაიკაზე ასომთავრული ქართული წარწერები, რომელიც გაშიფრა ვატიკანში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა მიქაელ თარხნიშვილმა.

ქართული სულიერი კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის სამხრეთ აღმოსავლეთით, V საუკუნის 80-იან წლებში საბა განწმენდილის მიერ დაარსებულ მონასტერს, სადაც მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მოღვაწეობდა: მარტვირი საბაწმინდელი, სეითი, მაკარი ლეთელი, პიმენ კახი, ამონა, გიორგი თბილელი, სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი. აქ შემუშავდა ბიბლიური წიგნების საბაწმინდური რედაქცია. აქ მოღვაწე ბერები სირიულიდან, ბერძნულიდან, არაბულიდან თარგმნიდნენ ჰაგიოგრაფიულ, მისტიკურ-ასკეტური შინაარსის თხზულებებს. VIII-X საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიმნოგრაფები ბასილი და იოანე ზოსიმე. საბაწმინდაში 864 წელს შედგენილ იქნა მრავალთავი. ამ კრებულში 18 ავტორის 50 თხზულებაა. ამ სავანეს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. საბაწმინდის განგებაი ტიპიკონი XII საუკუნიდან საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრდა. XI საუკუნიდან, არაბთა ინტენსიური თავდასხმების გამო, იქაურმა

ქართველმა მოღვაწეებმა დატოვეს საბაწმინდა, გაიტანეს ხელნაწერები და სხვადასვა მონასტრებში გადავიდნენ. ახლო აღმოსავლეთში არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში, ეკატერინეს მონასტერში, ბერძნებთან და სირიელებთან ერთად ქართველი ბერებიც მოღვაწეობდნენ. აქ აუშენებია დავით აღმაშენებელს ეკლესია, რომელსაც „მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ, ამავე დროს, ეს მთელ მასლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს“ (აკად. ივანე ჯავახიშვილი). სინას მთის ქართველთა მონასტერმა XVIII საუკუნის ბოლომდე იარსება.

წმინდა მიწისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ქართველ მორწმუნეებს ოდითგანვე ჰქონდათ. X საუკუნეში პალესტინის სხვადასხვა მონასტრებში მყოფ ქართველობას დიდი სურვილი ჰქონდა, დაეარსებინათ მონასტერი. XI საუკუნის 30-50-იან წლებში ქართველმა ბერმა გიორგი-პროხორემ დააარსა ჯვრის მონასტერი, რომელიც ქართული მწიგნობრობის მძლავრ კერად გადაიქცა. გიორგი პროხორემ გარს შემოიკრიბა მთარგმნელ-გადამწერთა ჯგუფი და შეუდგა საქმიანობას. ჯვრის მონასტერმა საუკუნეთა მანძილზე არაერთი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ მაინც გაუძლო ჟამთა სიავეს. გადმოცემის თანახმად, აქ თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაუტარებია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შოთა რუსთაველს. აქვეა მისი ფრესკა მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს შორის. საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე დიდ ყურადღებას აქცევდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, ეხმარებოდნენ მას ფინანსურად, მაგრამ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV-XVII ს.ს.) ჯვრის მონასტერს გაუჭირდა, რითაც ისარგებლეს ბერძნებმა და დაეპატრონენ მას. იერუსალიმში უფლის საფლავთან აღდგომის ტაძარში გოლგოთაზე მოღვაწეობდნენ: იოანე გოლგოთელი, მიქაელი, კვირიკე აღდგომელი და სხვები.

ქართველები XI საუკუნიდან დამკვიდრებულან შავ მთაზეც, ერთხანს აქ ყოფილა გიორგი მთაწმინდელიც. შავი მთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის მეთაური ყოფილა ეფრემ მცირე, რომელმაც ქართულ მწერლობაში დიდი ეპოქა შექმნა. აქ მან დაწერა არაერთი ჰაგიოგრაფიული შინაარსის ნაწარმოები. მის კალამს ეკუთვნის ქართული ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევა: „უწყებანი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ეფრემ მცირეს ამ ნაშრომს ნამდვილ სამეცნიერო გამოკვლევას უწოდებდა. ეფრემ მცირეს უთარგმნია ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებანი. ეფრემ მცირესთან დაუწყია თავისი საქმიანობა არსენ იყალთოელს, რომელიც შემდეგ საქართველოში გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა. ქართული სახელმწიფო და ეკლესია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმორწმუნე ბიზანტიასთან. მართალია, ეს ურთიერთობები ყოველთვის ჰარმონიული არ იყო, მაგრამ ბიზანტიურ კულტურასთან ურთიერთობას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ბიზანტია დიდი იმპერია იყო და ქართველებს, მათ სახელმწიფოსა და ეკლესიას იმპერიული საზომით უდგებოდა, თუმცა VIII-IX საუკუნეებიდან ქართველები ცდილობდნენ, საერთოდ გათავისუფლებულიყვნენ ბიზანტიელთა გავლენებისაგან. ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არაერთი ქართული მონასტერი დაფუძნდა, მათ შორის აღსანიშნავია: ოლიმპი, რომანა, ათონი. ათონის ივერონის მონასტერი მდებარეობს საბერძნეთში, იგი დაარსდა 983 წელს იოანესა და თორნიკეს მიერ. აქ დაიწყო ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა. იოანეს შემდეგ ათონის ივერთა მონასტერს ჯერ ექვთიმე, ხოლო შემდეგ გიორგი ხელმძღვანელობდა. ათონის ივერთა მონასტერმა და იქ მოღვაწე ქართველმა ბერებმა დიდი როლი შეარულეს საქართველოს ისტორიაში. აქ ითარგმნა არაერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო შინაარსის წიგნი, დაიწერა ორიგი-

ნალური ნაწარმოებები. აქ ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა „სიბრძნე ბალავარისა“, ხოლო ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი „ახალი აღთქმის“ წიგნები დღესაც გამოიყენება საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს. ათონის ივერთა მონასტერი ქართული კულტურის მძლავრი კერა იყო. მონასტრის წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა XI საუკუნის 50-იან წლებში ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან პოლემიკის დროს დაიცვა ათონის მონასტერზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია, მაგრამ უკვე შეიმჩნეოდა ბერძენთა მიერ მონასტრის ხელში ჩაგდების სურვილი, რაც XIX საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მოხდა.

XI საუკუნის 80-იან წლებში, ახლანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, ბიზანტიაში, დაწინაურებულმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა პეტრიწონის (ახლანდელი ბაჩკოვოს) მონასტერი. მანვე მონასტრისათვის შეადგინა ტიპიკონი, რომელიც მოგვითხრობს სავანის დაარსების ისტორიაზე, დამაარსებლის ვინაობაზე, მონასტრის იურიდიულ სტატუსზე. მონასტერს ხელმძღვანელობდა ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ქართული სამონასტრო ცენტრები XVII-XVIII საუკუნეებში შეიქმნა რუსეთშიც: მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში. აქ, ძირითადად, საქართველოდან იძულებით გადახვეწილი ადამიანები იყვნენ, რომელნიც ცდილობდნენ საქართველოს ისტორია, საქართველოს ეკლესიის ისტორია გაეცნოთ რუსულენოვანი საზოგადოებისათვის, ამავე დროს დაიწყო სასულიერო შინაარსის რუსული წიგნების გადმოქართულებაც. შუა საუკუნეებში საზღვარგარეთის ქართულმა სამონასტრო ცენტრებმა, იქ მოღვაწე ბერ-მონაზვნებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის თუ საერო მეცნიერებისა და განვითარებაში.


IX. სამონასტრო ცხოვრება შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიაში

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, ჩვენამდე მოღწეული წყაროების ანალიზის საფუძველზე, დაადგინა ქართულ ეკლესიაში არსებული იერარქიული სისტემა: 1. წიგნის მკითხველი, 2. კერძო დიაკონი, 3. დიაკონი, 4. დედათ დიაკონი, 5. ხუცესნი ანუ მღვდელნი, 6. ქორეპისკოპოსნი, 7.ეპისკოპოსნი, 8. მთავარეპისკოპოსნი, 9. კათოლიკოზი. ასევე გვაჩვენა სასულიერო იერარქიის თითოეულ საფეხურზე რა უფლება-მოვალეობა ჰქონდათ მათ. მეცნიერის დაკვირვებით, მღვდელმთავრები სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი უნდა ყოფილიყვნენ „ეპისკობოსნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა... „სწავლულებით და მეცნიერებითა“ განმტკიცებულნი... კაცთმოყვარეობით განთქმულნი... ობოლთა და ქვრივთა მოღვაწე“

შუა საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ ის მღვდელმთავრები, რომლებიც იკავებდნენ ჭყონდიდელის, იშხნელის, მაწყვერელის, ანჩელის, მტბევარის და გოლგოთელის კათედრებს. ეკლესიის მეთაური XI საუკუნის დასაწყისიდან ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად იწოდებოდა, ხოლო რკონის სიგელის თანახმად, (1259 წ.) მსოფლიო პატრიარქთა თანასწორად. მეცნიერმა შეისწავლა ეკლესიის მსახურთაგან ხელისუფლების მიღების წესი და დაასაბუთა, რომ ეკლესიის მსახურთა დანიშვნა და დადგინება კათოლიკოზისა, ან ეპისკოპოსის პირად სურვილსა და ნებაზე კი არა ყოფილა დამოკიდებული, არამედ ამისათვის საქართველოში მღვდელთა, ეპისკოპოსთა და „ყოვლისა ერის“ თანხმობა, იყო საჭირო. ამგვარად, ცხადად ირკვევა, რომ საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეში ქართველ ერს თავისი უფლება ჰქონდა. უკვე XIII საუკუნიდან, დანამდვილებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საეპისკოპოსო და საკათოლიკოზო კანდიდატი



მარტვილი VII საუკუნე



გელათი XII საუკუნე

კურთხევამდე სვეტიცხოველში დებდა აღთქმას და ფიცს.

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე მეუდაბნოეთათვის თუ პირველ ეტაპზე მთავარი იყო სულიერი ცხოვრება და უპოვრობა, გრიგოლ ხანცთელის დროს მეუდაბნოე ბერები დიდ ღვაწლში იყვნენ და გლახაკობა სამონასტრო ძმობის საკუთრებით შეიცვალა. აქ მოღვაწე ბერებს სამშობლოს წინაშე დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღოდათ - განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი და აღორძინებული არ არის? მაშინდელი მონასტერი უმაღლესი გონებრივი განვითარების სავანე იყო. მონასტრის ბერთა მთელი შემადგენლობა „ძმობას“ წარმოადგენდა. უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, ვაჰანის მონასტრის წესდებით, მონასტრის ძმობა სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: 1. „პირველისა დასისა“ წევრებს მონასტრის მამასახლისი, ან წინამძღვარი, იკონომოსი და დეკანოზი ეკუთვნოდნენ და ამათ გარდა აგრეთვე ის ბერები, რომელნიც „თავადთა ძმათა“, ან „უთავადესთა ძმათა“ სახელით იყვნენ ცნობილნი და დანარჩენებისაგან განირჩეოდნენ, რომელთაც მღვდლობის გარდა რაიმე თანამდებობაც ჰქონდათ... 2. მეორე დასს მღვდლობის პატივის მქონე ბერები შეადგენდნენ. წესდებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხვაი სახმრობაი არაი შეეძლოს“ 3. მესამე ჯგუფს „მწირნი“ შეადგენდნენ... რომელთაც არავითარი თანამდებობა არ ჰქონდათ.“ მონასტერში მამასახლისი, ანუ წინამძღვარი განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდა და მისი ყველა განკარგულება უსიტყვოდ სრულდებოდა. მამასახლისს ჰყავდა თანაშემწენი: სამეურნეო ნაწილში „დიდი იკონომოსი“, ორი დამხედვარი ეპიტირიტი და მისი ქვეშემდგომი უმრწემესი, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ მონასტრის ბერ-მონაზვნების ყოფა-ქცევისათვის და დამრღვევი დაესაჯათ. მონასტრებს ჰყავდათ „მეკარეი მონასტრისაი“, რომელსაც ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა შემსვლელ-გამომსვლელნი, მონასტერში

2 დღით შეეძლოთ მიეღოთ სტუმარი, მესამე დღეს მას აუცილებლად უნდა დაეტოვებინა მონასტრის ტერიტორია. დიდ მონასტრებში სამეურნეო საქმეების გაძღოლა იკონომოსის მოვალეობა იყო. ის დიდ ძალაუფლებას ფლობდა და ზოგჯერ, მონასტრის მამასახლისის ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით არყოფნის დროს, მონასტრის მამასახლისის მოვალეობასაც ასრულებდა. შუა საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრება მოითხოვდა გამართულ წესდებას ტიპიკონს და მის განუხრელ შესრულებას. მონასტერში მკაცრად იყო განსაზღვრული თითოეული წევრის უფლება-მოვალეობა. „განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამონასტრო ცხოვრებაში მოძღვარს. მოძღვარი მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნიერებას და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა.

დიდ მონასტრებში ავადმყოფი ბერების მოსავლელად არსებობდა „სასნეულოი“ საავადმყოფო, რომელსაც განაგებდა „მესნეულეი“ IX-X საუკუნეებამდე ქართულ ეკლესია-მონასტრებში წოდებრიობა ჯერ კიდევ არ იყო. სასულიერო პირის დაწინაურების საფუძველი, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში ვითარება შეიცვალა და მონასტრებში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ერისკაცობაში მიჩვეულნი იყვნენ სიმდიდრეს და უპირატესობას, განცხრომით ცხოვრებას, რაც მონასტრის იდეალის სისპეტაკის უცვლელად დაცვას საფრთხეს უქმნიდა. ამ ტენდენციის წინააღმდეგ იბრძოდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, მაგრამ ამ ბრძოლას სასურველი შედეგები არ ჰქონდა. „მონასტრები თავისი პირადი შემადგენლობის შთამომავლობის წყალობით არისტოკრატიულ დაწესებულებებად იქცენ“. სიმდიდრისა და ქონების მოხვეჭის დაუფარავი სურვილი გიორგი მთაწმინდელს საქართველოში ყოფნის დროს არაერთი სასულიერო იერარქის საქციელში

დაუნახავს. მაშინ, როდესაც ხალხს უჭირდა, შიმშილობდა, ისინი განაგრძობდნენ ეკლესიების მშენებლობას და ძვირფასი ლითონებით შემკობას. გაწრისხებულ გიორგი მთაწმიდელს ერთ-ერთი ასეთი „მოღვაწე“ ეპისკოპოსისათვის პირდაპირ განუცხადებია: „მეუფეო, ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს, რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყლოებასა შინა მოგკლა, რამეთუ არა თუ ამას გეტყვის ღმერთი, ვითარმედ „ეკლესიანი შეამკუენითო“, არამედ, რამეთუ „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი“, ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი“-ო.

გიორგი მთაწმინდელის მცდელობა, ეკლესია უფრო ახლოს ყოფილიყო ხალხთან, თანამგრძნობი ყოფილიყო ხალხის გაჭირვების მიმართ და დასმარებოდა მათ, არისტოკრატ სასულიერო წოდებას არ მიუღია. გიორგი მთაწმინდელი იყო დიდი პიროვნება, რომელმაც სცადა საქართველოს ეკლესიაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, მაგრამ მან ვერ მიიღო ბაგრატ მეოთხის მტკიცე მხარდაჭერა და ხუთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ დატოვა საქართველო და კვლავ ათონზე დაემკვიდრა. იმ დროს, ათონის და სხვა საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებში დამკვიდრებული წესით, მონასტრის წინამძღვარს ირჩევდა კენჭისყრით მთელი სამონასტრო ძმობა. „ეს გარემოება, იმის მომასწავებელია, რომ მონასტერში რესპუბლიკური წესის შემოღებისთანავე არჩევით დადგენილი მამასახლისის ხელისუფლებაც ძალზე შეუმცირებიათ და უკვე საგრძნობლად შეზღუდული ყოფილა: ყოველი ცოტად მაინც მნიშვნელოვანი საკითხი მთელ კრებულს უნდა გადაეწყვიტა და მამასახლისი ამგვარი კრებულის დადგენილებათა აღმასრულებელი გამხდარა“ (ივანე ჯავახიშვილი)

XIII-XVIII საუკუნეებში მონასტრებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს ზეწოლას და იქ თანდათან დამკვიდრდა ამქვეყნიური სიამით ტკბობა, ქონების დაგროვების სურვილი. თუ თავიდან ისინი საკუთარი შრომითა და ოფლით

მოიპოვებდნენ საარსებო სარჩოს, ახლა უკვე გაუჩნდათ ყმები და მათ ამუშავებდნენ. ამით კი გადაუხვიეს იმ იდეალებიდან, რაც თავდაპირველ სამონასტრო ცხოვრებას ახასიათებდა.

X. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის სიძლიერეს მისი სიწმიდე და სულიერების მაღალი ხარისხი განაპირობებდა. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ დიდი სამონასტრო მოძრაობა. „იმ დროს ბერები მართლაც გაურბოდნენ „მაცდურს“ ქვეყანას, სიმდიდრეს და კერძო საკუთრებას, რომელიც ყოველგვარი სიბოროტისა და უსამართლობის დედაბუდედ მიაჩნდათ: სრული სიგლახაკე, უპოვარებაი და საკუთარი შრომით პურის ჭამა, ზნეობრივი სისპეტაკე და განვითარება მათს დაუცხრომელს მისწრაფებას შეადგენდა.“[1] ამის ნათელი მაგალითი იყო შავშეთ-ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანცთელის და მისი მოწაფეების მიერ დაწყებულ სამონასტრო მშენებლობა, რომელთაც საქართველოს ეს მიტოვებული ისტორიული მიწა-წყალი გამოაცოცხლეს და დიდ სულიერ საგანმანათლებლო ცენტრად აქციეს. მაშინდელი ეკლესია, სასულიერო დასი იმდენად მაღლა იდგა ზნეობრივ-სულიერი ცხოვრების თვალსაზრისით, რომ თავს უფლებას აძლევდა, საერო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის მიეთითებინა და ზოგჯერ მკაცრადაც მოეთხოვა ქრისტიანული ღირებულებების, მორალის დაცვა. ამ მხრივ თუნდაც აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანცთელის დაპირისპირების მაგალითიც კმარა, როდესაც მოღვაწე ბერმა არ აპატია მეფეს სიძვის დიაცის ყოლა, წაართვა იგი და მონასტერში გადაიყვანა. საქართველოს პოლიტიკური და სულიერი ერთიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამოჩენილ სასულიერო პირთა როლს. ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების შემუშავება-განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულია XI საუკუნის სასულიერო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის როლი. იგი ათონის მთიდან საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის თხოვნით დაბრუნდა,

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, თბ. 1983:117.

მას ამქვეყნიურ სიმდიდრესა და ფუფუნებაზე მიდრეკილი სასულიერო წოდება თავის უმთავრეს საქმესთან ქვეყნის სულიერ გაჯანსაღებასთან უნდა დაებრუნებინა. იგი ახლოს გაეცნო საქართველოში შექმნილ ვითარებას და მკაცრად ამხილა საერო და სასულიერო ხელისუფლებაში არსებული ნაკლოვანებანი. „რაკი გიორგი მთაწმინდელი დარწმუნდა, თუ სად იყო ქართული ეკლესიის უმთავრესი წყლული, „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათა თვის უშიშად და თვალ-უსვად, სიბრძნით და გონიერად, რომელ არა ჰყიდდეს საეპისკოპოზოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა“ ამ ცნობაში განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ საეპისკოპოსო ტახტი თურმე უმეტეს შემთხვევაში „უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა“ ხელში გადადიოდა; გიორგი მთაწმინდელს საჭიროდ მიაჩნდა, რომ მეფეს საეპისკოპოსოების „გაყიდვა“ ამოეკვეთა და შელახული საეკლესიო მსოფლიო კრებების და მოციქულთა კანონები აღდგენილი ყოფილიყო“.[1] გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებით აღაშფოთა საქართველოს ეკლესიაში მაღალიერარქთა მომხვეჭელობამ და დაბალი სასულიერო წოდების და გაჭირვებული თანამემამულეების მიმართ ნაკლებმა სოლიდარობამ. „ამის გამო იმასაც კი არ შეუშინდა და ეპისკოპოსებს აფრთხილებდა, ეკლესიათა გამშვენიერებასა და შემკობაზე ბევრ ფულს ნუ ხარჯავთო; როდესაც ცხოველი ეკლესია, ხალხი გაჭირვებაში იყო, გლახაკთა დახმარება, დავრდომილთა წამოყენება და შეწყალება უნდა ყოფილიყო მოძღვართა საზრუნავი და არა ეკლესიათა შემკობა. აი, მაგალითად რა უთხრა ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ერთს ეპისკოპოზს, რომელიც „მდიდარი ფრიად და წარჩინებული“ იყო და იმაზე ზრუნავდა

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, თბ. 1983:189.

მარტო, რომ „სიმდიდრითა საფასეთა თვისთა ეკლესიანი შეამკუნეს და განაშუენნეს და რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას, და ამით მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თვისსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა: „მეუფეო, ეს შენი საქციელი ეშმაკის მანქანებითა და შთაგონებით არის ნაკარნახევი," „ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს", ეშმაკი გაცდუნებს და მას უნდა: „რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყლობასა შინა მოგკლა" რომ ეს ღვთისნიერი საქმე-კი არ არის, არამედ ეშმაკის-მიერი ცხადია."[1]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ახალი მოდელი XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შექმნა. მან გაითვალისწინა თავისი წინამორბედის ბაგრატ IV-ის დროს შექმნილი ვითარება და გაბედულად შეუდგა ისეთი სახის საეკლესიო რეფორმის განხორციელებას, რომელიც გააჯანსაღებდა ეკლესიას და სახელმწიფოსა და მოაწესრიგებდა ეკლესიას შორის ურთიერთობებს. „რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ... გადააყენა უღირსნი მღვდელმთავარნი მთვარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა. დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ სიმდიდრით აღზევებული უღირსი სასულიერო პირები, მაგრამ მეფემ და მისმა მომხრე სასულიერო პირებმა მოახერხეს ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევა და ეკლესიის გაჯანსაღებისათვის გაატარეს საჭირო რეფორმები. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწიგნობართუხუცესის სახელოს ჭყონდიდელისათვის შეთავსებას. ამით მეფეს უნდოდა საეკლესიო საქმეებში

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, თბ. 1983:189-190.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, თბ. 1983:213.

მონაწილეობის მიღებისა და ჩარევის კანონიერი უფლება და საშუალება ჰქონოდა. როგორც ეკლესიის წევრს, მას ეცოდინებოდა, რაც კი ეკლესიაში ხდებოდა. ყველა საეკლესიო საკითხები, რომელიც მთავრობასა და მეფეს უნდა მოხსენებოდა, სწორედ მწიგნობართუხუცესის პირით უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ამგვარად, მწიგნობართუხუცესი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო ეკლესიაში და ეკლესიისა მთავრობაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია XII–XIII საუკუნეების საქართველოში სჯულშემწყნარებლობის მაღალი დონე, რომელიც ემყარებოდა საერო მონარქთა მრავალმხრივ განათლებას და სარწმუნოებრივ საკითხებში შუა საუკუნეებისათვის უჩვეულო, გაბედულ, თავისუფალ აზროვნებას. საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირების ასეთი ქმედება განპირობებული იყო იმ ურთულესი საგარეო ფაქტორების ღრმა ანალიზით, რომელიც მაჰმადიანთა მეზობლობისა და აგრესიის პირობებში ქვეყნისათვის აუცილებელი იყო. აქაურ მაჰმადიანებს ისე უნდა ეგრძნოთ თავი ქართულ სამეფოში, რომ არ გასჩენოდათ ღალატის და ორგულობის სურვილი. დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ასეთი პოლიტიკა არ ნიშნავდა იმას, რომ ვინმეს ეჭვი შეეტანა მეფეთა მართლმადიდებლურ მრწამსში. მათი დიდი მცდელობით, ქართველებმა წმინდა მიწაზე ის მწვერვალიც დაიკავეს, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, უფალი მოსე წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა და ათი მცნება მისცა. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, აქ ქართული მონასტრის აგებას რელიგიურთან ერთად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. რელიგიურ-დოგმატურ საკითხებს სიფრთხილით ეკიდებოდნენ გიორგი მესამე და თამარ მეფე, მიუხედავად იმისა, რომ თამარ მეფის დროს ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების მცდელობა იყო. საერო ხელისუფლებას არავითარი ზეწოლა არ მოუხდენია სომხებზე, რათა ისინი აუცილებლად გადასულიყვნენ მართლმადიდებლობაზე. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელიც უკავშირდება ცნობილ სომეხ საეკლესიო

მოღვაწესა და ფილოსოფოსს მხითარ გოშს. მან მიმართა საქართველოს საერო ხელისუფლებას და აღშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ მთავრობა ერთნაირ გადასახადებს უწესებდა როგორც ქრისტიანებს, ასევე მაჰმადიანებს. „მხითარ გოში... იყო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი სომეხთა ეკლესიის უკიდურესი კონსერვატორული წრეებისა, რომლებიც ქადაგებდნენ ამ ორი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ეკლესიის ურთიერთ განცალკავებისა და ზიზღის შესახებ... ერთი სიტყვით, მხითარ გოშსა და მის თანამოაზრეებს სურდათ, რომ საქართველოს მთავრობას ეწარმოებინა არა სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ თავის საქმიანობაში ეხელმძღვანელა მხოლოდ კონფენსიური პრივილეგიების პრინციპით, შურისძიების გრძნობით და თავისი ქვეშევრდომი მაჰმადიანების დევნულებით“.[1] მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ არ გაიზიარა მისი ასეთი რადიკალიზმი. ეს კარგად გამოჩნდა დვინის სასამართლოზე, სადაც ორი სომხური მონასტერი ერთმანეთს ედავებოდა ძვირფასი ჯვრის კუთვნილებაზე. სასამართლოს წევრებად სომეხი სასულიერო პირების გარდა, მართლმადიდებელი და მუსლიმი სასულიერო პირების მონაწილეობა მიანიშნებდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ასეთი საქმეების გარჩევის დროს არ თვლიდა საჭიროდ, ანგარიში გაეწია კონფენსიური განსხვავებებისთვის, რომ ასეთ შემთხვევებში ქრისტიანები და მაჰმადიანები თანასწორნი არიან და რომ სახელმწიფო მთავარ მნიშვნელობას აკუთვნებდა ცოდნასა და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნოდა კაცი. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა დაიძაბა თამარ მეფის დროს, როდესაც საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა მიქაელ მირიანისძემ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მიიტაცა და დაუპირისპირდა მეფეს. თამარმა საგანგებო საეკლესიო კრება მოიწვია და შეკრებილ მღვდელმთავრებს მოსთხოვა კათოლიკოზ-პატრიარქ მიქაელ მირიანისძის გადაყენება,

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, თბ. 1983:416.

მაგრამ კრებამ მეფის ეს სურვილი ვერ შეასრულა. ამის შემდეგ მეფესა და კათოლიკოზ-პატრიარქს შორის რთული ურთიერთობა იყო.

მონღოლთა ბატონობის ჟამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, სასულიერო წოდება დიდი გამოცდის წინაშე დადგა. ბარბაროსი დამპყრობლების სულის შემხუთველმა გადასახადებმა მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. სასულიერო პირთა ნაწილმა შემცირებული შემოსავლის გაზრდა გაღატაკებული მოსახლეობისათვის საეკლესიო წესების მისაცემელი გასამრჯელოს გაორმაგებით სცადა, რასაც სასულიერო წოდებასა და მოსახლეობას შორის სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა. სახელმწიფო ეკლესიის უმაღლეს სასულიერო იერარქებთან ერთად შეეცადა აღმოეფხვრა სასულიერო პირების ეს მიდრეკილება, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ მოსახლეობას კიდევ უფრო რადიკალური ნაბიჯებისაკენ უბიძგა. მონღოლთა ბატონობის დროს მათ დაიწყეს წინაპრებისაგან ეკლესიისათვის შეწირული ქონების უკან გამოწირვის პროცესი, რასაც სასულიერო წოდებამაც უკიდურესი სასჯელით უპასუხა: გაორგულებულ მრევლს უზიარებლობით, შერისხვით და შეჩვენებით დაემუქრა. 1263 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე იმაზეც მსჯელობდნენ, რომ თუ შეწირული მიწების გამოწირვის პროცესი გაგრძელდებოდა, სასულიერო წოდება უარს იტყოდა ყველა საეკლესიო წესის აღსრულებაზე და ეკლესიებსაც დაკეტავდნენ. მაგრამ ამ ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა საერო და სასულიერო წოდებათა შორის. ამ არასასურველ პროცესებს ჰქონდა თავისი გაგრძელება. სასულიერო იერარქებმა თავინთი დამარცხების მიზეზები საკუთარ ქმედებებში კი არ ეძიეს, არამედ დააბრალეს ბასილი მწიგნობართუხუცესჰყონდიდელს, რომელიც უსაფუძვლო ჭორების მსხვერპლი გახდა იგი სიკვდილით დასაჯეს. მონღოლთა ბატონობის

პერიოდში არაერთი მედროვე აღზევდა საქართველოს სამეფოს კარზე, რომელთაც თავიანთი მოხერხებით სიმდიდრეც მოიხვეჭეს და ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპებიც უგულებელყვეს. დასუსტებული ეკლესია ცდილობდა დაეცვა თავისი ინტერესები, დაეცვა ეროვნული ტრადიციები, რომელნიც ქრისტიანული სარწმუნოების ღირებულებებზე იყო დაფუძნებული, მაგრამ ამას ვეღარ ახერხებდა. დემეტრე მეორის კარზე აღზევებული იყო სადუნ მანკაბერდელი, რომელმაც, მონღოლური წესისამებრ, მრავალცოლიანობა მოიწონა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. საქართველოს კათოლიკოზმა ნიკოლოზმა ჯერ მისი შეგონება სცადა, მაგრამ რაკი სასურველი შედეგი ვერ მიიღო, „მერმე შეჩვენებითაც-კი სცადა აელაგმა და მრავალცოლიანობა დაეშლევინებინა, მაგრამ კათოლიკოზის ყოველი ცდა ამაო გამოდგა: სადუნთან მან ვერა გააწყო რა“ ისტორიკოსი უზენაესი მწყემსმთავრის სრულს უძლურებას არ მალავს: „მძლავრებისაგან სადუნისა ვერ უძლო განყენებადო“.[1]

XIV საუკუნის დასაწყისში გიორგი V-მ მაჰმადიანთაგან წართმეული და მიზგითად (მეჩეთი) ქცეული სალოცავი დაიბრუნა წმინდა მიწაზე. გარდა ამისა, ეგვიპტის სულთანმა გააუქმა იერუსალიმში ქრისტიან მლოცველთა დამამცირებელი შესვლა (ისინი ცხენებზე უკუღმა შემსხდარი უნდა შესულიყვნენ). ქართველებმა, წართმეული ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალემისანი და საქართველოს გამარჯვებული დესპანები მივიდნენ „საფლავსა ქრისტესსა“ XV საუკუნის 50-90-იან წლებში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ეს ტენდენციები აისახა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში, დაიწყო საეკლესიო სეპარატიზმი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები სამცხის მთავრებმა გადადგეს, მაგრამ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ენერგიული

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 3, თბ. 1982:101.

ნაბიჯები გადაუდგამს სამცხის მთავრების უკანონობის აღსაკვეთად. საფარაში მოწვეულ კრებაზე კათოლიკოზს მეამბოხე სასულიერო პირები შეუჩვენებია, რომელთაც მოუნანიებიათ თავიანთი ქმედება. მათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის ფიცისა და ერთგულების ხელწერილი მიუციათ. „აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილადმდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ“ ამის გარდა, მესხეთის სამღვდელოება პირობას დებდა, რომ ამიერიდან არასოდეს შეიწყნარებდა ანტიოქიელი მღვდელთმთავრის მაცდურ ქადაგებებს. „ამგვარი ვინმე სხვა დროს არც შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ“.[1] საქართველოს ეკლესიის ერთიანობას სერიოზული ზიანი მიაყენა განკერძოების მოსურნე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა, რომელთაც გამოიყენეს ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხეილის დასავლეთ საქართველოში შეწირულების ასაგროვებლად მოგზაურობა და მოსთხოვეს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისაგან გამოყოფის კანონიკური საფუძვლებით დასაბუთება.

სამწუხაროდ, XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში, სამცხის მთავრის მზეჭაბუკის მმართველობის დროს, სამცხის ეკლესიაც ჩამოშორდა მცხეთას. მაწყვერელი ეპისკოპოსი კათოლიკოზის ხარისხში აღზევდა. ეს დროებითი ეიფორია იყო. გაძლიერებული ოსმალები სწრაფად იპყრობდნენ სამცხის სამთავროს დიდ ნაწილს, დევნიდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს. სამაგიეროდ, დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდნენ, ერთის მხრივ, კათოლიკე მისიონერებს, მეორეს მხრივ, ახალშექმნილ სტამბულის სომხურ საპატრიარქოს. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოშლილმა ურთიერთობებმა სამცხის მაგალითზე კარგად გამოაჩნა

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 3, თბ. 1982:282-283.

ქართველი ერის ტრაგედია დაქსაქსულობა-დანაწევრების უმძიმესი შედეგებით: საქართველოს ეკლესიის დაშლით დაიწყო ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი. XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზები გვერდით ედგნენ იმერთა მეფეებს და ებრძოდნენ დასავლეთ საქართველოში ფეხმოკიდებულ ქვეყნის გამანადგურებელ „ტყვეთა სყიდვას“, აღმოსავლეთ საქართველოში წინააღმდეგობას უწევდნენ გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეთა მოღალატეობრივ პოლიტიკას, ზრუნავდნენ საეკლესიო კანონების დაცვაზე, განათლებაზე (კათოლიკოზი დომენტი, ანტონ I). XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა გააუქმა ჯერ ქართული სამეფოები (ქართლ-კახეთი, იმერეთი), ხოლო შემდეგ მცხეთის და ლიხთ-იმერეთის საკათოლიკოზოები.

როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: საქართველოს რუსეთთან შეერთების 16 წლის შემდეგ, ქართველებს წაართვეს საშუალება, მშობლიურ ენაზე მოესმინათ ღვთისმსახურება საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში, სადაც 1400 წლის მანძილზე არ შეწყვეტილა უფლისადმი აღვლენილი მხურვალე ლოცვა. არც ცეცხლთაყვანისმცემელ და არც მუსლიმ სპარსელებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ ჩაუდენიათ ის, რაც ჩაიდინეს რუსეთის მთავრობამ და მისმა ეგზარქატმა საქართველოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყო რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველისეულ მოდელზე, რომლის თანახმადაც, საიმპერატორო ხელისუფლება ეკლესიას მთლიანად აკონტროლებდა ობერ-პროკურორის მეშვეობით. ურთიერთობის ეს მოდელი გავრცელდა რუსეთის მიერ შეერთებულ საქართველოს ეკლესიაზეც, რომელიც უკვე რუსეთის სინოდს ადაობერ-პროკურორს დაქვემდებარებული, საქართველოს ეგზარქოსის ხელით იმართებოდა.

XI. დიდი საეკლესიო მოღვაწენი

1. კათოლიკოზი კირიონ I

VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში, ქართველთა და სომეხთა დიდი საეკლესიო განხეთქილების დროს, ქართლის კათოლიკოზი იყო კირიონ I, მცირე ცნობებია შემონახული მისი ბიოგრაფიიდან ბავშვობა საქართველოში, ჯავახეთის სოფელ სკუტრში გაუტარებია, შემდეგ 15 წელი ცხოვრობდა საბერძნეთში ნიკოპოლის მახლობლად, სადაც მიუღია საფუძვლიანი ელინისტური განათლება. ერთხანს სომხეთში, ქალაქ დვინში იყო, შემდეგ - VI საუკუნის 90-იან წლებში გახდა ქართლის კათოლიკოზი. სარწმუნოებრივ-დოგმატურ საკითხებზე მას პოლემიკა ჰქონდა სომეხ კათოლიკოსებთან მოსესთან და აბრაამთან. ამ პოლემიკის მასალები დაცულია სომხურ საისტორიო წყაროებში: „ეპისტოლეთა წიგნი“ და უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ეს წყაროები გარკვეულწილად ტენდენციურად წარმოაჩენს საეკლესიო პოლემიკის შინაარსს, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად ასახავს არსებულ რეალობას. ქართლის კათოლიკოზმა კირიონმა მტკიცედ დაიცვა ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დაუპირისპირდა სპარსეთის მიერ მხარდაჭერილ მონოფიზიტობას კავკასიაში. 609 წელს ქართველთა და სომეხთა საეკლესიო პოლემიკა დასრულდა ორ ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირის გაწყვეტით. კათოლიკოზ კირიონის პოლიტიკით უკმაყოფილო ირანელები ქართლში შემოიჭრნენ და ქართლის ერისმთავარი და კირიონ კათოლიკოზი იძულებული გახდნენ დასავლეთ საქართველოში გადასულიყვნენ. აკადემიკოს ზაზა ალექსიძის მოსაზრებით, შემდგომში ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი კიროს ფაზისელი ქართლიდან დევნილი კათოლიკოზი კირიონი იყო.

2. გრიგოლ ხანცთელი

VIII-IX საუკუნეების გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანცთელი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე (გარდაიცვალა 102 წლის) უდიდესი როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში. მისი ცხოვრება აღწერა გიორგი მერჩულემ. გიორგი მერჩულეს თხზულებაში საინტერესო ცნობებია იმდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო ცხოვრების შესახებ. თხზულების მიხედვით, საქართველოს ეკლესიას განაგებს მისი მეთაური კათოლიკოზი, რომელსაც ირჩევს საეკლესიო კრება შემდგარი საერო და სამღვდელო წევრებისაგან. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კეთილგანწყობაა, მაგრამ ეკლესია ფხიზლად დარაჯობს ქრისტიანულ-ზნეობრივ პრინციპებსა და მკაცრად რეაგირებს მის დარღვევებზე. საეკლესიო პირები ზოგჯერ თავს საეროზე წინ აყენებდნენ. როცა აშოტ კურაპალატის მოთხოვნაზე, გამოცხადებულიყო მასთან საბა იშხნელი, უარი მიიღო, ნაწყენმა კურაპალატმა გრიგოლ ხანცთელს სთხოვა მისი მიყვანა, რასაც საბა იშხნელი დათანხმდა. კურაპალატს კი უთხრა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტეი ზეცისა და ქუესკნელთაი.“[1] გიორგი მერჩულეს ცნობით, გრიგოლ ხანცთელი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში, იყო წარჩინებული ოჯახიდან. ის ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა. მას განსაკუთრებული ნიჭი გამოუჩენია საღმრთო წიგნებისა და ენების შესწავლაში. გრიგოლი ჯერ მღვდლად აკურთხეს და საეპისკოპოსო კანდიდატიც იყო, მაგრამ მან მიატოვა ქართლი და დამკვიდრდა ოპიზის მონასტერში. მან აღზარდა ბერ-მონაზვნების მთელი თაობა, რომელნიც დამკვიდრდნენ ტაო-კლარჯეთში,ააშენესმრავალიმონასტერიდაიქეწეოდნენ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ საქმიანობას. გრიგოლ

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951:135.

ხანცთელი და მისი მოწაფეები ქადაგებდნენ ქართველთა ეკლესიური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეას, რაც იმ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის.

3. არსენ დიდი

ქართლის კათოლიკოზი არსენ დიდი საფარელი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრები"-ს მიხედვით, არსენი სამცხის წარჩინებული დიდებულის შვილი იყო, რომელიც მცირე ასაკში გრიგოლ ხანცთელის მოწაფეებმა თეოდორემ და ქრისტეფორემ ბერად აღკვეცეს... იგი სრულიად ახალგაზრდა მამამისს სამცხის რამდენიმე ეპისკოპოსის დასმარებით კათოლიკოზად დაუდგენია. ამ თვითნებობას არ შერიგებიან სამცხის ეპისკოპოსები, ჯავახეთს საგანგებო კრება გაუმართავთ, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად არსენის კათოლიკოზობისთვის გრიგოლ ხანცთელს მხარი დაუჭერია. კრების მონაწილეები გრიგოლ ხანცთელის ავტორიტეტს დაემორჩილნენ. გავიდა წლები და არსენს ეწოდა „დიდი არსენი, ქართლის კათოლიკოზი და მცხეთის გვირგვინი, ვინაიდგან საყდარი მამამთავრობისაი შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა.[1] არსენ კათოლიკოზს მიეწერება ისტორიულ-პოლემიკური თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" ამ თხზულებაში მოთხრობილია ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია. აქ არის ბევრი ისეთი ცნობა, რომელიც სხვა წყაროებმა არ შემოინახა. კათოლიკოზი არსენი ამ საეკლესიო განხეთქილებას პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდა და სომეხთა მონოფიზიტობის მიზეზს ირანის ძალმომრეობრივ პოლიტიკას უკავშირებდა. თავისი ნაშრომის შედგენისას მას გამოუყენებია ბერძნული, ქართული და სომხური წყაროები.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951:120.

4. მიქაელ მოდრეკილი

იყო X საუკუნის პოეტი-ჰიმნოგრაფი, მგალობელი, ვრცელი მესხური იადგარის შემდგენელ-რედაქტორი, რომლის ხელნაწერი უნიკალურია, როგორც შინაარსის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. კრებული შედგენილია 978-988 წლებში შატბერდის მონასტერში. თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც დაკარგულია). ჩვენამდე მოღწეულია 544 გვერდი. ხელნაწერის უდიდესი ნაწილი, რომელიც დახვეწილი კალიგრაფიითა და ფაქიზი მხატვრული გემოვნებით გამოირჩევა, გადაწერილია მიქაელ მოდრეკილის მიერ, დანარჩენი ნაწილი გადაუწერიათ ანონიმ გადამწერს და ეფთვიმეს. მიქაელ მოდრეკილმა თავი მოუყარა იმ დროს ქართულ მღვდელმსახურებაში გავრცელებულ მთელი წლის მესხურ საგალობლებს (ორიგინალურსა და ნათარგმნს) - როგორც ქართველ (მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი, ეზრა, იოანე ქონქოზის ძე, ბასილი, კურდანაჲ, მერჩულე), ისე ბერძენ (ანდრია კრეტელი, კოზმა იერუსალიმელი, იოანე დამასკელი, თეოფანე, ეფრემი) ავტორთა ჰიმნებს. იადგარის ერთ-ერთ ანდერძში მიქაელ მოდრეკილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კრებულში შეტანილი გალობანი დაწერილია „სისწორითა კილოსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა" მიქაელ მოდრეკილის კრებულის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისიცაა, რომ პალესტინური ტიპის ამ იადგარის ბერძნული მოდელი, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში IX-X საუკუნეებამდე, დღეისათვის დაკარგულია და მის შედგენილობაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ქართული იადგარის საშუალებით.

5. იოანე ზოსიმე

ცნობილი მწიგნობარი და მეცნიერი მოღვაწეობდა X

საუკუნეში, ჯერ პალესტინაში, საბას ლავრაში, შემდეგ სინას მთაზე. მას საბაწმინდის ლავრაში შეუდგენია ლიტურგიკული კრებული, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა დროის ლიტერატურულ მასალებს. მისი აზრით, ეს კრებული დახმარებას გაუწევდა განათლებულ სასულიერო პირებს. კრებულში შესულია უძველესი ქართული იადგარი „საგალობელნი იადგარნი“, „კრებაი თთვეთაი წელიწადისანი“. იოანე ზოსიმეს სახელთანაა დაკავშირებული „მცირე იადგარიც“, რომელიც შეიცავს საუფლო და დიდ დღესასწაულთა საგალობლებს. იოანე ზოსიმეს სახელთანაა დაკავშირებული ცნობილი საგალობელი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, იოანე ზოსიმე ამ საგალობლის გადამწერი იყო, ავტორი კი უცნობია). ეს საგალობელი ქართული ენის განსაკუთრებულ მისიას ეძღვნება, რომ „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“ იოანე ზოსიმეს დიდი წვლილი მიუძღვის სასულიერო მწერლობისა და ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყლიბების საქმეში.

6. ექვთიმე მთაწმინდელი

იყო X-XI საუკუნეების ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 წლებში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. ექვთიმე მთაწმინდელის მამა, სამცხის ერთ-ერთი დიდებული იოანე (თორნიკე ერისთავის ძმა), ქართველთა სამონასტრო კოლონიის ფუძემდებელი იყო ათონზე. ბერად აღკვეცის შემდეგ მცირეწლოვანი ექვთიმეს აღზრდა იოანეს სიმამრმა და ცოლისძმებმა იკისრეს. ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერატორმა დავით კურაპალატს „ზემონი ქუეყანანი“ (იმიერ ტაო, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) დაუთმო და მძევლად აზნაურთა შვილები მოითხოვა. მძევალთა შორის აღმოჩნდა ექვთიმეც. იოანემ იმპერატორის

ნებართვით შვილი დაიბრუნა და ულუმბოს მთაზე მიიყვანა. 965 წელს იოანე ათონის მთაზე გადასახლდა და ათანასეს ლავრაში დაემკვიდრა. მას თან გაჰყვა ექვთიმე და რამდენიმე მოწაფე. იოანეს გარდაცვალების შემდეგ ექვთიმე მთაწმინდელი ივერთა მონასტრის წინამძღვარი გახდა. პრაქტიკული საქმიანობა აფერხებდა მის ლიტერატურულ მუშაობას. 14 წლის შემდეგ მან დატოვა წინამძღვრის თანამდებობა. ექვთიმე მთაწმინდელის ღვაწლი აღწერა გიორგი მთაწმინდელმა. ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმე მთაწმინდელმა 975-977 წლებში დაიწყო. იგი ბავშვობიდანვე ფლობდა ბერძნულ ენას, თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. მისი ბიოგრაფი ასახელებს „ბალავარს“, „სიბრძნე ბალავარისი“ და „აბუკურას“ ექვთიმე მთაწმინდელს ბერძნულადაც დაუწერია თხზულება სამონაზვნო ცხოვრების წესების შესახებ. მან ქართული მწერლობა გაამდიდრა ბიზანტიელი მოღვაწეების თხზულებათა თარგმანებით. არ დარჩენილა სასულიერო მწერლობისა არც ერთი დარგი, რომელშიც ექვთიმე მთაწმინდელს განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღოდეს. ძველი და ახალი აღთქმის წიგნთაგან ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა სახარება ოთხთავი, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება და დავითნი; მის მიერ თარგმნილ თხზულებათაგან ასევე აღსანიშნავია ანდრია კრეტელის „თარგმანი იოანე მახარებლის ხილვისაჲ“, იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ“, „თარგმანებაი მათეს სახარებისაჲ“, ბასილი კესარიელის „თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ“ და „ითიკა“ და სხვა ეგზეგეტიკური თხზულებანი. მანვე თარგმნა ასკეტურ-მისტიკური ხასიათის მრავალი ძეგლი, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის და ეფრემ ასურის თზხულებები, გრიგოლ I დიდის დიალოგები, იოანე სინელის „კლემაქსი“, ანდრია კრეტელის „ამაოებისას კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათჳს“ და სხვ. ექვთიმე

მთაწმინდელმა თარგმნა მრავალი ჰომილეტიკური ძეგლი, იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური კრებული „მარგალიტი“ ასევე თარგმნა კიმენური და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ძეგლები.ექვთიმემთაწმიდელმაშეადგინანუსხაიმწიგნებისა, რომლებიც საბერძნეთში აპოკრიფულად (არაკანონიკურად) იყო მიჩნეული. ამ ნუსხით ის აფრთხილებდა ქართველებს, თავი შეეკავებინათ აპოკრიფული წიგნების კითხვისაგან. მიუხედავად ამისა, ექვთიმე მთაწმინდელმა თავად თარგმნა რამდენიმე აპოკრიფული საკითხავი და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებაშიც. ფილოსოფიისადმი ექვთიმე მთაწმინდელის ინტერესის მაჩვენებელია იოანე დამასკელის შრომათა თარგმანები. მას ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია „სარწმუნოებისათჳს“ (იგივე „წინამძღუარი“), რომელიც იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შემოკლებული რედაქციაა. ეს ძეგლი 24 სტატიისაგან შედგება. „გარდამოცემის“ პარალელურად, მას დამასკელის სხვა შრომებიც გამოუყენებია და მისთვის ჩვეული გამოკრებილი რედაქცია შეუქმნია. ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია აგრეთვე იოანე დამასკელის „ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა“ აქ მთარგმნელს დამასკელის ანტიმონოთეისტური თხზულებებიდან ამოღებული ციტატების საფუძველზე, თავისებური კრებული შეუდგენია. ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანების ენა სადა და დახვეწილია, თხრობა ყოველთვის ლაღი და ბუნებრივი. ბიოგრაფის სიტყვით, მან „აღაყუავა ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმინდათა წერილთაჲთა და ყოველნივე განაკჯრნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ, არცაღა გამოჩინებად არს.“ ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდი დიდხანს გეზს აძლევდა და განსაზღვრავდა ქართველ მთარგმნელთა მუშაობას. იგი იყო გამორჩეული სასულიერო მოღვაწე, რომელმაც უდიდესი როლი შესასრულა საქართველოს ისტორიაში. მან როგორც „ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად

პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა და საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის."[1]

7. გიორგი მთაწმინდელი X საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელი. გიორგი მთაწმინდელი დაიბადა თრიალეთში, ადგილობრივი დიდებულის იაკობის ოჯახში. სწავლობდა ტაძრისის, შემდეგ კი ხახულის მონასტრებში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი ბიძები გიორგი მწერალი და საბა. შემდეგ ბიძამ გიორგი კონსტანტინოპოლს წაიყვანა. იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და ეზიარა ბიზანტიურ კულტურას.

1034 წელს გიორგი მთაწმინდელი სამშობლოში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში. 1039 წელს ჩავიდა სირიაში, შავ მთაზე და გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. იმავე წელს იერუსალიმს გაემგზავრა. წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ დაბრუნდა შავ მთაზე თავის მოძღვართან ერთად და 1040 წელს, მისივე რჩევით, ათონს გაემგზავრა. 1044 წელს გიორგი მთაწმინდელი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მის იშვიათ შემოქმედებით და ორგანიზატორულ ნიჭს სათანადო ასპარეზი მიეცა. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონასტერი და იგი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერად აქცია. გიორგი მთაწმინდელი, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის თხოვნით, ერთხანს დაბრუნდა საქართველოში, ზედმიწევნით შეისწავლა ის პრობლემები, რაც ქართულ ეკლესიაში იყო და სცადა მაღალი სასულიერო იერარქების შეგონება, რომ სიმდიდრისაკენ ლტოლვა ჭეშმარიტი

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951:189.

ქრისტიანისათვის უცხო უნდა იყოს, მაგრამ მისი შეგონება მიუღებელი აღმოჩნდა ამქვეყნიური სიამით გატაცებული მაღალიერარქებისათვის, ამიტომ გიორგი მთაწმინდელმა დატოვა საქართველო და კვლავ ათონზე გაემგზავრა, თან წაიყვანა 80 ახალგაზრდა, რომელთაც მიაღებინა საფუძვლიანი განათლება. ეს ახალგაზრდები შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში და, სავარაუდოდ, სწორედ მათ დაეყრდნო დავით აღმაშენებელი დიდი საეკლესიო რეფორმის განხორციელების დროს. გიორგი მთაწმინდელი უარყოფდა წოდებრიობის უპირატესობას ეკლესიაში, რაც შემდეგში განახორციელა დავით აღმაშენებელმა. გიორგი მთაწმინდელი იცავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ავტოკეფალიას ანტიოქიის პატრიარქთან გამართულ პოლემიკის დროს 1057 წელს.

გიორგი მთაწმინდელი ნაყოფიერად იღვწოდა ქართული საეკლესიო ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ცნობილია ბიბლიის ახალი, ე. წ. „გიორგისეული რედაქცია“ მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი (სახარება-ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი), სხვა წიგნები კი შეასწორა და ბერძნულ დედანთან შეაჯერა. გიორგი მთაწმინდელმა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართულ ჰაგიოგრაფიას და აპოკრიფულ მწერლობას, ჰიმნოგრაფიასა და საეკლესიო სამართალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის მხატვრული მატიანეა. გიორგი მთაწმინდელის ორიგინალური იამბიკოები და ნათარგმნი მდიდარი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მისი პოეტური კულტურის დადასტურებაა. გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე ალექსანდრიელის, იოანე დამასკელის, ნექტარი კონსტანტინოპოლელის, დოროთეოს ტვირელის და სხვათა თხზულებანი. მისი ბიოგრაფის სამართლიანი თქმით,

„ესევითარი თარგმანი, თჳინიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა“ „გიორგი მთაწმინდელი შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში, მან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველ დარგში. ის იყო უდიდესი პატრიოტი, რომელსაც არ ავიწყდებოდა სამშობლოს ინტერესები არც სამშობლოში, არც უცხოეთში. საქართველოს სახელი და დიდება მან გაიტანა შორს, დასავლეთში.“[1]

8. ეფრემ მცირე

XI საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ფილოლოგი და მთარგმნელი მოღვაწეობდა შავ მთაზე (სირიაში). მისი რედაქტირებულია: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი და ეპისტოლენი პავლე მოციქულისა. მას უთარგმნია იოანე ოქროპირის შრომა, ასევე დავითნი. ეფრემ მცირეს უთარგმნია იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, რომელიც ასე დაუსათაურებია: „გარდამოცემაი უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაი“, ასევე ასკეტიკა ბასილი დიდისა. აგიოგრაფიასა და ისტორიაში ეფრემ მცირის თარგმანებია: ცხოვრება პელაგია ანტიოქიელისა, წამება დიმიტრისი, წამება იერონისი და მისთანათა, წამება მინა ეგვიპტელისა, ცხოვრება წმ. იოანე ოქროპირისა, ცხოვრება გრიგოლ ნეოკესარიელისა, ცხოვრება იოანე დამასკელისა, და სხვა.

ეფრემ მცირეს ეკუთვნის „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ მისი მტკიცებით, ქართველები ნამდვილად IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანდნენ და იმოწმებს ანტიოქიის საპატრიარქოში კარგად ცნობილ ისტორიკოსებს: თეოდორე კვირელსა და ევაგრეს. მისივე მტკიცებით, ქრისტიანობა I საუკუნეში იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და ბართლომე მოციქულმა, ხოლო VIII საუკუნეში ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ დაადასტურა ქართლის

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951:196.

ეკლესიის მეთაურის კათოლიკოზობის ტიტული. ამ თხზულებით მან განამტკიცა ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობა პირველად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და ამიტომ იყო საქართველოს ეკლესია სამოციქულო. ეფრემ მცირეს გადმოუქართულებია ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის ოცდაექვსი სიტყვანი, ამფილოქე იკონელის, ევსუქი იერუსალიმელის, თეოდორე სტოდიელის, სოფრომ იერუსალიმელის, იოანე ოქროპირის, ანასტასი სინელის, იოანე დამასკელის, ბასილი დიდი შრომები. ეფრემ მცირემ, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის შეფასებით, „დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმესა და გიორგი მთაწმინდელების სამწერლო ღვაწლი“

9. არსენ იყალთოელი

XI-XII საუკუნეების სასულიერო მოღვაწე, წარმოშობით იყალთოდან (აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი) ყოფილა. განათლება მიიღო ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში. აქვე დაუწყია მთარგმნელობითი მოღვაწეობა. XI საუკუნის 80-იან წლებში წავიდა შავ მთაზე, სადაც მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. ეფრემ მცირის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა მანგანის მონასტერში, შემდეგ, თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად, ჩამოვიდა საქართველოში, მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში. მას მიაწერენ იყალთოს აკადემიის დაარსებას.

იგი საბოლოოდ დამკვიდრდა შიომღვიმის მონასტერში. არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში „დოგმატიკონში“ გააერთიანა ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის თხზულებები. ის თავის თარგმანებს ურთავდა ფილოლოგიურ და ფილოსოფიური თვალსაზრისით საინტერესო შენიშვნებს. მასვე ეკუთვნის სასულიერო შინაარსის იამბიკოები, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი, თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს, აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.“

მისი შედგენილი ფიზიკის სახელმძღვანელოთი სწავლობდნენ გელათის აკადემიაში. იგი, როგორც განათლებული პიროვნება, მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ეკლესიის გაჯანსაღებას და რელიგიურ-დოგმატიკური საკითხების გადაწყვეტას. მას უთარგმნია „დიდისჯულის კანონი“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, არსენს მონაწილეობა მიუღია ქართველთა და სომეხთა საეკლესიო პაექრობაში და ღირსეულად დაუცავს ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები.

10. იოანე პეტრიწი

XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი. ახალგაზრდობაში საფუძვლიანი განათლება მიიღო ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში. ერთხანს მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში, შემდეგ შავ მთაზე ეფრემ მცირესთან. დავით აღმაშენებლის მოწვევით დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა გელათის აკადემიას. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მემკვიდრეობა წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებით: „განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისად“. თარგმნა არისტოტელესორი თხზულება: „ტოპიკა“ და „განმარტებისათვის“ („პერი-ჰერმენეია“), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (გამოიცა 1914 წელს), პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ („თეოლოგიის ელემენტები“), ამონიოს ჰერმიას „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისა“ და „მოსახსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისთა“ „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის“ პეტრიწისეული თარგმანი უძველესად ითვლება პროკლეს თხზულების მსოფლიოში ცნობილ თარგმანთა შორის.

იოანე პეტრიწმა შექმნა ლიტერატურულ სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დასკვნით: „მისი ფილოსოფიური მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო ქრიტიანული თეოლოგიის გამართლება ფილოსოფიის გამოყენებით, როგორც ფორმალურად დიდაქტიკურად, ისე შინაარსობრივადაც".[1]

11. ნიკოლოზ I გულაბერის ძე

საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი 1149-1178 წლებში. კათოლიკოზი ნიკოლოზ I განათლებული სასულიერო პირი, პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის მიმდევარი, პროგრესულად მოაზროვნე და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას მომხრე, თუმცა, გიორგი III-ის მიერ დემნა უფლისწულის სასტიკად დასჯის გამო, 1178 წელს, მან დატოვა კათოლიკოზ-პატრიარქობა და იერუსალიმში უბრალო ბერად წავიდა. 1184 წელს ნიკოლოზი თამარ მეფემ იერუსალიმიდან მოიწვია საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. იგი მონაწილეობდა იმ საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც კათოლიკოზ-პატრიარქ მიქაელ მირიანის ძის გადაყენება უნდოდა. კრებამ, მეფის სურვილის მიუხედავად, მიქაელ მირიანის ძის ვერანაირი ბრალეულობა ვერ დაამტკიცა და ვერც პატრიარქობიდან გადააყენა. ნიკოლოზ I-ს ეკუთვნის თხზულება „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა" მასში აღწერილია საუფლო კვართისა და წმინდა ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი, აგრეთვე სვეტიცხოვლის ძველი და ახალი სასწაულთმოქმედება. თხზულებას ბოლოში დართული აქვს შესხმა „გიხაროდენ" ავტორის მტკიცებით, საქართველოს განმანათლებელი ქალი წმინდა ნინო იმიტომ აირჩია უფალმა, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრი იყო. ქალის უპირატესობა კიდევ ის იყო, რომ მაცხოვრის აღდგომა პირველად ეუწყა დედაკაცს, მის მიერ კი სხვებს ეხარაო.

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ.1. 1951:285.

12. სულხან-საბა ორბელიანი

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის სასულიერო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი. მან მიიღო კარგი განათლება როგორც საერო, ისე სასულიერო მეცნიერებაში. მას, როგორც უნიჭიერეს კაცს, ქართლის სამეფო კარზე დაევალა მომავალი ტახტის მემკვიდრის ვახტანგ ლევანის ძის (ვახტანგ VI) აღზრდა. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება სახელმწიფოებრივ, სამწერლო და სამეცნიერო საქმიანობაში. 1698 წლის 18 მარტს, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, საბას სახელით ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. 1703 წლიდან, ქართლის ახალი გამგებლის, ვახტანგ VI-ის დავალებით, სულხან საბა ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში. 1710 წლის 1 დეკემბრიდან 1711 წლის 20 თებერვლამდე იმყოფებოდა სვარასანში, ქაიხოსრო მეფესთან. სამშობლოში დაბრუნდა 1711 წლის 11 მაისს. 1712 წლის 23 აპრილიდან 2 ნოემბრამდე, ვახტანგ მეფესთან ერთად, ისპაჰანში იმყოფებოდა. სამშობლოში დაბრუნდა 20 დეკემბერს. 1713 წლის 17 აგვისტოს საფრანგეთში გაემგზავრა, მოიარა პარიზი, ჟენევა, სიცილია და რომი. 1715 წლის 19 იანვარს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც შეუდგა „ლექსიკონის" წერას, რომელიც 1716 წლის 20 იანვარს დაასრულა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, სულხან-საბა ორბელიანმა მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა. ირან-ოსმალეთის მუდმივი აგრესიისაგან განაწამებ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის სულხან საბა ორბელიანს, სურდათ, მოესინჯათ ნიადაგი დასავლეთ ევროპასთან პოლიტიკური კავშირისათვის. ორბელიანი ეწვია საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-სა და რომის პაპს კლიმენტი XI-ს, რათა ეთხოვა როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური დახმარება ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გამოსახსნელად. მისი დიპლომატიური მისია მარცხით დამთავრდა. იმედგაცრუებულმა ორბელიანმა დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში. 1724 წელს,

ქართლში ოსმალთა შემოსევის გამო, იგი ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან ერთად გადაიხვეწა რუსეთში, სადაც მალე გარდაიცვალა. დაკრძალეს ვსესიატსკოეში (რუსეთის ფედერაცია). მის კალამს ეკუთვნის „ქართული ლექსიკონი“, „იგავ-არაკთა კრებული“, „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“

13. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ I

(ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი 1720-1788 წ.წ.), დიდი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. 1738 წელს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონის სახელით. 1739 წელს ანტონ I-მა მიიღო გელათის წინამძღვრობა. 1740 წელს გახდა ქუთაისის მიტროპოლიტი. 1743 წელს დაბრუნდა დავით გარეჯის სავანეში. 1744 წელს, 24 წლის ასაკში, იგი აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად აირჩიეს. ანტონ I მტკიცედ შეუდგა ნიადაგშერყეული და შევიწროებული ქართული ეკლესიის გაძლიერებისათვის ზრუნვას, ბრძოლას მეფისა და კათოლიკოზის ძალაუფლების განსამტკიცებლად; აღადგინა ბევრი გაპარტახებული ეკლესია-მონასტერი, დაიწყო სწავლა-განათლებისა და სასტამბო საქმის მოწესრიგება, გარს შემოიკრიბა საქმიანი და განათლებული ადამიანები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. ანტონ I ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო და განსაკუთრებით დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. მათთან ერთად გეგმავდა ქვეყნის საგანმანათლებლო და რელიგიურ განახლებას, სტამბის აღდგენასა და მთარგმნელობითი სკოლის ჩამოყალიბებას. ანტონისა და კათოლიკე ბერების ახლო ურთიერთობით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა, ანტონ I-ს გაკათოლიკება დასწამეს და „მწვალებლად“ აღიარეს. მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებაზე, 1755 წელს, ანტონი არ დაასწრეს, რათა სიტყვა არ მიეცათ, თუმცა კათოლიკოზი ამას ითხოვდა. კრებამ ანტონი

კათოლიკოზობიდან გადააყენა და ერთ-ერთ სოფელში (კავთისხევში) გაუშვა, ხოლო მისი თანმხლები სამი ქართველი კათოლიკე სასულიერო პირი საჯაროდ დასაჯა. მალე ანტონი რუსეთში გაემგზავრა, 1756-1762 წლებში იგი ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი იყო. 1763 წელს ერეკლე II-მ რუსეთიდან დააბრუნა, ხოლო საეკლესიო კრებამ კვლავ აირჩია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად. საქართველოში დაბრუნებისთანავე ანტონ I-მა განაგრძო ინტენსიური სახელმწიფო, საეკლესიო და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა. 1772 წელს ერეკლე II-მ საგანგებო მისიით გაგზავნა რუსეთში, სადაც ანტონ I-ის უშუალო მონაწილეობით მომზადდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი (ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება). მისი ღვაწლით, თბილისში განახლდა ვახტანგ VI-ისეული სტამბა. მან მკვიდრ ნიადაგზე დააყენა განათლების საქმე. ერეკლე II-ის დახმარებით თანდათან გარდაქმნა ნახევრად კერძო ეპარქიული პირველდაწყებითი სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად, დააარსა თბილისის (1755 წელს), შემდეგ კი თელავის (1782 წელს) სემინარიები. ერეკლე II-თან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი (თბილისში, გორსა და თელავში). მან თვითონვე მოკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, ამ მიზნით გამოიყენა თავისი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები „ქართული ღრამმატიკა“ (1753 წ.), სხვადასხვა ავტორების შრომები: ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკის და სხვ. დარგებში. ამასთან ერთად, „ქართული ღრამმატიკის“ გარდა მან შეადგინა პირველი სრული სასკოლო გრამატიკა და ქართული ენის პირველი გრამატიკაც, რომელშიც ავტორი განსაცვიფრებელი ენობრივი ინტუიციის წყალობით ამჩნევს და აღნუსხავს ქართული ენისათვის ნიშანდობლივ მნიშვნელოვან მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს. მანვე შეადგინა ფიზიკის პირველი ჩვენამდე მოღწეული ქართული სახელმძღვანელო, აგრეთვე

თარგმანი ქ. ვოლფის ნაშრომისა „ფისიკა თეორეტიკებრი ვოლფიუსისა“, რომლითაც ანტონ I თვითონ ასწავლიდა ფიზიკას თბილისის სემინარიაში (მის ლექციებს ერეკლე II-ც ესწრებოდა). მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში. თარგმანს დართული აქვს 246 კომენტარი, რომლებიდანაც ჩანს, რომ ანტონ I ღრმად იყო განსწავლული ბუნებისმეტყველებაშიც. ანტონ I-მა მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მან მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში. მის პოლემიკურ თხზულებაში „მზამეტყველება“, საეკლესიო საკითხებთან ერთად, განხილულია ფილოსოფიური პრობლემატიკაც. „წყობილსიტყვაობაში“ განხილულია რუსთაველის, პეტრიწის, სარგის თმოგველის, ჩახრუხაძის, სულხან საბა ორბელიანის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა. ანტონ I-მა ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო პორფირიოსის, ბაუმაისტერის, ლაიბნიცის, აგრეთვე მხითარ სებასტიელის, სვიმონ ჯულფელისა და სხვების ნაწარმოებებს. ანტონ I შეეცადა საქართველოში დაენერგა სამი სტილის თეორია, რომლის თანახმად, „მაღალ მატერიაზე“ „მაღალი სტილით“ უნდა ეწერათ, ისტორიის თხრობა „საშუალო სტილს“ მოითხოვდა, საყოფაცხოვრებო მოვლენები „დაბალ სტილს“ თვით ანტონ I მეტწილად „მაღალი სტილით“ წერდა. მის თხზულებათა ენას იოანე პეტრიწის ენის დიდი გავლენა ეტყობა. 1740-იანი წლებიდან ანტონ I-მა აღზარდა მრავალი მოწაფე-მიმდევარი და შექმნა მთელი სკოლა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა იმდროინდელი ქართული საზოგადოების ცხოვრების, აზროვნებასა და მწერლობის ისტორიაში. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: იონა გედავანიშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, გაიოზ და დავით რექტორები. „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათოლიკოზის

ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში".[1]

14. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ანტონ II

ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1762-1827 წ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათოლიკოზ-პატრიარქი. თეიმურაზ ბაგრატიონი ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა ბერად. ბერობისა და იეროდიაკვნობის მიღების შემდეგ, 1773 წელს, ძმასთან, მირიანთან ერთად გაემგზავრა რუსეთში. მეფე ერეკლე II-ის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, 1784 წელს, ცარსკოე სელოს ეკლესიაში რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორის და მისი უმაღლესი სასახლის წევრების თანდასწრებით, ეკურთხა ეპისკოპოსად. გამწესებულ იქმნა ნინოწმინდელ მიტროპოლიტად. იმავე წელს, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი, გადაყვანილ იქნა ალავერდელ მიტროპოლიტად, ამ წოდების ტარებას და ალავერდის ეპარქიის მართვას კათოლიკოზ–პატრიარქობის დროსაც აგრძელებდა. მამის ერეკლე II სურვილის თანახმად, 1788 წელს დაბრუნდა საქართველოში და იმავე წლის 20 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად. 1801 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ანტონი დაასაჩუქრა სერაფიმებით მორთული თეთრი ბარტყულათი, ზედ ბრილიანტის ჯვრით, 1801 წლის 15 სექტემბერს უბოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი. 1811 წელს კი იმპერატორის ბრძანებულებით, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. კათოლიკოზი ანტონ II იძულებით გაასახლეს რუსეთში, სადაც იგი რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრი ხდება. კათოლიკოზი ანტონი ვერ ეგუებოდა პეტერბურგში გადასახლებას, არ ესწრებოდა უწმიდესი სინოდის სხდომებს. საბოლოოდ ის ნიჟნი ნოვგოროდში დამკვიდრდა, სადაც 1827 წელს გარდაიცვალა.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ. 1951:358.

15. ეპისკოპოსი წმინდა გაბრიელ ქიქოძე

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) (1825-1896 წ.წ.) დაიბადა გურიის (დასავლეთ საქართველო) სოფელ ბახვში. 1844-1849 წლებში სწავლობდა პატერბურგის სასულიერო აკადემიაში, 1858 წლიდან გორის, ხოლო 1860 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსია. მან დასავლეთ საქართველში გახსნა 100-მდე სამრევლო სკოლა და ბიბლიოთეკა, ქუთაისის ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს - ქუთაისის სასულიერო სემინარია, მფარველობდა და მატერიალურად ეხმარებოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს. 1887 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა „ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, მისი ფინანსური შემწეობით რესტავრაცია ჩაუტარდა ნიკორწმინდის, ბიჭვინთის, მოქვის, ილორის ეკლესიებს, იმერეთში აშენდა 200-ზე მეტი ეკლესია.

ეპისკოპოსი გაბრიელი განსაკუთრებული დამსახურებისათვის არჩეულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრად. ეპისკოპოს გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ამ ტიპის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო მთელ რუსეთის იმპერიაში და ადასტურებდა მისი ავტორის ღრმა განსწავლულობას. იგი მკაცრად ამხელდა რუსეთის ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში, არაერთხელ დაუპირისპირდა კავკასიის განათლების მზრუნველ კირილე იანოვსკის, ეგზარქოს პავლე ლებედევს, კოსმოპოლიტიზმითა და ეროვნული ნიჰილიზმით დაავადებულ გადაგვარებულ ქართველ თავად გიორგი მუხრანბატონს. ეს უკანასკნელი ქართული ენის დაცვას ფუჭ საქმედ მიიჩნევდა, ვინაიდან, მისი აზრით, დროთა განმავლობაში ქართული ენის გაქრობა მაინც მოხდებოდა. მეუფე გაბრიელმა მეცნიერულად დაასაბუთა ამ გადაგვარებულიქართველის მოსაზრებათა უსაფუძვლობა. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით, მეუფე გაბრიელი „ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად.“ 1896 წლის იანვარში მეუფე



წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)

გაბრიელი შეუძლოდ შეიქმნა, ექიმებმა ვერ შეუმსუბუქეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ მღვდელმთავარს მდგომარეობა. 25 იანვარს იგი გარდაიცვალა. დაკრძალეს გელათის მონასტერში. გელათში წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძემ ასე დაახასიათა განსვენებული მღვდელმთავარი: „დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება... აი, ჩვენს წინაშე მდებარეა იგი, მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი. თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ, რომელიც 1995 წლის 19 სექტემბერს გაიმართა, ეპისკოპოსი გაბრიელი წმინდანად შეირაცხა. მისი ხსენების დღედ დაწესდა ძველი სტილით 25 იანვარი (7 თებერვალი).

16. ეპისკოპოსი წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე

ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე, დაიბადა 1824 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში, მღვდლის ოჯახში. ბავშობიდანვე ეკლესიურ ცხოვრებას ნაზიარებმა, სწავლა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. 1845 წელს, თბილისის სემინარიის კურსის დამთავრებისთანავე, იგი თბილისის ფერისცვალების მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ალექსანდრე უწოდეს, იმავე წლის 18 აგვისტოს აკურთხეს მთავარდიაკვნად. ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა, წარჩინებით დაამთავრა იგი და სამშობლოში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა.

პირველ ხანებში, 1851 წლის 27 ივნისამდე, იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა საღმრთო წერილსა და ლათინურს, ზნეობრივ ღვთისმეტყველებასა და არქეოლოგიას. ამის შემდეგ, უწმიდესი სინოდის ბრძანებით (1851 წ. 21 სექტემბერი), მღვდელმონაზონი ალექსანდრე დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, მასვე მიენდო მღვდელმონაზონთა ხელმძღვანელობა აფხაზეთის ეპარქიაში, შეთავსებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. ეპისკოპოსი ალექსანდრე უმთავრეს საქმედ მიიჩნევდა ირგვლივ მყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას, აფხაზეთში ჩასულმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ილორში დაარსებულ სასწავლებელს. დაუღალავი ღვაწლისათვის მას აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდეს. 1869 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე აფსაზეთიდან ქართლ-კახეთის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. 1882-1885 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას, სოლო 1903 წლამდე გურია-სამეგრელოს ეპარქიას. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მკაცრად გაილაშქრა დეკანოზ ი.ვოსტორგოვის გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა და ჩაშალა ხელისუფლების ზრახვები, რის გამოც მას რუსეთის იმპერატორთან აბეზღებდა რენეგატი ქართველი ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე). ეპისკოპოს ალექსანდრეს ფინანსური დახმარებით, 1878 წელს თბილისში დაარსდა ქალთა სასწავლებელი, რომელმაც ქართველ ერს აღუზარდა მრავალი განათლებული ქალი და შესანიშნავი დედა.

ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ გაღებული ხარჯით დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და ისტორიული შინაარსის წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობელთა კრებული. წმინდა ალექსანდრეს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი სარწმუნოებრივ-ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის

გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მღვდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოდებული დამცველი იყო ქართული ენისა. მან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად. ამის შემდეგ მხცოვანი ეპისკოპოსი დიდხანს აღარ დარჩენილა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და უწმიდესი სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის" საფუძველზე, გაათავისუფლეს ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და „მოსასვენებლად" თავისსავე აღდგენილ შიომღვიმის მონასტერში გაგზავნეს, სადაც 1907 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა. განსვენებული 16 ნოემბერს დაკრძალეს იმავე მონასტერში. 1995 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლი ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ ეპისკოპოსი ალექსანდრე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 26 (8.11) ოქტომბერი.

17. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე

ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე, დაიბადა 1861 წლის 15 თებერვალს გორის მაზრის სოფელ დისევში. 1867 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გადავიდა სტავროპოლის სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1884-1888, წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. აქვე აღიკვეცა ბერად, მალე აკურთხეს მღვდელმონაზვნად და დაბრუნდა საქართველოში. 1888 წელს იგი დაინიშნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ დაარსებული სკოლების ინსპექტორად. 1891-1897 წლებში ბერ-მონაზონი ლეონიდე მუშაობდა ჯერ ქართლ-კახეთის სინოდის კანტორის წევრად, 1897 წლიდან მღვდელ-მონაზონი ლეონიდე დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარია. 1898 წლის 17 აპრილს არქიმანდრიტი ლეონიდე აღყვანილ

იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. ეპისკოპოს ლეონიდეს მოღვაწეობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას, რუსი ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკის მხილებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი საინტერესო გამოკვლევები, პოლემიკური წერილები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქართული საზოგადოებრივი აზრის მომზადებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მხარდასაჭერად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1906 წელს პეტერბურგში გამართულ სინოდის იმ სხდომებში, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იხილავდა. თავის გამოსვლაში მეუფე ლეონიდემ აღნიშნა: „დღეს ქრისტიანობა საქართველოში განიცდის საშინელ კრიზისს, სალხი არ დადის ეკლესიებში, სრულიად აჰყარა პატივისცემა სამღვდელოებას, მღვდლების მოქმედებას და სწავლა-დარიგებას აღარ აქვს გავლენა მრევლზედ. როგორც სამღვდელოება, ისე მორწმუნე ნაწილი ქართველი ერისა, ერთადერთ საშუალებად იმისა, რომ არ მოისპოს საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში და სამღვდელოებამ მოიპოვოს კვლავინდელი ნდობა სამწყსოსი, თვლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არჩევნებითი სისტემით. ეს დასკვნა ერისა და სამღვდელოებისა საბოლოოა, მეტად მტკიცეა და ვერავითარი მოსაზრება ვერ შეაცვლევინებს მათ ამ რწმენას.“ 1917 წლის 12(25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. იგი დაინიშნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ. 1917 წლის 23 აგვისტოდან 1919 წლის 23 თებერვლამდე მიტროპოლიტი ლეონიდე იყო საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, იგი 1918 წლის 26 მაისს მთავრობის სასახლეში ესწრებოდა საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, გარდაიცვალა 1921 წლის 11 ივნისს ქოლერის ეპიდემიისგან. 17 ივნისს დაიკრძალა თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძარში.

XII. საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირულნი

მრავალრიცხოვან მტრებთან განუწყვეტელ ომებში ეკლესიური და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს საკუთარი სიცოცხლის მსხვეპლად შეწირვის მაგალითს აძლევდნენ როგორც რიგითი, ასევე მაღალი სასულიერო იერარქები, სამეფო ოჯახის წევრები, ერისთავები. ისინი უშიშრად ამხელდნენ დამპყრობელთა ნამდვილ ზრახვებს და ქვეყნის ეროვნული და ეკლესიური ინტერესების დასაცავად თავგანწირისათვის მზად იყვნენ.

1. არგვეთის ერისმთავარნი წმინდა დავით და წმინდა კონსტანტინე მხეიძეები

VIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ილაშქრა სისასტიკით ცნობილმა არაბმა სარდალმა მერვან იბნ მუჰამედმა (მურვან ყრუ), რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში არ დატოვა არცერთი ცისე-სიმაგრე და დასახლებული პუნქტი, რომელიც არ დაარბია. შემდეგ გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მას ქუთაისთან ბრძოლა გაუმართეს არგვეთის ერისმთავრებმა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა. არაბებს უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და ბრძოლა მოიგეს, მათ შეიპყრეს ძმები მხეიძეები და მოსთხოვეს გამაჰმადიანება. უარის მიღების შემდეგ ისინი სასტიკად აწამეს და მათი ნეშტები მდინარე რიონში გადაყარეს. ხალხმა ღამით მოახერხა ნაწამები ძმების ნეშტების მოძებნა და მდ. წყალწითელას ხეობაში გადასვენება, სადაც მათი ნეშტები სპეციალურად აგებულ ეკვტერში დაასვენეს, ხოლო საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ მათ სახელზე ეკლესია ააშენა. სარწმუნოებისთვის თავდადებული ერისმთავრები საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მოწამეთობა ყოველწლიურად აღინიშნება 15 ოქტომბერს.

2. წმინდა აბო ტფილელი

VIII საუკუნეში, საქართველოში არაბთა ბატონობის დროს, ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახურმა, წარმოშობით არაბმა ჭაბუკმა აბომ უარყო ისლამი და გაქრისტიანდა. როდესაც ეს არაბებმა გაიგეს, აბო დააპატიმრეს და მოსთხოვეს მაჰმადიანობაზე დაბრუნება, მაგრამ მან უარი განაცხადა. განრისხებულმა არაბებმა ის სიკვდილით დასაჯეს 786 წლის 6 იანვარის თბილისში, მეტეხის ხიდთან. წმინდა აბო თბილისის მფარველად ითვლება.

3. წმინდა კონსტანტი კახი - არაბებმა მას მოსთხოვეს გამაჰმადიანება, მაგრამ ქართლის ერისთავმა **კონსტანტი კახმა** უარი განაცხადა სარწმუნოების შეცვლაზე, ამიტომ იგი 853 წლის 26 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს.

4. წმინდა თევდორე კველთელი

1609 წელს ქართლში ყირიმელი თათრები შემოვიდნენ. მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ლუარსაბ II სადღაც ახლოს, ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა, მაგრამ გზა არ იცოდნენ, საიდან შეიძლებოდა იქ მისვლა. გზაში, სოფელ კველთასთან, ერთი მღვდელი დაიჭირეს, სახელად თევდორე, და მოსთხოვეს მეგზურობა. მღვდელმა მტრის ჯარი სხვა გზით წაიყვანა და საკმაო მანძილით დააშორა სოფელ კველთას, ამასობაში ქართველებმა მტრის შემოსევა გაიგეს და სათანადოდ მომზადებული დახვდნენ მათ. განრისხებულმა თათრებმა თევდორე მღვდელი წამებით მოკლეს. თევდორე კველთელის ხსენების დღეა 21 (ძვ. სტილით 8) ივნისი.

5. წმინდა ლუარსაბ II - ქართლის მეფე (1606-1615 წ.წ.). 1615 წელს ქართლში წარმატებული ლაშქრობის დროს ირანის შაჰმა აბას I-მა **ლუარსაბ** მეფე დაატყვევა და ირანში წაიყვანა. შაჰმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, ამიტომ, მისი ბრძანებით, 1622 წელს ლუარსაბ

მეფე სიკვდილით დასაჯეს. საქართველოს ეკლესიამ სარწმუნოებისთვის თავდადებული მეფე წმინდანად შერაცხა. 4 ივლისი (ძვ. სტ. 21 ივნისი) მისი ხსენების დღეა.

6. კახთა სამეფოს დედოფალი წმინდა ქეთევანი

ქართლის მეფის თეიმურაზ I-ის დედა იყო. იგი აქტიურად იბრძოდა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. 1614 წელს ქეთევან დედოფალი მოსალაპარაკებლად შეხვდა შაჰ აბას I-ს, რომელმაც დაატყვევა დედოფალი და ირანში გაგზავნა. 1620 წლიდან ქეთევან დედოფალი შირაზში (ირანის ქალაქი) იმყოფებოდა. შაჰმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზედაც დედოფალმა კატეგორიული უარი განაცხადა. 1624 წლის 13 სექტემბერს, შაჰის ბრძანებით, ქეთევან დედოფალი წამებით მოკლეს შირაზში. მისი წამების ამბავი დაწვრილებით აქვთ აღწერილი ქართველ ისტორიკოსებს: ბერ ეგნატაშვილს, ფარსადან გორგიჯანიძეს, სომეხ ისტორიკოს არაქელა დავრიჟეცს, ევროპელ კათოლიკე მისიონერებს: ამბროზიო დუს ანჯუშს, არქანჯელო ლამბერტის, დონ კრისტეფორ დე კასტელს. გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა 1648 წელს მას მიუძღვნა პოემა „გაუტეხელი სიმტკიცე ქართველი დედოფლისა კატირინა ქართველი“ საქართველოს ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 26 სექტემბერი.

7. კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ევდემოზი დიასამიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მართავდა 1634 წლიდან, გამაჰმადიანებული მეფის, როსტომ-ხანის დროს (1632-38 წ.წ.). როსტომს ქართლ-კახეთის მმართველობა შაჰ სეფმა ჩააბარა ქართლიდან თეიმურაზის განდევნის შემდეგ. გამაჰმადიანებულმა მეფემ ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის და მარიამი, მას არ მოსთხოვა გამაჰმადიანება, პირიქით, ხელს უწყობდა ქრისტიანული საქმეების აღსრულებაში, გარეგნულად კარგად ექცეოდა სასულიერო წოდებას, სამღვდელოებას

ჯამაგირი დაუნიშნა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს, XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის თქმით: „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... შემოვიდა ზოგ-ზოგად ტყვის სყიდვა თავადებისაგან, აღზევდნენ მეძავნი და ბილწები. სიმართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი უპატიოქმნილნი, ცუდებად და შეუძლებლებად წოდებულნი, სასოებით იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს“[1]. ევდემოზი ამხელდა როსტომ ხანს და სადაც კი შეხვდებოდა ყველგან ეუბნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო“ როსტომ-ხანი კარგად ხედავდა კათოლიკოზის პოზიციას და ავტორიტეტს, ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გეგმებსაც ადგენდა ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის თეიმურაზის დასაბრუნებლად, ამიტომ როსტომ ხანმა იგი კათოლიკოზობიდან გადააყენა, შემდეგ კი, შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, 1642 წელს სიკვდილით დასაჯა. საქართველოს ეკლესიამ ევდემოზ კათალიკოზი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 17 ოქტომბერი.

8. წმინდა მოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი, ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

XVII საუკუნის 50-იან წლებში ირანელებმა განიზრახეს ბრძოლებში დასუსტებულ და მოსახლეობით შეთხელებულ კახეთში მათი დასაყრდენი თურქმანული ტომების ელების ჩამოსახლება. კახეთი სრული გათათრების საფრთხის წინაშე დადგა. ამ დროს სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში ბიძინა ჩოლოყაშვილმა, ზაალ არაგვის ერისთავმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა მოახერხეს ხალხის გაერთიანება და ირანელების წინააღმდეგ დიდი აჯანყების ორგანიზება. აჯანყებულებმა დაამარცხეს ირანელები და ქვეყნიდან

1 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973:438-439.

გააძევეს, მაგრამ შემდეგ ირანის მბრძანებელმა მოახერხა დიდი ლაშქრის შეგროვება და საქართველოსაკენ გამოგზავნა. კახეთის აჯანყების მეთაურები თავისი ნებით გამოცხადდნენ შაჰთან და ამით ქვეყანას ახალი ომი თავიდან ააცილეს. შაჰ აბას II-ის ბრძანებით ისინი სიკვდილით დასაჯეს. საქართველოს ეკლესიამ ისინი წინდანად შერაცხა. მათი სხენების დღეა 1 ოქტომბერი.

9. მიტროპოლიტი წმინდა დოსითეოზი წერეთელი

მოღვაწეობდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედში. 1795 წელს, კათოლიკოზ მაქსიმე II-ის (აბაშიძე) გარდაცვალების შემდეგ, იმერთა მეფე სოლომონ II დანიშნა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზის მოსაყდრედ-გამგებლად. ერთ-ერთ საბუთში მას კათოლიკოზად მოიხსენიებენ, თუმცა კურთხევა არ შესრულებულა. დოსითეოზი (ერისკაცობაში დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი) დაიბადა საჩხერეში, დაახლოებით 1750 წელს. დოსითეოზის წინაპარი, პაპუნა წერეთელი 1720-იან წლებში იმერეთის სამეფოს ზემო მხარის სარდალი, ხოლო მამა — ნიკოლოზ წერეთელი, იმერთა მეფე სოლომონ I-ის მეაბჯრეთუხუცესი და მეფის თარჯიმანი იყო. მიტროპოლიტი დოსითეოზ ქუთათელი დიდ მზრუნველობას იჩენდა საეპისკოპოზო და საკათოლიკოზო ეკლესიების სამეურნეო საქმეებისადმი, მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. იგი 1789 წელს შედიოდა იმერეთის საერო და საეკლესიო თავკაცთა ჯგუფში, რომელთაც წინადადებით მიმართეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს, გაეერთიანებინა და თავისი ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რაც იმხანად შექმნილი რთული საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო ვერ განხორციელდა. 1811 წელს, როცა რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, გაუქმდა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ II იძულებით

გაიწვიეს რუსეთში და საქართველოს ეკლესიის მმართველი გახდა რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი. 1810 წელს რუსეთის ჯარები შეიჭრნენ იმერეთის სამეფოში, ქუთაისიდან გააძევეს იმერთა მეფე სოლომონ II. 1812 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოზო. ამიერიდან ეგზარქოსს ეწოდა „საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი“ 1817 წელს საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლაამი (ერისთავი) შეცვალა მთავარეპისკოპოსმა თეოფილაქტემ (რუსანოვი), რომელმაც 1819 წელს დაიწყო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების აღწერა, რასაც მოჰყვა სალხის უკმაყოფილება და აჯანყება. რუსეთის ხელისუფლებმა ამ აჯანყების იდეურ ხელმძღვანელებად გამოაცხადა დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი. ისინი დააპატიმრეს, დოსითეოზი მოკლეს სურამთან ახლოს, მაგრამ მისი ნესტი ანანურთან დაკრძალეს.

10. მიტროპოლიტი წმინდა ექვთიმე შარვაშიძე

გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე. იგი 1736-1776 წლებში იყო ჯუმათის (გურია), ხოლო 1776-1820 წლებში - გენათელი ეპისკოპოსი და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. დაპატიმრებულები სასწრაფოდ წაიყვანეს აღმოსავლეთ საქართველოში. ექვთიმე წაიყვანეს რუსეთში, შეახვედრეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომლისთვისაც მიტროპოლიტ ექვთიმეს „ახალი დროის ნერონი“ უწოდებია. განრისხებულ იმპერატორს იგი ნოვგოროდის გუბერნიის ოლონეცკის მაზრაში სვირის მონასტერში გადაუსახლებია, სადაც 1822 წელს გარდაცვლილა. 2005 წელს განსვენებული მიტროპოლიტ ექვთიმეს ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, 2005 წელს მიტროპოლიტები: დოსითეოზი და ექვთიმე წმინდანებად შეირაცხენ. მათი ხსენების დღეა 19 მარტი (ძვ. სტ. 6)



წმინდა დიმიტრი ყიფიანი

11. წმინდა დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1811 წელს გორის მაზრის სოფელ მერეთში. 1830 წელს დაამთავრა თბილისის კეთილშობილოთა სასწავლებელი და დაიწყო გიმნაზიაში მასწავლებლობა, მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. ამის გამო გადაასახლეს ვოლოგდაში (რუსეთი). 1837 წლიდან მუშაობდა იმერეთისა და გურიის გუბერნატორის კანცელარიაში. 1839 წლიდან თბილისში სხვადასხვა თანამდებობაზე იყო გამწესებული, 1862 წლიდან იყო მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1864-1870 წლებში თბილისის გუბერნიას, ხოლო 1885-1886 წლებში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძრძოლი. მის სახელთანაა დაკავშირებული „ტფილისის" კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის" ქართული თეატრის დაარსება. იგი იყო 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" პირველი თავმჯდომარე. დიმიტრი ყიფიანი მკაცრად გმობდა კავკასიის განათლების ოლქის მზრუნველის კირილეიანთვის კოსდამთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის ანტიქართულ პოლიტიკას. მან არ აპატია საქართველოს ეგზარქოს პავლეს (ლებედევი) ქართველი ერის დაწყევლა 1886 წელს და მოითხოვა მისი საქართველოდან გაძევება. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანებით, დიმიტრი ყიფიანი საქართველოდან სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს მიგზავნილმა მკვლელმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. მას არ აპატიეს ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა. 2007 წლის 26 აპრილს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდმა იგი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 26 აპრილი.

12. წმიდა ილია მართალი ჭავჭავაძე 1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში. პირველდაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო: დედამ შეასწავლა წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორია. ილიამ სწავლა ჯერ თბილისის კერძო პანსიონში, შემდგომ კი კეთილშობილთა გიმნაზიაში გააგრძელა.

1857 წელს ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია ძალიან ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით ძველი ქართული წიგნებით იყო დაინტერესებული. აკადემიური მოსწრებაც მაღალი ჰქონდა, მაგრამ ილიას იურიდიული განათლების ოფიციალური მოწმობა არ აინტერესებდა. მან მეოთხე კურსიდან მიატოვა სწავლა და 1861 წელს ღრმად და მრავალმხრივ განსწავლული დაბრუნდა საქართველოში.

„რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ ეკითხებოდა ოცდაოთხი წლის ყმაწვილი საკუთარ თავს. ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოსთვის არ ეფიქრა. საჭირო იყო ერის გამოღვიძება, მართალი სიტყვის თქმა... ილიაც არ ერიდებოდა მწარე მხილებას.

ილიას მიაჩნდა, რომ „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა“, რომელსაც „აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე არად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“, ამიტომაც ახსენებდა თანამემამულეებს წარსულ დიდებას, ქართველთა თავდადებას რწმენისა და მამულის დასაცავად: „რა არ გარდაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღა-მაჰმად-

ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გევუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავინ შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას?... დრო-ჟამი ამას გვიქადის“

ეროვნული ინტერესები აიძულებდა ილიას, ისტორიკოსის ფუნქციები ეკისრა: მატიანეებს უღრმავდებოდა, იძიებდა, იკვლევდა და საქართველოს ღირსების შემლახველებს, ისტორიის ფალსიფიკატორებს ღირსეულ პასუხს სცემდა.. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე ცხოვრების ამსახველ „შინაურ მიმოხილვებსაც“

„ივერიის“ საპროგრამო წერილებს, რომელთაც ილია მიზნად უსახავდა „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას, ფეხზედ დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“

დიდი ქართველი მოღვაწე ხშირად იმეორებდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“. იგი ზრუნავდა ენის სიწმინდისათვის, იბრძოდა მისი უფლებების დასაცავად სკოლებში. 1881 წელს, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტეს ქართული ენის გაძევება სკოლებიდან, მან სტატიაში „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ დაასაბუთა, რომ „უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია, მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის... გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა“ ამ გმოსვლამ შედეგიც გამოიღო. ის მინიმალური უფლებები, რომლებიც ქართულ ენას შეუნარჩუნდა სკოლებში, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ილიას ბრძოლის შედეგი იყო.

ილიამ ჩაუდგა სული ბევრ ეროვნულ საქმესაც: მან დააარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოება, ძველ ქართულ ხელნაწერთა და სიძველეთა საცავი, საფუძველი დაუდო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეგროვებას. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსებისა.

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განაცხადა ილია მართალმა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ: 1905 წლის ოქტომბერში დასწრებია წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გამართულ სამღვდელოების კრების, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხს მიეძღვნა, მეთაურობდა საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად.

ილიას მოღვაწეობა აღიზიანებდა და აშინებდა საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს.

1907 წლის 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოს მიმავალი ეტლი, რომელშიც ილია და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი იმყოფებოდნენ, წიწამურის ტყესთან შედგა. თოფის გრიალმა შეძრა დიდებული გარემო. ილია ზეზე წამოიჭრა: „შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!!!“ დაიძახა, მაგრამ ბერდანის ტყვიამ გაუჩერა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით აღვსილი გული.

1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა: „ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი“ მისი ხსენების დღეა 2 აგვისტო.

13. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა კირიონ II (1855-1918 წ.წ.) - ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს

ძე საძაგლიშვილი, დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს გორის მაზრის სოფელ ნიქოზში. მისი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის მთიელებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში. პატარა გიორგი ჯერ სწავლობდა ანანურის მონასტერთან არსებულ სკოლაში, ხოლო 1862 წელს ჩაირიცხა გორის სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1876 წელს და უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის სარისხით დაამთავრა 1880 წელს და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. 1885 წლამდე მუშაობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1885-1890 წლებში გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანაშემწეა, 1891 წელს მოღვაწეობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1891-1896 წლებში თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია. მისი ღვაწლით, საქართველოს მთიანეთში გაიხსნა 19 სამრევლო სკოლა. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში „ივერიელის," „ლიახველის," „ნიქოზელის" „საძაგელოვის" ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიაზე, საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ზეპირსიტყვიერებაზე, არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ პრობლემატიკაზე. იგი არჩეულ იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად. 1896 წელს გიორგი საძაგლიშვილს დიდი ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს ეპიდემიამ იმსხვერპლა მისი ცოლ-შვილი. მან მიიღო გადაწყვეტილება ბერად აღკვეცილიყო. ბერობის სახელად შეურჩიეს კირიონი და გაგზავნეს ქვათახევის მონასტერში. იმავე წელს აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. იღუმენი კირიონი აგრძელებდა მეცნიერულ საქმიანობას.

ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობის დროს კირიონმა თბილისის საეკლესიო მუზეუმში ჩაიტანა 96 ხელნაწერი, მათ შორის XI საუკუნის სახარება, 1494 წელს გადაწერილი „დავითნი" და სხვა მრავალი საინტერესო ხელნაწერი. მან მრავალი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, ხელნაწერი მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან და საოჯახო კოლექციებიდან გამოიტანა და შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ისტორიული საბუთების განყოფილებას. მათ შორის: „მარხვანი," „სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი," „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი ანდრია სალოსისა," „მსოფლიო ისტორია," „სადღესასწაულო," „აპოკრიფი ყოვლადწმინდა მარიამის სახარება," VIII საუკუნის ხელნაწერი „ლიტურგია ოქროპირისა," „რუსული ასამაღლებელი ქართული ასოებით," „ისტორია გინა მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახლისა აღთქმისა," ძველი ვერცხლის მონეტები. 1898 წლის 10 მაისს იღუმენი კირიონი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, იმავე წლის 22 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ არქიმანდრიტი კირიონი ეპისკოპოსად აკურთხა და ჩააბარა ალავერდის ეპარქია. ალავერდის ეპარქიაში ჩასვლისთანავე კირიონმა განაგრძო დაუცხრომელი საქმიანობა. მოუვლელობისგან განადგურების პირას იყო მისული ალავერდის დიდებული ტაძარი, გამოსაცვლელი იყო სახურავი, შესაკეთებელი იყო გალავანი. ეპისკოპოსმა კირიონმა შეადგენინა პროექტი და თავისი ხარჯებით დაიწყო ტაძრის შეკეთება. ამავე დროს გააგრძელა მეცნიერული საქმიანობა, კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლა. აქედან შეარჩია 68 ხელნაწერი და გადასცა საეკლესიო მუზეუმს, მათ შორის 1089 წელს გადაწერილი სახარება. ეპისკოპოს კირიონის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება. ეს გახდა რუსეთის

საერო და სასულიერო ხელისუფლებისგან მისი დევნა-შევიწროების უმთავრესი მიზეზი. „ყველაფერი ამქვეყნიური უარვყავ, დავიდგი თავზედ ბაბილონის გოდოლი, შევუდექ საქმეს და საარაკო თავგადასავალი გადამხდა“, - წერდა იგი. მას ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს. 1901 წელს გორში, 1902 წელს კამენეც-პოდოლსკში, 1903 წელს ხერსონესში, 1904 წელს ორიოლის ეპარქიაში, 1906 წელს სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელად დანიშნეს. 1905 წელს ქართველმა სამღვდელოებამ კატეგორიულად მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამ საკითხის განსახილველად, 1906 წლის იანვარში, პეტერბურგში, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებულებით, მოწვეულ იქნა რუსეთის ეკლესიის სინოდის წინარე სხდომა. სხდომაზე დასასწრებად გაიწვიეს ეპისკოპოსები: კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), ექვთიმე (ელიაშვილი). სხდომებს თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ვლადიმერი (ბოგოიავლინსკი). 1906 წლის ივნისში დასრულდა სინოდის სხდომები, რომელმაც უარყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, თბილისში საქართველოს ეგზარქოსად გამოაგზავნა ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე მთავარეპისკოპოსი ნიკონი. დაიწყო ქართველი ავტოკეფალისტების სასტიკი დევნა-შევიწროება. ეპისკოპოსი კირიონი სოხუმიდან გადაიყვანეს რუსეთში, კოივნოს ეპარქიაში. 1908 წლის 28 მაისს, თბილისში, მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი (სოფისკი). რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ნიკონის მკვლელობა ქართველ ავტოკეფალისტებს დააბრალა. 1908 წელს ეპისკოპოს კირიონს ჩამოართვეს ეპარქია, ეპისკოპოსის ხარისხი და პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს ტამბოვის გუბერნიის სანაქსარის უდაბნოში. 1910-1915 წლები მან ხერსონის მონასტერში გაატარა. 1909 წლის 20 მარტს ბრიუსელიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს

თავმჯდომარეს ხომიაკოვს სთხოვა, დაეცვა ეპისკოპოსი კირიონი დევნა-შევიწროებისაგან. 1914 წლის 23 მაისს ეპისკოპოსი კირიონი ხერსონიდან წერილს უგზავნის რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს და მოითხოვს პოლიციის მეთვალყურეობიდან განთავისუფლებას, უსაფუძვლო ბრალდების მოხსნას, რათა შესაძლებლობა მიეცეს როგორც სასულიერო, ისე სამეცნიერო მოღვაწეობისა. ამ თხოვნის საფუძველზე, 1915 წელს, კირიონს აღუდგინეს ეპარქიის მართვის უფლება, ჩააბარეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია, დააჯილდოვეს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. ეპისკოპოსი კირიონი იყო ცნობილი მეცნიერი, რომელიც საფუძვლიანად იკვლევდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების, რუსული სამონასტრო ცენტრების ისტორიას, ქართველ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრების, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. მან საქართველოს საისტორიო საზოგადოებას არაერთი ძვირფასი ხელნაწერი გადასცა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ქართული ენა რუსეთის ხელისუფლებისაგან დევნილი იყო, გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად შეადგინა „ქართული სიტყვიერების ისტორია.“ „ჩვენი მუშაობა, - წერდა იგი, - დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დარი დაუდგება საზოგადოდ ქართულ ენას ჩვენს საშუალო სკოლაში და, კერძოდ, ამ სახელმძღვანელოს; საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს ქართულს არა მარტო დასაწყის სკოლებში, არამედ საშუალოსა და უმაღლესშიც. საჭიროა სკოლამ მტკიცე ეროვნული ხასიათი მიიღოს და სწავლა საგნებისა ქართულად წარმოებდეს. ხოლო ეს მაშინ მოხდება, როცა მთლიანად საქართველოს ცხოვრება ეროვნულ საფუძველზე მოეწყობა და ქართული ენა უაღრესად საჭირო შეიქმნება ყოველ დაწესებულებაში.“ ეპისკოპოსი კირიონი იყო უდიდესი ქველმოქმედი, და განათლებას მოწყურებული, ნიჭიერი ქართველი

ახალგაზრდობის თანამდგომი. მისი მატერიალური ხელშეწყობით, 300-ზე მეტმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იხსენებდა, ეპისკოპოსმა კირიონმა საგანგებო რეკომენდაციითა და ფულადი დახმარებით იგი გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად კიევის სასულიერო აკადემიაში. „ძველად ებრაელებს, - წერდა კორნელი კეკელიძე ეპისკოპოს კირიონს, ჩვეულებად ჰქონდათ ყველანაირ ახალს ანუ პირველ ნაყოფს მადლობის ნიშნად სწირავდნენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამისდა მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით. ეპისკოპოს კირიონის ჩანაწერებში არის ასეთი საინტერესო ინფორმაცია: „ოდესაში ჩემთან ხშირად სტუმრობენ ქართველი სტუდენტები, მათ შორის არის ერთი თბილისელი სომეხი ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ნიჭიერი ახალგაზრდა, მასაც ისე ვეხმარები, როგორც ქართველებს.“ ეპისკოპოსი კირიონი ავტორია 40-ზე მეტი წიგნისა და 100-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის. მას დიდ პატივს სცემდნენ: ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, მოსე ჯანაშვილი, ნიკოლოზ დურნოვო, ლეონიდ დიმიტრიევი, ნიკოლოზ პალმოვი, ალექსანდრე შახმატევი, აურელიო პალმიერი, გუსტავ ბერმანი, ნიკო მარი. ვერც გადასახლებამ, ვერც ცილისწამებამ და დაუმსახურებელმა შევიწროებამ ვერ გატეხა იგი, ვერ გადაათქმევინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთში დასრულდა რომანოვების დინასტიის ბატონობა და ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. საქართველოში დარჩენილმა კირიონის თანამოაზრე ავტოკეფალისტებმა 12 (25) მარტს მცხეთაში მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის

ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და შექმნეს დროებითი მმართველობა გურია-ოდიშის ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით. 1917 წლის 17 სექტემბერს, I საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 441 დელეგატი ესწრებოდა, 231-მა დელეგატმა ხმა მისცა ეპისკოპოს კირიონის სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად არჩევის წინადადებას და იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად. 1918 წლის 27 ივლისს კირიონ II მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში. „ჩაქრა ლამპარი, რომლის მსგავსი იშვიათად აინთება საუკუნიდან საუკუნემდე! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი მღვდელმთავარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი“ (იოსებ იმედაშვილი). „კირიონ კათოლიკოზის სიკვდილით საქართველოს ეკლესიამ შეიძლება ითქვას, დაამთავრა თავისი ერთ-ნახევარ ათასწლოვანი ისტორია...“ (სარგის კაკაბაძე). იგი დაკრძალეს 7 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 10 ივლისი (ძვ. სტ. 26 ივნისი).

14. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი წმინდა ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, დაიბადა 1861 წლის 7 ოქტომბერს მარტვილში. 1871-1873 წლებში სწავლობდა ოჩამჩირის პირველდაწყებით სკოლაში, ხოლო 1873-1879 წლებში მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. 1879 წელს ჭაბუკი ბესარიონ ხელაია ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1887 წელს იგი აკურთხეს სოხუმის ეპარქიის სოჭის ეკლესიის მღვდლად, 1892 წლიდან სოხუმის საკათედრო ტაძრის მესანთლეა. იგი 1897 წელს სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა. 1900 წლის 11

თებერვალს ბესარიონი ბერად აღიკვეცა და სახელად ეწოდა ამბროსი. აკადემიის დამთავრების შემდეგ მამა ამბროსი დაბრუნდა საქართველოში. 1901 წელს მცირე ხნით მოღვაწეობდა სოხუმში, მაგრამ მისი იქ ყოფნა ხელს არ აძლევდა ანტიქართულ ძალებს, რადგან იგი მოურიდებლად ამხელდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების შოვინისტურ პოლიტიკას. ამიტომ 1902 წელს იგი გადმოყვანილ იქნა რაჭაში, ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად. მამა ამბროსიმ თითქმის გაუკაცრიელებული მონასტერი კვლავ ააღორძინა. მან დაწვრილებით შეისწავლა რაჭა-ლეჩხუმის სიძველენი. საქართველოს ისტორიის, ქართული ხელნაწერების შესწავლის ინტერესი ჯერ კიდევ ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს გამოავლინა. ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით საქმიანობა. არქიმანდრიტმა ამბროსიმ ჟურნ. „განთიადსა“ და „ცხოვრებაში“ 1915-1917 წლებში „ამბერის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ რომელშიც საინტერესოდ აღწერა ჭელიშის მონასტრის ხელნაწერების ისტორია. არქიმანდრიტმა ამბროსიმ აღმოაჩინა ქართული მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტი, რომელიც მისივე გამოკვლევით შევიდა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ძველი საქართველოს“ პირველ ტომში, ხოლო ცალკე გამოიცა 1911 წელს. არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1907 წლის 28 დეკემბერს საისტორიო საზოგადოებაში წაიკითხა სპეციალური გამოკვლევა „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტის შესახებ. არქიმანდრიტი ამბროსი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ერთ-ერთი მებრძოლი, დევნილი იყო რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან. 1909 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის დეკემბრამდე რიაზანის ეპარქიის სამების მონასტრის პატიმარი იყო, აკრძალული ჰქონდა ღვთისმსახურება. მას თბილისში ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზება დააბრალეს. რადგან

წარმოდგენილი აბსურდული ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, აღუდგინეს ღვთისმსახურების უფლება და ნოვგოროდის ეპარქიის „სტარაია რუსას“ მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. უშედეგოდ დასრულდა მისი სამშობლოში დაბრუნების მცდელობა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არქიმანდრიტ ამბროსის საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო. იგი აქტიურად ჩაერთო ავტოკეფალურ მოძრაობაში. არქიმანდრიტი ამბროსი აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. მოსაგვარებელი იყო რუსეთის დროებით მთავრობასთან და საქართველოში მის ფილიალ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან ურთიერთობა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის, რუსეთის ეკლესიის სინოდთან დამოკიდებულების საკითხები. ასევე რთული იყო ქონებრივი დავის საკითხების მოგვარება. 1917 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე პეტროგრადში რუსეთის დროებით მთავრობასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე). ქართველ სასულიერო პირებს იმედი ჰქონდათ იმხანად პეტროგრადში მოღვაწე ქართველების დახმარებისა და არც შემცდარან. კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ნინო გელოვანი, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ, რევოლუციურ პეტროგრადში ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას. 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი კრება, რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, დაამტკიცა 13 ეპარქია, გამოარჩია

მმართველი მღვდელმთავრები. საეკლესიო კრებამ ჭყონდიდელ ეპისკოპოსად დაამტკიცა ამბროსი ხელაია, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა იმავე დღეს მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობას ყველა აღიარებდა. მეუფე ამბროსიმ ჩაიბარა ჭყონდიდის ეპარქია და შეუდგა საქმიანობას. 1919 წლიდან ის ცხუმ-ბედიელი (აფხაზეთის) მიტროპოლიტია. მიტროპოლიტი ამბროსი თავის მოღვაწეობას შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე რთულ ეპარქიაში. მან დაიწყო ეპარქიაში ქართული წირვა-ლოცვების აღდგენა. ქადაგებებში აფხაზეთის მცხოვრებთ მოუწოდებდა ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და ქრისტიანული სათნოებისაკენ. 1921 წლის 5 სექტემბერს, გელათში გამართულ მესამე საეკლესიო კრებაზე, იგი საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად აირჩიეს. ამავე კრებამ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაუშვა ახალგაზრდა გრიგოლ ფერაძე. ახალარჩეულმა კათოლიკოზმა სვეტიცხოველში აღსაყდრების (კურთხევის) დღეს განაცხადა: „მე ავდივარ გოლგოთაზე“ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. პატრიარქი ბოლშევიკური ოკუპაციის მძიმე პირობებში შეუდგა მოვალეობის შესრულებას. კათოლიკოზმა არაერთხელ ამხილა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება, ამიტომ ის მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის, მან პატრიარქობის ხანა დევნა -შევიწროებაში გაატარა. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა 1995 წლის 18 სექტემბერს წამებული კათოლიკოზი ამბროსი წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენებელ დღედ დაწესდა 29 მარტი.

15. ქუთათელი მიტროპოლიტი წმინდა ნაზარი, ერისკაცობაში იოსებ ანდრიას ძე ლეჟავა, ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მიერ იქნა დახვრეტილი. მას რთულ, წინააღმდეგობრივ დროში მოუხდა ქუთათელ

მიტროპოლიტად ყოფნა. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოვიდნენ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო ეკლესია-მონასტრების დარბევა, საეკლესიო განძეულობის დატაცება. 1923 წელს ქუთაისის მაზრაში დაიკეტა 160-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი. 1923 წლის თებერვალში, ქუთაისში, ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა წმინდა დავითისა და წმინდა კონსტანტინეს (მხეიძეთა) სასამართლო პროცესი. ბოლშევიკი აქტივისტები ამტკიცებდნენ, რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ და ხალხს ატყუებდნენ. სასამართლომ დაადგინა, მათი წმინდა ნაწილები ამოესვენებინათ მოწამეთის ეკლესიიდან და გადაეყარათ. ცნობილმა მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანმა და სიძველეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ტრიფონ ჯაფარიძემ მოახერხეს წმინდა ნაწილების ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანა და ასე გადაარჩინეს ისინი ვანდალების ხელით განადგურებას. 1924 წლის 30 იანვარს, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის დადგენილებით, გადაწყდა: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი, მასალა გამოყენებულ იქნას ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად, იმ ადგილზე კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილზე დაიდგას ამხანაგ ვ. ი. ლენინის ძეგლი.“ ამ დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, უწმიდესი ამბროსი და საკათოლიკოზო საბჭოს წევრთა ნაწილი დაპატიმრებულები იყვნენ. 1924 წლის 27 აგვისტოს მიტროპოლიტ ნაზარს სოფელ როდინოულიდან ეწვია დელეგაცია თხოვნით, ეკურთხებინა სოფლის ეკლესია. მიტროპოლიტი ნაზარი სასულიერო პირებთან ერთად ჩავიდა სოფელში 28 აგვისტოს და აკურთხა ეკლესია. იმ ღამით მათ მიაკითხეს ადგილობრივი მილიციის უფროსმა მაღლაკელიძემ და როდინაულის თემსაბჭოს თავმჯდომარემ სერაპიონ ხაჭაპურიძემ და დააპატიმრეს ისინი. დაპატიმრებულები ხელ-ფეხშეკრულები ურმით წაიყვანეს ქუთაისში. მათი საქმე გამოძიებისათვის გადაეცა ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს პასუხისმგებელი

რწმუნებულის თანაშემწეს გ. შონიას, რომელსაც 30 აგვისტოს ასეთი დადგენილება გამოუტანია: „მე, ქუთაისის მაზრის პასუხისმგებელი რწმუნებულის თანაშემწემ გ. შონიამ, განვიხილე რა საქმე N590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტ ნაზარ ლეჟავასი, დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძის, მღვდელ სიმონ მჭედლიძის, მღვდელ იეროთეოზ ნიკოლაძის, დიაკონ ბესარიონ კუხიანიძის, სვირის თემსაბჭოს სოფელ როდინოულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, დავადგინე: ისინი ეწეოდნენ კონტრევოლუციურ საქმიანობას მიმართულს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.“ ამიტომ მოსამართლის განჩინებით და „განსაკუთრებული სამეულის“ გადაწყვეტილებით, დაპატიმრებულები გამოიყვანეს საფიჩხიის ტყეში და დახვრიტეს. დახვრეტის წინ მიტროპოლიტ ნაზარს ამ სიტყვებით გაუმხნევებია სასულიერო პირები: „ქართველი ხალხი ყოველთვის დაუზოგავად იბრძოდა თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისათვის და ჩვენს წვალებასაც არ დატოვებს უყურადღებოდ.“ 1995 წლის სექტემბერში გამართულმა XIII გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ნაზარი და მისი თანმხლები სასულიერო დასის წევრები: დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელები: სიმონ მჭედლიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე წმინდანებად შერაცხა. მათი ხსენების დღეა 27 აგვისტო.

16. ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ვარლაამ მახარაძე - და ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესირებული სასულიერო პირები შეიწირა ბოლშევიკურმა რეჟიმმა 1926 წლის 7 მარტს კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით, ვარლაამი აღყვანილ იქნა მარგვეთის ეპისკოპოსის ხარისხში. 1929 წლის 12 თებერვალს, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ლოცვა-კურთხევით, გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად, 1930 წლის 25

ოქტომბერს მიენიჭა მიტროპოლიტის სარისხი. მეუფე ვარლაამს ურთულეს ეპოქაში და ურთულეს ეპარქიაში მოუწია მღვდელმთავრობამ. ეკლესიების უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დახურეს. 1934-1937 წლებში იგი საერთოდ გამოაძევეს ეპარქიიდან. 1937 წლის 7 ივლისს საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის, კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულმა ტერორმა და დასმენებმა თავისი გაიტანა. მიტროპოლიტი ვარლაამი დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა 1943 წელს. მისი საფლავი დაკარგულია.

ბოლშევიკურ-ტოტალიტარულ რეჟიმს XX საუკუნის 20-80-იან წლებში, გარდა გასმაურებული დახვრეტებისა, არაერთი სხვა უსახელო გმირებიც ჰყავს. 1922 წლის აპრილში გავრცელდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოწოდება: „რუსეთის ველური ურდოები შემოესია ასი წლის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს და კვლავ ცეცხლითა და მახვილით ააოხრა იგი. მოსკოვის აქაური აგენტები გულმოდგინედ იღწვიან, რომ ჩვენი ცხოვრებიდან აღმოფხვრან ყოველივე ნასახი ეროვნული თავისუფლებისა... სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებით ციხეებია ავსილი. ყველა არაკომუნისტი ქართველი კანონის გარეშეა გამოცხადებული თავისივე სამშობლოში“.[1] 1921-1922 წლების ანტისაბჭოთა გამოსვლებს სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ხევსურეთში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ რეპრესიები და ტერორი დაუპირისპირა, რასაც ათასობით პატრიოტი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს ყველა კუთხეში იჭერდნენ ადამიანებს და ხვრეტდნენ. როგორც საბჭოეთის პირველი ჩეკისტი ფელიქს ძერჟინსკი აღნიშნავდა: „დახვრეტისათვის ჩვენ არ გვჭირდება მტკიცებულებები, არც დაკითხვები, არც ეჭვები, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია და ვხვრეტთ, ეს არის და ეს“.[2] 1924

[1] ნ. კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი? თბ. 1998:23.

[2] თ. ანთელავა, ბოლშევიკების ბრძოლა პოლიტიკური ძალაუ-

წლის აგვისტოს აჯანყებამ საოკუპაციო ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაუხსნა და, აჯანყების მონაწილეთა გარდა, სიკვდილით დასაჯეს ათასობით უდანაშაულო ადამიანი. ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი სერგო ორჯონიკიძე სასტიკ ტერორს ასე ამართლებდა: „ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ ქართველ თავადებს, აზნაურებს, მედუქნეებს, ხუცესებსა და სხვ. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების და მათი გენერალური შტაბების ფულითა და სახსრებით მოაწყვეს ბუტაფორული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.“[1] დახვრეტილ მამულიშვილთა შორის ბევრი იყო სასულიერო პირი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, დაუზუსტებელი მონაცემებით, დახვრიტეს, ოცამდე სასულიერო პირი: 1. ავალიანი გერონტი; 2. ბახტაძე დავითი (1924 წლის 2 სექტემბერს, 37 წლის ასაკში, მამა დავითი ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერიდან იყო); 3. მღვდელი იოსებ ბებიაშვილი (60 წლის ასაკში, ის, ძირითადად, სურამში მოღვაწეობდა, გახსნა სკოლა, სამკითხველო, მის ოჯახში ზაფხულობით ისვენებდნენ: იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნატო გაბუნია. მისი დახვრეტის შემდეგ ოჯახს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტერს ყველაფერი ჩამოართვეს); 4. მღვდელი პანტელეიმონ გედევანიშვილი (რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კავთისხევში მოღვაწეობდა და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მამა პანტელეიმონმა, როგორც ნამდვილმა მწყემსმა, თავი დასდო მრევლისათვის. როდესაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ბრალდებით, კავთისხევის ახალგაზრდობა დააპატიმრეს და გორში წაიყვანეს, მამა პანტელეიმონი არავის დაუპატიმრებია, მაგრამ ნებაყოფილობით გაჰყვა დაპატიმრებულებს და ჩეკისტებს მათ უდანაშაულობას უმტკიცებდა, თუმცა მისი მტკიცება

ფლებისათვის რუსეთში, თბ. 2001:338.

ს. ორჯონიკიძე, მენშევიკების ავანტურა საქართველოში, თბ. 1924:19.

არ მიიღეს და ისიც ახალგაზრდებთან ერთად დახვრიტეს); 5. ბიბილური ალექსანდრე; 6. გელაშვილი სერგი (ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ალის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის მღვდელი, რომელსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმისადმი პატივისცემასა და სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრობისათვის დახვრეტა მიუსაჯეს და განაჩენი აღასრულეს); 7. გიორგაძე მიხეილ; 8. გიორგაძე ილია; 9. დალაქიშვილი იოსები (იგი ყოფილა თელავის მაზრის სოფ. მატანის მღვდელი და საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძღვარი, თელავის პოლიციამ დააპატიმრა და ე.წ. „გიგოს გორაზე" დახვრიტა); 10. დაქიშვილი მოსე; 11. დედაბრიშვილი გიორგი (იგი იყო დუშეთის მაზრის სოფელ ქაისხევიდან, ცნობილი მწერლის შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) ძმა); 12. თუშმალიშვილი მიხეილი (მსახურობდა მარტყოფში); 13. ინაშვილი გიორგი (დახვრიტეს 48 წლის ასაკში); 14. კალანდარიშვილი არისტარქო (რომელიც 1924 წლის აჯანყების დროს აჯანყებული სენაკელების გვერდით იდგა და ამხნევებდა მათ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, 3 სექტემბერს, ადგილობრივი „განსაკუთრებული სამეულის" გადაწყვეტილებით დახვრიტეს); 15. კარბელაშვილი ანდრია (დახვრიტეს 73 წლის ასაკში თავის ძმა პეტრესთან ერთად ტირიფონას ველზე); 16. საგანელიძე თევდორე (41 წლის მოძღვარი, დახვრიტეს ონის მილიციის უფროსის ბრძანებით); 17. გიორგი ჭელიძე (დახვრიტეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრებთან მეგობრობის ბრალდებით); 18. ხეცურიანი ნიკოლოზი.

ამათ გარდა, 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილთა ოფიციალურ სიაში არიან: 1. პარმენ ქველიძე, 2. გრიგოლ ტაბატაძე, 3. ალექსანდრე მაჭარაშვილი, 4. იოსებ ნაცვლიშვილი, 5. რაჟდენ წივწივაძე (ქუთაისი), 6. ირაკლი კაკაბაძე (ნიქოზი).

სასულიერო პირების რეპრესიები გაგრძელდა 1925-1937 წლებში. არასრული მონაცემებით ამ წლებში



წმინდა გრიგოლ ფერაძე

დახვრიტეს: 1. ბესარიონ ვაშაძე, 2.მიხეილ ნანეიშვილი, 3. იოსებ მირიანაშვილი, 4. ილარიონ ოქროპირიძე, 5. გიორგი ეპიტაშვილი. 6. ივანე ჩიტიძე, 7. ერმილე გოგოლიშვილი, 8. ივანე ქაადე, 9. მალაქია წიკლაური, 10. სამსონ მძინარიშვილი, 11. იოანე ბობოხიძე, 12. პროკოფი ჩიგოგიძე, 13. გიორგი დარჩია, 14. ელიზბარ ანჩაბაძე, 15. გიორგი წულაია, 16. იოანე ფანცულაია, 17. აპოლონ აფხაიძე, 18. ნიკოლოზ ბეშქენაძე. გადასახლებაში გარდაიცვალნენ: 1. გიორგი მაჭავარიანი, 2. ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, 3. არსენ ჯანელიძე, 4. ნესტორ ჯალაღონია, 5. ალექსანდრე ცქიფურიშვილი, 6. ალექსანდრე ნანეიშვილი."[1] 20-30-იან წლებში გასშირებულ ყაჩაღობებს შეეწირნენ შიო მღვიმის, ბეთანიისა და ზედაზნის მონატრების ბერები: მოსე სუმბაძე, რაფაელ კურდოვი, კვიპრიანე, ნეოფიტე ვარდუაშვილი. 1928 წელს კახეთში მოკლეს სოფელ მატნის მღვდელი ასათიშვილი, გორის მაზრის მღვდელი აბრამიშვილი, 1937 წელს ცაგერში დახვრიტეს მღვდელი პიმენ დაშნიანი ბავშვების მონათვლის გამო, 1984 წელს დახვრიტეს მღვდელი თეოდორე ჩისლაძე (თვითმფრინავის საქმეზე), 1993 წელს აფხაზეთში დახვრიტეს მღვდელ-მონაზონი ანდრია (ყურაშვილი).

17. არქიმანდრიტი წმინდა გრიგოლ ფერაძე

დაიბადა 1899 წლის 13 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში (აღმოსავლეთ საქართველო). 1917 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწავლა განაგრძო ახალგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე. სტუდენტი გრიგოლ ფერაძე 1921 წლის თებერვალში, თბილისის მისადგომებთან, იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მალევე, 1921 წლის სექტემბერში, გელათში

[1] სსცსა, ფ. 1879. ან 1 საქმე 5.

გამართულ III საეკლესიო კრებაზე, მიიღეს გადაწყვეტილება ნიჭიერი ახალგაზრდის, გრიგოლ ფერაძის ევროპაში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. ამ რთულ გზაზე მას დიდი დახმარება გაუწია გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა. გრიგოლ ფერაძე სწავლობდა ჯერ ბერლინის, შემდეგ ბონის უნივერსიტეტებში. სწავლის პერიოდში შეისწავლა გერმანული, ინგლისური, ბერძნული, ფრანგული, სომხური, კოპტური ენები. იგი დაუღალავად შრომობდა და თავის გამოკვლევებში, რომელიც ეხებოდა ქართული ლიტერატურის, საეკლესიო მწერლობის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს, კარგად წარმოაჩენდა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ დიდ სულიერ საგანძურს. მის ნაშრომებს დიდ ანგარიშს უწევდნენ ევროპასა და ამერიკაში. ცნობილი მეცნიერის იულიუს ასფალგის შეფასებით, „ევროპაში ქართველოლოგიის განვითარებამ ახალი ბიძგი მიიღო მას შემდეგ, რაც ბონში ქართველმა გრიგოლ ფერაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გახდა უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებელი და დაიწყო თავისი შრომების გამოქვეყნება“

გრიგოლ ფერაძემ 1927-1928 წლებში არაერთხელ ითხოვა საქართველოში დაბრუნება. „რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის ვისწავლე, რისთვის მოვიარე თითქმის მთელი ევროპა? რატომ არ მიშვებენ სახლში? რა დავაშავე?“ - გულისტკივილით წერდა თავის მასწავლებელს, ცნობილ მეცნიერს, პროფესორ კორნელი კეკელიძეს. უფრო ვრცელია გრიგოლ ფერაძის წერილი კათოლიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორე III-სადმი: „თქვენო უწმიდესობავ! ამას წინათ შევიტყვე ამბავი თქვენი საკათოლიკოზო ტახტზე აბრძანების შესახებ. გისურვებთ ღვთის შეწევნას და კეთილდღეობას ამ მძიმე დღის სატვირთველად. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, ვარ ამჟამად ბონის უნივერსიტეტში პროფესორის ადგილზედ და თებერვლის ბოლოს ვიგზავნები ვენაში მხითარისტებთან სომხური ლიტერატურის საფუძვლიანად შესასწავლად.

დავასრულე 1926 წელს დისერტაცია „ქართული ბერობის ისტორია“ „ბერობის დასაწყისი საქართველოში ცამეტ სირიელ მამათა პრობლება“, დაიბეჭდა გერმანიაში. 1927 წელს გერმანიაში გამოვეცი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობის შესახებ... პროფესორ ბაუმტარესთან ერთად გამოვეცი კორნელი კეკელიძის „იერუსალიმის განჩინება“ და ამჟამად იბეჭდება გერმანულად ქართული ლიტერატურის მიმოხილვა დასაწყისიდან X საუკუნემდე... დაახლოებით 4-5 წელიწადს კიდევ დავრჩები აქ სემიტურ ფილოლოგიაში ებრაულ, სირიულ, არამეულ და არაბულ ენათა ცოდნის გასაღრმავებლად. ვეცდები კიდევ ერთხელ მომიხერხდეს ნებართვის მიღება და თუ ეს ვერ მოხერხდა, რომელიმე მართლმადიდებლურ ქვეყანაში წავალ და იქ სუცესის სამსახურს მოვძებნი.“[1]

1931 წელს გრიგოლ ფერაძე ლონდონში, წმ. სოფიის სახელობის ბერძნულ მართლმადიდებლურ ტაძარში აღიკვეცა ბერად. მალე იგი პარიზის წმ. სტეფანეს სახელობის ბერძნულ საკათედრო ტაძარში აკურთხეს მღვდლად. ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. ერთხანს ღვთისმსახურებას აღასრულებდა პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში. მეორე მსოფლიო ომამდე მიიწვიეს ვარშავის მართლმადიდებლური გიმნაზიის დირექტორად. 1939 წლის სექტემბერში ნაცისტურმა გერმანიამ დაიპყრო პოლონეთი. 1942 წლის 6 დეკემბერს გრიგოლ ფერაძე დაიღუპა ვარშავაში. ერთი ვერსიის თანახმად, მან გაზის საკანში ადგილი გაუცვალა მრავალშვილიან ებრაელს. მეორე ვერსიით, სხვის მაგივრად დაიბრალა პურის ქურდობა, რაც იმხანად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა....

ასე დაიღუპა დიდი მეცნიერი და სასულიერო მოღვაწე. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XIII გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 6 დეკემბერი.

---

1 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი ფ. №2100 საქმე №117

18. წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი - თაყაიშვილი დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს.

შვიდი წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. ამ სკოლაში საღმრთო სჯულს ასწავლიდა ცნობილი პედაგოგი დეკანოზი სიმონ ქიქოძე, გამოჩენილი ქართველი მოღვაწის წმიდა გაბრიელი ეპისკოპოსის ძმა. სიმონ ქიქოძემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ექვთიმეზე. იგი მოსწავლეებს უკითხავდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, ასწავლიდა ლექსებს.

ოზურგეთში სწავლისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და შემდგომ ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი.

ექვთიმე ოზურგეთიდან ფოთის სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს, შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაში. 1883 წ. გიმნაზიას ამთავრებს და პეტერბურგში მიემგზავრება უნივერსიტეტში სასწავლებლად. აქ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მსმენელად ჩაირიცხა. 1887 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი და საქართველოსკენ გამოემართა. საქართველოში მასწავლებლობას იწყებს. ასწავლის ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1887-94 წლებში თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაშია. 1894-1904 წლებში განაგებს სათავადაზნაურო გიმნაზიას.

ექვთიმე თაყაიშვილი მთელი გატაცებით აგროვებდა საქართველოს სიძველეებს: ხელნაწერებს, არქეოლოგიურ მასალას, შინამრეწველობის ნიმუშებს. ცდილობს მათ მეცნიერეულ შესწავლა-დამუშავებას. დაუახლოვდა სახელგანთქმულ მეცნიერს დიმიტრი ბაქრაძეს და საბოლოოდ გადაწყვიტა ისტორიკოსობა - ეს კეთილშობილური, მაგრამ მძიმე საქმე. დიმიტრი ბაქრაძეს მაშინ დაუახლოვდა, როცა საქართველოს წარსულის ძეგლები მიმოფანტული იყო და განწირული დასაღუპავად. „იმხანად, იგონებს ე. თაყაიშვილი, - უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი

მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის."

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი აქტიურად თანამშრომლობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" ჯერ კიდევ სტუდენტი იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მთელი ძალით შეუდგა „საზოგადოებაში" მუშაობას. მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და ესმარებოდა სკოლებსა და სამკითხველოებს; აგროვებდა ძვირფას წიგნებს, სხვადასხვა სახის სიძველეებს, სიგელ-გუჯრებსა და ისტორიულ საბუთებს.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1907 წ. დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც იყო 1921 წლამდე (ემიგრაციაში წასვლამდე), ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა წინაქრისტიანული ხანის სასაფლაო დებედის ხეობაში, სოფ. ვორნაკში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში. კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამყიდველებს; მოახერხა განძის უმეტესი ნაწილის თავმოყრა და კავკასიის მუზეუმში დაბინავება. მეტად მნიშვნელოვანი იყო ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. პირველი ექსპედიცია 1902 წ. მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. შესწავლილი იქნა ახალციხისა და ახალქალაქის, აგრეთვე არტაანისა და ოლთისის ოლქების არქიტექტურული ძეგლები. 1907 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიკვლია არტაანის ოლქის კოლას რაიონის ეკლესია-მონასტრები და დაამთავრა ოლთისის ოლქის ეკლესია-მონასტრების შესწავლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა

ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ. მოწყობილ ექსპედიციას. მათ შეისწავლეს ხახულის, ოშკის, ექექისა და სხვ. ტაძრები, ოთხთა ეკლესია, თორთუმის ციხე და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა. გაარკვია მანამდე უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი. შეისწავლა მოხატულობა, ჭედური ხატები, საეკლესიო ჭურჭელი, მინიატურები.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ყველა საორგანიზაციო საკითხი, უნივერსიტეტის წესდების შედგენიდან დაწყებული უმნიშვნელო წვრილმანებამდე.

სიცოცხლის ბოლო წლებში

1921 წ. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის უმალ მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა. მთავრობამ გადაწყვიტა, არავისთვის დაენებებინა საქართველოს სამუზეუმო ნივთები, ძვირფასეულობა, ქართველი ხალხის ეს დიდი შემოქმედების ნაყოფი. განძეულობის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. განძეულობა გატანილი იქნა საფრანგეთში. 1921 წლიდან 1945 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთში იმყოფებოდა და ღირსებით ასრულებდა განძის მეთვალყურის მოვალეობას. მისი უდიდესი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო საქართველო საგანძურის დაცვა მეტად რთულ პირობებში. გაუძლო ინგლისისა და აშშ მუზეუმების შემოტევებს (მათ უნდოდათ განძის გარკვეული ნაწილი ეყიდათ. ინგლისის მუზეუმი სანაცვლოდ პირობას დებდა, დანარჩენი განძი უფასოდ შეენახა), გაუძლო მეორე მსოფლიო ომის საშინელ წლებს, როცა შეიძლებოდა გერმანელებს განძი ოკუპირებული საფრანგეთიდან წაეღოთ. ვერ გატეხა შიმშილმა, დამცირებამ, მეტად მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და 1945 წ. მთელი განძი უკლებლივ ჩამოიტანა საქართველოში.

დრო მიდიოდა... წლები თავისას აკეთებდა... ღრმად მოხუცებული ექვთიმე სულიერ განსაცდელშიც იყო.

ხელისუფლებას ყოველი ემიგრანტის მიმართ, როგორც ჩანს, გარკვეული ეჭვები ჰქონდა. მოხუცი ერთგვარ იზოლაციაში მოექცა, მაგრამ მაინც გულგაუტეხლად აგრძელებდა თავის საქმიანობას - იხდიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის თებერვალში გარდაიცვალა, განისვენებს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმიდანად შერაცხა და მას სახელად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.

XIII. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და რუსული საეგზარქოსო მმართველობა, ავტოკეფალური მოძრაობა XIX-XX საუკუნის პირველ მეოთხედში

XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ამისათვის რუსეთი ადრევე ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლში „აღნიშნულია, რომ ქართლის კათოლიკოზი გათანაბრებულია რუსეთის მღვდელმთავრებთან, მაგრამ მერვე ხარისხის არის: „რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის მღვდელმთავრისა მერვესა შინა ხარისხისა, ესე იგი არს შემდგომად „ტობოლსკისა“. ამასთანავე, ქართლის კათოლიკოზს რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრობა მიუბოძეს. ხოლო საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდთან დამოკიდებულების შესახებ იმავე მერვე არტიკულში აღნიშნულია: „ხოლო მართებისა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთის სინოდისადმი, ამისათვის უკვე დაიწერების ცალკე არტიკული.“[1]

ტრაქტატის ეს მუხლი ზღუდავდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობას, ამცროდა კათოლიკოზ-პატრიარქის პატივს და იერარქიულად მას რუსეთის სინოდში ტობოლსკის მიტროპოლიტის შემდეგ აყენებდა. დამაფიქრებელი იყო მერვე მუხლში გაკეთებული ჩანაწერი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ საკითხზე შემდგომ ცალკე არტიკული დაიწერებოდა. რუსეთის ხელისუფლებისათვის ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ მიუღებელი იყო დაპყრობილ ქვეყანაში დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის

[1] ი. ცინცაძე, 1873 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ. 1960:122-123.

არსებობა, კათოლიკოზ-პატრიარქით სათავეში. ამავე დროს, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ II ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის შვილი იყო და, ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლების მიუხედავად, უკმაყოფილო მოსახლეობა შეიძლება მის გარშემო გაერთიანებულიყო და საფრთხე შეექმნა ქართლ-კახეთში რუსული გეგმის განხორციელებისათვის. რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან, პეტრე I-ის ბრძანებით, გაუქმდა პატრიარქობა და სახელმწიფომ ეკლესიის მართვა პირად კონტროლზე აიყვანა იმპერატორის მიერ დანიშნული ობერ-პროკურორის მეშვეობით. რუსული ხელისუფლების თბილისში მყოფმა წარმომადგენლებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება კათოლიკოზ-პატრიარქ ანტონ II-ის რუსეთში გასაწვევად, ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად და სინოდალური მმართველობის შემოსაღებად. მთავარმართებლები ციციანოვი და ტორმასოვი უხეშად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საქმეებში, ამავე დროს კათოლიკოზ-პატრიარქ ანტონ II-ს დაავალეს ქართლ-კახეთის ეკლესიის რეორგანიზაცია, რამაც ეკლესიის წრეებში უკმაყოფილება და დაპირისპირება გამოიწვია. ამ საკითხების გამოსაძიებლად უწმიდესი ანტონ II გაიწვიეს რუსეთში, ამასთანავე 1811 წელს გამოქვეყნებული რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, გაუქმდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო მმართველობა და მის ნაცვლად დაწესდა სინოდალური მმართველობა. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუყენეს რუსეთის უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს ეგზარქოსი. პირველი ეგზარქოსი იყო მიტროპოლიტი ვარლაამი (ერისთავი), რომელმაც პირნათლად შეასრულა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების დავალება, მაგრამ მას ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ და 1817 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს ეკლესიას განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები (თეოფილაქტე

რუსანოვი 1817-1821 წ.წ., იონა ვასილევსკი 1821-1832 წ.წ., მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი1832-1834 წ.წ., ევგენი ბაჟანოვი 1834-1844 წ.წ., ისიდორე ნიკოლსკი 1844-1858 წ.წ., ევსევი ილინსკი 1858-1877 წ.წ., იოანიკე რუდნევი 1877-1882 წ.წ., პავლე ლებედევი 1882-1887 წ.წ., პალადი რაევი 1887-1892 წ.წ., ვლადიმერ ბოგოიავლინსკი 1892-1898 წ.წ., ფლაბიანე გოროდოცკი 1898-1901 წ.წ., ალექსი ოპოცკი 1901-1905 წ.წ., ნიკოლოზ ნალიმოვი 1905-1906 წ.წ., ნიკონ სოფისკი 1906-1908 წ.წ., ინოკენტი ბელიაევი 1908-1913 წ.წ., ალექსი მეორე მოლჩანოვი 1913-1914 წ.წ., პიტირიმე ოკინოვი 1914-1915 წ.წ., პლატონ როჟდესტვენსკი 1915-1917 წ.წ. რთული პროცესები დაიწყო დასავლეთ საქართველოში, სადაც XV საუკუნის 70-იანი წლებიდან არსებობდა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოზო, რომელიც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, 1814 წელს გაუქმდა და დაექვემდებარა „საქართველო-იმერეთის ეგზარქოსს“ 1817 წელს ეგზარქოსად დანიშნულმა თეოფილაქტე რუსანოვმა დაიწყო საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ქონების აღწერა, რასაც მოჰყვა 1819-1820 წლების დიდი საეკლესიო ამბოხება. ხელისუფლებამ, ამბოხების მოთავეობის ბრალდებით, დააპატიმრა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მმართველნი: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი.

რუსმა ეგზარქოსებმა საქართველოს ეკლესიაში შეამცირეს ეპარქიები, მონასტრები, გააუქმეს ქართული წირვა-ლოცვა და აქტიურად დაიწყეს ქართველი ერის გარუსება. მათ გაძარცვეს ქართული ეკლესია-მონასტრები, უცხოეთში გაიტანეს და გაყიდეს ქართული ხატები, კირით შეათეთრეს უძველესი ქართული ფრესკები. ეგზარქოსმა პავლემ გამოიყენა თბილისის სასულიერო სემინარიის ცნობილი ინციდენტი (1886 წელს სემინარიელმა იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა რექტორი ჩუდეცკი) და მის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში დაწყევლა ქართველი ერი.

ქართველი ხალხი მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას და პროტესტს გამოთქვამდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყეს. ამ მოძრაობის არსი კარგად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ მოწოდებაში „მამული, ენა, სარწმუნოება“, რაც გულისხმობდა: 1. ღირსებისათვის ბრძოლას, პირველ ეტაპზე საქართველოს კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას, შემდეგ - სრულ თავისუფლებას, 2. ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, 3. ბრძოლას ქართული ენის უფლებების აღსადგენად პირველდაწყებით სკოლებში, გიმნაზიებში, საუნივერსიტეტო სივრცეში. ავტოკეფალურ მოძრაობაში ილია ჭავჭავაძემ ჩართო ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირები: ლეონიდე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, მარკოზ ტყემალაძე, ამბროსი ხელაია, იოსებ ჩიჯავაძე და სხვები. ამ ჯგუფმა ჯერ ქართულ, შემდეგ რუსულ პრესაში დაიწყეს პოლემიკური შინაარსის წერილების ბეჭდვა, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს, რუსი ეგზარქოსების ანტიქართულ, ანტიქრისტიანულ ქმედებებს. როგორც იმხანად დეკანოზი (შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კალისტრატე) იხსენებდა, მას 1894 წელს ჟურნალ „პასტერში“ დაუბეჭდავს ვრცელი სტატია „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“, რომელშიც დაწვრილებით განიხილავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიასა და რუსეთის ხელისუფლების უკანონო ქმედებას, როდესაც მათ, საეკლესიო კანონიკის დარღვევით, გააუქმეს მისი ავტოკეფალია. ავტორი დასძენდა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლებას უნდა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის

დაეუბრუნებინა ავტოკეფალია. წერილმა დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში. წერილის შინაარსით განრისხებულმა საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლინსკი) თავისთან დაიბარა ჟურნალ „პასტერის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, დაემუქრა მას: „როგორ გაბედეთ წერილის დაბეჭდვა? როცა თავიდან ბოლომდე წერილი არ წაგიკითხავთ, როგორ ენდეთ ახალგაზრდა კაცს? ღმერთმა უწყის, რას დაწერს შემდეგ, რა თვალით შეხედავს ამას უწმიდესი სინოდი და რას მეტყვის იგი მე ან თქვენ?“[1] ეგზარქოსი შეშინებულ დეკანოზ დავითს დაემუქრა ჟურნალის დახურვით და დასძინა, ახლავე დაიბარე წერილის ავტორი და მოსთხოვე მომდევნო წერილი ასე დაასრულოს, რომ საქართველოს ეკლესიას არასდროს ავტოკეფალია არ ჰქონიაო. დეკანოზმა კალისტრატემ ჟურნალის რედაქტორის თხოვნა არ შეასრულა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეალიის აღდგენისათვის მებრძოლ ქართველ სასულიერო და საერო პირებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ცნობილმა რუსმა სლავოფილმა ნიკოლოზ დურნოვომ, რომელმაც თავის წიგნში „ქართული ეკლესიის ბედი“ ამხილა რუსი ეგზარქოსების საქმიანობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა აღედგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ნიკოლოზ დურნოვს სჯეროდა, რომ თუ რუსეთის ხელისუფლება რუსეთში სინოდალური მმართველობის ნაცვლად აღადგენდა პატრიარქობას, რუსეთის პატრიარქი აუცილებლად აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. სამწუხაროდ, მისი ვარაუდი არ გამართლდა. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის პატრიარქად არჩეულმა ტიქონმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ და ქართველ იერარქებს რუსეთის ეკლესიის წიაღში დაბრუნებისაკენ მოუწოდა.

XX საუკუნის დასაწყისში, 1901 წელს, რუსეთის

[1] კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ. 2001:47.

იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, ობერ-პროკურორის წარდგინებით, საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან გადააყენა მთავარეპისკოპოსი ფლავიანე (გოროდოცკი) და მის ნაცვლად ეგზარქოსად დანიშნა არქიეპისკოპოსი ალექსი (ოპოცკი). რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლების ვარაუდით, ახალი ეგზარქოსი უფრო თანმიმდევრული და მკაცრი იქნებოდა ქართველი ავტოკეფალისტების მიმართ და დააჩქრებდა საქართველოს საეგზარქოსოს საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაციას. ეგზარქოს ალექსის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ავტოკეფალურ მოძრაობასა და მის წინამძღოლებს ეპისკოპოს კირიონს, ლეონიდეს. იგი საკმაოდ ეშმაკი და ცბიერი კაცი იყო. 1901 წელს, ვიდრე პოზიციებს გაიმყარებდა, იგი თანასმა იყო, რომ საეგზარქოსოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას დათმობოდა კვირაში 6 საათი, თუმცა თავისი პოზიციები გამყარების შემდეგ, ენერგიულად შეუდგა სკოლებიდან და სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ენის გამოდევნას. დეკანოზ ვოსტორგოვს საქართველო და ქართველები რომ სძულდა, ეს კარგად ჩანს მისი სიტყვიდან, რომელიც მას 1902 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში წარმოთქვა: „არავინ ისე არ მეზიზღება, როგორც ქართველები. ისინი თავიდანვე საზიზღრები იყვნენ. თუმცა საქართველო ღვთისმშობელს შეხვდა წილად, მაგრამ იმანაც ვერ გაბედა ამ საზიზღარ ხალხში წამოსვლა და სხვები გამოაგზავნაო. სამართლიანად სწყევლიდა ყველა ეგზარქოსი საქართველოს და სწყევლის დღესაც. ქართველები მუდამ მტრები არიან ჩვენი, მათ კი არ შემოუერთებიათ, არამედ სომხებმა შემოგვიერთეს საქართველო. ყველა ქართველი ჩვენ გვღალატობსო.“[1] დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი რუსეთის საერო და

[1] ვ. გურული, საქართველოს ისტორია 1801-1918 წ.წ. წიგ. III. თბ. 2019:102.

სასულიერო ხელისუფლების წინაშე აბეზღებდა ქართველ ავტოკეფალისტებს, თხზავდა მათი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მრავალფეროვან ვერსიებს.

1901 წელს მცხეთას სტუმრობდა საბერძნეთის დედოფალი ოლღა კონსტანტინეს ასული, რომელსაც უმასპინძლა ეპისკოპოსმა კირიონმა და თავის მისალმებაში შეეხო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს. ეს მისალმება დეკანოზმა ვოსტორგოვმა რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეაფასა და ხელისუფლებას მოსთხოვა ეპისკოპოს კირიონის საქართველოდან გასახლება. ამის შემდეგ, „1902 წლის 23 მარტს, როდესაც კირიონს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ უნდა დაეტოვებინა სამშობლო და გადასულიყო კამენეცკ-პოდოლსკის მონასტერში, ვოსტორგოვმა ცინიზმითა და ირონიით სავსე წერილი გაუგზავნა მას, რომელშიც თითქოს მწუხარებას გამოთქვამდა ამ გადაყვანასთან დაკავშირებით, რამეთუ მას, ვითომდა გადაწყვეტილი ჰქონდა მასთან ერთად ჩამდგარიყო ივერიის რელიგიური ინტერესების სამსახურში.“[1] ვოსტორგოვის დაბეზღებას ვერ გადაურჩნენ ვერც ეპისკოპოსი ლეონიდე და არქიმანდრიტი ამბროსი. ქართველი ერის დაშლა-დანაწევრების ვოსტორგოვისეულ საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკას მკვეთრად დაუპირისპირდნენ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, თედო ჟორდანია, თედო სახოკია. ამ პერიოდში რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა, 1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი დაპირისპირება რევოლუციაში გადაიზარდა, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი. რევოლუციური გამოსვლები იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ვითარების გათვალისწინებით, 1905 წლის 18

[1] ტ. კვიციანი, რუსი სამღვდელოების და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხში 1905-1917 წ.წ. პრესის მასალების მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005:58.

თებერვალს, რუსეთის იმპერიის კრიზისიდან გამოსაყვანად, იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს. ბრძანება სენატს ავალებდა, შეესწავლა იმპერატორის სახელზე შესული კერძო პირებისა და დაწესებულებების წინადადებები სახელმწიფო მმართველობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შესაძლებლობას აძლევდა, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე დაეყენებინათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობდა რუსეთის იმპერიაში მშვიდობას და წესრიგს. ქართველმა სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს ეს მომენტი გამოეყენებინათ და ხელისუფლების წინაშე დაეყენებინათ რუსეთის ხელისუფლებისგან უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ქართველ ავტოკეფალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსების პროგრესულად მოაზროვნე სამღვდელოება მხარს დაუჭერდა ქართველი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს. ამ დროს თვით რუსეთის ეკლესიის წიაღშიც იზრდებოდა იმ სასულიერო იერარქების რაოდენობა, რომელნიც აპროტესტებდნენ პეტრე I-ის დროს შემოღებულ სინოდალურ მმართველობას და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი ჯერ კიდევ 1904 წლის 27 დეკემბერს დასმულა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის შეკრებაზე თბილისში. შეკრების მონაწილეებმა შეადგინეს პეტიცია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ გამოცემული 1905 წლის 18 თებერვლის ბრძანების შემდეგ, ქართველმა საზოგადოებამ უფრო თამამად დაიწყო ავტოკეფალიის საკითხებზე საუბარი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით პირველი ოფიციალური შეკრება ქუთაისში შედგა 1905 წლის 16-22 მარტს. კრებამ იმსჯელა და დააყენა

საკითხი საღმრთო სჯულის ქართულ ენზე სწავლების აუცლებლობის შესახებ. ამავე კრებაზე მორიდებულად, მაგრამ მაინც დაისვა კათოლიკოზობის აღდგენის საკითხი. იმერეთის სამღვდელოების მსგავსად, გურიის სამღვდელოების სახელით, 472-მა სასულიერო პირმა საქართველოში კათოლიკოზობის აღდგენას დაუჭირა მხარი და 1905 წლის 15 აპრილს რუსეთის საერო და სასულიერო მმართველობას გაუგზავნა პეტიცია. ეს პეტიციები ადასტურებდა ქართული საზოგადოების მზაობას, ებრძოლათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ქართველ სასულიერო პირებს თავიდან ჰქონდათ განზრახული, სამღვდელოების შეკრება ეგზარქოს ალექსის თანხმობით მოეწვიათ. ამ მოთხოვნით მათ არაერთხელ მიმართეს ეგზარქოსს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. ეგზარქოსი ალექსი ძალიან დაბნეული იყო და ძირითადად ითვალისწინებდა ე.წ. „წესრიგის მომხრეთა პარტიის“ დამფუძნებლების: დეკანოზების ივანე ვოსტორგოვისა და სერგეი გოროდცევის რჩევებს. რადგან ეგზარქოსი აჭიანურებდა სამღვდელოების ყრილობის ჩატარების ნებართვის გაცემას, ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს მისი გვერდის ავლით მოქმედება. 1905 წლის 27 მაისს ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები თბილისში შეიკრიბნენ და კიდევ ერთხელ მოსთხოვეს ეგზარქოს ალექსის ყრილობის ჩატარებაზე ნებართვა. ეგზარქოსი თითქოს დათანხმდა მათ მოთხოვნას და განაცხადა, რომ ნებართვას გასცემდა, შეკრება გამართულიყო 1905 წლის 1 ივნისს. ეს არ იყო შემთხვევითი, ეგზარქოსს სურდა ელიზავეტოპოლის, ბაქოსა და ერევნის რუსი სამღვდელოების ჩამოყვანა და ყრილობაზე არეულობის გამოწვევა, ამიტომ ქართველმა სასულიერო პირებმა მისი ნებართვის გარეშე, 29 მაისს, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში დაიწყეს მუშაობა. ეგზარქოსი ალექსი დაუკავშირდა კავკასიის ახალდანიშნულ მთავარმართებელს გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს და ავტოკეფალისტების წინააღმდეგ

გადამწყვეტი მოქმედებისაკენ მოუწოდა. მთავარმართებელი დაფრთხა და შეეცადა განრიდებოდა სიტუაციას. 31 მაისს, როდესაც ქართველ სამღვდელოებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე უნდა დაეწყო მსჯელობა, ეგზარქოს ალექსის კურთხევით, პოლიციელები და კაზაკთა რაზმები შეიჭრნენ სემინარიის შენობაში და ყრილობის მონაწილე სამღვდელოებას, როგორც მეამბოხეებს, ისე გაუსწორდნენ - ისინი ცემა-ტყეპით გამოყარეს ქუჩაში. ამის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც მიიღეს მიმართვა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სადმი. მიმართვას ხელი მოაწერა 412-მა კაცმა. ამ ამბების შემდეგ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება მიხვდა, რომ ეგზარქოს ალექსის საქართველოში დატოვება მათთვის საზიანო იყო. ამიტომ, მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, გადაწყდა მისი და მისი თანამოაზრეების საქართველოდან გაწვევა. ეგზარქოს ალექსის ნაცვლად, დაინიშნა მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი). გაიწვიეს ცნობილი ანტიქართველი დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი, ასევე ქართველი რენეგატი ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე). დიმიტრი აბაშიძე ეგზარქოს ალექსის მიერ იყო ეპისკოპოსად ხელდასხმული და გამოირჩეოდა ანტიქართული სულისკვეთებით, ერთგულად იცავდა რუსეთის იმპერიულ ინტერესებს კავკასიაში.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული ქართული ინტელიგენცია, ქართველი მეცნიერები. ამ მხრივ გამორჩეული იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი. რა უნდა ექნა ეგზარქოს ალექსის მონაცვლე ახალ ეგზარქოსს მთავარეპისკოპოს ნიკოლოზს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1905 წლის აგვისტოში, როგორ უნდა წარემართა დიალოგი ქართველ ავტოკეფალისტებთან? მან ქართველ სამღვდელოებას მოახსენა, რომ გულდასმით გაეცნო ყველა

მათ მიმართვა-პეტიციებს და იმედოვნებდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. მაგრამ ამ მოგვარებაში ახალი ეგზარქოსი გულისხმობდა არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, არამედ განსაკუთრებული სამიტროპოლიტოს შექმნას, რომელსაც სათავეში ქართველი სასულიერო პირი ჩაუდგებოდა. ეს დათმობა ქართველ ავტოკეფალისტებს არ აკმაყოფილებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის ობერ-პროკურორმა საქართველოს საეგზარქოსოს დაავალა ოფიციალურად დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, როგორ შეიძლებოდა საეკლესიო რეფორმის განხორციელება. ეგზარქოსმა ნიკოლოზმა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს დაავალა საეგზარქოსოს ოფიციალური პოზიციის გახმოვანება. ეპისკოპოსმა ლეონიდემ თავის მოხსენებაში ვრცლად მიმოიხილა საქართველოში შექმნილი ვითარება და მოითხოვა ძირეული რეფორმა. ეს მოხსენება საინტერესო იყო, მაგრამ ხელისუფლებას მისი განხორციელების სურვილი არ ჰქონდა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის სამღვდელოების დიდი ნაწილი აპროტესტებდა იმპერატორ პეტრე I-ის მიერ მიღებულ რუსეთის ეკლესიის მართვის სინოდალურ პრინციპებს და მოითხოვდა პატრიარქობის აღდგენას. სასულიერო იერარქების ნაწილი თანახმა იყო, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს შეთავსებინა რუსეთის პატრიარქობაც. ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის პრობლემების განსახილველად, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, პეტერბურგში დაინიშნა საეკლესიო კრების წინარე თათბირი, რომელიც მუშაობას შეუდგა 1906 წლის 8 მარტს, პეტერბურგში. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკი), რომელმაც აღნიშნა, თურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება აღნიშნულ კრებას და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელთაც უნდა მოეგვარებინა რუსეთის იმპერიაში საეკლესიო სფეროში არსებული პრობლემები და ხელი შეეწყო ქვეყანაში სულიერი აღორძინებისათვის. საეკლესიო

კრების წინარე თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 10 მღვდელმთავარი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. სხდომებს ესწრებოდა რუსეთის სინოდის ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკი, რომელიც კრებაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში აყენებდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. სხდომაზე ორი მოხსენება წაიკითხა ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი): 1. „საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის," 2.„რა აიძულებს ქართველებს, მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას?" ეპისკოპოსმა კირიონმა თავის მოხსენებებში ნათლად აჩვენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განვლილი დიდი გზა და დაასაბუთა ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა. როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოს კირიონის მეორე მოხსენება იყო: „რა აიძულებს ქართველებს მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას?" ამ კითხვაზე ქართველი მღვდელმთავრის პასუხი ძალიან მარტივი იყო: საქართველოს ეკლესიას ჰქონდა ისტორიული და კანონიკური უფლება, მოეთხოვა ავტოკეფალიის აღდგენა. მით უფრო, ამ სურვილს ამძაფრებდა საქართველოს ეკლესიის მაშინდელი სავალალო მდგომარეობა. სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ეპისკოპოსმა ლეონიდემაც (ოქროპირიძე), რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოში საეგზარქოსო მმართველობა და ეგზარქოსები, რომლებიც სპობდნენ ქართულ საეკლესიო ტრადიციებს, მედიდურად უყურებდნენ თავის სამწყსოს, არ სარგებლობდნენ არანაირი ავტორიტეტით, სძულდათ ქართველები, ავიწროებდნენ ქართველ სასულიერო პირებს, აწინაურებდნენ უღირს სასულიერო პირებს. „დღეს ქრისტიანობა საქართველოში განიცდის საშინელ კრიზისს. ხალხი არ დადის ეკლესიებში, სრულიად აჰყარა პატივისცემა სამღვდელოებას, მღვდლების მოქმედებას და სწავლა-დარიგებას აღარ აქვს გავლენა მრევლზედ. როგორც სამღვდელოება, ისე მორწმუნე ნაწილი ქართველი ერისა,

ერთადერთ საშუალებად იმისა, რომ არ მოისპოს საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში და სამღვდელოებამ მოიპოვოს კვლავინდელი ნდობა სამწყოსი, თვლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არჩევნებითი სისტემით. ეს დასკვნა ერისა და სამღვდელოებისა საბოლოოა, მეტად მტკიცეა და ვერავითარი მოსაზრება ვერ შეაცვლევინებს მათ ამ რწმენას" [1]

ქართველი მღვდელმთავრების გაბედული და უკომპრომისო მოხსენებების შემდეგ დაიწყო კამათი. არხანგელსკის ეპისკოპოსმა სტეფანემ უკმაყოფილება გამოთქვა ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ გაკეთებულ აქცენტებზე და აღნიშნა, თუ რამდენი კარგი გააკეთა უწმიდესმა სინოდმა საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების განსამტკიცებლად და სიმართლეს არ შეესაბამებოდა ეპისკოპოს ლეონიდეს მტკიცება, თითქოს საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსები ვიღაც პირების გავლენის ქვეშ ექცეოდნენ და უხეშობდნენ ქართველების მიმართ. მან განსაკუთრებით დაიცვა ეგზარქოსი პავლე (ლებედევი), რომელიც თითქოსდა სიმკაცრის გამო შეიძულეს ქართველებმა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ პეტერბურგში მოწვეულ რუსეთის სინოდის წინარე სხდომების მონაწილეებს რეალურად არ აინტერესებდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, ამიტომ მათთვის ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების არგუმენტები მიუღებელი იყო. სამაგიეროდ, უსმენდნენ და ანტიქართულ პათოსს უწონებდნენ ცნობილ შავრაზმელ დეკანოზ ივანე ვოსტორგოვს, რომელმაც სინოდის წინარე სხდომებზე „დაასაბუთა", რატომ არ შეიძლებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1906 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა ბოლო სხდომა, რომელმაც ხმათა უმრავლესობით უარყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეა,

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, თბ. 2014:23.

და მიიღო „კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის პროექტი“ ეს პროექტი თავისი არსით იყო ანტიქართული და ემსახურებოდა ქართველი ერის დანაწევრების პოლიტიკას. პროექტის თანახმად, კავკასიაში საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად, ფუძნდებოდა 2 სამიტროპოლიტო, რომელთაგან ერთში შედიოდა ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპარქიები, სოხუმისა და ჯავის სამრევლოების გამოკლებით. ქართული ეპარქიების მღვდელმთავარი იქნებოდა მიტროპოლიტის წოდებით, მის ადგილსამყოფელად განისაზღვრა მცხეთა და თბილისში ანჩისხატი. მეორე სამიტროპოლიტო იქნებოდა რუსული, რომელსაც კავკასიაში მოქმედი რუსული სამრევლოები დაექვემდებარებოდნენ. მის ადგილსამყოფლად თბილისი, ხოლო საკათედრო ტაძრად სიონი ცხადდებოდა. მის დაქვემდებარებაში იქნებოდა სასულიერო სემინარია. სახელმწიფოსაგან გამოყოფილი ფინანსები. ეროვნული კუთვნილების მიხედვით მორწმუნეთა დაყოფა, რაც ამ პროექტით იყო გათვალისწინებული, სრულიად მიუღებელი იყო ზოგადად როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ასევე ქართველი ავტოკეფალისტებისთვის.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რომ არ სურდა, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მან 1906 წლის 9 ივნისს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი გაათავისუფლა ეგზარქოსის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნა მთავარეპისკოპოსი ნიკონი (სოფიისკი). ხელისუფლების აზრით, ახალი ეგზარქოსი ქართველ ავტოკეფალისტებს დევნას დაუწყებდა და ავტოკეფალიის მოსურნე სამღვდელოებას დააწყნარებდა. ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა, საპროტესტო დეპეშა გაეგზავნა რუსეთის სინოდისა და თვით მთავარეპისკოპოს ნიკონისთვის, რომელშიც მოითხოვდნენ, ის არ ჩამოსულიყო საქართველოში. ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში საგანგებოდ ინახულა სინოდის ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკი,

გადასცა ქართველი სამღვდელოების უარყოფითი აზრი ახალდანიშნული ეგზარქოსის მიმართ და ურჩია ხელისფუფლებას, ასეთ გართულებულ სიტუაციაში მთავარეპისკოპოს ნიკონის საქართველოში ჩამოსვლა კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებასო, მაგრამ ობერ-პროკურორმა არ გაითვალისწინა ილია ჭავჭავაძის რჩევა. მთავარეპისკოპოსი ნიკონი 18 აგვისტოს შეხვდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, მიიღო ინსტრუქციები და 26 აგვისტოს ჩამოვიდა თბილისში. ქართველი სამღვდელოება პროტესტის ნიშნად არ შეხვდა მას. 1908 წლის 28 მაისს ეგზარქოსი ნიკონი თბილისში მოკლეს. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას აწყობდა, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა ქართველი ავტოკეფალისტებისათვის დაებრალებინათ და ამით გაემართლებინათ რეპრესიები მათ მიმართ. გამოძიება განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ეპისკოპოს კირიონის პიროვნებით და ძალიან სურდა მისი სახელის დაკავშირება ამ მკვლელობასთან. მას, იმპერატორის ბრძანებით, ჩამოართვეს ეპისკოპოსის ხარისხი. მისი განთავისუფლების მოთხოვნით, ევროპაში დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება. ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა 1909 წლის 20 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს სთხოვა, დაეცვა ეპისკოპოსი კირიონი დევნა-შევიწროებისაგან. ეპისკოპოსი კირიონი სულიერად ვერ გატეხეს, უარი ვერ ათქმევინეს სამშობლოსა და დედა ეკლესიის სიყვარულზე. „ტანჯვას კაცი ადვილად იტანს, როდესაც დარწმუნებულია, რომ მისი ტანჯვა თანამემამულეებს ბედნიერებას მიანიჭებს.” იგი თანამემამულეებს, ავტოკეფალური მოძრაობის მიმდევრებს ამხნევებდა: „ჩემი აქ ყოფნა მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამძიმდება, როდესაც გულსაკლავი და არასანუგეშო ამბები მომივა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამაგვირგვინებელი... წინ ფიანდაზის მაგივრად, მართალია, ეკლიანი გზა გვიდევს,

მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია.” ეპისკოპოსმა კირიონმა განმარტოებაში ყოფნისას კიდევ უფრო დიდი სულიერი და შემოქმედებითი ძალა იგრძნო „განმარტოება მასწავლებელია სიბრძნისა, წერდა იგი, - განმარტოება მშობელია გმირთა, განმარტოება კაეშანს აქარვებს, განმარტოება აკვანია მამულიშვილობისა, განმარტოება მყუდრო ნავთსაყუდელია, განმარტოება სამკურნალოა გულისა, განმარტოება კრავს, ალომებს, განმარტოება მიზნის მიღწევას აადვილებს” ეპისკოპოსი კირიონი ქართველი ხალხისათვის, სამშობლოსა და საქართველოს ეკლესიისათვის წამებულ რაინდად იქცა.

1914 წლის 23 მაისს კირიონმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ვრცელი წერილით მიმართა, რომელშიც აღწერა თავისი საქმიანობა. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1915 წელს კირიონი აღადგინა ეპისკოპოსის სარისხში, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჩააბარეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია, წმინდა ანას ორდენითაც დააჯილდოვეს. პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა ეპისკოპოსი ლეონიდეც. ხელისუფლება განსაკუთრებით გაღიზიანებული იყო სინოდის წინარე სხდომაზე მისი გაბედული და მამხილებელი გამოსვლის გამო. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ბრალი დასდეს არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასაც, რომელიც გამოირჩეოდა ეროვნული სულისკვეთებით და ამხელდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ვერაგულ პოლიტიკას აფხაზეთში.

„1908 წლის დამლევს, უწმიდესი სინოდის განკარგულებით, სასტიკად ვიქენი დასჯილი: აღმეხადა მღვდელ-მსახურების უფლება და გაგზავნილ ვიქენი რიაზანის სამების მონასტერში, სადაც გავატარე ერთ წელიწადზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ. 1910 წელს დამიბრუნეს მღვდელმსახურების უფლება და მომცეს წინამძღვრის ადგილი. ჩემი გადმოსახლების შემდეგ გადის თითქმის


რვა წელიწადი, მაგრამ ყოველ ჩემ თხოვნას სამშობლოში დაბრუნებაზე, უწმიდესი სინოდი უყურადღებოდ ტოვებდა. უკანასკნელი პირადადაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ძველი ცოდვები, მაგრამ როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდისმეო. სჩანს მათ არა აქვთ კონკრეტული ფაქტები ჩემს წინააღმდეგ და მხოლოდ მათი პოლიტიკა უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარეთ ყოფნას, როგორც, მათი შეხედულებით, არასაიმედო პირისას. ამის გამო ახლაც, როდესაც სხვა გადმოსახლებულებს აჰსადეს არასაიმედო პირების სახელი, როდესაც, როგორც გაზეთებმაც გვამცნეს, მოხდა მათი რეაბილიტაცია, ჩემს მდგომარეობას არ ეშველა რა და ახლაც სიტყვიერად მაგებინებენ, რომ ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესება მოუხერხებელია, რადგან ძველი ცოდვები ამის წინააღმდეგს გვიკარნახებსო, მაგრამ მწამს, რომ დრო მალე გამოიცვლება. საზოგადოდ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მიატოვოს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას მოელოდეს პირადი წარმატება და ბედნიერება."[1] არქიმანდრიტი ამბროსი 1909 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის დეკემბრამდე რიაზანის ეპარქიის სამების მონასტრის პატიმარი იყო, აკრძალული ჰქონდა ღვთისმსახურება. რადგან ეგზარქოსის მკვლელობაში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცეს, აღუდგინეს ღვთისმსახურების უფლება და ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. მისი სამშობლოში დაბრუნების მცდელობა კვლავ უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო, ამ რეპრესიებით დაეშინებინათ ქართველი სამღვდელოება და უარი ეთქმევინებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნაზე, მაგრამ ასე არ მოხდა.

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი ამბროსი, თბ. 2009:30.

XIV. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს, ეკლესია და სახელმწიფო 1918-1921 წლებში

1917 წელს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებებით (იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომა) ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, სამშვიდობო პარაკლისის შემდეგ, ქართველი მღვდელმთავრები: ლეონიდე (ოქროპირიძე), დავითი (კაჭახიძე), ანტონი (გიორგაძე), პიროსი (ოქროპირიძე), გიორგი (ალადაშვილი) გამოვიდნენ ამბიონზე. გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ გაშალა გასანთლული ეტრატი და დაიწყო კითხვა:

„1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმინდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოის საკათოლიკოზო ტაძარსა შინა, დღესა კვირიკესა, შემოვკრბით ჩვენ, სრულიად საქართველოის ეკლესიის მწყემსთმთავარნი, სამღვდელონი კრებულნი და ერისაგან წარმომადგენელნი და, შემდგომად ლიტურღიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებელის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებაი (მუხ. 3). ამასთანავე განვბჭეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალური არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოის მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის აქტი
1917 წლის 12 მარტი

უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისათვის უცილობელად ვსცანით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ:

ა) ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მმართველობაი; ხოლო, ვიდრე კანონიურად აღირჩეოდეს კათოლიკოზი საქართველოის ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მმართველობაი საქართველოის ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი.

ბ) ვინაითგან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდაროზასა რუსეთისა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერ-პროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს - ტფილისში."[1]

დაასრულა კითხვა და ეპისკოპოსმა ლეონიდემ ჯვარი გარდასახა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ათასობით მორწმუნეს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მოწვევამდე, რომელიც დაამტკიცებდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას და აირჩევდა კათოლიკოს-პატრიარქს, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე. დროებით მმართველობაში შევიდნენ ეპისკოპოსები: ანტონი (გიორგაძე), პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზები:კორნელი კეკელიძე,ნიკიტა თალაკვაძე, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, მღვდლები: პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, გაბრიელ ყუბანეიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე, საერო პირნი: სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე, პავლე ინგოროყვა, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი),

[1] გაზ. საქართველო, 1917. N61.



საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი
წმინდა კირიონ II

პართენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გენერალი გიორგი ყაზბეგი.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდი, ანტონი და პიროსი მივიდნენ მთავარეპისკოპოს პლატონ როჟდესტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ, მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე, იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან. პლატონ როჟდენსტვენსკიმ ყურადღებით მოისმინა ქართველი იერარქების წინადადება და უპასუხა, მე ყველაფერს ამას შევატყობინებ პეტროგრადში წმინდა სინოდს დეპეშით, რასაც 3-4 დღე დასჭირდება და შემდეგ განკარგულების თანახმად მოვიქცევიო. ამავე დროს გთხოვთ, ძალას ნუ დამატანთ, ეს თქვენი საქმისათვის კარგი არ იქნება, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც უმწეო არა ვარ. რუსის ჯარისკაცებიც და მთავრობაც მომხრედ მყავსო. საერო ხელისუფლებამ მთავარეპისკოპოსი პლატონი ამიერკავკასიისა და თბილისის მიტროპოლიტად გამოაცხადა, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა არაქართველი მართლმადიდებელი მრევლი, ამავე დროს მითითება მიეცა ამიერკავკასიის დროებით მმართველობას, მხარი დაეჭირა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიისათვის და, ამასთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა დეკლარაცია. ეგზარქოსყოფილმა პლატონმა დეპეშით აცნობა მომხდარის შესახებ პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფლებას. ამის გარდა, მან სცადა შფოთისა და განხეთქილების ჩამოგდება ქართველ სამღვდელოებაში. იგი არ თმობდა სასახლეს, ატარებდა სხდომებს, რომელსაც ქართველი სამღვდელოებიდან თითქმის არავინ ესწრებოდა.

1917 წლის 27 მარტის სხდომაზე საქართველოს საეგზარქოსოს რუსულმა სამღვდელოებამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საეგზარქოსოს დაარსების შესახებ და რუსეთის წმინდა სინოდს მოსთხოვა ახალშექმნილი საეგზარქოსოს უშუალოდ წმინდა სინოდის იურისდიქციაში

გადაყვანა. მათი აზრით, ამიერკავკასიის საეგზარქოსოს უნდა დაქვემდებარებოდა არაქართველი ქრისტიანები. ამ გადაწყვეტილებიდან ჩანდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა თუ ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენაში ხელს ვერ შეუშლიდა, დათანხმდებოდა ეროვნულ ავტოკეფალიას, რაც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა და მომავალი შფოთისა და ურთიერთშეჯახების საფუძველი გახდებოდა. დროებითი მთავრობის დავალებით, მოლაპარაკებისათვის, თბილისში იგზავნებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლური საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტი ვლადიმერ ბენეშევიჩი.

1917 წლის 4 აპრილს, მიტროპოლიტ ლეონიდესთან შეხვედრისას, რუსეთის საერო ხელისუფლების წარმომადგენელმა ალექსანდრე ხარლამოვმა უკმაყოფილება გამოხატა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიმართ: „ჯარებს შორის აღელვება და დიდი უკმაყოფილება სუფევს რუს-ქართველთა შორის საეკლესიო საკითხებით გამოწვეული უთანხმოების გამო. დადის მათში სმა, რომ ქართველები რუსებს სდევნიან, ეკლესიებს ართმევენ და ითხოვენ რუს მოხელეებს“[1] მიტროპოლიტმა ლეონიდემ უარყო ხარლამოვის ბრალდებები და აღნიშნა, რომ ამ ხმებს და პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებენ მთავარეპისკოპოსი პლატონი და ის რუსი სამღვდელოება, რომელნიც ვერ ეგუებიან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდეგენასო. მანვე შესთავაზა ბატონ ხარლამოვს კომისიის შექმნა, რომელიც ობიექტურად შეისწავლიდა შექმნილ ვითარებას და დაადგენდა სიმართლეს. პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი თბილისში 1917 წლის 11 აპრილს ჩამოვიდა. დაიწყო მოლაპარაკებები. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ: დეკანოზები კორნელი კეკელიძე და ნიკიტა

[1] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები, თბ. 2016:46.

თალაკვაძე, ისტორიკოსი სერგი გორგაძე. ბენეშევიჩს სურდა ქართველი ავტოკეფალისტები ტერიტორიულის ნაცვლად ეროვნულ ავტოკეფალიაზე დაეთანხმებინა, მაგრამ მის ამ პოზიციას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ქართველი ავტოკეფალისტები. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ასე იხსენებდა ვლადიმერ ბენეშევიჩთან 17 აპრილის შეხვედრას: „თქვენ უკვე გადაიხარეთ ჩვენი მტრებისაკენ. ჩვენ თქვენში ვერ ვხედავთ რევოლუციური დროებითი მთავრობის წარმომადგენელს-თქო, თქვენ აშკარად იცავთ პლატონს და შავრაზმელ რუს მოხელეებს-თქო... ძლიერ გაჯავრდა, დამემუქრა კიდეც, მე ვუპასუხე... თქვენ ნება არ გაქვთ მიყვიროთ და დამემუქროთ, სხვა რომ არა იყოს რა, სიკვდილის უფლებას ვერ წამართმევთ-თქო“ [1]

„ბენეშევიჩი ხანდახან მოთმინებასაც კარგავდა: მან რამდენჯერმე გადაწყვიტა, გუდა-ნაბადი აეკრიფა და თბილისი დაეტოვებინა... ის უარყოფითად განეწყო როგორც ქართველი სამღვდელოების, ისე, ზოგადად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განხორციელების მიმართაც. პეტროგრადს გაგზავნილი მისი იმდროინდელი წერილები ცხადლივ ასახავს მისი დამოკიდებულების ცვლილებას.“[2] 21 აპრილს იგი ყოფილი ეგაზრქოსის პლატონის ბინაში გადასახლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი მთავარეპისკოპოს პლატონის გავლენის ქვეშ ექცეოდა. ამ საკითხზე იყო საგანგებო მსჯელობა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე. 1917 წლის 9 მაისს, მთავარეპისკოპოს პლატონისა და მისი მომხრეების წაქეზებით, შავრაზმელები თბილისში აპირებდნენ ავტოკეფალისტების დარბევას, მაგრამ ხელისუფლებამ დააპატიმრა 12 ეჭვმიტანილი და ეს საქმე ჩაეშალათ. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 30 მაისის სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროფესორ ივანე ჯავახიშვილისა და ისტორიკოს სერგი

[1] ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბ. 2013:22.
[2] მ. ღაღანიძე, ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, თბ. 2021:255.

გორგაძის მიერ შედგენილი პასუხი პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩის 2 მაისის წერილზე.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა გრძნობდა, რა რთულად მიდიოდა პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი და ფიქრობდა იქ თავისი დელეგაციის გაგზავნას, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს დააჯერებდა მათი მოთხოვნების სამართლიანობაში. 1917 წლის 9 ივნისს, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით, მოლაპარაკებებისათვის პეტროგრადში გაიგზავნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. 16 ივნისს ქართული დელეგაცია პეტროგრადში ჩავიდა. ამ დროს რუსეთის დედაქალაქში, და საერთოდ იმპერიაში, რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო. შექმნილი პრობლემების გამო ხშირი იყო მთავრობის შემადგენლობის ცვლილება, ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსნებს არ ეცალათ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციასთან შესახვედრად, მაგრამ იქაური გავლენიანი ქართველების: ირ. წერეთლის, კ. ჩხეიძის, ზ. ავალიშვილის, ნ. გელოვანისა და ა. ჩერქეზიშვილს დახმარებით, მათთვის მთავრობის წევრების კაბინეტის კარი გაიღო. 17 ივნისს დროებითი მმართველობის დელეგაცია, ზ. ავალიშვილისა და ნ. გელოვანის თანხლებით, შეხვდა რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერ-პროკურორს ვლადიმერ ლვოვს. ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ობერ-პროკურორს დაწვრილებით განუმარტა საქართველოში შექმნილი ვითარება და მოუწოდა მას, როგორც საერო ხელისუფლების წარმომადგენელს, დადებითად გადაეწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. ქართული დელეგაციის აზრით, საქართველოს ეკლესიის დებულების დამტკიცებამდე ამ ფუნქციას შეასრულებდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, შემდეგ კი სრულიად

საქართველოს კათოლიკოზი და საკათოლიკოზო საბჭო. სინოდის ობერ-პროკურორის აზრით, საქართველოს ეკლესიის „ტერიტორიული ავტოკეფალია ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდან ვერ შევთანხმდებით. რუსები უარს ამბობენ, დაემორჩილონ თქვენს კათოლიკოზს, ბერძნები ავტონომიურ ეპისკოპოსს ითხოვენ, აფხაზები უეპისკოპოსო ავტოკეფალიას, რომლებიც ზოგი თქვენსკენ იწევს, ზოგიც რუსებისკენ. სულ სხვა საქმეა კულტურულ-ნაციონალური ავტოკეფალია“.[1] 19 ივნისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია შეხვდა რუსეთის სარწმუნოების მინისტრს ა. კარტაშევს, რომელმაც გულახდილად განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება გაჭიანურდება, ვინაიდან რუსეთში უმრავლესობას ვერ წარმოედგინა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, ქართველების საწინააღმდეგოდ იმოქმედებდნენ, როგორც ესერები და მენშევიკები, ასევე ბოლშევიკებიც. ქართულმა დელეგაციამ სცადა პეტერბურგში რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრებთანაც მოესინჯა ნიადაგი. ამ მიზნით, 20 ივნისს მათ ინახულეს ეპისკოპოსი ანდრია უფელი, რომელმაც, ქართველებს განუცხადა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ, ამავე დროს, უსაყვედურა მოსკოვში რუსეთის ეკლესიის ყრილობაზე ჩაუსვლელობა, რაზედაც ეპისკოპოსმა ანტონმა უპასუხა: „არ ვიყავით იმიტომ, რომ თქვენმა საქციელმა გვაფიქრებინა, თუ თბილისში მისალმების ღირსადაც არ ჩაგვთვალეს, მოსკოვში კრების დარბაზშიც არ შეგვიშვებენ-თქო. როცა დროებითი მთავრობა დებულებას დაგვიმტკიცებს, მაშინ ვაცნობებთ სინოდს, თავისუფალ ქართულ ეკლესიას სურს ძმური და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთის სინოდთან-თქო“.[2]

ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პეტერბურგში

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, N.6465:3.

[2] საქართველოს საპატრიარქო არქივი, N.6465:3.

პროფ. ვლ. ბენეშევიჩის აზრებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სინოდის წევრების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ქართველები აგრესიულები არიან, ისინი რუსებს დევნიან, რომ მათი მსხვერპლი გახდა არაერთი რუსი პატრიოტი. ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრიდა სინოდის სხდომაზე პროფ. ვლ. ბენეშევიჩის მოხსენება, რომელმაც თბილისში თავისი მივლინების შედეგები ტენდენციურად წარმოაჩინა. მისი აზრი განავრცო პროფესორმა ვერხოვსკიმ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რევოლუციურ აქტად მონათლა. უფრო მეტიც, მან ქართველებს „სქიზმაში“ (განხეთქილებაში) დასდო ბრალი. სინოდი გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ხელს ვერ შეუშლიდა, ამიტომ იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ეს ეროვნულ ავტოკეფალიას არ უნდა გასცილებოდა. ქართველი პატრიარქი სვეტიცხოველში უნდა ყოფილიყო, სოლო თბილისში - რუსი მიტროპოლიტი. ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ირაკლი წერეთელს მიმართა: „რა გამოდის, ქართველებმა ხელი უნდა აიღონ დედაქალაქზე და დედა ეკლესიაზე სიონზე. ამას ჩვენ ვერ დავთმობთ და უეჭველად ატყდება სისხლისღვრა, რაც თქვენთვისაც სამწუხარო იქნება“.[1] საქართველოს ეკლესიის პოზიცია აქტიურად დაიცვა კარლო ჩხეიძემ, რომელსაც პეტროგრადში (პეტერბურგი) დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. „ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდეს, ჩვენს სიონში უცხოს რა ხელი აქვს. ჩვენი ეკლესიისათვის სულერთი არ არის თბილელი ერქმევა რუსის მღვდელმთავარს, თუ სხვა სახელი“,[2] აღნიშნავდა იგი.

პეტროგრადის ქართველების ძალისხმევით, მოხერხდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცის შეხვედრა დროებითი მთავრობის მეთაურ ალექსანდრე კერენსკისთან. მალე დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, N.6465:5.
საქართველოს საპატრიარქო არქივი, N.6465:5.

ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება. მან დაადგინა: „1) შეიმუშაოს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთის სახელმწიფოში; 2) მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენს მთავრობა, შემუშავება იმ საკითხებისა, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარქოსოს საკათოლიკოზოსათვის გადასაცემად. ამასთანავე, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და კომისიის ეს დადგენილება უნდა წარედგინოს დროებით მთავრობას განსახილველად; 3) საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერ-პროკურორს ქართული ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართ.“[1]

2 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა. ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმა რუსეთის წმინდა სინოდის სხდომაზე განაცხადა, საქართველო განუდგა მართლმადიდებლობას, და რომ ქართველ სამღვდელოებას არ ჰქონდა უფლება, დაეკავებინა ეგზარქოსის რეზიდენცია თბილისში. ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დააჩქარა საეკლესიო კრების მოწვევისა და კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოები.

1917 წლის 8 სექტემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, გაიხსნა საქართველოს ეკლესიის კრება, რომელსაც 441-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა.

11-16 სექტემბერს საკლესიო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტი. მიიღეს გადაწყვეტილება 13 ეპარქიის გახსნის შესახებ. დებულების თანახმად, საქართველოს ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად. ეპარქიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო

[1] ჟურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N.3

იყო საეპარქიო კრება. დებულების თანახმად, იქმნებოდა საეკლესიო სასამართლო, რომელიც იყოფოდა საოლქო, საეპარქიო და საკათოლიკოზო სასამართლოებად. კრებაზე კამათი გაიმართა იმის შესახებ, აუცილებელი იყო თუ არა საკათოლიკოზო საბჭოს წევრისათვის უმაღლესი განათლება. ამ საკითხზე შექმნილმა კომისიამ დაუჭირა მხარი სასწავლო ცენზის აუცილებლობას. მაგრამ დელეგატთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს თვალსაზრისი. საეკლესიო კრებაზე ცხარე კამათი წარმოიშვა დეკანოზ კორნელი კეკელიძის გამოსვლის გამო, რომელიც აღნიშნავდა, რომ კათოლიკოზ-პატრიარქისა და ეპისკოპოსისათვის ბერობა აუცილებელი პირობა არ ყოფილიყო. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ არ გაიზიარა კ. კეკელიძის ეს მოსაზრება. კრებამ შესაძლებლად მიიჩნია მიეცათ უფლება სასულიერო პირთათვის წვერისა და თმის შეკრეჭისა. საეკლესიო კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა სასკოლო კომისიის მოხსენება და დაადგინა საქართველოში არსებულ ქალთა და ვაჟთა სასულიერო სასწავლებლების გიმნაზიებად გადაკეთების შესახებ, სადაც სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა სასულიერო საგნებს, საქართველოს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას.

17 სექტემბერს კრებამ თავისი მუშაობა დააგვირგვინა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნებით. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი მიტროპოლიტ ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი. შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თავმჯდომარეობით. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობდა 441 დელეგატი. 11 ხმით მეტი მიიღო და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ- პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, სახელწოდებით კირიონ II.[1] საეკლესიო კრებაზე აირჩიეს ქუთათელ მიტროპოლიტად ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდელად ამბროსი ხელაია, ურბნელ ეპისკოპოსად

[1] ჟურნალი სვეტიცხოველი, 1917, N.3.

დავით კაჭახიძე, ალავერდელ ეპისკოპოსად პიროს ოქროპირიძე. თბილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდე. კრებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც არ გააუქმა თბილელი მიტროპოლიტის სახელო და თბილელის ეპარქია არ შეუთავსა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს. ამის გამო დაირღვა საეკლესიო კანონები და ნიკეის კრების მე-8, ხოლო ანტიოქიის მე-18 მუხლი, რომელთა მისედვით ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსის მოღვაწეობა ყოვლად დაუშვებელია. საეკლესიო კრების შემდეგ მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის მართველობის მოწესრიგებისათვის.

საეკლესიო კრების შემდეგ მალევე, 1 (14) ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საზეიმო ვითარებაში მოხდა კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ II-ის აღსაყდრება. უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს მიესალმენ: ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი, ქართული ჯარის სახელით კაპიტანი ირაკლი ცაგურია, საზოგადოების სახელით აქვსენტი აბესაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ირაკლი ამირეჯიბი. ამის შემდეგ კათოლიკოზი კირიონი სტუმრებთან ერთად გაემგზავრა სამთავროს მონასტერში, სადაც მას მიესალმნენ: სომეხთა კათოლიკოს გეორქ V-ის სახელით ეპისკოპოსები: ხორენი და მხითარი, დეპუტატი ხარლამოვი. მცხეთობის დღესასწაულს დაესწრო 11000 კაცი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო ერის პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლების მძლავრი ბიძგის მიმცემი, რომელსაც გულგრილი არავინ დაუტოვებია. კათოლიკოზმა კირიონმა თავისი საგანგებო გუჯარით (მიმართვა) მხარი დაუჭირა 1917 წლის 19-24 ნოემბერს თბილისში გამართულ საქართველოს ეროვნული ყრილობის მონაწილეებს:

„მშვიდობა თქვენდა და კურთხევა, რჩეულნო ივერიისანო! ძალამიხდილი, ჭაღარამოსილი მამათმთავარი ებრაელთ იაკობ ქვეყანასა უცხოსი ეგვიპტისასა მოუწოდებდა ძეთა თვისათა ათორმეტთა და ეტყოდა: „შემოკრბით ჩემდა, რათა მიგითხრა რაჲ შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა

დღესა, შემოიკერბით და ისმინეთ ძეთა იაკობისთა, ისმინეთ ისრაელისა, მამისა თქვენისა“ (შესაქ. 49,1-2). ასულნო და ძენო აწ წარტყვენვილისა და ძალამიხდილისა მხცოვანისა საქართველჲსანო! შემოიკერბით ჩემდა, მამათმთავარისა თქვენისა, და ყური მიაპყარით სიტყვათა ჩემთა. ოდეს ერი ქართველთაჲ გარემოიცვა შურმან, მტროზამან და ურთიერთას გაუგებრობამან, ოდეს იგი დაადგა გზასა დანაწილებისა და დაწვლილებისასა, – შესუსტდა შემოქმედობითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაკნინდა შინაგანი ცხოვრება მისი, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალა ანმან, მუხლი მოიდრიკა წინაშე უცხო თესლისა, რომელმან, თქმულისაებრ წერილისა, „ძენი თქვენნი წარიყვანა და ცხენთა ზედა აღახნა ასულნი თქვენნი აღიხვნა და მზარეულ ქმნა; აგარაკანი თქვენნი და ვენახნი, ზეთის ხილნი თქვენნი და კეთილნი მოგიღოთ; თესლი თქვენნი და ღვინო განგიათეულნა და გყო თვენ მისდა მონად“ (მეფ. 1, VII, 11-17). „რაოდენ გზის ინება“ დედამან-მშობელმან „შეკრება თქვენი, ვითარ სახეთ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, გარნა არა ინებეთ ესე“ (მათ. 23,27) და არცა „უფალმან“ თქვენმან ნებავცა ამისი. და დღეს, ოდეს ვხედავ კრებულსა რჩეულთასა დიდსაწადელსა, წინასწარმეტყველებრ ვღაღადებ: „აჰა, ესერა რაჲმე კეთილ ანუ რაჲმე შვენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათაჲ ერთად” (ფსალ. 132,1) აჩრდილნი დიდებულთა ჩვენთა წინაპართანი,ვედრებანი ივერიის ახლად აღდგენილი ეკლესიისანი და კურთხევა ჩემის უღირსობისაი გფარავდეთ და წარგიძღოდეს თქვენ გზასა მას მოღვაწებისა თქვენისასა“.[1]

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე აქტიურად შეუდგა სასულიერო სასწავლებლების გაეროვნულებას. მან დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძესა და დეკანოზ კორნელი კეკელიძეს დაავალა,

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოზ კირიონის ფ. N.276.

მოემზადებინათ პროექტი თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის ბაზაზე ქართული სასულიერო სასწავლებლის დაარსების შესახებ. პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამოუკიდებელი ეკლესიისათვის აუცილებელი წმინდა მირონის მომზადებას. 1918 წლის 30 აპრილიდან 3 მაისამდე, აღდგომის კვირაში, მირონი მომზადდა თბილისში, ანჩისხატის ეკლესიაში. 1918 წლის 8 თებერვალს, თბილისში, ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, ქართველ მეცნიერთა ღვაწლით გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კირიონ II-მ, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის თანამწირველობით, ახალდაარსებული უნივერიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, უნივერსიტეტის ეკლესიაში გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი და ამ სიტყვებით მიმართა ქართული უნივერსიტეტის პროფესურას: „ცოდნისა და მეცნიერების მიმდევარნო! დღეს შევიკრიბენით ამ წმინდა ტაძარში, რათა გამოვითხოვოთ ღვთისაგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამ ძვრა-რყევისა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩავუყაროთ ქართულ მაღალკულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით... ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტმა სიყვარულმა შეკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭიძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ, ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო, ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან.

იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა."[1]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მუშაობაში, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო, მონაწილეობდნენ თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი და არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა). ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით, 1918 წლის 28 მაისს შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭო. სხდომას თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. სხდომაზე მოისმინეს მოხსენება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და დაადგინეს: „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების აღსანიშნავად, კვირას, 2 ივნისს, წირვის შემდეგ, სიონის ტაძრიდან და ქაშვეთის ეკლესიიდან მისი უწმინდესობის, კათოლიკოზ-პატრიარქისა და თბილელი მიტროპოლიტის მონაწილეობით სამღვდელოება გაემართება ლიტანიით თავისუფლების მოედანზე, სადაც გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი"

1918 წლის 2 ივნისს, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ თავისუფლების მოედანზე გადახდილ იქნა პარაკლისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ხალხს: „მადლობა ღმერთს. ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს.... აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს, 5 საათზე, გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში. როგორც მკვდრეთით აღდგომილმა ქრისტემ თავისი საფლავის კარიდან გადააგორა ლოდი, ისე

[1] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი, N27 გვ. 830.

დღევანდელმა საქართველომ მოიხსნა მონობა, ასი წლის განმავლობაში ლოდად რომ აწვა მკერდზე.... ახლად შეძენილ თავისუფლებას, ჩვენი ერის სოციალურ-პოლიტიკური არსებობისათვის ყურძნის მტევანივით ლამაზად შეკრულ-აწყობილ სახელმწიფოს და დამოუკიდებლობასაც, ჩვენდა სავალალოდ, ახლავე აედევნენ შავი ღრუბლები და ნისლი, ახლავე გამოუჩნდნენ შიგნით და გარეთ მტრები და შურითა და უსამართლობით აღვსილი პირები."[1]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდი განსაცდელი იყო, რაც 1918 წლის ივნისის ბოლოს მოხდა. 27 ივნისის გაზეთმა „საქართველომ" სამწუხარო ცნობა მიაწოდა ქართველ მკითხველს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II 26 ივნისს სოფ. მარტყოფს გაემგზავრა საპატრიარქო რეზიდენციაში... 27 ივნისს, დილით, იგი მიცვალებული იპოვეს მის საწოლ ოთახში" მიტროპოლიტი ლეონიდე 1918 წლის 27 ივნისიდან 1919 წლის 23 თებერვლამდე, როგორც მოსაყდრე, ისე განაგებდა საქართველოს ეკლესიას, ხოლო 1919 წლის 23 თებერვლიდან 1921 წლის 11 ივნისამდე - როგორც კათოლიკოზ-პატრიარქი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ურთიერთობა გართულდა კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) დროს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთ მიაჩნდათ, რომ ქვეყანაში დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა გაძლიერებულიყო. მათი ხედვით, სეკულარულ საზოგადოებაში სარწმუნოებას თავისი მკაცრად განსაზღვრული სივრცე უნდა ჰქონოდა და არასოდეს არ უნდა ჩარეულიყვნენ საერო საქმიანობაში. კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე და საკათოლიკოზო საბჭო კი მიიჩნევდა, რომ ავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს ეკლესიას სჭირდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს

[1] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, სერგი გორგაძის ფონდი, N27-830.

საერო ხელისუფლების თანადგომა, მაგრამ თანადგომის ნაცვლად მიიღეს შევიწროვება. 1918 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებელი უშუალოდ განათლების სამინისტროს დაექვემდებარა, უფრო მეტიც, თბილისის სასულიერო სემინარია გადააკეთეს თბილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიად. საქართველოს ეკლესიის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ხელისუფლება აგრძელებდა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის პოლიტიკას. კათოლიკოზ-პატრიარქმა ლეონიდემსაკათოლიკოზოსაბჭოსსხდომაზეგანაცხადა:„ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც, დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც, სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოულობთ სახელმწიფოსგან.“[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მაინც თავისი გზით მიდიოდა, აგრძელებდა ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორების პოლიტიკას. მათი დადგენილებით, საკათოლიკოზოს ჩამოართვეს საეკლესიო სასწავლებლების შენობები, ქონება, ასევე, მიწათმოქმედების სამინისტროს წინადადებით, ეკლესიას ჩამოერთვა მიწები, სათიბები, წისქვილები, ტყეები, გაუქმდა რკინიგზაზე მღვდლის თანამდებობა. „ვერ გაგვიგია, რათ დაგვაყენეს კანონის გარეთ?

აღნიშნავდა კათოლიკოზი ლეონიდე, მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ, თუ მიწა არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავით გარეჯს, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას? რომელი სახელმწიფო საქმე უნდა გამოვიდეს ჩვენი ბერების შიმშილისგან გაწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?“[2] 1919 წლის მაისში, ლეონიდე

---

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, N6443:3

[2] საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, N6443:5

პირადად შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და მოახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის შესახებ. მან მთავრობის მეთაურს საგანგებო წერილითაც მიმართა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ!

განვლილი მაისის ნახევარში ვიკადნიერე თქვენი შეწუხება ჩემთვის აუდიენციის მიღებით თქვენთან პირადად და სხვადასხვა საეკლესიო საკითხებზე სათათბიროდ. როგორც მოსალოდნელი იყო, პატივი დამდეთ, მიღების საათი დამინიშნეთ და გულმოდგინებითაც მოისმინეთ ჩემი სიტყვიერი ვრცელი მოხსენება. მომახსენეს, რომ სულ ახლობელ მომავალში ისმინება საკითხი მონასტრებისათვის მიწების დატოვებისა კერძო მესაკუთრეთათვის მიღებული ნორმითაო და ჩემთანვე უბრძანეთ თქვენს მდივანს ამის თაობაზე შესაფერისი ქაღალდის გამზადება. მას უკან აგერ თვე გადის და დღევანდელობამდე ამ საკითხისა არა ვიცი რა. მონასტრების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება: ბერები ზოგნი შიმშილისაგან იხოცებიან და ზოგნიც, რაკი არაფერს საიმედოს აღარა ხედავენ გარშემო, გარბიან მონასტრებიდან და ამის გამო საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებულნი, ხდებიან მგლების და ტურების საცხოვრებელ ბუნაგებად. მორწმუნენი აღარაფერს სიკეთეს აღარ გამოელიან მთავრობისაგან და გამწარებულნი ტოვებენ მონასტრებს. ამის გამო, რადგანაც საქმე აღარ ითმენს გაგრძელება-გადადებას და მეტად რთულდება, უმორჩილესად გთხოვთ, შესაძლო სიჩქარით ინებოთ ბრძანების მიცემა, ვისდამიც ჯერ არს, რათა მიწის მიმღებმა კომისიებმა მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილება... ვსასოებ, რომ ამ თვის 16-ს მისცეთ სასურველი მიმართულება ჩემს შუამდგომლობას.“[1] მაგრამ დაპირებების იქით საქმე არ დაძრულა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, თბ. 2014:58-59

დაიძაბა მას შემდეგ, რაც მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას 1920 წლის განკარგულებით, უკეთ დაცვის საბაბით, გელათისა და ჯრუჭის მონასტრის განძი ჩამოერთვა ეკლესიას და გადატანილ იქნა სახელმწიფო საზინაში. ამის შესახებ კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდეს დეპეშით აცნობა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა. ამ ინციდენტს წინ უძღოდა ხელისუფლების მაშინდელი ორგანოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1920 წლის 7 დეკემბერს №278) გამოქვეყნებული წერილი „სულიერი მამების ქურდობა და უდიერობა“ გაზეთი ასევე გვამცნობს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასა და კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდეს შორის დაპირისპირების სახელისუფლებო ვერსიას. „მიმდინარე წლის ნოემბრის 13-ს, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარისაგან ბ-ნმა მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, სადაც მას ერობის თავმჯდომარე ატყობინებდა, რომ გელათის მონასტრის ძვირფასი ნივთები იყიდება ბერების მიერ და ზოგიერთი გაყიდული ნივთები დააკავეს. მთავრობის თავმჯდომარემ მაშინვე გააგზავნა თავისი რწმუნებული, დამფუძნებელი კრების წევრი და მთავრობის თავმჯდომარის მდივანი გიორგი ცინცაძე და მიანდო: თუ ფაქტი ბერების მიერ ნივთების გაყიდვისა დამტკიცდებოდა, მიეღო ყოველივე ზომა გელათის მონასტერში შენახულ ძვირფასს განძეულობის დაცვისათვის და თუ საჭიროდ დაინახავდა გადაეტანა ის სახელმწიფო ხაზინის საცავში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარს აგვისტოში ნება მიუცია გელათის მონასტრის წინამძღვრისთვის, რომ მას გაეყიდნა ის ნივთები, რომელიც საეკლესიო სახმარებლად არ არის საჭირო. მონასტერში დაცულ საუნჯის სამალავი მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გარღვეული დახვდა და ამის მიზეზად იკონომოსის გამოცვლა დაასახელეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ერთ ძვირფასს ხატს რამდენიმე თვალი ახლად აცლილი აქვს და უეჭველი გაყიდულია. რამდენი ნივთები გაიყიდა აგვისტოს შემდეგ, ამის თქმა ჯერ-ჯერობით

ძნელია. ყველა ამის შემდეგ მთავრობის რწმუნებულმა მიიღო ზომები მთელი ამ განძეულობის მონასტრიდან გატანისა და მის დასაცავად საიმედო ადგილს. საკათალიკოზო საბჭომ ამ ორი დღის წინად სთხოვა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, დაენიშნა დრო საეკლესიო საბჭოს დელეგაციისათვის აღნიშნულ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. ბატონ მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საეკლესიო საბჭოს დელეგაცია კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით. მისვლისთანავე კათოლიკოზმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს სრულიად დაუშვებელ და შეუწყნარებელ სიტყვებით. მან, სამღვდელოების სახელით, მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადა „გაკიცხვა, აღსაშფოთებელი გულისწყრომა და პროტესტი" სხვა ასეთი სრულიად უდიერი სიტყვებით. ბატონმა მთავრობის თავმჯდომარემ ამის შემდეგ დელეგაციას განუცხადა: საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი და მისი მთავრობის თავმჯდომარე ასეთ შეურაცხყოფელ სიტყვებს ვერ მოითმენდა ეკლესიისაგან... კათოლიკოზმა ლეონიდემ მთავრობის თავმჯდომარე პირადად დაადანაშაულა მოვლენების ასე დრამატულად განვითარების გამო: „თქვენ შეუფერებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სვინდისი, იმ ხალხისა, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტვერი არ გამყვესო. რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო. თქვენ აბუჩად იგდებთ, როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალო საინების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს თქვენის მხრით სხვისი სვინდისის შეგინება არ არის? მორწმუნეთათვის ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველი აპატიებს და შეარჩენს ვინმეს? სასტიკად სცდებით. გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი,

რომელიც თუ ახლავე თქვენი ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი ჭიაკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს... ამ ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს. უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი."[1] ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს შორის თანამშრომლობის ყველა გზა გადაიკეტა. კათოლიკოზ-პატრიარქს კიდევ ერთხელ მოუხდა მთავრობის თავმჯდომარესთან დაპირისპირება. 1920 წლის ნოემბრის ბოლოს, კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე და საკათოლიკოზო საბჭოს წევრები მოულოდნელად მივიდნენ მთავრობის სხდომაზე და შემდეგი განცხადება გააკეთეს:

„მოვედით თქვენთან, რათა განგიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად, თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში ვითომდა დასაცველად ჯვარ-ხატები, წმინდა ნაწილები და სხვა... ამის გამო მე გიცხადებთ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას.

მთავრობის თავმჯდომარე: მე ვწყვეტ სხდომას, საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსგან გამოუყოფელია, ვერ შევქმნით სახელმწიფოში სახელმწიფოს. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მას.

კათოლიკოზი ლეონიდე: მე ვასრულებ ჩემს საღმრთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სახელმწიფო საკუთრებად თვლიდით... ნახვამდის."[2]

---

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, N6443:8-9.

საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს

ამ ინციდენტის შემდეგ გაზეთ „ერთობაში“ 1920 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნდა წერილი „რით გავანაწყენეთ ეს „ღვთისმოსავნი“?, რომელშიც ეწერა: „გაზეთმა „საქართველომ“ დათვური სამსახური გაუწია ამ საკითხის გადასაჭრელად ბატონ კათოლიკოზს. მან გამოაქვეყნა ბატონ ლეონიდეს წერილი მთავრობის თავმჯდომარისადმი, საიდანაც სჩანს, რომ უკანასკნელს, თავის განკარგულებით, რომლის ძალით გელათში დაცული ისტორიული საუნჯე ბაზარში გაყიდვას იქნა გადარჩენილი და, როგორც ერის ქონება, ერის სალაროში (ეროვნულ მუზეუმში) შენახული, თურმე „შარა გზაზე სვამს ქართული ეკლესიის ყოფნა არ ყოფნის საკითხს“ ე.ი. ლუკმა პურს ართმევს მღვდლებსა და ბერ-მონაზონებს. აქედან ცხადია, რა გულის წადილი ამოქმედებს ამ ღვთის მოსავთა კრებულს. ეს საიქიოს მოციქულები ღვთის სახელით და სასოების გრძნობით სარგებლობენ თავის სააქაო, ხორციელ საქმეების მოსაწყობათ. მათ ეკლესიაში დაცული განძეულობა, მონასტრებში შენახული ისტორიული სიმდიდრე ქართველი ხალხისა, თავის საკუთრებათ მიაჩნიათ. აი მოისმინეთ: „თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნეთ მისი საკუთრება, - იმუქრება კათოლიკოზი, - ვერც მე შემეძლება გაჩუმება და იმ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედების თავისუფლებას“ გაზეთი საზოგადოებას მოუწოდებდა ფხიზლად ყოფილიყვნენ, ვინაიდან კათოლიკოზი ლეონიდე და სამღვდელოება თავისი ქმედებებით ემუქრებოდა ახალგაზრდა დემოკრატიას, უფრო მეტიც, „გელათის მონასტერს დაუბრუნეთ მისი საკუთრება“ სჩანს თამარ დედოფლის ქოშები გელათის მონასტრის ყოფილა ან უკეთ იმ ბერების და ეპისკოპოსების, რომელნიც ამ მონასტერს განაგებენ და არაა ქართველი ერის. ალბათ თამარ მეფე – გელათის მონასტრის მეფე თუ გონიათ ამ „ღვთისნიერ“ ხალხს, მაგრამ რომელი საბუთით? ეკლესია ძველათ სახელმწიფოს ერთი განუყრელი ნაწილი იყო, ხოლო ეკლესიის მეთაურნი

ფონდი, N6443:9-10.

– ყმების მფლობელნი, მემამულენი და უმეტესათ მეფის გვარეულობიდან გამოსულან. აქ სახელმწიფო ფლობდა ხალხის სიმდიდრეს ღვთის სახელით. ზეცის შიში იყო საშუალება ხალხის დამორჩილების. ამიტომ სიმდიდრე ერის მრავლდებოდა მონასტრებში, რომ ხალხისაგან ხელშეუხებელი ყოფილიყო, ხოლო თვით ეს მფლობელნი და გამგებელნი ეკლესიისა კი, როგორც მესაკუთრენი, თავისუფლათ სარგებლობდნენ ამ ხალხის ოფლით მონაგარ ქონებას. და დღეს, როცა ხალხმა მონობისაგან თავი იხსნა – ეს ზეცის შემყურენი კვლავ სააშკარაოზე გამოვიდნენ და ქვეყანას ძველ, ფეოდალურ საზომათ და არშინათ მოევლინენ. ძვირფასი განძეულობა გელათის მონასტრის საკუთრებაა, ხოლო მონასტერი ჩვენი, სამღვდელოების, მაშასადამე ჩვენ გვაქვს უფლება იმით ვისარგებლოთ, რაც იქ ერს დაუგროვებია. და თუ მთავრობა, წარმომადგენელი მთელი ხალხის, ამ ხალხის სახელით ბედავს მის დაცვას მღვდლების და ბერების გაფლანგვისაგან, თუ იგი ხალხს უბრუნებს მის უდაო განძეულობას, ეს თურმე „შარა გზაზე დასმაა ეკლესიის ყოფნა არ ყოფნის საკითხის“, ეს თურმე შელახვაა ერის უფლების.

ეს არ იყო უბრალო საგაზეთო წერილები. ეს გამოხატავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას და ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის დიდი გაუცხოება მოხდა. თუ კარგად გავაცნობიერებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას, ნათლად ჩანს, რომ მათთვის საქართველოს ეკლესია არ იყო განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის ინსტიტუციონალური ორგანიზაცია. ჯერ კიდევ 1918 წლის 6 სექტემბრის კანონით, მათ თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია ჩამოართვეს ეკლესიას, იმავე წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის, გორის, ხონის, სოხუმის სასულიერო სემინარიები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1919 წლის 17 ივნისის კანონით, გაუქმდა

საეკლესიო უქმე დღეები: მირქმა, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე, სულთმოფენობა, ფერისცვალება, მიძინება, ღვთისმშობლობა, ჯვართამაღლება, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება. სამაგიეროდ, უქმე დღეებად გამოცხადდა: ახალი წელი, რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე, ინტერნაციონალის დღესასწაული 1 მაისი და დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 26 მაისი... 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 142-ე მუხლით, „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან"; მუხლი 143. „არცერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა", მუხლი 144. „ხარჯის გაღება სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანხებიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებაზე აკრძალულია."[1]

ერთადერთი, რაც კარგი გაკეთდა, ეს იყო ეროვნული საბჭოს 1918 წლის დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა რუსული საეგზარქოსოს საქმიანობა და მისი ქონება, ეკლესია-მონასტრები გადაეცა საქართველოს ეკლესიას, თუმცა რეალურად ეს 1920 წლის თებერვალში განხორციელდა.

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. 1990:483.

XV. ბოლშევიკური ოკუპაცია და საბჭოთა „მებრძოლი ათეიზმი“ (XX საუკუნის 20-იანი წლები)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თბილისი დატოვა. დედაქალაქიდან ქუთაისში გაემგზავრა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე). დასავლეთ საქართველოში გადასულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მუზეუმებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან გამოიტანა ქართველი ერის ეროვნული სიმდიდრე: საეკლესიო სიწმინდეები, ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და ჯერ ქუთაისში, იქიდან ბათუმში წაიღო. განძის გატანის წინააღმდეგი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, უფრო მეტიც, კათოლიკოზ ლეონიდეს განკარგულებით, სიონისა და სვეტიცხოვლის ეკლესიების სიწმინდეები და ძვირფასეულობა, ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) და არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე) მეთვალყურეობით, საიდუმლოდ გადაიტანეს ქუთაისში და დამალეს ბაგრატის ტაძრის მახლობლად, ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის საეპისკოპოსო რეზიდენციის სარდაფში. 1921 წლის 11 მარტს საქართველოს საეკლესიო და საერო ისტორიული განძი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას განკარგულებით, გადაზიდეს ბათუმის პორტში მყოფ კრეისერ „ერნსტ რენანზე“ და უცხოეთში წაიღეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. ქვეყანაში დამყარდა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება, რომელმაც შექმნა მოსკოვიდან მართული „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი-რევკომი“ ბოლშევიკები, რომელნიც ხელისუფლებაში მოვიდნენ, სასტიკად ებრძოდნენ რელიგიას. რუსეთში 1917-1921 წლებში უკვე მიმდინარეობდა აგრესიული

ანტირელიგიური კამპანია, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, აპატიმრებდნენ სასულიერო პირებს, იტაცებდნენ საეკლესიო ქონებას. რუსეთის ეკლესიასა და ბოლშევიკურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, როდესაც რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა (ბელიავინი) 1918 წლის 19 იანვარს ანათემას გადასცა უღმერთო ბოლშევიკური ხელისუფლება: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი მღვდელთა, მღვდელმთავართა და ქრისტეს მართლმადიდებლურ ეკლესიის შვილთა მიმართ ეპისტოლეში აღმართავს მახვილსა სულიერსა კაცობრიობის მტარვალთა -ბოლშევიკების წინააღმდეგ და ანათემას გადასცემს მათ. პატრიარქი ტიხონი, ვ. ლენინის ბრძანებით, შინაპატიმრობაში აიყვანეს. საბჭოთა რუსეთის მაგალითის გათვალისწინებით, საქართველოს „რევკომმა“ პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. 1921 წლის 15 აპრილს გამოსცა დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ.“ დეკრეტის თანახმად, „1. სარწმუნოება არის პირადი საქმე ყველა მოქალაქისა, ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას უნდა ან არცერთი არ აღიაროს; 2. სარწმუნოება არავითარ უპირატესობას, ან პრივილეგიებს არ ქმნის; 3. ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან... 7. არავის არ აქვს უფლება, თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებების გამო უარი განაცხადოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე... 10. სკოლა გამოყოფილია ეკლესიისაგან, 11. აკრძალულია სისხლის სამართლის წესისამებრ პასუხისმგებლობის რიდით რელიგიურ მოძღვრებათა სწავლება ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასწავლებლებში, სადაც საერო განათლების ხასიათის საგნებს ასწავლიან, ხოლო ამის გარდა, იმ პირთათვის, რომელნიც 18 წლის ასაკს არ მიაღწევენ, ყველა საზოგადო ადგილსა და კერძო სახლში; 14. არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას

არ აქვს უფლება, იქონიოს სააკუთრება, მათ იურიუდიული პიროვნების უფლება არ აქვთ; 15. საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად."[1] ამ დადგენილებაში ყველაზე მძიმე იყო მე-14 მუხლი, რომლის თანახმადაც, ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის სტატუსი და კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა. ამ დროისათვის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 25 მონასტერი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600-ზე მეტი სასულიერო პირი.

ხელისუფლების „მებრძოლი ათეიზმის" პოლიტიკას წარმართავდა ჯერ რუსეთის, შემდეგ სსრ კავშირის კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რელიგიური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ემელიან იაროსლავსკი (გუბელმანი). 1922 წლის დეკემბრიდან გამოდიოდა ოფიციალური გაზეთი „უღმერთო", რომელიც თავის სტატიებში მკაცრად გმობდა რელიგიას და მოითხოვდა, ხალხს თავი დაენებებინა ცრუ რწმენებისათვის. ამავე პერიოდში მოსკოვიდან ყველა ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკებში" დაიგზავნა საიდუმლო ცირკულარი „ანტირელიგიური ბრძოლის გაძლიერების შესახებ" ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ: ვ. ლენინი, ლ. ტროცკი, ე. იაროსლავსკი, ვ. მოლოტოვი, ფ. ძერჟინსკი. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის დეკემბერში გამართულმა თათბირმა საგანგებო საკითხად განიხილა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები და საჭიროდ ჩათვალა ფართო კამპანიის დაწყება. საქართველოს პროვინციებში დაიწყო ე.წ. „სასამართლო პროცესები", რომლებზეც ბრალმდებლად მუშათა კლასისა და გლეხობის

[1] საქ. სსრ.კანონთა კრებული, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921-1940 წ.წ. თბ. 1959:10-13.

წარმომადგენლები გამოდიოდნენ, „ბრალდებულად“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი. ასეთი „სასამართლოების“ განაჩენით, „1923 წლის 9 თებერვალს, ონში (დასავლეთ საქართველო) დაგმობილ იქნა რელიგია, როგორც „ხალხის მტერი“. ასეთივე ღონისძიებანი მოეწყო ქუთაისში 1923 წლის თებერვალში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, „დამნაშავეებად სცნეს“ წმ. მოწამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები. სამშობლოს თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მამულიშვილების ხსოვნისადმი ასეთ მკრეხელურ დამოკიდებულებაში კარგად ჩანდა ახალი იდეოლოგიის ნამდვილი სახე. ისინი ებრძოდნენ იმ მაცოცხლებელ ფესვებს, რაზედაც დაფუძნებული იყო ქართული ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრიობა. ხელისუფლებამ წააქეზა კომკავშირლები, მთელი საქართველოს მასშტაბით მოეწყოთ წმინდა ნაწილების გახსნა და საჩვენებელი სასამართლო პროცესები. 1923 წლის თებერვალ-მარტში სენაკის მაზრაში დაიკეტა ყველა ეკლესია და გამოცხადდა ისინი კულტურის კერებად. 1923 წლის აპრილში თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისში 160, სენაკში 148, შორაპნის მაზრაში - 148, ოზურგეთის მაზრაში - 130, რაჭაში 117, ლეჩხუმში 78, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში - 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია. როგორც სენაკის მაზრიდან იტყობინებოდნენ, ეკლესიის დახურვას წინ უსწრებდა გრანდიოზული მიტინგები, ხალხი „ვაშას“ ძახილით დაიძრა ეკლესიისაკენ, სახურავიდან ჩამოხსნეს ჯვარი, გუმბათზე ჯვრის ადგილზე ვარსკვლავი აღმართეს. ხელისუფლების წარმომადგენლები ანტირელიგიურ კამპანიას ისე წარმართავდნენ, თითქოს მოსახლეობის 99% მხარს უჭერდა მათ პოლიტიკას. თუ ეს ასე იყო, რით აიხსნებოდა 1923 წლის 28 თებერვალს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საგანგებო ცირკულარის შემუშავება ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომელშიც



საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი -
წმინდა ამბროსი აღმსარებელი

საუბარი იყო, რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ, რათა „ჩამორჩენილი“ მოსახლეობის ამბოხება არ გამოეწვიათ. მდგომარეობა იმდენად რთული შეიქმნა, რომ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა, 1923 წლის მაისში ოფიციალურად დაეგმო ადმინისტრაციული წესით ეკლესიების დახურვის მავნე პრაქტიკა.

დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პატარა ირაგაში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია კომკავშირელი აქტივისტების გადაწყვეტილებას, დაეხურათ და კლუბად გადაეკეთებინათ ეკლესია. ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მოსახლეობის წინააღმდეგობის გასატეხად, დააპატიმრეს რამდენიმე აქტიური მორწმუნე. აღშფოთებულმა ხალხმა დეპეშა გაუგზავნა თბილისში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს და მოითხოვა ამ უკანონობის აღკვეთა. 1923 წლის ნოემბერში თეთრიწყაროს (აღბულაღის) თემაღმაკომს ასეთი საიდუმლო მითითება მიუვიდა: „საქართველოს ცაკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) საქმეთა მმართველობა გთხოვთ, საჩქაროდ მიაწოდოთ ცნობები სოფ. პატარა ირაგაში ეკლესიის დახურვისა და მორწმუნეთა დაპატიმრების შესახებ“. მოსახლეობის დამშვიდების მიზნით, ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეტუქსა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირელი აქტივისტები. „სინდისის თავისუფლების შესახებ კანონის“ უგულებელყოფას ადგილი ჰქონდა თბილისშიც.

1923 წლის 9 იანვარს სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს შინაგან საქმეთა კომისარიატისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიუვიდა: „სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (№68), რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ტაძრები გადაეცა კომკავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციას“

მთავრობის წარმომადგენელთა გაღიზიანება გამოიწვია საკათოლიკოზო საბჭოს წინააღმდეგობამ. 1923 წლის 31

დეკემბერს საკათოლიკოზო საბჭოს წევრები: მ. ტყემალაძე და ნიკ. არჯევანიძე დაპატიმრებულ იქნენ იმის გამო, რომ „ არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს სახკომსაბჭოს 8 იანვარის (№68) დადგენილებას თბილისის სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ“. დაპატიმრებულმა განაცხადეს, რომ ისინი ემორჩილებოდნენ საქართველოს სასულიერო ხელისუფლებას, საკათოლიკოზო საბჭოს და ამიტომ თავს დამნაშავედ არ სცნობდნენ. 1923 წლის 14 მაისს ცეცხლი გაუჩინეს საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კარის ეკლესიას, მანამდე კი იქიდან ძვირფასეულობანი გაიტაცეს. 1923 წლის 7 ივლისის ცაკ-ის საიდუმლო განკარგულებით, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის რეზიდენცია გადაეცა ქ. თბილისის საბინაო განყოფილებას.

ხელისუფლების ზეწოლით, 1923 წელს ჩაატარეს სამღვდელოების კონფერენცია, რომელზეც გამოჰყავდათ სასულიერო პირები და აგმობინებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ვინც თავისი ნებით ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ, წამოსულიყვნენ ეკლესიიდან. ეკლესიაში წირვა-ლოცვა საზოგადოებისათვის უსარგებლო საქმედ იყო გამოცხადებული. ასეთი აგრესიული ანტირელიგიური კამპანიის დროს ცნობილი ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე 1921-26 წლებში დადიოდა საქართველოს სხვადასხვა მაზრებში, როგორც მუზეუმის მცველი, და ცდილობდა გადაერჩინა ეკლესია-მონასტრების სიწმინდენი. იგი აწყდებოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ხელმძღვანელების მიერ ეკლესიებისა და საეკლესიო სიწმინდეების მიმართ ვანდალიზმის ფაქტებს. ხონის წმინდა გიორგის „ხატი დაულეწიათ 1923 წ. ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ნადარეიშვილისა, პარტკომის ინსტრუქტორის ონისიმე ხობუასა და მდივან გიორგი ბახტაძის მეთაურობით... შემკულობის ნაწილი აღმოჩნდა პარტკომში, ფიცარი კი ეკლესიაში“, გულისტკივილით წერდა იგი. ზოგიერთი ადგილობრივი აქტივისტი ეკლესიისა და სარწმუნოების

სიძულვილით იქამდეც კი მივიდა, მიცვალებულთა ძველ სასაფლაოებზე დაკრძალვაც კი აკრძალა. სენაკის რაიონის სოფ. სალხინოში ტრადიციული წესით დაკრძალული მიცვალებულის ნეშტი ამოასვენეს და წითელი დროშებისა და სასულე ორკესტრის თანხლებით ახალ, კომუნისტურ სასაფლაოზე გადაასვენეს.

1924 წლის 21 ნოემბერს, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ, მიღებული იქნა დეკრეტი „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ", რომლის თანახმად, გაუქმებულ იქნა ყველა მოქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რაც შეეხებოდა რელიგიურ საზოგადოებათ და ზღუდავდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური მსახურების თავისუფალ აღსრულებას. ახალი დადგენილებით, მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ, სარგებლობაში მიეღოთ ტაძრები, სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის განკუთვნილი ქონება, რისთვისაც დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. დადგენილებაში იყო მუხლი, რომლის თანახმადაც, მოქმედი რელიგიური საზოგადოების რეგისტრაცია უნდა მოეხდინა ადგილობრივ სამაზრო ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც შეეძლო სხვადასხვა მიზეზით უარი ეთქვა რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე. 1924 წლის 7 დეკემბერს №280 ინსტრუქციით, რომელიც იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების სახელით გამოიცა, სასულიერო პირებს მიეცათ უფლება „ქადაგებისა, იმ პირობით, რომ შინაარსით ქადაგება იყოს მართოოდენ რელიგიური და რელიგიურ-დამრიგებლური ხასიათის" მორწმუნეებს ასევე შეეძლოთ ხელისუფლების წინასწარი ნებართვის გარეშე მოეწვიათ საეპარქიო თუ საოლქო კრებები.

ბოლშევიკური ხელისუფლება განსაკუთრებით განრისხებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობის მიერ 1921 წელს საეკლესიო განძის უცხოეთში გატანის გამო. 1922 წელს მოსკოვიდან საქართველოს „რევკომს“ შეატყობინეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მოლოტოვის საიდუმლო განკარგულების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საეკლესიო განძის დაუყოვნებლივ ამოღებას. ამის საფუძველზე, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, რესპუბლიკის ყველა მაზრაში შეიქმნა საქართველოს ეკლესიების განძეულობის აღმწერი კომისიები. კომისიის წევრები ხვდებოდნენ მოქმედი ეკლესიების წინამძღვრებს და ახდენდნენ ტაძრებში დაცული განძეულობის აღწერას. საქართველოს სსრ საგანგებო კომისიას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სიონისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრების განძეულობა, საკათოლიკოზო საბჭოსა და კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდეს წინააღმდეგობის გამო, ვერ გაიტანეს უცხოეთში, ამიტომ ცდილობდა დაედგინა მისი ადგილსამყოფელი.

1923 წლის 25 აპრილს, საიდუმლო ინფორმაციის საფუძველზე (როგორც შემდეგ გაირკვა, ხელისუფლებას განძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა), ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა: აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ლორთქიფანიძემ, პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ბახტაძემ, პოლიტბიუროს უფროსმა დ. კუჭუხიძემ, რწმუნებულებმა: ა. ცირეკიძემ, გ. კუჭუხიძემ, ი. თოდუამ მიტროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლიდან ამოიღეს სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრების განძეულობა: კათოლიკოზ-პატრიარქების ოქროს მიტრები (XIV-XVIII საუკუნეების, 7 ერთეული), ბრილიანტის თვლებით მოჭედილი, ოქროს კვერთხები, ბარძიმ ფეშხუმები, სხვადასხვა ძვირფასეულობანი, რომელიც გადაადნეს და გაყიდეს. 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით: 1. დახურული ეკლესიების მთელი ქონება გადადიოდა ადგილობრივი აღმასრულე-

ბელი კომიტეტების განკარგულებაში; 2. ამ ქონებიდან ისეთები, რომელთაც ჰქონდათ ისტორიული მნიშვნელობა, დაცულ უნდა ყოფილიყო სახალხო განათლების მუზეუმებში; 3. დანარჩენი საეკლესიო განძეულობა გამოყენებული იქნებოდა ადგილობრივი აღმასკომების მიერ მუშებისა და გლეხების საჭიროებისათვის. საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა, მიღებული გადაწყვეტილება საკუთარ ინიციატივად გაესაღებინა, მაგრამ ეს ასე არ იყო, სინამდვილეში მოსკოვიდან მათ მიღებული ჰქონდათ რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ლ. ტროცკის ბრძანება, რომლის თანახმად, საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან ამოღებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნათ მოსკოვში. საქართველოში 1923 წლის ანტირელიგიურ კამპანიას ასე აჯამებდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი: „სამი თვის წინ დაწყებული ანტირელიგიური კამპანია მუშებისა და გლეხების ფართო მასებს მოედო. არ დარჩენილა სოფელი, სადაც სამღვდელოებასთან და აპარატთან ეკლესიასთან ულმობელი ბრძოლის შესახებ ჩვენი ლოზუნგი მშრომელთა ფართო მასებს არ გაეგოთ, როგორც ბრძოლის და საუკუნოვანი ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლების ლოზუნგი. აუწერელი ენთუზიაზმით იწყებენ სარწმუნოების და სამღვდელოების წარსული კეთილდღეობის ამ უკანასკნელი ნაშთის ეკლესიების დახურვას. ზოგიერთ სოფელში გლეხობა ისე იყო გაბრაზებული, რომ მზად იყვნენ, ძირფესვიანად დაენგრიათ ეკლესიები... ბევრ სოფელში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდნენ ხატებს, ჯვრებს და იქვე დადგენილება გამოჰქონდათ მთელი ამ ნაგვის დაწვისა და ეკლესიის შენობების კულტურის ტაძრად გადაქცევის შესახებ“. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირისაგან ეს იყო აღიარება იმ აღვირახსნილი ანტირელიგიური კამპანიისა, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა, ცენტრიდან მოსულ განკარგულებებს პროვინციელი

კომუნისტები და კომკავშირლები ადგილებზე კიდევ უფრო ამძაფრებდნენ, საჯაროდ აპატიმრებდნენ სასულიერო პირებს, ტანზე ახევდნენ ანაფორას, იძულებით კრეჭდნენ წვერს, სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ, უარი ეთქვათ სასულიერო პირობაზე, აწყობდნენ სატირულ კომკავშირულ შობას, აღდგომას. ეს ღონისძიებები მებრძოლ ათეისტებს უნდოდათ ხალხში რელიგიური წარმოდგენების მოსასპობად.

ანტირელიგიური მუშაობის გააქტიურებისათვის, 1925 წელს, მოსკოვში გაიმართა უღმერთო საზოგადოების მეგობართა ყრილობა, რომელიც მოგვიანებით „მებრძოლ უღმერთოთა კავშირად“ გარდაიქმნა. ამ კავშირის ფილიალები შეიქმნა ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც.

XVI. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1927 წლებში, კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი, რეპრესიები

ბოლშევიკური ოკუპაციის პირველივე თვეებში თბილისში გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა: ეკონომიკური სიდუხჭირე, ქაოსი, ძარცვა-რბევა, ეპიდემიები. ქალაქში ქოლერის ეპიდემიის მსხვერპლი გახდა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდე. 11 ივნისს გარდაცვლილი პატრიარქის ნეშტი 17 ივნისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭომ კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ გამოარჩია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია), რომელიც, იმ დროს ცხუმ-აფსაზეთის ეპარქიაში შექმნილი რთული ვითარების გამო, ვერ ჩამოვიდა თბილიში. მესამე საეკლესიო კრება გაიმართა 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში. კრებაზე, ხმის უფლებით, არჩეული იყო 212 დელეგატი. კრების მონაწილეები ერთსულოვნად დაეთანხმნენ იურიდიული კომისიის დასკვნას ბოლშევიკური მთავრობის 1921 წლის 5 აპრილის №21 დეკრეტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იურიდიული პირის უფლებას ართმევდა. „ვერცერთი წესი და პირობა საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებლად ვერ განხორციელდება, თუ ეს დეკრეტი არ გაუქმდება", - ნათქვამი იყო კრების დასკვნაში. საეკლესიო კრებამ ოფიციალურად მიმართა ხელისუფლებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიულ პირად ცნობის შესახებ. კრების მონაწილეთა აზრით, „ეს არამც თუ ეწინააღმდეგება დეკრეტის დებულებას სინდისის თავისუფლების შესახებ, არამედ უნდა ჩაითვალოს აუცილებელ პირობად ამ თავისუფლების დასაცავად. ხელისუფლების მიერ ამ სამართლიანი მოთხოვნის უარყოფა მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია გამოცხადებულია დევნილ სარწმუნეობად და

ეს გარემოება ეცნობება ყველა მორწმუნეთ."[1] საეკლესიო კრებაზე მადლობა გამოუცხადეს იმ სასულიერო პირებს, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს და არ გაატანეს უცხოეთში საეკლესიო განძი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებს.

კრებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნებზე კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი: ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა). ხმათა უმრავლესობით, კათოლიკოზ-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-ბედიელი მიტროპოლიტი ამბროსი.

1921 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, მოხდა ამბროსი ხელაიას სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად კურთხევა. პატრიარქმა წარმოთქვა ისტორიული სიტყვა, რომელშიც გააანალიზა ქვეყანაში შექმნილი ვითარება და განაცხადა: „მე ავდივარ გოლგოთაზე“ ეს იყო თავისი მომავლის ერთგვარი წინასწარმეტყველება.

1922 წლის 19 ოქტომბერს საკათოლიკოზო საბჭო შეიკრიბა ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების განსახილველად. სხდომაზე აღინიშნა, რომ გასულიხუთიწელისაქართველოს ეკლესიამ მოანდომა თვითგამორკვევას, მმართველ ორგანოთა შექმნას, დამოუკიდებლობის გამტკიცებას და შინაგანი ცხოვრების ისეთი მხარეების მოწესრიგებას, რომელიც მნიშვნელოვანია საეკლესიო ერთიანობისათვის. საკათოლიკოზო საბჭოს სხდომის დადგენილებაში აღინიშნა: „მრავალი, უმეტეს შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისათვის უჩინარი დაბრკოლება ეღობებოდა ჩვენს ეკლესიას შემოქმედებითი მუშაობის დროს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კურსის, ორიენტაციის და ხელისუფლების ცვალებადობაში ეკლესიას წინ ედგა საფრთხე. არანაკლებ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა სახელმწიფო

[1] კ. კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, N65:3.

ტერიტორიის განუსაზღვრელობა, რესპუბლიკის განაპირა ნაწილების უფლებათა საკითხი და სხვ. მართალია, არანაკლებ რთული პირობები იყო შექმნილი ბოლშევიკების მმართველობის პირობებში, მაგრამ საკათოლიკოზო საბჭო აუცილებლად მიიჩნევდა: „1. ცნობილ იქნას პრინციპიალურად, რომ საქართველოს ეკლესიას ესაჭიროება შეიტანოს თავის წყობილებაში თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი ცვლილებანი და ამ ცვლილებათა ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარებისათვის მას შესწევს საკუთარი ძალ-ღონე; 2. ცნობილ იქნას სასურველად, რომ ეს ცვლილებანი მოხდეს სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის მონაწილეობით; 3. დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს, დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება ოლქებში თუ რაიონებში ცვლილებათა დამმუშავებელი კომისიების არჩევის შესახებ".[1] საქართველოში მიმდინარე რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭო აიძულა, თავისი საქმიანობა სხვა მიმართულებით წარემართა. ბოლშევიკური ხელისუფლება თანდათან ზღუდავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ართმევდა მას ისტორიულ მიწა-წყალს და მეზობელ ქვეყნებს აძლევდა. ბოლშევიკები, მართალია, აცხადებდნენ, რომ საქართველო კვლავ დამოუკიდებელი ქვეყანააო, მაგრამ საქართველოს ეს ფორმალური სუვერენიტეტი ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა - 1921 წელსვე გაჩაღდა კამპანია ამიერკავკასიის სს რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის, რაც 1922 წლის მარტში ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა. ამ სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ კიდევ უფრო შეზღუდა საბჭოთა საქართველოს ისედაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობა. ასეთ ვითარებაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭომ,

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე №539, გვ. 1

კათოლიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ ხმა აღიმაღლეს უკანონობის, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა დევნა-შევიწროების გამო.

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე, ევროპის სახელმწიფოების გარდა, მიწვეული იყო ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა სოციალისტური რუსეთის მთავრობის დელეგაცია. კათოლიკოზმა ამბროსიმ წერილით (მემორანდუმით) მიმართა კონფერენციის მონაწილეებს. საკათოლიკოზო საბჭოს დავალებით, პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის ტექსტი საზღვარგარეთ გაიტანა მღვდელმა იასონ კაპანაძემ. ამ მემორანდუმის შინაარსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. მემორანდუმში პატრიარქი ამბროსი მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ძირითად ეტაპებს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანას (1918-21წ.წ.) და, ბოლშევიკური ხელისუფლების მტკიცების საწინააღმდეგოდ, ახალ ხელისუფლებას უწოდებდა საოკუპაციო რეჟიმს. „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები. და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება" პატრიარქი სინანულით დასძენდა, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც სოციალიზმის დროშით ნათლავდნენ, ქართველ ერს ფიზიკურ გადაშენებამდე და გახრწნამდე მიიყვანდა, რომ იდევნებოდა ჩვენი დიდებული წარსული, ეკლესია, სამღვდელოება იყო უკიდურესად დევნილი და უფლებააყრილი. უწმიდესი ამბროსი საერთაშორისო საზოგადოებისგან მოითხოვდა, დახმარებოდნენ საქართველოს. „1. დაუყოვნებლივ გაყვანილ

იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა მიტაცებისაგან; 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ, მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება".[1] ამ მამხილებელი მემორანდუმის გამო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია. როგორც კონფერენციის მონაწილე ბოლშევიკმა ბუდუ მდივანმა შემდგომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე განაცხადა - კათოლიკოზის სიტყვამ დიდი ვნება მოგვიტანა, რატომ სამართალში არ მივცემთ მასო.

საქართველოში გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთებში გაძლიერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანია. „ბნელეთის მოციქულები", „საბჭოთა ხელისუფლების შეუნიღბავი მტრები", „ანაფორიანი ტარტაროზები", ამ სიტყვებით ამკობდნენ სასულიერო წოდებას. მთავრობის სხდომაზეც არაერთხელ გაიჟღერა კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის სამართალში მიცემის საკითხმა. 1922 წლის 13 ივნისს პატრიარქი ამბროსი პირველ დაკითხვაზე დაიბარეს საქართველოს საგანგებო კომისიაში „ჩეკაში" როგორც დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის ჩანაწერებში მოგვითხრობს: „მეორე დღეს საკათოლიკოზო საბჭოს წევრები შეხვდნენ კათოლიკოზს. იგი სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ ამ ერთ დღეში დიდი სულიერი ტანჯვა გამოევლო" „ჩეკაში" უწმიდესი ამბროსი დაკითხა „ჩეკას" თავმჯდომარემ კოტე ცინცაძემ. დაკითხვას ესწრებოდა მდივანი ქალბატონი, რომელიც იწერდა კათოლიკოზის პასუხებს. კოტე ცინცაძეს აინტრესებდა, კათოლიკოზის გარდა, ვინ იღებდა მონაწილეობას გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შედგენაში. „ვინ მოგცათ

[1] სუიცსა, ფონდი N516, ან. 2. საქმე 1, გვ.2.

უფლება ხალხის სახელით გამოსვლისა, ვინ ამოგირჩიათ თქვენ საქართველოს ოპეკუნად?" პატრიარქ ამბროსის პასუხი იყო: „ამომირჩია გელათაში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, მორწმუნე ქართველობისაგან შემოკრებილმა, შემოსილი ვარ იურიდიული და ზნეობრივი უფლებებით, როგორც მამამთავარი, აღვიმაღლო ხმა, როდესაც ჩემს ერს საქმე უჭირს, როდესაც ისეთი ვითარება იქმნება, რომელშიც შეუძლებელი ხდება ერის რელიგიურ-ზნეობრივი სახის შენარჩუნება, როდესაც ერს ერთმევა საშუალება თავისუფალ მოქალაქეობისა" კოტე ცინცაძე დაცინვის კილოთი განაგრძობდა დაკითხვას რატომ მენშევიკების დროს არ იმაღლებდით ხმას, რატომ მათ არ ეწინააღმდეგებოდითო. კათოლიკოზი ამბროსი არ მალავდა, რომ არც მენშევიკები იყვნენ მორწმუნენი, მაგრამ ისინი უფრო ეროვნულები იყვნენ და თვით იცავდნენ იმას, რაზედაც ეკლესიას მოუხდა ხმის ამაღლება. პატრიარქმა ამბროსიმ ახალი ხელისუფლება დაადანაშაულა საქართველოს ხელახალ ოკუპაციაში. მისი აზრით, საქართველოში მთელი ძალაუფლება „ოსობაია კავკაზსკაია არმიის" ხელში იყო. კათოლიკოზის ამ მხილებამ „ჩეკას" უფროსი აღაშფოთა. მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში ჩაატარა არჩევნები, რომ შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, რომ საქართველოში მყოფი რუსი ჯარი ქართველებს არაფერს უშლისო. პატრიარქმა ამბროსიმ ახალ ხელისუფლებას ბრალი დასდო საქართველოში არაქართველი მოსახლეობის მომრავლებაში, დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფაში, რადგან განსხვავებული აზრი, განსხვავებული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები იდევნებოდა. კოტე ცინცაძემ გულახდილად განაცხადა: ჩვენ რევოლუციას ვაწარმოებთ, პროლეტარიატის დიქტატურა გამოვაცხადეთ, წარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგეებისადმი, ყველა თავისუფლებანი რაც კია, ეს მხოლოდ ჩვენთვის გვინდა, თქვენ და თქვენი დრომოჭმული მიმდევრები ცხოვრებიდან გარიყულნი ხართ. თქვენ ვინ მოგცემთ

თავისუფლებას? მან დაკითხვის პირველ დღეს კათოლიკოზ-პატრიარქს საბჭოთა ხელისუფლების სახელით მოსთხოვა პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1. როდის და რამდენი ქონება გაზიდეს რუსებმა საქართველოდან? 2. რაში გამოიხატება ბოლშევიკების მიერ საქართველოში სარწმუნოების დევნა? 3. რა ვნება მოაქვს რუსის ჯარის ყოფნას საქართველოსათვის?

საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობდა, ქვეყანაში შეექმნა ანტირელიგიური ფსიქოზი. ოფიციალურ პრესაში არ წყდებოდა თავდასხმები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. ხელისუფლების ერთგული ჟურნალისტების აზრით, სამღვდელოებამ შეთითხნა ჭორები, ინსუნაციები, ცილისწამებანი და გაგზავნა გენუის კონფერენციაზე იმ იმედით, რომ ევროპა იხსნიდა მათ. ტყუილად შეიწუხეს თავი სულიერმა მამებმა, საქართველოს არამკითხე ოპეკუნებმა... ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაასამართლოს ანაფორიანი ინტრიგნები, ამხილოს მათი ღალატი და ბოროტება ხალხის წინაშე.

1923 წლის 11 იანვარს კათოლიკოზი ამბროსი კვლავ წაიყვანეს „ჩეკაში" დასაკითხად. წასვლის წინ იგი საგანგებოდ შეხვდა საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს. იგი გრძნობდა, რომ შეიძლება უკვე დაეპატიმრებინათ, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე დაენიშნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ. მართალია, კათოლიკოზ-პატრიარქი ამჯერად მალე დააბრუნეს, მაგრამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს. 19 იანვარს მას არ მისცეს უფლება, ჩაეტარებინა წყალკურთხევის წირვა. საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო თბილისში, ვერის ხიდის ზემოთ ასრულებდა წყალკურთხევის ცერემონიალს. ბოლშევიკების მუქარის მიუხედავად, მრავალრიცხოვანი მორწმუნე მრევლი შეიკრიბა სიონის ეკლესიასთან. ისინი ცდილობდნენ დევნილი კათოლიკოზის გამხნევებას, რომლის ნაცვლადაც წყალკურთხევაზე ხალხს ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე წარუძღვა. პატრიარქი შინაპატიმრობაში

შეხვდა ნინოობისა და აღდგომის დღესასწაულებს. 1923 წლის 2 ივნისს კათოლიკოზი ამბროსი, იძულების წესით, გამოასახლეს საპატრიარქო რეზიდენციიდან, ხელისუფლების იმდროინდელი ჩინოვნიკის, ვინმე კ. დოლიძის განკარგულებით. 1923 წლის 23 ივნისს დალუქეს საპატრიარქო რეზიდენცია, კათოლიკოზის სამუშაო ოთახები.

1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, ამბროსი (ხელაია), ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი), ქაშუეთის ეკლესიის დიაკვანი დიმიტრი (ლაზარიშვილი), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), ვერის ეკლესიის წინამძღვარი ანტონი (თოთიბაძე), სიონის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მარკოზი (ტყემალაძე), საკათოლიკოზო საბჭოს წევრები: ნიკოლოზ არჯევანიძე და ნიკოლოზ თავდგირიძე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთის მხრივ, ხელისუფლების წახალისებით, ცალკეული მაზრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოქმედი ეკლესიების დახურვასა და საეკლესიო ქონების დატაცებაში, მეორეს მხრივ, ეწეოდნენ აღვირახსნილ პროპაგანდას ქრისტიანული სარწმუნოებისა და ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა გადავიდა საკათოლიკოზო საბჭოს დანარჩენ წევრებსა და საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორე ციცქიშვილის ხელში, რომელმაც სცადა საოკუპაციო ხელისუფლებასთან

ურთიერთობის დალაგება. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველმა მხარი დაუჭირა მსოფლიო საპატრიარქოს, რომელიც გადავიდა კალენდრის ახალ სტილზე და თვითონაც სცადა საქართველოს მართლმა დიდებელი ეკლესიის ახალ სტილზე გადაყვანა. იგი მიმართავდა მსოფლიო პატრიარქ ბასილ III-ს. წერილში ეპისკოპოსი ქრისტეფორე აცხადებდა, რომ საქართველოს ეკლესია უკვე გადავიდა ახალი სტილის კალენდარის გამოყენებაზე, ამავე დროს, იგი სთხოვდა მსოფლიო პატრიარქს - გვაცნობეთ მომავალში ყოველივე იმის შესახებ, თუ როდის და რომელი სახით მოხდება გასწორებული კალენდრის შეთანხმება საპასექო კანონთანო. მართალია, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მსოფლიო საპატრიარქოს არწმუნებდა ახალი სტილის კალენდარზე გადასვლას, მაგრამ ვითარება იმაზე რთულად იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ახალ სტილზე გადასვლას მხარი არ დაუჭირეს: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, ბულგარეთის, სერბეთის, კვიპროსისა და რუსეთის ეკლესიებმა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საქართველოში არსებული რუსული სამრევლოები იმ დროს ისედაც არ სცნობდნენ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციას და ახლა კიდევ უფრო გააძლიერებდნენ ანტიქართულ ისტერიას. ამავე დროს საგანგებო ვითარება შეიქმნა ეპარქიებშიც. ამის შესახებ საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს აცნობებდნენ ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი) და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე).

საქართველოს მორწმუნე მოსახლეობამ კალენდრის ახალი სტილის შემოღებაში ბოლშევიკური ხელისუფლების ნება დაინახა და შეეწინააღმდეგა საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებას. ქართველი მრევლის საერთო სულისკვეთების გამომხატველი იყო გორის ოქონის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილის წერილი საქართველოს ეკლესიის

დროებითი მმართველობის თავმჯდომარის ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორესადმი. როცა დეკანოზმა გიორგი ნასყიდაშვილმა მრევლს აუწყა საკათოლიკოზო საბჭოს გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლასთან დაკავშირებით და დაიწყო ახალი სტილის უპირატესობის მტკიცება. აღშფოთებულმა მრევლმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია და წინამძღვარს განუცხადა, რომ ისინი ისევ ძველი სტილის მისედვით იდღესასწაულებდნენ დიდ საეკლესიო თარიღებს.

საქართველოს საპატრიარქომ 1927 წლის 24 ივნისის IV საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დაადასტურა ახალი სტილის შემოღების მართებულობა. სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვილთა მიმართ ეპისტოლეში აღინიშნა: „ახალი სტილის კალენდარი შემოღებულ იქნას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1927 წლის 27 ნოემბრიდან. ყველა უძრავი დღესასწაულები და წმინდანთა ხსენებანი გადახდილ იქნას ხსენებული რიცხვიდან ახალი სტილის კალენდარით, სწორედ იმ რიცხვებში, როგორც უჩვენებენ საეკლესიო წიგნები. რაც შეეხება პასექის / აღდგომის/ დღესასწაულს, რომელიც თვის რიცხვს არ მისდევს, მისი და მასზე დამოკიდებულ მოძრავ უქმეთა და დიდმარხვის გადახდა დატოვებულია სრულიად საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მთვარის მოქცევასთან შეფარდებით, სწორედ ისე, როგორც აქამდე დღესასწაულობდა მართლმადიდებელი ეკლესია. ყველა სასულიერო პირს ევალება მეოთხე საკლესიო კრების გადაწყვეტილების მტკიცედ და უცვლელად შესრულება.“[1] გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III, მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი დავითი, ურბნელი ეპისკოპოსი სიმეონი,

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოზ-პატრიარქ ქრისტეფორეს ფონდი, N6508. გვ. 5.

წილკნელი ეპისკოპოსი პავლე, ალავერდელი ეპისკოპოსი მელქისედეკი, ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე, მარგველი ეპისკოპოსი ვარლაამი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი ეფრემი. მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, საქართველოს ეკლესიის ეპარქიებში შეიძლება ითქვას, რომ სრულმა ანარქიამ დაისადგურა. ერთის მხრივ, ხელისუფლება აძლიერებდა ანტირელიგიურ პროპაგანდას, მეორეს მხრივ, მორწმუნე მრევლიც ორად გაიყო. ნაწილმა სრული უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებას ახალ სტილზე გადასვლის შესახებ, ნაწილმა მიიღო. ასეთ პირობებში, საქართველოს საკათოლიკოზო სინოდი 1928 წლის 28 სექტემბერს კვლავ დაუბრუნდა ახალი სტილის საკითხს. არსებული რეალობის გათვალისწინებით, როცა ეპარქიებში შეუძლებელი გამოდგა ახალი სტილის კალენდრის გატარება, რის მიზეზიც მორწმუნეთა მოუმზადებლობა აღმოჩნდა. ახალი სტილის მოწინააღმდეგეები ფიქრობდნენ, რომ ახალი კალენდარით დღესასწაულების და მარხვების შესრულება იყო სარწმუნოების შელახვა. კრების აზრით, ასე მსჯელობდა არა მარტო გაუნათლებელი, არამედ განათლებული მორწმუნენიც და სამღვდელოების ნაწილიც. ახალი კალენდრის შემოღება უაღრესად ძნელია იქ, სადაც საეკლესიო დღესასწაულები სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს არ მიაჩნდათ უქმე დღეებად. ამიტომ სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სინოდმა განაჩინა: 1928 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში დღესასწაულნი, უძრავ-მოძრავნი და მარხვანი სრულდებოდეს იულიუსის კალენდარით".[1] მართალია, საკათოლიკოზო სინოდი მღვდელმთავრებს ავალებდა, მომავალში მაინც გაეწიათ პროპაგანდა ახალი სტილის სასარგებლოდ, მაგრამ ეს საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

1924 წლის 10 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით,

[1] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1928:32-33.

ნაბალადევის მუშათა თეატრის შენობაში მიმდინარეობდა კათოლიკოზ ამბროსის და საკათოლიკოზო საბჭოს დაპატიმრებული წევრების სასამართლო პროცესი. უკიდურესი ცინიზმი შეიძლება უწოდო იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლების ინტერესების დამცველი საბჭოთა სასამართლო „სამშობლოს მოღალატეებს“ უწოდებდა და ისე ასამართლებდა მათ, როგორც ავაზაკებს. იმდროინდელმა პრესამ შემოგვინახა აღვირახსნილი ცილისმწამებლური შეურაცხმყოფელი ისტერიის ის სურათი, რომელიც საკათოლიკოზო საბჭოს წევრებისა და საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის გასამართლების დროს იყო. ბოლშევიკურ გაზეთ „მუშა-“ში 1924 წლის 12 მარტის ნომერში დაიბეჭდა კარიკატურა ასეთი მინაწერით: „წმინდა მამათა უწმინდური საქმენი“; გაზეთ „კომუნისტში“ სტატიები: „უწმინდესი კონტრრევოლუცია“, „გასამართლება“ და სხვ. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გ. ჩხეიძე; წევრები: გ. რთველიძე, ვ. წივწივაძე; ბრალმდებელნი: მ. მაჭავარიანი, ნ. ოკუჯავა; საზოგადო ბრალმდებელი: ალ. ერქომაიშვილი; მდივანი აბაკელია. სასამართლო მიმართავდა უხეშ ზეწოლას, შანტაჟსა და მუქარას საკათოლიკოზო საბჭოს წევრებისა და კათოლიკოზ ამბროსის დამცველებზე: კ. ნინიძეზე, ა. გუნცაძეზე, დ. დადიანზე, ვ. ყანჩელზე, ქ. ქავთარაძეზე. პრესაში იბეჭდებოდა შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე მიღებული ასეთი შინაარსის რეზოლუციები: ჩვენ, მთავარი სახელოსნოს მუშები, მოვითხოვთ, რათა შავი ყორნები კონტრრევოლუციისა დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით და ის სოციალისტები, რომლებიც იცავენ მათ, მოთავსებულ იქნან საბრალმდებლო სკამზე. ხელისუფლება სასამართლომდე შეეცადა კათოლიკოზი ამბროსი დაერწმუნებინა ეკლესიის საჭეთმპყრობლობიდან გადადგომის აუცილებლობაში, მაგრამ რაკი მიზანს ვერ მიაღწია, ახლა ცდილობდა სასამართლოზე მის სულიერად

გატეხვას, თუმცა როგორც სასამართლოს ჩანაწერებიდან ირკვევა, არც ეს გამოუვიდათ, უფრო მეტიც, კათოლიკოზმა თავის საბოლოო სიტყვაში კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით ამხილა საოკუპაციო ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა. მან საზოგადოებრივ ბრალმდებლებს, რომელნიც კათოლიკოზს ქართველი ერის ეროვნული ინტერესების ღალატში სდებდნენ ბრალს, ამ სიტყვებით უპასუხა: „თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, ამის უფლებას მაძლევდა ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება; თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდმპყრობელობის საწინააღმდეგოდ, დიდმპყრობელობის ანომალიის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევს ერთი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალთაგანი (ვ.ლენინი); თუ ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვა, დიდმპყრობელობის დასაგმობად ხმის ამოღება... მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალით შეხედავს უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესის დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნეობისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩვენგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში. ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე,

ვიტყვი, იყოს ნება ღვთისა და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა“.[1] კათოლიკოზ ამბროსის სასამართლო იყო პოლიტიკური. საქართველოს ადგილობრივ პარტიულ ელიტას მოსკოვის საამებლად სურდა კათოლიკოზის სიკვდილით დასჯა. 1924 წლის 13 მარტს მოსკოვში გაგზავნილ საიდუმლო დეპეშაში ამას მოითხოვდა საქართველოს სსრ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ მოსკოვიდან ი. სტალინის ხელმოწერით ასეთი შინაარსის საიდუმლო დირექტივა მოვიდა: „სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გთავაზობთ: 1. სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლის თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა კათოლიკოზ ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალური კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად“.[2]

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, როგორი დამოუკიდებელი იყო საქართველოს ხელისუფლება და მისი სასამართლო. რას გულისხმობდა მოსკოვიდან მოსულ საიდუმლო დირექტივაში, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, კათოლიკოზ ამბროსის სიკვდილით დასჯაზე უარის თქმა? როგორც ირკვევა, იმ დროს სრულ იზოლაციაში მყოფი საბჭოთა კავშირი ცდილობდა ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას. ინგლისური მხარე, რომის პაპ პიუს XI-ისა და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურის რობერტ დევიდსონის წინადადებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამყარებდა საბჭოთა კავშირთან

[1] ჟურნ. „მნათობი“, 1988, №10:162.

მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში. თბ. 2008: 131.

დიპლომატიურ ურთიერთობას, თუ იგი ქვეყანაში დაუშვებდა სინდისის თავისუფლებას, პატიმრობიდან გაათავისუფლებდა კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსისა და საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს.

ბოლშევიკურმა სასამართლომ დაპატიმრებულებს ასეთი განაჩენი გამოუტანა: „ამბროსი (ბესარიონ) ხელაიას შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით; 2. იასონ კაპანაძეს ცხრა წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით; 3. კალისტრატე ცინცაძეს სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 4. ნიკოლოზ თავდგირიძეს - სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 5. იოსებ მირიანაშვილს ცხრა თვე და ოცი დღე სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 6. მარკოზ ტყემალაძეს ცხრა თვე და ოცდასამი დღის სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება“.[1] სამშობლოსა და სარწმუნოების თავისუფლებისათვის მებრძოლნი საპატიმროებში გადაგზავნეს. მიუხედავად ხელისუფლების ცილისმწამებლური პროპაგანდისა, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოზო საბჭოს დაპატიმრებული წევრები ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის გაუტეხელ სიმბოლოდ იქცნენ. საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა, 1925 წლის 10 მარტს ისინი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. მეტეხის ციხიდან გამოსული პატრიარქი სიონის საკათედრო ტაძარში მივიდა. ტაძარი მრევლით იყო სავსე. კათოლიკოზმა ჯვარი გარდასახა მათ და ხმამაღლა წარმოთქვა: „საქართველო არ მოკვდება“, ემოციები მოეძალა და სიტყვა ვეღარ გააგრძელა. ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომლისთვისაც საოკუპაციო რეჟიმი სრულიად მიუღებელი

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი, თბ. 2009:115.

იყო, დიდი რეპრესიების მიუხედავად, მაინც ერთგული იყო სამშობლოს თავისუფლების იდეისა. მათთვის საბჭოთა საპატიმროდან განთავისუფლებული საკათოლიკოზო საბჭოს წევრები და კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი ზნეობრივი გმირობისა და სულიერი სიმტკიცის მაგალითები იყვნენ. ხელისუფლების მხრიდან სასტიკ დევნა-შევიწროვებას დაერთო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით წარმოშობილი დაპირისპირებანი. ყოველივე ამან იმოქმედა კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის ჯანმრთელობაზე. ქვეყანაში გამეფებული ანტირელიგიური ისტერიის მიუხედავად, კათოლიკოზის წირვებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. კათოლიკოზი ამბროსი საოკუპაციო ხელისუფლებისათვის მიუღებელ პერსონად რჩებოდა, ამიტომ დაიგეგმა ეკლესიის შიგნიდან არევა და მისი პატრიარქობიდან გადაყენება.

XVII. „განახლებისა და რეფორმების ჯგუფი“ საქართველოს ეკლესიაში (XX საუკუნის 20-იანი წლები)

ბოლშევიკური ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა კათოლიკოზი ამბროსი და საკათოლიკოზო საბჭოს წევრების უმრავლესობა არასოდეს გაიზიარებდნენ საბჭოთა იდეოლოგიას. ისინი ყოველთვის იქნებოდნენ მათი შეფასებით „რეაქციული სამღვდელოების“ მხარდამჭერები, ამიტომ მათი აზრით საჭირო იყო ეკლესიის შიგნიდან არევა, სასულიერო დასში ისეთი პირების მოძებნა, ვინც უყოყმანოდ გაიზიარებდა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიას, იქნებოდა დამჯერი და ახალი ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი. რუსეთში ამ ჯგუფის წევრები თავის თავს „ობნავლენცებს ცოცხალი ეკლესიის“ წევრებს უწოდებდნენ. 1923 წლის აპრილ-მაისში რუსეთში ეკლესიის „განახლების“ ჯგუფის წევრებმა, საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით, ჩაატარეს კრება, რომელსაც უწოდეს „სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი ადგილობრივი კრება“, ამ კრებამ გამოაცხადა რუსეთის ახალი ეკლესიის რეფორმები. მათი გადაწყვეტილებით, დაკანონდა ეპისკოპატის ცოლოსნობა, სასულიერო პირთათვის ხელდასხმის შემდეგ ქორწინების შესაძლებლობა, დასაშვებად იქნა მიჩნეული ტაძრის გარეთ ანაფორის გახდა. უქმდებოდა მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება, იქმნებოდა ქრისტიანული შრომითი თემები. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დეკანოზ ალექსანდრე ვედინსკის მოთხოვნა იყო პატრიარქობის გაუქმება და ეკლესიის სამართავად კოლეგიალური ორგანოს - უმაღლესი საეკლესიო საბჭოს შექმნა. ამ შეკრებაზე 54-მა ეპისკოპოსმა მხარი დაუჭირა ტიქონისათვის პატრიარქობის ჩამორთმევას. ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან მხარდაჭერილ ამ მოძრაობის პოპულარობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ამ დროს რუსეთის ეკლესიის სამრევლოების 70%-ზე მეტი მხარს

უჭერდა ე.წ. „ობნავლენცებს“ („განმაახლებლები“, იგივე „ჟივიე ცერკოვნიკები“ – „ცოცხალი ეკლესია“). ბოლშევიკური რეჟიმის მოწინააღმდეგე სასულიერო პირთა დიდი ნაწილი გაანადგურეს, ნაწილმა კი ემიგრაციაში წასვლა მოასწრო და ასე გადაურჩა განადგურებას. 1923 წელს პატრიარქმა ტიქონმა სპეციალური განცხადებით აღიარა დაშვებული შეცდომები, მოინანია ხელისუფლების წინაშე და უკვე მორალურად და სულიერად გატეხილი დაბრუნდა რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლად, თუმცა „ობნავლენცები“ მას, როგორც რუსეთის ეკლესიის პატრიარქს, არ აღიარებდნენ. „ობნავლენცების“ ერთ-ერთი ლიდერი, ეპისკოპოსი ანტონინე გრანოვსკი თავის თავს რუსეთის ეკლესიის მეთაურს უწოდებდა. 1922-1923 წლებში, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, საქართველოს ეკლესიაშიც დაიწყო, რუსეთის მსგავსად, „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფმა საქმიანობა. ქართველმა „ობნავლენცებმა“ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ცვლილებების აუცილებლობაზე მსჯელობისას გაიხსენეს საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს 1922 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება, რომელშიც საუბარი იყო ეკლესიაში ისეთი რეფორმების განხორციელების აუცილებლობაზე, რომელიც ქართულ ეკლესიას გაათავისუფლებდა „მონარქისტულ რუსული პრავოსლავნიკური“ გავლენებისაგან. „განახლების“ ჯგუფმა საკათოლიკოზო საბჭოს ამ დადგენილებაში სხვა შინაარსი დაინახა და შეუდგა ეკლესიაში რეფორმების განხორციელებას. „განახლებისა და რეფორმების“ ქართულ ჯგუფს თავიდან ხელმძღვანელობდნენ: დეკანოზები იოსებ ჩიჯავაძე, ილარიონ ოქროპირიძე და კირილე ჯავახია, რუსულ სამრევლოებს, რომელნიც არ აღიარებდნენ საქართველოს საკათოლიკოზოს იურიდიქციას, წარმოადგენდა დეკანოზი იოანე ლოზოვოი. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, დეკანოზ კ. ჯავახიას მონაწილეობა მიუღია მოსკოვში „ობნავლენცების“ შეკრებაში ძველი სენაკის და ნოქალაქევის 28 სამრევლოს სახელით და გაუკეთებია

განცხადება: ამ სამრევლოებს არ სჭირდება ეპისკოპოსიო. ამავე დროს მას, საკათოლიკოზო საბჭოს გვერდის ავლით, თვითონ შეურჩევია ახალი ეპისკოპოსი ონოფრე შუშანია. ასეთი კაცის თვითნებური გაეპისკოპოსების, ან ანაფორაგახდილი პროფესორის კორნელი კეკელიძისათვის პატრიარქობის შეთავაზება, დეკანოზ კირილე ჯავახიასაგან იყო ჩვეულებრივი ავანტიურა. დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე მოსკოვში „ობნავლენცების“ სამდივნოში აირჩიეს, რის გამოც მას არაერთხელ მოუხდა საქართველოს ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭოს წევრებთან განმარტების გაკეთება და „ობნავლენცებთან“ კავშირის უარყოფა. ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა გრძნობდა, რომ ეს მოძრაობა ათეისტური ხელისუფლებისაგან იყო ხელშეწყობილი. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე მიიჩნევდა, რომ ეს მიმდინარეობა გაბატონებული პარტიის იარაღია ეკლესიაში არევ-დარევისა და უთანხმოების შემოსატანად, მათი სურვილია, შინაური განსეთქილებით დასცენ სარწმუნოება და ერის ზნეობა. ასე საღად ფიქრობდა ქართველი სამღვდელოების ის ნაწილი, ვინც კათოლიკოზ ამბროსის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი, ამიტომ ჯერ კიდევ 1922 წლის 13 დეკემბერს თბილისის სამღვდელოებამ იმსჯელა იმ საფრთხეებზე, რაც „განახლებისა და რეფორმის“ ჯგუფისაგან იყო მოსალოდნელი და მათ საწინააღმდეგოდ მიიღო საგანგებო რეზოლუცია, რომელშიც ჩაწერა: საქართველოს ეკლესიას არავითარი საერთო არ აქვს რუსეთის „ობნავლენცებთან“

საქართველოს ხელისუფლებისათვის „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის საქმიანობა მისაღები იყო. ამ მოძრაობის მხარდაჭერით, ის ვარაუდობდა ქართველი სამღვდელოების დასუსტებას. ხელისუფლების პრო-პაგანდისტები ქალაქად თუ სოფლად ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ კათოლიკოზმა ამბროსიმ და საკათოლიკოზო საბჭოს რეაქციულმა ნაწილმა გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმით დიდი ზიანი

მიაყენა საქართველოს ეკლესიას, ამიტომ აუცილებელი იყო პატიოსანი სამღვდელოება გამიჯვნოდა მათ, დაეგმოთ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი, პასუხი მოეთხოვათ კათოლიკოზისათვის. საკათოლიკოზო საბჭოსა და კათოლიკოზ ამბროსის საწინააღმდეგო კამპანიაში აქტიურად ჩაერთვნენ ეპისკოპოსები: დავითი (კაჭახიძე) და ქრისტეფორე (ციცქიშვილი). ჯერ კიდევ 1923 წლის 10 სექტემბერს მეტეხის ციხეში დატუსაღებულ კათოლიკოზს მიტროპოლიტმა დავითმა და დეკანოზმა პლატონ ცქიტიშვილმა ასეთი შინაარსის წერილი მიართვეს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტის დავითის და ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორეს განცხადება. სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭომ ამა წლის 9 სექტემბერს თავის კრებაზე დაადგინა: საკათოლიკოზო საბჭო სცნობს, რომ კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში ვნებას აყენებს ეკლესიას და ამისათვის განაჩინებს: ეთხოვოს მის უწმიდესობას, თვისი ადგილი დაუთმოს სხვა პირს.“[1] კათოლიკოზმა ამბროსიმ ამ წერილის ავტორებს განუცხადა, რომ ის თავისი ნებით არ გადადგებოდა. რაკი ხელისუფლებამ ვერ მიაღწია კათოლიკოზ-პატრიარქის გადადგომას და მისი, როგორც კერძო პირის გასამართლებას, მთავარი იმედი „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის საქმიანობაზე დაამყარა. „განახლების“ ჯგუფის ხელისუფლების მხარდამჭერმა განცხადებებმა ხელისუფლებას კიდევ უფრო გაუადვილა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო დასის დაყოფა „რეაქციულ ანტისაბჭოელებად“ და „პროგრესულ სამღვდელოებად“ „რეაქციულების“ დაპატიმრება, გადასახლება, იძულების წესით განმოსვა, მუქარა, შევიწროება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო საუკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მოსურნე სამღვდელოება მათი კარგი მოკავშირე ხდებოდა.

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. №539.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის სარეფორმო ჯგუფის მოთხოვნას ქუთაისში სამღვდელოების შეკრებების ნება დართო.

1923 წლის 2 სექტემბერს შედგენილი სარეფორმო ჯგუფის ოქმი №1 გვაუწყებს: „ქუთაისის საეკლესიო რეფორმების საინიციატივო ჯგუფის მოწოდებით და ადგილობრივი მთავრობის ნებართვით, მოხდა მორწმუნეთა ნაწილის და ქუთაისის სამღვდელოების კრება, რომელიც გახსნა ეპისკოპოსმა დავითმა. მისი აზრით, დრო არის ეკლესიაში შევიდეს ცვლილებები თანამედროვე ცხოვრების მიხედვით. ამ გზით იქნას გადადგმული პროგრესიული ნაბიჯები ეკლესიურ ცხოვრებაში. სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, თუ რა შემთხვევაში აღარ იქნებოდა დაპირისპირება ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის. შეკრებამ აირჩია საინიციატივო კომიტეტი, სხდომამ ერთხმად მიიღო ეპისკოპოს დავითის მიერ შედგენილი მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო: „გენუის კონფერენციაზე კათოლიკოზ ამბროსის მიერ გაგზავნილმა მემორანდუმმა, კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოს ეკლესია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ხელისუფლებას ის თავის მტრად მიაჩნია და ამიტომ დაარბია ეკლესიები, დაქსაქსა სამღვდელოება. მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ეკლესიას პოლიტიკასთან არაფერი საერთო არ აქვს. ამას თუ დავამტკიცებთ, ნორმალურ პირობებში, მაშინ ხელისუფლება შეწყვეტს ეკლესიის დევნას.“[1] „განახლებისა და რეფორმის“ ჯგუფი, რუსი „ობნავლენცების“ მსგავსად, მოითხოვდა ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოზ-პატრიარქის თანამდებობის გაუქმებას და კოლეგიალური მმართველობის ორგანოს შექმნას. მათი „რეფორმა“ ეკლესიას აცევდა ფორმით ქრისტიანულს, შინაარსით - სოციალისტურს.

1923 წლის 5 სექტემბერს, სარეფორმო ჯგუფის სხდომას,

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ დავითის ფ. №1523:7.

საინიციატივო კომიტეტის წევრების გარდა, ესწრებოდნენ ქუთაისის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი ვალია ბახტაძე, დასავლეთ საქართველოს პროკურორი ამბროსი ურუშაძე. სხდომამ დაპატიმრებული კათოლიკოზ ამბროსის და საკათოლიკოზო საბჭოს საწინააღმდეგოდ დაადგინა: „დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მორწმუნეს, მხარი დავუჭიროთ მას, ვაცხადებთ კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის გამოსვლას მცდარად და არაკანონიკურად. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ იგი გადაყენებულ იქნას თანამდებობობიდან, იქნებ თვითონაც გადადგეს მოღაპარაკების გზით“ ქუთაისის საეკლესიო რეფორმის საინიციატივო ჯგუფის 14 სექტემბრის სხდომაზე მოისმინეს ეპისკოპოს დავითის და დეკანოზ პლატონ ცქიტიშვილის ინფორმაცია, რომელთაც აღნიშნეს, რომ კათოლიკოზი გადადგომაზე უარს აცხადებდა, აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ახალი გეგმის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლებასთან ერთად ხალხში კათოლიკოზ ამბროსის და საკათოლიკოზო საბჭოს დაპატიმრებული წევრების საწინააღმდეგო აგიტაციას, რომ საბჭოთა ხელისუფლება მაშინვე შეწყვეტდა ეკლესიის დევნას, თუ კათოლიკოზი ამბროსი შეცდომად აღიარებდა გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმს, მოინანიებდა მას და გადადგებოდა პატრიარქობიდან. სარეფორმო ჯგუფის წევრებმა ხელისუფლებას მიმართეს თხოვნით, მორწმუნე საზოგადოების ნდობის მოპოვების მიზნით, „აუცილებელია გაიხსნას დაკეტილი ეკლესიები, აღდგეს ღვთისმსახურება, წინადადება მიეცეთ თბილისში დატუსაღებულ სამღვდელო პირთ, მიიღონ ქუთაისის სარეფორმო ჯგუფის პლატფორმა: ეკლესიის პროგრესი პოლიტიკის გარეშე დგომაა, დასვან ამაზე განსაკუთრებული ხელწერილი და იქნან გათავისუფლებულნი“ ბოლშევიკურ ხელისუფლებას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმ სასულიერო დასის განადგურება, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ ოკუპაციას, იცავდნენ ქართველი ერის ეკლესიური და სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეას. საქართველოს ეკლესიის „განახლების და რეფორმის“ ჯგუფს, რომელნიც ხელისუფლების დავალებებს ასრულებდნენ, ე. წ. „რეაქციული“ სამღვდელოება „სამშობლოს მოღალატეებად“, „ბურჟუაზიული დასავლეთის აგენტებად“ უნდა წარმოეჩინათ და ჩამოეშორებინათ ეკლესიის მართვის სადავეებიდან, სამაგიეროდ, უნდა შეექმნათ ახალი, საბჭოთა ტიპის ეკლესია, რომელიც ხელისუფლების ყველა დავალებას უსიტყვოდ შეასრულებდა.

საქართველოს ეკლესიის „განახლების და რეფორმების“ ჯგუფს გარკვეული დაბრკოლება შეექმნა 1925 წლის 10 მარტს, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოზო საბჭოს დაპატიმრებული წევრები ციხიდან გაათავისუფლეს. არ გამართლდა ოფიციალური ხელისუფლების ვარაუდი, რომ მორწმუნე მრევლი ზურგს შეაქცევდა ფიზიკურად დასუსტებულ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის და მის მომხრე საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს. 11 მარტს კათოლიკოს-პატრიარქის წირვაზე სიონის საკათედრო ტაძარში, უამრავი ხალხი შეიკრიბა და ციხეში ნატანჯ სულიერ ლიდერს, როგორც გმირს, ისე შეეგება. პატრიარქმა, შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, მორწმუნე მრევლს ერთიანობისა და სიმტკიცისაკენ მოუწოდა. მან გადააყენა ეპისკოპოსი ქრისტეფორე საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის თანამდებობიდან, გააძლიერა საკათოლიკოზო საბჭო თავისი მომხრეებით, უარყოფითი შეფასება მისცა ე.წ. საეკლესიო რეფორმების ჯგუფის საქმიანობას, საკათოლიკოზოში შექმნა ე.წ. „რეფორმატორების“ საქმიანობის შემსწავლელი კომისია ეპისკოპოს მელქისედეკის (ფხალაძე) ხელმძღვანელობით.

მისივე ლოცვა-კურთხევით, 1925 წლის 30 ოქტომბერს, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში, მას იმავე დღეს მიენიჭა მიტროპოლიტობა და დაინიშნა კათოლიკოზ-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ. კათოლიკოზ ამბროსის მოწინააღმდეგეებმა, რომელნიც ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდნენ, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის გვერდის ავლით, ჯერ მორწმუნე მრევლს, ეპარქიებს, საზოგადოების ცნობილ სახეებს დაუგზავნეს საგანგებო მოსაწვევები, ხოლო 26-27 დეკემბერს ქუთაისში ჩაატარეს საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 77 დელეგატი, მათ შორის თვითნებურად გამიტროპოლიტებული ქრისტეფორე ციცქიშვილი, დავითი კაჭახიძე,ეპისკოპოსები:იოანემარღიშვილი,სიმეონიჭელიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი. საეკლესიო რეფორმების ჯგუფის წევრებმა ჯერ კიდევ 1926 წლის მარტში ასეთი „განჩინება“ მიიღეს: „დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს, შეუდგეს კათოლიკოზ-პატრიარქის მოვალეობის შესრულებას“.[1] ეს გადაწყვეტილება ორხელისუფლებიანობას ნიშნავდა საქართველოს ეკლესიაში. ქუთაისის კრების მიზანი იყო კათოლიკოზ ამბროსის და ხელისუფლებისათვის მიუღებელი საკათოლიკოზო საბჭოს საეკლესიო მმართველობიდან ჩამოშორება. ქუთაისის საეკლესიო კრება ბოლშევიკური ხელისუფლების სრული მხარდაჭერით გაიმართა. კრების დღის წესრიგი ასე განისაზღვრა: 1. საქართველოს ეკლესიის დროებითი საეკლესიო მმართველობის დაარსება; 2. საქართველოს მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტის შემუშავება; 3. საქართველოს მოქმედი საკათოლიკოზო საბჭოს მუშაობის შეფასება და მისი წევრების გადაყენება; 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეოთხე საეკლესიო კრების მოწვევის დროის განსაზღვრა; 5. მიმდინარე საკითხები. კრებამ გადაყენებულად გამოაცხადა საკათოლიკოზო საბჭოს შემადგენლობა, საეკლესიო კრების

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფ. №102.

მოწვევამდე შექმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) თავმჯდომარეობით, დროებით მმართველობას დაავალა საკათოლიკოზო ქონების, ბლანკიანი ქაღალდის და ბეჭდის ჩაბარება, ხოლო ის სასულიერო პირები, რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ დროებით მმართველობას, დათხოვნილ იქნებოდნენ ეკლესიიდან.

ქუთაისის საეკლესიო კრების მონაწილეებმა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი - შინსახკომის დახმარებით, 1926 წლის 28 დეკემბერს რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, როგორც ერთადერთი კანონიერი საეკლესიო მმართველობის ორგანო, ხოლო საკათოლიკოზო საბჭო და კათოლიკოზ-პატრიარქი კანონგარეშედ გამოაცხადეს, თუმცა ზრდილობისათვის იქვე დასძინეს, რომ კათოლიკოზ-პატრიარქი რჩება თავის ადგილზე და წინადადება ეძლევა ითანამშრომლოს ახალ ორგანოსთან. კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი და მისი ერთგული საკათოლიკოზო საბჭო შეეცადნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ დროებითი მმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. კათოლიკოზმა ამბროსიმ ქუთაისის კრება გამოაცხადა უკანონოდ. საეკლესიო რეფორმების ჯგუფი მიხვდა, რომ დაუძლურებულ ამბროსის უფრო ადვილად გატეხდნენ, თუ მოსაყდრე მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს აიძულებდნენ გადამდგარიყო მოსაყდრის თანამდებობიდან და მთავარი იერიში მასზე მიიტანეს, რასაც მოსაყდრემ ვერ გაუძლო და 1926 წლის 30 დეკემბერს გადადგა თანამდებობიდან. კათოლიკოზმა ამბროსიმ არ დაანება რეფორმატორებს საპატრიარქო კანცელარია, საპატრიარქო ბეჭედი და გაიმეორა, რომ არ სცნობდა ე.წ. „დროებით მმართველობას“, მაგრამ აქ გამოჩნდა ხელისუფლების საცეცები, 1927 წლის 4 იანვარს, დროებითი მმართველობის მიმართვის საფუძველზე, შინსახკომის ბრძანებით, კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის ჩამოართვეს საპატრიარქო და საეპარქიო კანცელარიები, საქმის წარმოების

უფლება, ფინანსები. მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ეკლესიაში შექმნილ კრიზისში ადანაშაულებდა საკათოლიკოზო საბჭოს ძველ შემადგენლობას, საყვედურობდა მათ ეპისკოპოსების გამრავლებას, საეკლესიო კალენდრის ახალ სტილზე გადასვლაში დაბრკოლების შექმნას, ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან შეურიგებლობას და კონფროტაციას. 1927 წლის 22 მარტს, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით, კათოლიკოზ ამბროსისთან შევიდნენ მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი და მიტროპოლიტი დავითი კაჭახიძე, რომელთაც გამოუცხადეს მას, რომ ხელისუფლების დასტურით, იგი გადაყენებული იყო კათოლიკოზ-პატრიარქობიდან. ამ შეხვედრის შემდეგ, 23 მარტს, კათოლიკოზმა ამბროსიმ მეტყველების უნარი დაკარგა, 27 მარტს გონება. 29 მარტს, დილის 3 საათზე, იგი გარდაიცვალა. 3 აპრილს წამებული კათოლიკოზი დაიკრძალა სიონის საკათედრო ტაძარში. მისი გარდაცვალებით დასრულდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთი დიდი ისტორია. საქართველოს ეკლესიის მაღალიერარქების ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის შეურიგებელი ბრძოლა შეცვალა საოკუპაციო ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის პოლიტიკამ.

XVIII. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1972 წლებში

საბჭოთა ხელისუფლებამ, მისთვის მიუღებელი სასულიერო იერარქების დაუნდობელი რეპრესიების შემდეგ, გადაწყვიტა მორჩილი და მასთან თანამშრომლობის მოსურნე სასულიერო პირების მეშვეობით ახალი საბჭოთა ეკლესიის დაფუძნება, რომელიც ირწმუნებდა და პროპაგანდას გაუწევდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის სტალინურ გეგმას: ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას, და კულტურული რევოლუცია. ამავე დროს, ი.სტალინს აღიარებდა როგორც მიწიერ ღმერთს და ხელს შეუწყობდა მისი სახელის განდიდებას. ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილით იყო გამსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის lV საეკლესიო კრების (1927 წლის 21-27 ივნისი) დღის წესრიგი: 1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულების დამტკიცება; 2. დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლების მთავრობასთან საერთო ენის გამონახვისა, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობანი; 3. საშუალებანი და ღონისძიებანი 1923 წლის 18 იანვრის მთავრობის დადგენილებისა, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის ცხოვრებაში გასატარებლად; 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნები.

lV საეკლესიო კრების დადგენილებების შინაარსიდან ჩანდა, რომ კრებაზე მიღებული დოკუმენტები ხელისუფლების კარნახით იწერებოდა. კრების მიერ მიღებული საგანგებო დეკლარაცია აცხადებდა: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და მას აქვს მოქმედების და სარწმუნოების პროპაგანდის სრული თავისუფლება. ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში და, ამას ავალდებულებს მას თვით იესო ქრისტეს მოძღვრება: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“,

მოციქული პავლე იტყვის: „ყოველივე დაემორჩილეთ უზენაესთა ხელისუფალთა, არა არს ხელისუფლება ღვთის ნების გარეშე, არსებული ხელისუფლებანი ღვთისაგან არიან განწესებულნი. ამისათვის ხელისუფალთა მოწინააღმდეგენი არიან წინააღმდეგნი ღვთის განჩინებისა, ხოლო მოწინააღმდეგენი თვით მიიღებენ სასჯელს".[1] საეკლესიო კრება ადასტურებს ეკლესიის პოლიტიკაში ჩაურევლობას, კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთ არ შეუძლიათ, იქონიონ არავითარი კავშირი სახელმწიფოს საწინააღმდეგო პარტიებთან და ჯგუფებთან, გმობს მათ მოქმედებას, რომელნიც მიმართული იქნება საბჭოთა საქართველოს და მისი მოკავშირე ერების მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგ. IV საეკლესიო კრება აღიარებს, რომ არც საქართველოს ეკლესიის III კრებას და არც მღვდელმთავართ არ დაუვალებია არავისთვის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო მემორანდუმის გენუის კონფერენციაზე გაგზავნა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიისათვის. IV საეკლესიო კრება ადასტურებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება ნაციონალურ ნიადაგზე ვითარდება წარმატებით, ვიდრე მის წინამორბედი რეჟიმების ხანაში."[2]

საეკლესიო კრება გამოეხმაურა ევროპაში ანგლიკანური ეკლესიის, რომის პაპის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების: ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მიერ დაწყებულ ფართომასშტაბიან პროპაგანდისტულ კამპანიას საქართველოში ადამიანების რელიგიური ნიშნით დევნის გამო. ემიგრანტული მთავრობა მოუწოდებდა ევროპის ქვეყნების მთავრობებს, არ დაემყარებინათ არავითარი ურთიერთობა პირსისხლიან საბჭოთა რეჟიმთან მანამ, სანამ არ იქნებოდა დაცული

[1] სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სინოდის უწყებათა კრებული, თბ. 1927:17.

იქვე... გვ. 17

მათ მიერ რელიგიის შესახებ მიღებული, საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული უფლებები, სანამ საქართველოს ეკლესია იყო დევნილ მდგომარეობაში. ამ მოწოდების საპასუხოდ, საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება: „საეკლესიო კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესიის პასუხისმგებელ პირთ არავითარი დავალება ან რწმუნება არ მიუციათ ქართველი ემიგრანტებისათვის, აწარმოონ მოლაპარაკება რომის პაპთან და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურთან, და რომ ასეთ ცდებს ჰქონებოდა ადგილი საქართველოს ეკლესიის რომელიმე წარმომადგენლისაგან, მაშინ კრება იძულებული იქნებოდა, განეკვეთა ისინი საქართველოს ეკლესიიდან. საქართველოს ეკლესია იყო და არის აღმოსავლეთის ეკლესია მართლმადიდებლობის აღიარების ნიადაგზე და იცავს თავის დამოუკიდებლობას სხვა ეკლესიებთან, არ ფიქრობს მართლმადიდებლობის რომელიმე დოგმატის შეცვლას. ამასთანავე, საქართველოს ეკლესია, რომელიც ქადაგებს მშვიდობას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება იმ ფაქტს, როდესაც რომის პაპი და ანგლიკანური ეკლესიების მეთაურნი იჭერენ კავშირს ანტისაბჭოთა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომელნიც ცდილობენ ხელმეორედ დაარღვიონ ქართველთა მშვიდობიანი ცხოვრება. ეს დეკლარაცია ეცნობოს საქართველოს მთავრობას და გადაეცეს პრესის წარმომადგენლებს".[1]

საეკლესიო კრების ეს დადგენილება მტკივნეული აღსათქმელი იყო იმ პატრიოტი ქართველებისათვის, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმს. განსაკუთრებით ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველებისთვის, რომელთაც პატრიარქი ქრისტეფორე III ბოლშევიკების მიერ დასმულ „წითელ პატრიარქად" გამოაცხადეს, დაგმეს IV საეკლესიო კრების მიერ მიღებული ეს მიმართვა და გაწყვიტეს ევქარისტული კავშირი საქართველოს

[1] სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სინოდის უწყებათა კრებული, თბ, 1927:18.

ეკლესიასთან. 1929 წელს ილმაზ დადეშქელიანმა, იოსებ კემულარიამ და ლევან ზურაბიშვილმა პარიზში დააარსეს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომელიც დაექვემდებარა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის წინამძღვარი გახდა ცნობილი მეცნიერი, თეოლოგი გრიგოლ ფერაძე. კიდევ უფრო მძიმე იყო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (ციცქიშვილის) მოხსენება „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1921-1927 წლებში“ მან კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის, საქართველოს ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭოს მიერ 1921-1927 წლებში გაწეული საქმიანობა, ისაუბრა, რა დამღუპველი იყო ეკლესიის მესვეურთა შორის უთანხმოება, რომ აუცილებელი იყო მშვიდობა და თანხმობა: „ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მესვეურთა შორის უნდა მოისპოს ყოველივე შუღლი და უთანხმოება. ყველამ, მორწმუნე ერის კაცებთან ერთად, შეთანხმებულად უნდა შეუწყონ ხელი საქართველოს ეკლესიის ჭრილობების გამთელებას, ეკლესიის განმტკიცებას და წარმატებებს. ეკლესიის მომავალი უზენაესი ორგანო, რომელსაც აირჩევენ, მტკიცედ დაიცავს კრების მიერ მიღებულ დებულებას, აუცილებლად მოიწვევს თავის დროზე საეკლესიო კრებას, მღვდელმთავართა სხდომებს, განუხრელად გაატარებს ცხოვრებაში საეკლესიო დისციპლინას და შეუდგება ენერგიულად გეგმიან და შეთანხმებულ მუშაობას ეკლესიისა და ერის საკეთილდღეოდ“.[1] საეკლესიო კრება კიდევ ერთხელ მიესალმა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და წარმატება უსურვა „ნაყოფიერ აღმშენებლობით“ საქმიანობაში, რომელიც, მათი შეფასებით, განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებდა საქართველოში. საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, იერუსალიმის საპატრიარქოს მსგავსად, ამიერიდან

[1] სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სინოდის უწყებათა კრებული, თბ. 1927:19.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულიდან ამოღებულ იქნას უწმიდესი და დარჩეს უნეტარესი. 27 ივნისს ჩატარდა კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევნები. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ერთი საიდუმლო დოკუმენტი გვამცნობს: 1927 წლის 13 ივლისს, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანტი-რელიგიური კომისიის სხდომაზე, მოისმინეს ლავრენტი ბერიას სპეციალური წარმომადგენლის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო განყოფილების უფროსის ვლადიმერ დეკანოზოვის მოხსენება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრების შესახებ. მომსსენებელმა აღნიშნა: „საქართველოს ეკლესიას მტრული პოზიცია ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რაც მკაფიოდ გაჟღერდა გენუის კონფერენციაზე კათოლიკოზ ამბროსის მემორანდუმით. საბჭოთა ხელისუფლებისადმი ეკლესიის ასეთ დამოკიდებულებას მხარი არ დაუჭირა სასულიერო წრის პროგრესულმა ნაწილმა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მეთაურობით, რომელთაც, ჩვენი მხარდაჭერით, ქუთაისის საეკლესიო კრებაზე გაილაშქრეს რეაქციული საკათოლიკოზო საბჭოს და კათოლიკოზ ამბროსის წინააღმდეგ. მათ შექმნეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა. კათოლიკოზ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ხელში გადავიდა საეკლესიო ხელისუფლება. მათ 21-27 ივნისს ჩაატარეს საეკლესიო კრება, სადაც მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ თავის მოხსენებაში დაგმო კათოლიკოზ ამბროსის საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფრონტაციის პოლიტიკა, დაუპირისპირდა ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებს, გამოაცხადა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი. როდესაც მან სიტყვა დაამთავრა, კრებაზე მოწვეული დელეგატების დიდმა ნაწილმა დაიწყო ყვირილი ქრისტეფორეს მისამართით. ისმოდა ასეთი შეძახილები: „შენ ხარ კირიონ

კათოლიკოზის მკვლელი და ეკლესიის მტერი“ კრებაზე შეიქნა უწესრიგობა, ვინაიდან დელეგატებმა პროტესტის ნიშნად მიატოვეს კრება. ჩემი რჩევით, დარჩენილმა დელეგატებმა მიტროპოლიტი ქრისტეფორე აირჩიეს კათოლიკოზ-პატრიარქად. რეაქციული სამღვდელოება არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. საჭიროა მათი გამოვლენა და დასჯა.“[1] ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიაში პროცესებს ხელისუფლება აკონტროლებდა.

ანტირელიგიური ისტერიის ფონზე, ოფიციალური სამთავრობო გაზეთი „კომუნისტი“ ყოველდღე აქვეყნებდა ყოფილი სასულიერო პირების განცხადებებს მღვდლობაზე უარის შესახებ. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ინფორმაციით, იმ დროს ინგლისში სპეციალურად დაუწყიათ თანხების შეგროვება საბჭოთა კავშირში უმძიმეს პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი სასულიერო პირების დასახმარებლად, მაგრამ დეკანოზის მართებული დასკვნით: „კომუნისტური ხელისუფლება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და დევნას აწარმოებს ყოველგვარი რელიგიის, განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ და ეს ხელისუფლება არავის ჩარევას მის ასეთ შინაურ საქმეებში არ მოითმენს“.[2] ხელისუფლებამ ანტიდასავლურ კამპანიაში ჩართო უკვე საბჭოთა ყაიდაზე გარდაქმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1930 წლის 19 მარტს ჩატარდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა პროფესორების: შალვა ნუცუბიძისა და კორნელი კეკელიძის გამოსვლები, რომელთაც დაგმეს „დასავლეთის არამკითხე მხარდაჭერა“, განსაკუთრებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს რომის პაპი და კენტებერიის მთავარეპისკოპოსი. სამეცნიერო საბჭოს

---

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (პრეზიდენტის ყოფილი არქივი), ფ. №14, საქმე 354, საქაღალდე 37:133.

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურებიდან, თბ. 2013:549.

მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: „კაპიტალიზმის მთავარი აგენტები ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ, გარდა იმათი, ვისაც შეუძლია დაიჯეროს, რომ ეკლესია და მისი მეთაური რომის პაპის ტახტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თავისუფლებისა და აზროვნების მტერი იყო, რომელმაც ცეცხლზე დაწვა ჭეშმარიტების და მეცნიერების გმირები... დღეს ერთბაშად აუტოკდა გული ქრისტიანობის დასაცავად საბჭოთა ქვეყანაში... ჩვენ ვეწევით აღმშენებლობას და მშვიდობიანობა გვწადია, ხოლო თუ ვინმემ სულის საცხონებლად თუ ხორცის განცხრომისათვის ომი თავს მოგვახვია, ჩვენი კალამი მახვილად შეიცვლება და ლაბორატორია - თოფხანად“.[1]

1930 წლის 21 მარტს გაზეთ „კომუნისტში“, ხელისუფლების დაკვეთით, დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III–ის განცხადება. რომელიც არაფრით განსხვავდებოდა რუსეთში პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ სერგი სტაროგოროდსკი განცხადებისაგან. როგორც ჩანს, ტექსტის ფაბულა შედგენილ იქნა მოსკოვში და შემდეგ გადაუგზავნეს საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა ლიდერებს. ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც საქართველოში 1921-1927 წლებში ადმინისტარაციული წესით დაიხურა 1000-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი, სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრებულ იქნა 500-ზე მეტი სასულიერო პირი, რომელთაგან 100-მდე დახვრეტილ იქნა. საქართველოს საპატრიარქოში, საერო ადმინისტრაციების კანცელარიებში არაერთი სასულიერო პირის სევდანარევი განცხადებები ინახებოდა. სოფელ წუხარელას (თერჯოლა) მღვდელმა ირაკლი გურგენიძემ სასამართლოზე განაცხადა: „ჩამოიარა თერჯოლის თემის პარტიის მდივანმა ვასილ ობოლაძემ და გამაფრთხილა: თუ მღვდლობას თავს არ გაანებებ, მიწას წაგართმევო, ამიტომ იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა“.[2]

---

[1] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურებიდან, თბ. 2013:626.

[2] ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-

ვინც ასეთ განცხადებას არ წერდა, მათ ყოველთვიურ გადასახადებს უწესებდნენ, მაგრამ თუ ვერ გადაიხდიდნენ, ან აპატიმრებდნენ, ან აიძულებდნენ უარი ეთქვათ სასულიერო პირობაზე. შექმნილ ურთულეს და გაუსაძლის ვითარებაზე, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა, თვით ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კათოლიკოზი ქრისტეფორე III ალაპარაკდა: „1928 წლის 9 დეკემბერს, ღამით, მოკლეს კახეთში სოფ. მატნის მღვდელი ასათაშვილი, რომელმაც ავადმყოფი აზიარა. 1929 წლის 14 იანვარს მოკლეს გორის მაზრაში მღვდელი აბრამიშვილი, რომელმაც ერთ-ერთ ოჯახში ნათლობის წესი აღასრულა. ასევე უცნობმა ბოროტმოქმედებმა დახოცეს შიომღვიმისა და ზედაზნის ბერები. ანტირელიგიური მუშაობის საბაბით, აქტივისტებმა დაანგრიეს ეკლესიები შემდეგ სოფლებში: ძირულა, კარდენახი, ენისელი, ყარსუბანი. ეპარქიაში ჩასვლის უფლებას არ აძლევენ ალავერდის ეპისკოპოსს, ოზურგეთიდან გააძევეს ეპისკოპოსი, ხოლო ჭყონდიდელი მღვდელმთავარი სამი დღით დაატუსაღეს... ყველა ეს შევიწროებანი, რომელსაც განიცდის საქართველოს ეკლესია, მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით და ნაძალადევად მოხდეს მისი ლიკვიდაცია".[1]

ხელისუფლება კიდევ უფრო ამკაცრებდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. 1928 წელს თბილისში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი მუკი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა სილიბისტრო თოდრია. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა რელიგიის სრულ მოსპობას. 1928 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში კათოლიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე წერდა: „მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიის შესახებ არ სრულდება, ანტირელიგიური პროპაგანდა ბევრს გაგებული აქვს სამღვდელოების,

---

1952 წლებში, თბ. 2001:108.

[1] სუიცსა N284, საქმე 283:11.

მორწმუნეების შეუზღუდველ დევნად, დაუსჯელად ხდება ეკლესიების ძარცვა, შიგნით მისი მოწყობილობის განადგურება, სამღვდელოებას სრულად ათახსირებენ, აშინებენ რევოლვერის გულზე დადებითაც კი... ეკლესიის შევიწროება ისე ძლიერად არსად არ არის საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოში".[1] ამის პარალელურად პატრიარქი ხელისუფლების დაკვეთით, გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ განცხადებაში საპირისპიროს ამტკიცებდა: „რელიგიის თავისუფლება საქართველოში უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და დამატებით საქართველოს ცაკ-ის 1924 წლის 21 ნოემბრის N124 დადგენილებით. რასაკვირველია, ჩვენში ადგილი აქვს დამახინჯებებს რელიგიის საკითხებში, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წრეგადასული წარმომადგენლები ხურავენ ეკლესიებს, როცა ამისათვის არ აქვთ საკმაო საფუძველი, მაგრამ ასეთ მოვლენებს გმობს ცენტრალური ხელისუფლება, კანონიერების ასეთი დაუშვებელი გადახვევების აღმოსაფხვრელად იცემა ოფიციალური მითითებები, ხოლო უცხოური სახელმწიფოების ჩარევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, ამ შემთხვევაში რელიგიის საკითხებში, ზედმეტია. ჩვენ ვაღიარებთ საბჭოთა მთავრობის სუვერენიტეტს ყველა შინაურ და საგარეო საკითხების გადაჭრაში და, საჭირო შემთხვევებში, საქართველოს ეკლესიის სინოდი ეკლესიის შესახებ უდგენს თავის მოსაზრებებს მთავრობას და ის ითვალისწინებს. რაც შეეხება რომის პაპის, ევროპის და ამერიკის სხვა სასულიერო და სამოქალაქო პირთა გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიის თავისუფლების დამცველებს არ აქვთ არც ფორმალური და არც ზნეობრივი უფლება ასეთი გამოსვლისათვის ანდა როგორ დაუშვებს მთავრობა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, ასეთ ჩარევას თავის შინაურ საქმეებში... რელიგიური თავისუფლების დამცველის

[1] სუიცსა, N284, საქმე 283:12.

როლი არ შეეფერებათ რომის პაპებს, რომელნიც არა მარტო შორეულ წარსულში განირჩეოდნენ შეურიგებლობით რელიგიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ... ამას წინათ პოლონეთის ავტოკეფალური ეკლესიის წინამძღოლი, ვარშავის და ვოლნის მიტროპოლიტი დიონისე თავის ძმურ მომართვაში გვატყობინებდა მეტად სამწუხარო ამბავს, თუ როგორ ახდენს რომის ეკლესია „ბეთლემელ ყრმათა“ ამოჟლეტას პოლონეთში. მიტროპოლიტი დიონისე წერს: რომის ეკლესიას სურს წაგვართვას ჩვენი წმინდა ტაძრების ნახევარი, რომელიც ბეთლემელ ყრმათა გაჟლეტას უდრის (ორ მილიონზე მეტი მორწმუნე რჩება სულიერი საზრდოს გარეშეო). ასეთი რამ ხდება რომის პაპის მფარველობით და კურთხევით. ეს ცოცხალი მაგალითი რომის პაპების მოღვაწეობიდან ყველასათვის ნათელს ხდის, თუ რა მიზანს ისახავენ რომის პაპი და მისი მოკავშირეები ქადაგებით „ჯვაროსნული ლაშქრობის“ შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათი მიზანი რელიგიური თავისუფლების დაცვაა საბჭოთა კავშირში, თუ სხვა რამ? ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მსაჯულებისაგან, რელიგიური თავისუფლების დამცველებისაგან.“[1]

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ ანტიდასავლურ კამპანიას, კათოლიკოზ ქრისტეფორეს განცხადების პათოსს მალე შეუერთდნენ ქართველ კათოლიკეთა პატრი ემანუელ ვარდიძე და სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსი კალატოზოვი, რომელთაც 1930 წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ კათოლიკური ეკლესია საქართველოში, თვითმპყრობელობის დროსთან შედარებით, არა თუ დაჩაგრული არ აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, არამედ უეჭველი უპირატესობაც მიიღო“ სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ წამოწყებული ეს სამარცხვინო კამპანია სახელს უტეხდა, როგორც საქართველოს ეკლესიას,

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1930 წ. 21 მარტი.

მის სასულიერო დასს, ასევე სხვა კონფენსიებს რომელნიც მორწმუნე მრევლის თვალში ხელისუფლების სურვილების უსიტყვო შემსრულებლებად იქცნენ.

კათოლიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III მიხვდა, როგორ მოატყუა ხელისუფლებამ, მისი ხელით ეკლესიიდან გააძევა ბოლშევიკური ხელისუფლების დამღუპველი ექსპე-რიმენტების მოწინააღმდეგე პატიოსანი სამღვდელოება და მათ ნაცვალად იქ დარჩა კოლაბორაციონისტი, მედროვე, უპრინციპო და უღირსი სასულიერო პირები, რომელთაც ეკლესიისათვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა. 1930 წლის 15 ოქტომბერს მან კიდევ ერთხელ გაუგზავნა მთავრობის მამხილებელი წერილი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს: „საქართველოს საკათოლიკოზო სინოდის დავალებით, პატივისცემით წარმოგიდგენთ ამ განცხადებას, რომლითაც ჩვენ მივაქცევთ საქართველოს სსრ ცაკ-ის ყურადღებას,რომმთავრობისდეკრეტებიდაგანკარგულებანი ეკლესიის შესახებ არ სრულდება. ა) ბევრს ანტირელიგიური პროპაგანდა გაგებული აქვს როგორც მორწმუნეთა, ეკლესიის და სამღვდელოების შეუზღუდველი დევნა; ბ) დაუსჯელად მიმდინარეობს ეკლესიების ძარცვა, მისი ქონების მითვისება, ხელოვნური ხანძრებით შენობათა განადგურება; გ) მღვდლებს სრულიად ათახსირებენ, რევოლვერის გულზე დადებითაც კი აშინებენ; დ) ეპისკოპოსებს არ აძლევენ ნებას ეპარქიებში მოგზაურობისა და წირვა-ლოცვის ჩატარებისა; ე) აქამდეც დიდი იყო საშემოსავლო გადასახადები, ახლა კიდევ უფრო გაიზარდა იგი; ვ) სამღვდელოებას ართმევენ მიწის ნორმას; ზ) ხდება მორწმუნეთა დაბეგვრა ეკლესიებში სიარულისათვის. ჩვენი აზრით, ეკლესიის შევიწროება ისე ძლიერად არსად არ არის საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოშია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი მოქმედებანი ხელს უშლიან ქართველებს სხვა მოკავშირე ერებთან დაახლოებაში. მიხეილ კალინინმა 1924 წელს აღნიშნა, თუ სხვა რესპუბლიკებში აქვთ სასულიერო

სასწავლებლები, საქართველოშიც მივცეთ მისი გახსნის უფლებაო. ჩვენ ვერ მივიღეთ სასულიერო ჟურნალის გამოცემის უფლება, როგორც აქვთ რუსებს, უკრაინელებს, სომხებს. გთხოვთ, ქართველი მორწმუნენი და მისი სამღვდელოება გაათანაბრეთ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკათა მორწმუნეებთან და სამღვდელოებასთან. ჩვენ მოგახსენებთ, რომ დღეს წარმოებული შევიწროებანი საქართველოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც არ უნდა იყოს სასურველი არავისათვის."[1] არც ამ მიმართვას მოჰყოლია არავითარი შედეგი.

1927-1932 წლებში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაასრულა ეკლესიის მოთვინიერებისა და მორჩილი საბჭოთა ეკლესიის შექმნის პროცესი. ამ პერიოდს ემთხვევა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საქართველოს ინტელექტუალური ელიტის მოსყიდვა. ერთის მხრივ, მათი სასტიკი კრიტიკის, მუქარის, შანტაჟის, მეორეს მხრივ, სასათბურე პირობების შექმნით ეს ელიტარული წითელი ინტელიგენცია შემდეგში ნებისმიერი ხელისუფლებისათვის საიმედო დასაყრდენად იქცა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გააძევა ევროპული განათლების მქონე პროფესურა და ჩაანაცვლა „წითელი პროფესურით", გაძევებულთა შორის იყო უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც წითელი პროფესურის წარმომადგენელმა გრიგოლ ხაჭაპურიძემ „ქართველ რეაქციონერ-შოვინისტ ისტორიკოსთა ხროვის ბელადი" უწოდა. ბედის ირონია იყო, რომ ქართველ ინტელექტუალებს თავიანთ ადგილობრივი პარტიული ლიდერის საქმიანობაში ფილიპე მახარაძის თეზისებით უნდა ეხელმძღვანელათ. საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში მყოფი კათოლიკოზი ქრისტეფორე III ხელისუფლებამ ისე შეავიწროვა, რომ იგი იძულებული გახდა 1931 წლის აპრილში ასეთი განცხადებით მიემართა მათთვის: „მე მაქვს წარმოდგენილი დეკლარა-

[1] სუიცსა, ფ. 2100, საქმე 31.

ციები ჩემი შემოსავლისა 1929-30 წლებში და 1930 წლის განსაკუთრებულ კვარტალში, მაგრამ იმდენი გადასახადი შემაწერეს, რასაც ვერ გადავიხდი... ფინაგენტმა აღწერა ჩემი ბინა, ნივთები... ვთხოვ თბილისის აღმასკომს, მოახდინოს განკარგულება სრულიად მომეხსნას გადასახადები, როგორც მცირე შემოსავლიანს და მძიმედ დასნეულებულს, ხოლო თუ ეს არ შეიძლება ჩემთვის, როგორც ღვთისმსახურისა და კათოლიკოზ-პატრიარქისათვის, გადამხდეს გადასახადები ჩემის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით."[1] ხელისუფლებამ არც მისი ეს სურვილი გაითვალისწინა. 1932 წლის 10 იანვარს კათოლიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე III გარდაიცვალა.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში ძალაუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა ი.სტალინის გამარჯვებით, რომელმაც გაანადგურა „ტროცკისტულ-ზინოვიევური და ბუხარინის დაჯგუფება" 1929 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით პომპეზურად აღნიშნეს ი.სტალინის დაბადების 50 წლისთავი, დაიწყო მისი პიროვნების განდიდების პროცესი, რომელიც გაგრძელდა 30-40-იან წლებში. ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ კულტურული რევოლუციის სწრაფად განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი იყო მოსახლეობის დიდი ნაწილის რელიგიურობა, ამიტომ კვლავ მთელი ძალით გაგრძელდა ბრძოლა მოსახლეობაში არსებული რელიგიური გრძნობების აღმოსაფხვრელად. მართალია, ამჯერად რელიგიის წინააღმდეგ ისეთი ბარბაროსული მეთოდები აღარ გამოიყენებოდა, მაგრამ ანტირელიგიური კამპანია, არასასურველი სასულიერო პირების დაპატიმრებები, ეკლესია-მონასტრების დახურვა კვლავაც გრძელდებოდა. ი.სტალინი პირდაპირ აცხადებდა: „პარტია არ შეიძლება ნეიტრალური იყოს რელიგიასთან ურთიერთობაში, და ისიც ეწევა ანტირელიგიურ

[1] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი N49:50.

პროპაგანდას ყველანაირი ცრურწმენის წინააღმდეგ, რამეთუ ის მეცნიერების მიღმა დგას. რელიგიური ცრურწმენები კი მიდიან მეცნიერების წინააღმდეგ... პარტია ვერ იქნება ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენებთან მიმართებაში, და ის მომავალშიც აწარმოებს პროპაგანდას ამ ცრურწმენების წინააღმდეგ... დავამხეთ კი ჩვენ რეაქციული სამღვდელოება? დიახ, დავამხეთ! უბედურება კი იმაშია, რომ ის ჯერ კიდევ არ არის სრულიად ლიკვიდირებული. ანტირელიგიური პროპაგანდა წარმოადგენს იმ საშუალებას, რომელმაც ბოლომდე უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე. არსებობს შემთხვევები, რომ ვიღაც-ვიღაცეები პარტიის რიგებიდან ხანდახან ხელს უშლიან ანტირელიგიური პროპაგანდის ყოველმხრივ გაშლას. პარტიიდან თუ ასეთ წევრებს გარიცხავენ, ეს ისედაც კარგია, რამეთუ ასეთ „კომუნისტებს“ ჩვენი პარტიის რიგებში ადგილი არ აქვთ“[1]

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში სტალინმა ანტირელიგიური საქმიანობა პირდაპირ დაუკავშირა სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. გაიზარდა გაზეთ „ბეზბოჟნიკის“ („უღმერთოები“) ტირაჟი. უღმერთოთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამტიცებდა, ღვთისმსახურნი გლეხებში კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევიანო. მაშინდელი პარტიული და კომკავშირელი ფუნქციონერები სასულიერო პირებს „კონტრრევოლუციონერებს“ უწოდებდნენ. ქვეყანაში რელიგიასთან ბრძოლა გაუთანაბრდა კლასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლას. 1928 წლის 5 იანვრის დადგენილებით, საქართველოში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულებს უნდა ებრძოლათ მოსახლეობაში არსებული რელიგიურობის აღმოსაფხვრელად. 1930 წელს თბილისში გაიხსნა ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი, რომლის მიზანი იყო, მოემზადებინა მარქსისტულ-ლენი-

[1] ჟურნ. „მებრძოლი ათეიზმი“, 1930, N7: 1.

ნური მსოფლმხედველობით აღჭურვილი ანტირელიგიური პროპაგანდის ლექტორები. 20-იან წლებში გამოდიოდა ანტირელიგიური ჟურნალი „ტარტაროზი“, 1932-1934 წლებში „მებრძოლი უღმერთო“, რომელსაც 1934-1941 წლებში ეწოდებოდა „მებრძოლი ათეისტი“ გაზეთის რედაქტორი იყო სილიბისტრო თოდრია, რომელიც გამოირჩეოდა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი განსაკუთრებული სიძულვილითა და ცინიზმით.

1920-30-იანი წლების ათეისტური კამპანიის პერიოდში სასულიერო პირები და მათი ოჯახის წევრები საზოგადოებისაგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ უდიდესი წნეხის და შიშის პირობებში. სასულიერო პირებს 1936 წლამდე ჩამორთმეული ჰქონდათ ყველანაირ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ოჯახის ახალგაზრდა წევრებს პრობლემები ჰქონდათ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საზოგადოებრივ საქმიანობაში. ანტირელიგიური კამპანია, მცირე კორექტივებით, გაგრძელდა 1940-იანი წლების დასაწყისამდე. ფაშისტური გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ ვითარება შეიცვალა. საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა. გერმანიასთან ომის შემთხვევაში ვინ იქნებოდა მისი მოკავშირეები? დასავლეთის სახელმწიფოები განსაკუთრებით რეაგირებდნენ საბჭოთა კავშირში აგრესიული ათეიზმის პოლიტიკის გამო. შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი 1932 წელს აცხადებდა: „ჩემი აზრით, ამერიკელთა 99% ასევე ფიქრობს, ტოტალიტარიზმი, ნაცისტური იქნება, თუ კომუნისტური, საშინელებაა. ორივე ფორმა ამორალურია, რამდენადაც ისინი უარყოფენ რელიგიას და არ აღიარებენ პასუხისმგებლობას“ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური პაპი პიუს XI 1937 წელს გამოქვეყნებულ ანტიკომუნისტურ ენციკლიკში წერდა: „ეპისკოპოსები და მღვდლები განიდევნენ, მიესაჯათ კატორღაზე მძიმე შრომა, ისინი დახვრიტეს, მხეცურად მოკლეს. ჩვეულებრივი საერო

ადამიანები მხოლოდ იმიტომ, რომ იცავდნენ რელიგიას, იყვნენ ეჭვმიტანილნი. მათ დევნიდნენ, აწამებდნენ, ჩაყარეს ციხეში და წარუდგინეს სასამართლოს".[1]

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის მტკიცების მიუხედავად, რომ ქვეყანაში სინდისის თავისუფლება კონსტიტუციით იყო დაცული, სტატისტიკა საპირისპიროს აჩვენებდა. 1917 წელს რუსეთში მოქმედი იყო 75 ათასი (ზოგიერთი ვერსიით, 40 ათასი) ეკლესია-მონასტერი, 1939 წლისათვის მოქმედი იყო 100. რწმენისათვის რეპრესირებული იყო 500 ათასი ადამიანი, მათ შორის 140 ათასი სასულიერო პირი, აქედან დახვრეტილ იქნა 100 ათასზე მეტი. დაპატიმრებას გადაურჩა 4 მღვდელმთავარი. საქართველოში, 1921 წლის მონაცემებით, მოქმედი იყო 1450 ეკლესია-მონასტერი (ზოგიერთი მონაცემით, 2357 ეკლესია-მონასტერი), 15 ეპარქით და 7 მღვდელმთავრით. 1939 წლისათვის მოქმედი იყო 74 ეკლესია, 3 ეპისკოპოსით, 83 მღვდლით. ეკლესიებისა და მონასტრების დიდი ნაწილი დაანგრიეს ან გადააკეთეს კლუბებად, საწყობებად, ქოხ-სამკითხველოებად. რეპრესირებული იყო 100-ზე მეტი სასულიერო პირი. ამ მძიმე სტატისტიკის ფონზე, ფაშისტურ გერმანიასთან გარდაუვალი დაპირისპირების მოლოდინში, საბჭოთა კავშირს დასავლეთში უნდა მოეძებნა მოკავშირეები ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების სახით. ამ ქვეყნების ხელისუფალთა ერთ- ერთი მოთხოვნა მხარდაჭერის სანაცვლოდ იყო საბჭოთა კავშირში რელიგიური დევნის შეწყვეტა და სინდისის თავისუფლების დაშვება.

ამ გლობალური საერთაშორისო თუ შინაური პრობლემების ფონზე მოუხდა პატრიარქ კალისტრატეს საქართველოს ეკლესიის მამამთავრობა 1932-1952 წლებში. იგი 1932 წლის 21 ივნისს საქართველოს ეკლესიის VI

[1] ტოტალიტარიზმი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1941-1953 წლებში პროფესორ სერგო რატიანის კომენტარებით. თბ. 2024:17.

საეკლესიო კრებაზე იქნა არჩეული საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად. 24 ივნისს სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა მისი აღსაყდრება. 1923 წელს დეკანოზი კალისტრატე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კათოლიკოზ ამბროსისა და საკათოლიკოზო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრა და მეტეხის ციხეში ჩასვა, ამიტომ მისი პატრიარქობა ხელისუფლებისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლებას უკვე აღარ ეშინოდა ეკლესიის. სასულიერო პირების უმრავლესობა მორჩილი და მისი ინტერესების დამცველი გამხდარიყო, ამიტომ, პირიქით, ხელი შეუწყო მის გაპატრიარქებას.

რა უნდა გაეკეთებინა ასეთ რთულ ვითარებაში ახალარჩეულ კათოლიკოზ კალისტრატეს? იგი საკმაოდ განათლებული, გაწონასწორებული კაცი იყო და კარგად იცოდა ბოლშევიკური ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის მიზნები. მან თავისი საქმიანობა შემდეგნაირად წარმართა: 1. საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური საკანონმდებლო დოკუმენტების მეშვეობით, რომელნიც ფორმალურად მაინც აღიარებდა რწმენის თავისუფლებას, დაიწყო ბრძოლა ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვის, ნგრევისა და ძარცვის პროცესის შესაჩერებლად; 2. ხელისუფლების მიერ საეკლესიო პირებისა და მოქმედი ეკლესიების სულისშემხუთველი საგადასახადო კანონმდებლობის შემსუბუქების მცდელობა; 3. საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის შენარჩუნება; 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭებისა და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ მისი ავტოკეფალიის აღიარების მიღწევა; 5. ეკლესიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი გაუცხოების მოსპობა. სანამ საბჭოთა ხელისუფლება რადიკალურად შეცვლიდა რელიგიისადმი დამოკიდებულებას, 1932-1941 წლებში საქართველოს ეკლესია კვლავ განიცდიდა დევნა-შევიწროებას. ეპარქიებში გახშირდა „დაუდგენელი"

ბოროტმოქმედების მიერ ეკლესია-მონასტრების ძარცვა, სასულიერო პირთა მკვლელობები., დარბეულ იქნა შიომღვიმის, ბეთანიის, კაბენის მონასტრები. საქართველოს ადგილობრივი პარტიული ლიდერების მიერ ეკლესია-მონასტრები და მოქმედი სასულიერო პირები დაბეგრილ იქნენ იმ ნორმით, როგორც ეს ხდებოდა რუსეთში. რუსეთის ეკლესიაში ერთ ეპარქიას იმდენი სამრევლოები ჰქონდა, რამდენიც სულ იყო საქართველოს საპატრიარქოში, ამიტომ თუ იქ არ უჭირდათ გადასახადების გადახდა, საქართველოში უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი. პატრიარქი კალისტრატე თავის მიმართვებში ამხელდა ხელისუფლების პოლიტიკას. ხელისუფლების რიგითი ჩინოვნიკებიც კი თავს უფლებას აძლევდნენ, პატრიარქი დაებარებინათ უწყებაში და მკაცრი მოთხოვნები წაეყენებინათ მისთვის. მაგალითად, თბილისის კიროვის რაიონის ფინანსური ინსპექციის ინსპექტორი საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს ასეთი შინაარსის ულტიმატუმს უყენებდა: „თუ დაწესებულ გადასახადს არ გადაიხდით, საკითხი გატანილ იქნება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, სიონის ტაძრის ხელშეკრულების გაუქმებისა და დახურვის შესახებ".[1] კათოლიკოზმა კალისტრატემ საგანგებო დეპეშები გაგზავნა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. კალინინის, სსრ კავშირის შინსახკომის თავმჯდომარის ლ. ბერიას სახელებზე და ითხოვა დახმარება. ამავე დროს საქართველოს სსრ ფინსახკომის თავმჯდომარეს კ. ციმაკურიძეს აცნობა:. „პატივისცემით გთხოვთ, ინებოთ განკარგულება, რათა მოსკოვიდან პასუხის მოსვლამდე არ იქნას მიღებული არავითარი აგრესიული ხასიათის ზომები სიონის ტაძრის მიმართ".[2] დახურვის საფრთხის წინაშე დადგა სიონისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრები.

---

[1] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფ.N77:70.

კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფ.N77:71.

1940 წლის 19 მარტს საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ საგანგებო წერილით მიმართა საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანს კ. ჩარკვიანს: „სამსახურებრივ და სინდისის მოვალეობად ვთვლი, მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი კულტურული დაწესებულებაა ჩვენში. მან სულიერად გამოზარდა ჩვენი ხალხი, გადაარჩინა გათათრებას და გარუსებას, შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე. დოგმატური სწავლით იგი არ განსხვავდება სხვა მართლმადიდებელ ეროვნებათა ეკლესიისაგან, მაგრამ, საუკუნეთა მანძილზე, მას გამოუმუშავებია თავისებური კილო კითხვისა და გალობისა, წერისა და წირვა-ლოცვის შესრულებისა, რაც პირადი გადაცემით გადადის ერთი თაობიდან მეორეში, რადგანაც, საგალობლების მცირედი ნაწილის გარდა, ყოველივე ზემოთაღნიშნული ნოტებზე გადაუღებელია და სათანადო გამოკვლევებში აღუნუსხველი. ჩვენში რუსეთის უწმიდესი სინოდი არა თუ არ აწარმოებდა კვლევა-ძიებით მუშაობას, არამედ მის მიერ მოვლინებულ „განმანათლებლების" პირით გიორგი ხუცეს მონაზონისა და შოთა რუსთაველის ენას ძაღლის ყეფად თვლიდა, მიქაელ მოდრეკილის ჰანგებს მგელთა ხროვის ყმუილს უწოდებდა და „ბრძნულად" გვირჩევდა, რუსული საგალობლების ნოტებს მიაწერეთ ქართული სიტყვები და ეზიარეთ კულტურულ ხალხის ღვთისმსახურებასო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის არსებობა უზრუნველყოფილია დიდი სტალინის შუქმფრქვეველი კონსტიტუციით, ჩვენს ეკლესიას კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს ბოლო სულ მოკლე ხანში - სახეში მაქვს ზოგიერთი ფინინსპექტორის მოქმედება".[1] კათოლიკოზ-პატრიარქი კალისტრატე წერილში დაწვრილებით აღნუსხავდა, თუ რომელ ეპარქიაში აიძულეს სასულიერო პირები, გადასახადის გადაუხდელობის საბაბით, სასულიერო

[1] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფ.N77:73.

პირობა დაეტოვებინათ. იგი გულისტკივილით დასძენდა: „ფინანსთა სახკომის ინსპექტორების ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში მოუღებს ბოლოს ათასექვსწლოვანს საქართველოს ეკლესიას, სანამ საბჭოთა კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი 124-ე მუხლი, ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული და ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს ეკლესია, აღგვილი პირისაგან ქვეყნისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი".[1]

1941 წლის 3 მარტს კათოლიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ ითხოვა აუდენცია საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანთან კანდიდ ჩარკვიანთან, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ იძულებული გახდა, წერილით მიემართა მისთვის. „დახურულ ეკლესიათა შორის, - წერდა პატრიარქი, - არის მსოფლიოში სახელგანთქმული მცხეთის „სვეტიცხოველი", რომელიც ცნობილია არა მარტო იმით, რომ იშვიათი ისტორიული ძეგლია, არამედ უმთავრესად იმით, რომ ის არის ქართველი ერის აკვანი და ემბაზი. ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ურყევი ტრადიციით, საქართველოს ეკლესიის მამამთავრის, კათოლიკოზ-პატრიარქის კურთხევა უეჭველად უნდა მოხდეს სვეტიცხოველში. ამის გამო ხსენებული ტაძრის არა-მოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი ნაბიჯია ათეულ საუკუნოვან ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისაკენ, რაც, ერთის მხრივ, საბაბს მისცემს ჩვენ მტერ-მოყვარეს, ახმაურდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხოლო მეორე, არასასიამოვნოდ დაურჩება ჩვენს ხალხსაც, მიუხედავად მისი შვილების რწმენის სხვაობისა, თუ ურწმუნოებისა. ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთ-ერთი მთავარი ბოძია თვით ერის დამოუკიდებლობისა. ეს შეგნება იყო მიზეზი იმისა, რომ დიდმპყრობელურმა რუსეთის სინოდმა ასი წლის განმავლობაში მრავალფეროვანი ძალადობით ერთი წუთითაც ვერ დაგვავიწყა კათოლიკოზ-

[1] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კალისტრატე ცინცაძის ფ.N77:73.

პატრიარქის ფუნქციების შეჩერება. ახლა, როცა უამრავი ტანჯვა-ვაების, ბრძოლის შემდეგ აღვადგინეთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა, ჩვენვე გავაუქმოთ იგი, მისთვის, რომ მცხეთის რაიონის მესვეურთ დასჭირდათ ეპისკოპოსის ბედშავი ოთახი? ვფიქრობ, სანამ საბჭოთა კავშირში მოქმედებს დიდი სტალინის ბრწყინვალე კონსტიტუცია და არსებობს რწმენისა და ღვთისმსახურების შესრულების თავისუფლება, ქართველობაშიც უნდა დარჩეს მშობელი ეკლესიის მიერ გამომუშავებული თავისებურება, მათ შორის საქართველოს ეკლესიის თავის, კათოლიკოზ-პატრიარქის სვეტიცხოველში კურთხევის წესიც. ნათქვამიდან ცხადია, რომ სვეტიცხოვლის მოქმედ თუ არამოქმედ ტაძრად გამოცხადებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც და საკითხი ამის შესახებ, თუ დღესდღეობით ყველასათვის არ არის საგრძნობი, მწვავედ წამოიჭრება მოხუც (75 წ.) კათოლიკოზ-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდეთ, საჭიროა, სანამ სვეტიცხოვლის დახურვის ამბავი არ გახმაურებულა, მისი გახსნა, მით უმეტეს, რომ იგი დაიხურა ადმინისტრაციული წესით. დაიბარეს სვეტიცხოვლის წინამძღვრის მოადგილე, ეპისკოპოსი ტარასი კანდელაკი და უბრძანეს 48 საათში ბინის განთავისუფლება და ტაძრის გასაღების ჩაბარება, რაც ისეთი სისასტიკით იქნა შესრულებული, რომ გამოძევებულმა ტაძრიდან საკუთარი ნივთების გამოტანის ნებართვაც ვერ მიიღო".[1]

კათოლიკოზი კალისტრატე მოითხოვდა სვეტიცხოვლის დაუყოვნებლივ გახსნას, ეპისკოპოს ტარასისათვის კუთვნილი ბინის დაბრუნებას და უსამართლოდ შეწერილი გადასახადების ჩამოწერას. კათოლიკოზი კალისტრატე, ფაქტობრივად, მარტოდმარტო იყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ როცა საქმე საქართველოს ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის

[1] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფ.N77:130-133.

საკითხებს ეხებოდა, ეს ფრთხილი და თავშეკავებული კაცი, უკომპრომისო ხდებოდა. მისი არგუმენტები იყო ისტორიულ საბუთიანობაზე და ხელისუფლებისაგან დეკლარირებულ სინდისის თავისუფლების პრინციპებზე აგებული. მისი სახით საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში შევიწროებული სამღვდელოება სულიერ პატრონსა და ქომაგს ხედავდა. თვითონ ხელისუფლებისაგან უკიდურესად შევიწროებული, მაინც თავდადებით იბრძოდა სასულიერო პირების გადასარჩენად, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, უძლური იყო, ვინაიდან გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, როგორც ჩანს, საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა რელიგიის ადმინისტრაციული წესით გაუქმება და ოფიციალურად ქვეყნის ათეისტურ სახელმწიფოდ გამოცხადება. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო მოსკოვის საპატრიარქო ტახტის ვაკანტურობა (1943 წ.-მდე), ყოველთა სომეხთა კათალიკოსის ხორენის სიკვდილით დასჯა (1938 წ.), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მასობრივი რეპრესიები, სვეტიცხოვლისა და სიონის დახურვის მცდელობა. ეს ფაქტები ამყარებს ზემოთქმული ვარაუდის რეალობას. ხელისუფლების ეს განზრახვა საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმამ ჩაშალა.

1941 წლის 22 ივნისს, ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების რელიგიურმა ლიდერებმა ოფიციალური განცხადებებით დაგმეს გერმანელთა თავდასხმა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. მათ ჰიტლერი სატანის მოციქულად და მის წინააღმდეგ ბრძოლა -წმინდა საქმედ გამოაცხადეს. ომის პირველ თვეებში გერმანელებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიწყეს გაუქმებული ეკლესია-მონასტრების აღდგენა და საბჭოთა სისტემის მიერ რეპრესირებული სასულიერო პირების განთავისუფლება. 1941 წლის ივნის-დეკემბერში გერმანელებმა ოკუპირებულ

უკრაინის, ბელორუსიის და მოლდავეთის ტერიტორიაზე 9400-ზე მეტი ეკლესია გახსნეს. ასეთ ვითარებაში, საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, შეეცვალა საბჭოთა კავშირში რელიგიისადმი დამოკიდებულება. პირველი ნაბიჯი იყო, ქაღალდის დეფიციტის მომიზეზებით, ჟურნალ „მებრძოლი უღმერთოს“ დახურვა. იგივე ბედი ეწია საქართველოში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ოფიციალურ ორგანოს „მებრძოლ ათეისტს“ ხელისუფლებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ მოსახლეობის სრულ მობილიზაციას, ამიტომ დაუთმო საინფორმაციო სივრცე რუსეთის პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტ სერგის, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს კალისტრატეს, ყოველთა სომეხთა უმაღლეს კათალიკოს გევორქ VI-ს. ი.სტალინის უშუალო მითითებით, გაუქმდა ემელიან იაროსლავსკის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ და ანტირელიგიური მუშაობა ახალშექმნილ საზოგადოება „ცოდნას“ დაევალა.

1943 წლის შემოდგომისათვის მზადდებოდა ანტიჰიტლერული კოალიციის მთავრობათა მეთაურების შეხვედრა თეირანის კონფერენცია, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნის საკითხი. მოკავშირეებს ამ საკითხზე არ უნდა ჰქონოდათ რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, ამიტომ ი.სტალინმა გადაწყვიტა დაპატიმრებას გადარჩენილ რუსეთის ეკლესიის მაღალიერარქებთან შეხვედრა. მისი მიზანი იყო, პარტიის მეთვალყურეობით, ქვეყანაში შეექმნა ახალი ეკლესია ფორმით ქრისტიანული, შინაარსით სოციალისტური. 1943 წლის 4 სექტემბერს ი. სტალინი შეხვდა რუსეთის პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტ სერგის (სტაროგოროდსკი), ლენინგრადის მიტროპოლიტ ალექსის (სიმანსკი), უკრაინის ეგზარქოს ნიკოლოზს (იარუშევიჩი). შეხვედრას ესწრებოდნენ: ვ.მოლოტოვი, ლ.ბერია, გ.კარპოვი. ამ შეხვედრაზე გადაწყდა რუსეთში პატრიარქის არჩევის

და ეკლესიის მიმართ ხელისუფლების ახალი პოლიტიკის საკითხები. ამ შეხვედრის შესახებ საინტერესო ჩანაწერი აქვს გაკეთებული უშიშროების გენერალ გიორგი კარპოვს:

„სტალინმა მიტროპოლიტებს უთხრა: „თუ მთავრობასთან სხვა საკითხები არ გაქვთ, შეიძლება შემდგომ გაგიჩნდეთ. მთავრობას განზრახული აქვს, შექმნას სპეციალური სახელმწიფო აპარატი, რომელსაც დაერქმევა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ, ვფიქრობთ, დაინიშნოს ამხ. კარპოვი. რას იტყვით ამაზე?“

სამივემ განაცხადა, რომ ისინი სრული კეთილგანწყობით ეთანხმებიან ამ თანამდებობაზე ამხ. კარპოვის დანიშვნას. ამხ. სტალინმა თქვა, რომ „საბჭო იქნება მთავრობისა და ეკლესიის დამაკავშირებელი ადგილი და მისმა თავმჯდომარემ მთავრობას უნდა მოახსენოს ეკლესიის ცხოვრებასა და მის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე“ შემდეგ ამხ. სტალინმა მე მომმართა: „შეარჩიეთ 2-3 თანაშემწე, რომლებიც თქვენი საბჭოს წევრები იქნებიან, შექმენით აპარატი, მაგრამ დაიხსომეთ: ჯერ ერთი, თქვენ ობერ-პროკურორი არ ხართ; მეორე, თქვენ მოღვაწეობაში უფრო მეტად გაუსვით ხაზი ეკლესიის დამოუკიდებლობას“ ამის შემდეგ ამხ. სტალინი მიუბრუნდა ამხ. მოლოტოვს და უთხრა: „ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ მოსახლეობას, ისევე, როგორც შემდგომ საჭირო იქნება, მოსახლეობას ვაცნობოთ პატრიარქის არჩევის შესახებაც“ ვიაჩესლავ მოლოტოვმა იქვე დაიწყო რადიოსა და გაზეთებისთვის კომუნიკეს წერა, რომლის შედგენისას მოკლედ შეჰქონდათ შესაბამისი შენიშვნები, შესწორებები და დამატებები როგორც ამხ. სტალინს, ასევე, მიტროპოლიტებს სერგისა და ალექსის. ცნობის ტექსტი მიღებული იქნა შემდეგი რედაქციით: 1943 წლის 4 სექტემბერს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. სტალინთან შედგა მიღება, რომლის დროსაც გაიმართა საუბარი პატრიარქის ადგილმონაცვლესთან, მიტროპოლიტ სერგისთან,

ლენინგრადის მიტროპოლიტ ალექსისთან და უკრაინის, კიევისა და გალიციის ეგზარქოსთან, მიტროპოლიტ ნიკოლოზთან. საუბრის დროს მიტროპოლიტმა სერგიმ აცნობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელ წრეებს განზრახული აქვთ ეპისკოპოსების კრების (სობოროს) მოწვევა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად და პატრიარქთან წმინდა სინოდის შესაქმნელად. მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. სტალინი თანაგრძნობით მოეკიდა ამ წინადადებებს და განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან ამას არავითარი წინააღმდეგობა არ ექნება. საუბარს ესწრებოდა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი" ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში" 1943 წლის 5 სექტემბერს.

უშიშროების გენერალი გიორგი კარპოვი განაგრძობს: შეხვედრის დროს მოლოტოვმა მიმართა მოსაყდრე სერგის შეკითხვით: როდის იქნება უკეთესი ანგლიკანური ეკლესიის დელეგაციის მიღება, რომელსაც სურს იორკელი არქიეპისკოპოსის მეთაურობით მოსკოვში ჩამოსვლა? სერგიმ უპასუხა, რადგან ეპისკოპოსების კრება 4 დღის შემდეგ გაიმართება, მაშასადამე, კიდეც გაიმართება პატრიარქის არჩევნები, ანგლიკანური დელეგაციის მიღება ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი. მოლოტოვმა თქვა, რომ, მისი აზრით, ამ დელეგაციის მიღება ერთი თვის შემდეგ იქნება უკეთესი. სტალინთან ამ მიღების დასასრულს, მთავრობისა და პირადად ამხ. სტალინისადმი მოკლე სამადლობელო სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი სერგი.

უშიშროების გენერალი საქმის ვითარებას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს სტალინს არ უნდოდა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რუსეთის ეკლესიის რელიგიის საქმეთა საბჭო დამსგავსებოდა პეტრე პირველის დროინდელ ობერ-პროკურორის თანამდებობას, როდესაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი უშუალოდ სამხედრო პირს ექვემდებარებოდა. მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო,

მიუხედავად ომში ეკლესიის მხარდაჭერისა, ხელისუფლება იტოვებდა ეკლესიაზე სრული კონტროლის მექანიზმს.

1943 წლის 9 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ოფიციალური ორგანო, გაზეთი „იზვესტია“ იუწყებოდა, რომ 8 სექტემბერს გამართულმა რუსეთის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრებამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი სერგი. საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ზოგიერთი მღვდელმთავარი პირდაპირ საკონცენტრაციო ბანაკიდან მოიყვანეს. საეკლესიო კრების შემდეგ გამოიცა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება, რომლის თანახმადაც, აიკრძალა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიების დახურვა. დაიწყო სასულიერო სემინარიებისა და აკადემიების გახსნა, ეკლესიებსა და სასულიერო პირებს შეუმცირდათ ან გადაუვადდათ გადასახადები. ყველა მოქმედ ეკლესიაში დაიწყო ფრონტისათვის ფულადი დახმარების შეგროვება. ხელისუფლებისგან უკიდურესად შევიწროებული ეკლესიისათვის როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი.სტალინის მადლობის წერილებს, წითელი არმიისადმი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერის გამო, რომელიც ოფიციალურ პრესაში ქვეყნდებოდა. ხელისუფლებამ აკრძალა რუსეთში „ობნავლენცების“ საქმიანობა. საბჭოთა პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ რელიგიისადმი ახალი პოლიტიკით კიდევ უფრო დიდი საქმე წამოიწყო. ი.სტალინი დიდი რუსეთის დაბრუნების იდეაში რუსულ ეკლესიას განსაკუთრებულ მისიას აკისრებდა. ამ მხრივ თავისი ამოცანები ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელ და სომხეთის ეკლესიებსაც. 1943-1946 წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს საერო და სასულიერო წრეებში მომწიფდა იდეა მოსკოვში მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარების შესახებ. იდეის ავტორი იყო მიტროპოლიტი ნიკოლაი იარუშევიჩი. მისი

აზრით, აქ ჩამოსული ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები დაამტიცებდნენ რუსეთის ეკლესიის მეთაურისათვის „მსოფლიო პატრიარქის“ ტიტულს. იდეა განსაკუთრებით მოეწონა ი.სტალინს, რომლის მიზანი იყო, მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, მოსკოვი გამხდარიყო არა ცივილიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყანა, არამედ დასავლური ცივილიზაციის ალტერნატიული აღმოსავლეთ ევროპის ცივილიზაციის ცენტრი, და აქ გამორჩეული უნდა ყოფილიყო რუსული ეკლესიის როლი. მისი ჩანაფიქრით, საბჭოთა ხალხისათვის ახალი იდეოლოგიური გზავნილი იქნებოდა „დიდი რუსეთის, დიდი რუსი ხალხის“ ცნება, სადაც იქნებოდა „უფროსი ძმა რუსი“ და ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები „უმცროსი ძმები“ სტალინის დავალებით, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, უშიშროების გენერალ გ.კარპოვს დაევალა, მოემზადებინა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც ჩატარდებოდა მოსკოვში, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობით, რომელზეც ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები მოსკოვის საპატრიარქოს აღიარებდნენ, როგორც მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების გამაერთიანებელს. ის უნდა ჩანაცვლებოდა მსოფლიო საპატრიარქოს. მომავალი დიდი კრებისათვის საჭირო იყო მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების, უმაღლესი სასულიერო იერარქების გადმობირება, რისთვისაც საბჭოთა მთავრობა, ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, სახსრებს არ ზოგავდა. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. სტალინს მოსკოვის მართლმადიდებელთა ცენტრად გადაქცევაში სჭირდებოდა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების მხარდაჭერა. ამ მხრივ, ქრისტიანულ სამყაროში ცნობილ საქართველოს

ავტოკეფალური ეკლესიის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთის ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველში მიღებულ ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს და 1917-1943 წლებში საქართველოს ეკლესიასთან გაწყვეტილი ჰქონდა ევქარისტული კავშირი. უფრო მეტიც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამრევლოების უმრავლესობა არ ცნობდა მათზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას, უკრძალავდა რუსულენოვან მრევლს ქართველ სასულიერო პირებთან ყველანაირ კონტაქტს და ქართველ იერარქებს „მწვალებლებს" უწოდებდა. ი.სტალინის მითითებით, ახალარჩეულმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა სერგიმ დაიწყო საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე მუშაობა. ამას ხელი შეუწყო, რუსეთის პატრიარქად მიტროპოლიტ სერგის არჩევის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მილოცვის წერილმა. როგორც პატრიარქი სერგი აღნიშნავდა: „მიმდინარე 1943 წელს მისმა უწმიდესობამ საქართველოს კათოლიკოზმა მოსკოვის საპატრიარქო ტახტზე ჩემი ასვლის მოლოცვისას, ამ ორ ეკლესიას შორის აღდგენილი ურთიერთობის ნახვის სურვილი გამოხატა, იმ იმედით, რომ ეს ორი ეკლესია კეთილი თანხმობით, სულიერი ერთობითა და ურთიერთსიყვარულით გააგრძელებს თანაარსებობას... ამიტომ, ჩვენ, რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, წარსულში ტოვებს ყველა კანონიერ წყენას და კამათს და მზადაა, სიხარულით ჩაიკრას გულში საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც ლოცვასა და ზიარებაში ჩვენთან ურთიერთობა სურს."[1]

საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებები თბილისში გამართა

[1] ტოტალიტარიზმი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1941-1953 წლებში, პროფესორ სერგო რატიანის კომენტარებით. თბ. 2024:51.

სტავროპოლიის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა. 1943 წლის 31 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძარში, ერთობლივ ლიტურგიაზე, მთავარეპისკოპოსმა ანტონმა, რუსეთის ეკლესიის სახელით გამოაცხადა გადაწყვეტილება საქართველოს უძველეს ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის აღდგენისა და მისი ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარების შესახებ. მალევე, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად აცნობა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოებს. სტალინის დავალებით რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარების კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა: მომავალში საქართველოს ეკლესიას უფრო თამამად შეეძლო მოეთხოვა მისი კანონიერი მფლობელისათვის თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეპარქიების დაბრუნება. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ი.სტალინს განზრახული ჰქონდა თურქეთის, როგორც ფაშისტური გერმანიის მოკავშირის, დასჯა. საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებმა მოსკოვიდან მიიღეს მითითება, რომ მოეთხოვათ თურქეთის მიერ ოკუპირებული ქართული და სომხური ტერიტორიების დაბრუნება. საგანგებო შეკრება გაიმართა სომეხთა რელიგიურ ცენტრში, ეჩმიაწინში, სადაც ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა გევორქ VI-მ, კილიკიის სომეხთა კათალიკოსმა გარეგინ I-მა და სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსებმა ოფიციალურად მოსთხოვეს თურქეთს სომხეთისათვის მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება. მრავალმხრივ არის საინტერესო საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს წერილი „საქართველოს საკათოლიკოზოს ზემო ქართლის ეპარქიისათვის" ამ წერილის ერთი ვარიანტი 1946 წლის 1 იანვარს, სათაურით „Католикос Грузии о законных требованыях Грузинского народа к Турции" გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკაში", ხოლო იმავე წლის 5 იანვარს მან

წერილი გაგზავნა „კომუნისტის" რედაქციაში: „გთხოვთ, მომცეთ საშუალება, ჩემი ხმა შევუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილში" უწმიდესი კალისტრატე მიმოიხილავდა რა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს, აცხადებდა, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ბნელი უკუნეთი ჩამოწვა. ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა, შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებსა და დასავლეთის განათლებულ ხალხებთან. იგი აღნიშნავდა: „დაპყრობილ მხარეში ოსმალობამ მოსპო ქართული კულტურა, ქრისტიანობა, ქართული ენა... გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მიწა-წყლის და დაჩაგრული, შეგინებული ღვიძლი ძმების დედასამშობლოსათვის დაბრუნება გარდაუვალ ამოცანად დაისვა... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მატარებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამავე დროს სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებითა და მოთმინებით გამოირჩეოდა. უმეტესად ეს ითქმის იმ ქართველების, ჩვენი ღვიძლი ძმების მიმართ, რომელთაც, მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შემდეგ, ისლამის სარწმუნოება მიიღეს... დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ჟამია. თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები... ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდავო უფლებაც მოიპოვა, მოითხოვოს უსამართლობის გასწორება საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება. თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი:

არტაანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბუთის, ლაზისტან-ჭანეთ-ტრაპიზონის, გირესუნის ჩათვლით".[1] კათოლიკოზი კალისტრატე ოპერატიულად გამოეხმაურა თურქეთის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, რომელთა ავტორები აცხადებდნენ, რომ მუსლიმან ქართველებს დევნას დაუწყებდნენ ამ ტერიტორიების საქართველოსთან შეერთების შემთხვევაში. „ჩვენ აღთქმას ვდებთ, გაბრიყვებით, მზაკვრობით და ცდუნებით არცერთი მუსლიმანი არ იქნება გაქრისტიანებული. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ის სარწმუნოების საკითხში არ ერევა, ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება."[2] საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ამ მოწოდებებს დაერთო აჭარის მუსლიმანთა ლიდერის რასიმ სულეიმანის ძე ბერიძის წერილი: „თურქმა მოძალადეებმა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი" ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ საბჭოთა კავშირის თურქეთთან ომი გარდაუვალი იყო, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებმა თურქეთს დაუჭირეს მხარი და ისტორიული ტერიტორიების საქართველოსათვის დაბრუნება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. უეჭველია, კათოლიკოზ კალისტრატეს წერილები ხელისუფლების მოთხოვნით დაიწერა.

საერო და სასულიერო ემისრები, საბჭოთა ხელისუფლების დავალებით, ოფიციალური თუ არაოფიციალური მისიით მოგზაურობდნენ აღმოსავლეთის ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ტერიტორიებზე, ხვდებოდნენ მაღალიერარქებს, არ იშურებდნენ ფინანსებს, რათა ისინი დაერწმუნებინათ, კონსტანტინოპოლის ნაცვლად მოსკოვის საპატრიარქოსათვის მსოფლიო საპატრიარქო ტიტულის მინიჭებას მართლმადიდებლობისთვის რამდენად მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო. სტალინის ჩანაფიქრით, მოსკოვის საპატრიარქო გადაიქცეოდა „ახალ ვატიკანად"

[1] გაზ. „კომუნისტი", 1946 წ. 5 იანვარი.

[2] კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კ. ცინცაძის ფონდი №125.

და აღმოსავლეთის ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად დაუპირისპირდებოდა „დასავლურ იმპერიალიზმს და ეკუმენურ მოძრაობას“

ამ მიზნის მისაღწევად 1945-1948 წლებში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა მოსკოვის „ახალ ვატიკანად“ გადაქცევა. აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა: კონსტანტინოპოლმა, ალექსანდრიამ, ანტიოქიამ და იერუსალიმმა მხარი არ დაუჭირეს ამ იდეას. ამის მიუხედავად, მოსკოვში, 1948 წელს, დიდი პომპეზურობით ჩატარდა რუსეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღების 500 წლისთავი. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკრება საზეიმო შინაარსისა იყო, რუსულმა ეკლესიამ, ხელისუფლების მითითებით, კვლავ გააგრძელა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კრიტიკა და ვატიკანის პოლიტიკა გამოაცხადა ანტიქრისტიანულ, ანტიდემოკრატიულ და ანტინაციონალურად. ამ დადგენილებას ხელს აწერდნენ: რუსეთის, საქართველოს, სერბეთისა და რუმინეთის პატრიარქები, ბულგარეთის ეგზარქოსი, ემესის მიტროპოლიტი, ლიბანის მიტროპოლიტი, პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოსი. ამ შეკრების შემდეგ რუსეთის ეკლესია, ხელისუფლების ხელშეწყობით, საგრძნობლად გაძლიერდა. სტალინი რუსეთის ეკლესიის მაღალიერარქებისაგან დაჟინებით მოითხოვდა სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების გახსნას. მას სჭირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიით აღზრდილი ახალგაზრდა სასულიერო პირები, რომლებიც აქტიურად ჩადგებოდნენ სოციალისტური სამშობლოს სამსახურში. სტალინის დავალებით, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები აქტიურ პროსაბჭოურ საქმიანობას ეწეოდნენ ევროპის ე.წ. „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში და აზიისა და აფრიკის კონტინენტზე. 1948-1950-იან წლებში, მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ლიდერთა მონაწილეობით გამართულ საერთაშორისო ფორუმებზე,

საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები გმობდნენ „ამერიკულ იმპერიალიზმს“, რომის პაპის პოლიტიკას და საბჭოთა კავშირსა და მის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას „მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს“ უწოდებდნენ.

სასულიერო პირების უმრავლესობამ, რომელთაც გადაიტანეს 20-30-იანი წლების რეპრესიები და ტერორი, დაივიწყა ეს ისტორია და დაიწყო ხელისუფლების განდიდება. მიუხედავად იმისა, რომ 1947 წელს საბჭოთა კავშირში გაუქმდა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, ხელისუფლება ფხიზლად აკონტროლებდა ვითარებას რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარისა და მოკავშირე რესპუბლიკებში რელიგიის საქმეთა რწმუნებულების მეშვეობით, რომელთა თანხმობის გარეშე, ვერცერთი მაღალიერარქი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ეკლესიებში წმინდა ხატების გვერდით გამოჩნდა ი.სტალინის პორტრეტებიც. საგანგებოდ შეიქმნა ახალი მითები ხელისუფლების პირველ პირთა ღვთისმოსაობის შესახებ. სასულიერო პირთა მიერ ი.სტალინის შეფასება არ განსხვავდებოდა პარტიულ კონფერენციასა თუ ყრილობაზე აღვლენილი ხოტბა-დიდებისაგან. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალი ასე აღწერდა მაღალიერარქთა სტალინთან შეხვედრას: „იოსებ ბესარიონის ძე სტალინისადმი, მისი ბრძნული შორსმჭვრეტელობისადმი, მისი მამობრივი გულითადობისადმი მოწიწების და ყველა მოქალაქის გასაჭირისადმი განმაცვიფრებელი ყურადღების გრძნობამ მორწმუნეებში მიაღწია უმაღლეს აღმასვლას სექტემბრის დღეებში, როდესაც მთელმა ქვეყანამ გაიგო კრემლში გამართული მთავრობის მეთაურის და მიტროპოლიტების: სერგის, ალექსეისა და ნიკოლოზის მიღების შესახებ. ამ მიღებაზე საუბრის დროს იოსებ ბესარიონის ძემ გამოხატა თავისი კმაყოფილება სამამულო ომის დღეებში მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიოტულ მოღვაწეობაზე. როდესაც საპატრიარქოს

თანამოსაყდრემ ბელადს განუცხადა იმის შესახებ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეთა შორის არსებობს განზრახვა ეპისკოპოსთა კრების მოწვევისა პატრიარქის ასარჩევად საპატრიარქო კათედრაზე, იოსებ ბესარიონის ძემ უპასუხა, რომ ის გაგებით ეკიდება ამ წინადადებას. ამავე თანაგრძნობით და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მთავრობის მეთაური ასევე ჩვენი ეკლესიის ყველა საჭიროებას, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ ამ ისტორიულ მიღებაზე. ჩვენი სამშობლოს ბელადის ამ დამამონებელი გულის შესახებ, ნატიფ, მამობრივ მიდგომაზე საეკლესიო ადამიანების ყველა სურვილსა და იმედებზე, მოგვითხრო მიტროპოლიტმა სერგიმ ეპისკოპოსებთან კრებაზე კრემლში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ. ამის შესახებ მსწრაფლ შეიტყო მთელმა მართლმადიდებლურმა მოსკოვმა და ქვეყნის ყველა მართლმადიდებელმა. ყველა მხრიდან ვღებულობთ აღფრთოვანებულ გამოძახილებს. ჩვენ ვხედავთ, ჩვენ ვიცით, თუ როგორი ენთუზიაზმით აღავსო მორწმუნეთა გულები ცნობამ ამის შესახებ და ამ დღეებში მათ ბაგეებს არ შორდება სახელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინისა, მთელი ქვეყნის სიყვარულით მოსილი. ჩვენ, იოსებ ბესარიონის ძესთან შეხვედრის მონაწილენი, ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ ამ შთაბეჭდილებების ქვეშ, რომლებმაც მოგვიცვეს ჩვენი ქვეყნის საყვარელ ბელადთან შეხვედრისა და საუბრის საათებში. ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით ამ შეხვედრის უბრალო გულითადობით და თვით მთავრობის მეთაურის პიროვნებით; მაგრამ ამ უბრალო, გარეგნული მომაჯადოებელი უბრალოების ქვეშ მის სიტყვებში, ადამიანების მიმართ მის მიმართვებში – ჩვენ დავინახეთ ბელადის ჭეშმარიტი სიდიადე, რომელსაც მთელი ქვეყანა სამართლიანად უწოდებს დიდ სტალინს. იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან შეხვედრით აღელვებულები და სიხარულით აღფრთოვანებულები, ჩვენ სულის სიღრმემდის ვიყავით შეძრულები არა მარტო ეკლესიისადმი მისი

ყურადღებით, არამედ მისი ყურადღებით თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისეული ყოფისადმი. იოსებ ბესარიონის ძის ყურადღება ეკლესიის გასაჭირისადმი ფრთებს გვასხამს ჩვენ, და ჩვენი ეკლესია გასამმაგებული ენერგიით უძღვნის მთელს თავის ძალებს საყვარელი სამშობლოსადმი სამსახურს ამ ძნელბედობის დღეებში. იოსებ ბესარიონის ძის სტალინის სახელი, გარემოსილი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის სიყვარულით – დროშაა დიდებისა, აყვავებისა, ჩვენი სამშობლოს სიდიადისა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აკურთხებს ქვეყნისა და წითელი არმიის დიდი ბელადის ცხოვრებასა და ღწვას".[1]

რუსეთის პატრიარქები: სერგი, ალექსი I, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კალისტრატე, სომხური ეკლესიის უმაღლესი პატრიარქ-კათალიკოსი გევორქ VI მთლიანად ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებული და იზიარებდნენ მის კურსს. ეს აღარ იყო პატრიარქ ტიხონის, კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსისა და სომეხთა კათალიკოსის ხორენის ეკლესია. ერთი შეხედვით აუხსნელი იყო ქართველი მაღალიერარქების მიერ სტალინისა პიროვნებისა და კომუნისტური პარტიის მიმართ აღვლენილი ხოტბა-დიდება (ხელისუფლებამ დახვრიტა კათოლიკოზ კალისტრატეს ქალიშვილი ნინო ცინცაძე, მიტროპოლიტ ნაუმის ვაჟი შალვა შავიანიძე, ქუთათელი მიტროპოლიტები: ნაზარი (ლეჟავა), ვარლაამი (მახარაძე)). „კაცთა შორის რჩეულო, ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო, საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ, ამის ღირსი არა ვარ. მიიღეთ, ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელ საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად, მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა

[1] ჟურ. „მოსკოვსკი პატრიარხი", 1944, N1:13-15.

წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელი მწყემსის - კალისტრატე კათოლიკოს-პატრიარქისაგან".[1] წერდა კათოლიკოზი კალისტრატე ი. სტალინს. ი. სტალინისაგან მან არაერთი სამადლობელი წერილი მიიღო. ხოლო 1946 წლის აგვისტოში იგი საერო ხელისუფლებისაგან დაჯილდოვდა „სამამულო ომში ეკლესიისაგან გაწეული დახმარებისათვის". მანაც დიდი სიხარულით და კმაყოფილებით მიიღო ეს ჯილდო.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკების რელიგიური პოლიტიკა 1917-1952 წლებში განსხვავებული იყო. პირველ ეტაპზე ვ.ლენინისა და ლ.ტროცკის პოლიტიკა იყო აგრესიული ათეიზმის, რაც გულისხმობდა სასულიერო პირების ფიზიკურ განადგურებას, ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვას და ქვეყნის ათეისტურ სახელმწიფოდ გადაქცევას (1917-1927 წ.წ.), და ეს პოლიტიკა ინერციით გაგრძელდა 1940 წლამდე. 1940-1941 წლებში ი.სტალინმა შეცვალა რელიგიისადმი პარტიის დამოკიდებულება. მან რუსეთის ეკლესიის მაგალითზე შექმნა ახალი ტიპის ეკლესია, ის ივიწყებდა ამ ხელისუფლებისაგან თავს დატეხილ ყველა უბედურებას, აღიარებდა კომუნისტური პარტიის განსაკუთრებულ როლს და ხოტბა-დიდების შარავანდედით მოსავდა მის ლიდერს იოსებ სტალინს, რომელიც მიწიერ ღმერთად იყო გამოცხადებული. სტალინური ეკლესია იყო ხელისუფლების მორჩილი, ფორმით ქრისტიანული, შინაარსით სოციალისტური. ამ ჩარჩოში იყო მოქცეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც.

1952 წლის 3 თებერვალს, კათოლიკოზი კალისტრატე გარდაიცვალა. 10 თებერვალს იგი დაკრძალეს სიონის

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი. ფონდი N.3998.

საკათედრო ტაძარში. 1952 წლის 5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე–9 საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოზ–პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე). პატრიარქ მელქისედეკ III–ს ურთულეს პერიოდში მოუწია საქმიანობა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წ.), საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, მმართველი პარტიის პირველი პირი გახდა ნიკიტა სრუშჩოვი, რომელმაც 20-50-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების მთელი სიმძიმე მხოლოდ სტალინს დააკისრა და დაგმო მისი „პიროვნების კულტი" ნ. ხრუშჩოვმა პარტიისა და ხელისუფლების შეცდომად აღიარა საბჭოთა კავშირში რელიგიის მიმართ წინა ხელისუფლების პოლიტიკა. მისი მითითებით დაიწყო ახალი ანტირელიგიური კამპანია. მას მიაჩნდა, რომ XX საუკუნის 60-70-იან წლებში შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენება, აქედან გამომდინარე, სრულიად მიუღებელი იყო „წარსულის მავნე გადმონაშთად" მონათლული რელიგიური გრძნობები. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მიეცათ მითითება, ადმინისტრაციული წესით დაეხურათ ეკლესია-მონასტრები როგორც რუსეთში, ასევე ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. ნ. ხრუშჩოვს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: უკანასკნელ უკრაინელ ან ქართველ მღვდელს ტელევიზიით გაჩვენებთ და ქვეყანაში მასობრივი ათეიზმი დაისადგურებსო. იდეოლოგიური დარგის პარტიულ მუშაკებს ევალებოდათ, გაეძლიერებინათ ანტირელიგიური პროპაგანდა. რელიგიის საქმეთა კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკებში მის დაქვემდებარებაში მყოფ რწმუნებულთა აპარატს, რომელიც უშიშროების თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, ევალებოდა, მკაცრად გაეკონტროლებინა ეკლესიებში მიმდინარე პროცესები. რწმუნებულის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო დიაკვნის, მღვდლის, ეპისკოპოსის კურთხევა, ეპარქიებში სასულიერო პირების გაგზავნა.

რელიგიის საქმეთა რწუნებულის აპარატმა ჩაატარა მოქმედ ეკლესიათა და სასულიერო პირთა აღრიცხვა, გაართულა ახალი რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაცია და ეკლესიის გახსნის პროცედურა. რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ადგილობრივი აღმასკომების შესაბამის განყოფილებებს ყოველწლიურად სთხოვდნენ მათ რაიონში მოქმედ ეკლესიებში მოღვაწე სასულიერო პირების დახასიათებას, მათ პოლიტიკურ სანდოობაზე დაკვირვების შედეგებს, ხოლო რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ყოველწლიურ დახასიათებას წერდნენ საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქებზე. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოსე მექვაბიშვილის დახასიათებაში კათოლიკოზ-პატრიარქ მელქისედეკ III-ზე ვკითხულობთ: „მელქისედეკ III პრინციპული ადამიანია, იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სამღვდელოებაში არ სარგებლობს კარგი ავტორიტეტით თავის სიმკაცრის გამო... პარტიასა და მთავრობასთან მიმართებაში ლოიალურია... იგი განსაკუთრებით არ ცდილობს მოქმედ ეკლესიათა გაფართოებას... ყურს უგდებს ჩემს რჩევებს... სხვებზე მაღლა აყენებს თავის ნაციას და ტაძრების გახსნის გადაწყვეტისას ცდილობს, გახსნას მეტი ქართული ტაძარი".[1]

ასეთი შინაარსის დასმენის წერილს აგზავნის რწმუნებული მექვაბიშვილი მოსკოვში 1957 წელს, იმ დროს, როდესაც ქვეყნის პირველ პირს - ნ.ხრუშჩოვს გადაწყვეტილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის მასობრივი ათეიზმის ქვეყნად გადაქცევა და ქართველები კი ოფიციალურად ნაციონალისტებად იყვნენ გამოცხადებული. კათოლიკოზ მელქისედეკის მცდელობა, საქართველოს ეკლესიას ჰქონოდა საკუთარი სემინარია, პერიოდული გამოცემა „საქართველოს ეკლესიის უწყებანი" ხელისუფლებისა და რელიგიის საქმეთა რწმუნებულის წინააღმდეგობის გამოჩაიშალა. ძველი თაობის სასულიერო პირები თანდათან ტოვებდნენ სამოღვაწეო

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოზ მელქისედეკ III-ის საქმე N2718:6.

ასპარეზს, ახლების მომზადებისათვის კი საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა არც სემინარია და არც აკადემია. ჯერ კიდევ კათოლიკოზ–პატრიარქ ლეონიდეს სურდა სასულიერო სემინარიის გახსნა, რაც განუხორციელებელ ოცნებად დარჩა კათოლიკოზ–პატრიარქების: ამბროსის, ქრისტეფორეს და კალისტრატეს დროსაც. პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი „საქართველოს ეკლესიის უწყებანი"-ს გამოცემის ნებართვის თაობაზე. ამავე დროს, მან რელიგიის საქმეთა რწმუნებულ მ. მექვაბიშვილს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლობის კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს, ამიტომ გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს ნებართვა, სიონის ტაძართან გავხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად; ამასთან, საჭიროა, მოგვეცეს ნებართვა, რომ ეკლესიებში კედელზე გავაკრათ განცხადება კურსების გახსნის შესახებ და მოვუწოდოთ მსურველებს, განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამგეს. ოფიციალურმა ხელისუფლებამ პატრიარქის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, ხოლო საზოგადოებაში გაავრცელა დეზინფორმაცია, პატრიარქს არ სურს სასულიერო სასწავლებლის გახსნაო. ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული შიდასაეკლესიო დაპირისპირების მცდელობა, რათა შიდა პრობლემების ფონზე, ეკლესიას ნაკლები დრო დარჩენოდა რეალური საქმეების საკეთებლად. მიუხედავად ამისა, პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მოახერხა ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება, მოაწესრიგა დიდუბის, ხაშურის, დაიბრუნა ბოდბის, მოწამეთას ეკლესიები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ ყოველ ასეთ მცდელობას წინ ეღობებოდა ოფიციალური ხელისუფლება... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უკიდურესი

შევიწროების მიზნით, რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოსე მექვაბიშვილის დავალებით, რწმუნებულის აპარატის თანამშრომლებმა ჩაატარეს მოქმედ ეკლესიათა და სასულიერო პირთა აღრიცხვა, უკიდურესად გაართულეს ახალი რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციის და ახალი ეკლესიის გახსნის პროცედურა, ეკლესიებს, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა და იქ მოღვაწე სასულიერო პირებს დაუწესეს 87%-იანი ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადი. კათოლიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ III გარდაიცვალა 1960 წლის 10 იანვარს. 1960 წლის 19-20 თებერვალს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის X კრება, რომელმაც საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად აირჩია მიტროპოლიტი ეფრემი, ეფრემ II-ის სახელწოდებით. ამ დროს საქართველოს ეკლესიაში იყო 5 ეპარქია (7 მღვდელმთავრით), საპატრიარქოში შედიოდა 100 მოქმედი ეკლესია და 2 მონასტერი 105-მდე სასულიერო პირით. საპატრიარქოს არ ჰქონდა ბეჭდური ორგანო, რეზიდენცია, სასულიერო სასწავლებელი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას არ აღიარებდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული საპატრიარქო 1923 წლიდან სახელმწიფო საკუთრებაში იყო. კათოლიკოზ-პატრიარქის რეზიდენცია სიონის ეკლესიის გვერდით სულ 4 ოთახისაგან შედგებოდა. კათოლიკოზმა ეფრემმა არაერთხელ მიმართა მთავრობას, ან ძველი საპატრიარქო რეზიდენციას დაბრუნების, ან ახლის აშენების ნებართვაზე. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დ. შალუტაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ჯერ კიდევ 1960 წელს ვითხოვდით, საპატრიარქოს დაბრუნებოდა ის შენობა, სადაც დღეს რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველოა... თუ ეს ვერ მოხერხდება,

გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, ვაკის ან საბურთალოს ტერიტორიაზე გამოგვეყოს ადგილი ორსართულიანი საპატრიარქო რეზიდენციისთვის".[1]

მთავრობამ თბილისში ახალი საპატრიარქოს აშენებაზე უარი განაცხადა. რელიგიის საქმეთა რწმუნებული შალუტაშვილი აცხადებდა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი ნებართვის გაცემა მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1963 წელს, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ასეთი შინაარსის წერილით მიმართა რელიგიის საქმეთა რწმუნებულს დ. შალუტაშვილს: „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოზ-პატრიარქად არჩევისა, 1960 წლის 8 დეკემბერს, განვიზრახე განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში. ამ ნაბიჯის გადადგმას მავალდებულებდა სინდისი, სარწმუნოება, ჩემი ერის სიყვარული და ამათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლო გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვცანი რომ, თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა, კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა. ეს საკითხი დღესაც მძიმე ლოდივით ადგას ქართულ ეკლესიას გულზე და დღესაც საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა, მქონოდა აუდენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ, მან ბრძანა, რახან არსებობს ეკლესია, მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიც და გამომცემლობაც, - ამას ისმენდა ჩემს გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებული ბატონი მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა".[2]

კათოლიკოზი ეფრემ II გრძნობდა, რომ თუ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ღვთისმსახურთა მოსამ-

---

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, პატრიარქ ეფრემ II-ის საქმე N.3567.

[2] საქართველოს საპატრიარქო არქივი, N.576.

ზადებლად სასწავლებელი არ ექნებოდა, მას მომავალში ელემენტარული განათლების მქონე სასულიერო პირები აღარ ეყოლებოდა. ხელისუფლება იძულებული გახდა, 1962 წლის 30 ივლისს გაეცა ნებართვა მცხეთის სამოძღვრო კურსების გახსნის შესახებ. კათოლიკოზმა ეფრემმა სასწავლებლის დირექტორად დანიშნა შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი). სასწავლებელი ორ წელიწადში სასულიერო სემინარიად გადაკეთდა. იმ დროს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეზღუდული ჰქონდა საერთაშორისო საეკლესიო კონტაქტები. ხელისუფლებისაგან დაშვებული იყო ურთიერთობა მხოლოდ რუსეთის და სომხეთის ეკლესიებთან. საზღვარგარეთის მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობა მხოლოდ წერილობითი ხასიათისა იყო. ამიტომ, როდესაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან თბილისში მოვიდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, საქართველოს ეკლესია ოფიციალურად გაწევრიანებულიყო ამ ორგანიზაციაში, კათოლიკოზმა ეფრემ II-მ 1962 წლის 4 მაისს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში ოფიციალურად განაცხადა თანხმობა. 1962 წელს, ჟენევაში, კათოლიკოზი ეფრემი გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, მისი მოხსენება იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ეკლესიის სრული სურათის წარდგენის მცდელობა. კათოლიკოზი ეფრემ II საფრანგეთში, ლევილში, ეწვია ქართველ ემიგრანტებს, მცირე პანაშვიდი გადაუხადა ბოლშევიკური აგრესიის გამო სამშობლოდან გადახვეწილ, გარდაცვლილ ქართველ მამულიშვილთ, რის გამოც ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია.

კათოლიკოზმა ეფრემმა, თავისი მამამთავრობის პერიოდში, აკურთხა 3 ახალი ეპისკოპოსი: 1963 წელს არქიმანდრიტი ილია (შიოლაშვილი), 1965 წელს არქიმანდრიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), 1972 წელს არქიმანდრიტი გაიოზი (კერატიშვილი). კათოლიკოზი ეფრემ

II კარგად გრძნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო კავშირების აუცილებლობას. ასევე აუცილებელი იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. 1960-1972 წლებში მან არაერთხელ იმოგზაურა მოსკოვში, საპასუხოდ საქართველოს სტუმრობდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I. კათოლიკოზ ეფრემს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სომხურ ეკლესიასთან, თბილისში არაერთხელ მოიწვია სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. თვითონაც იყო საპასუხო ვიზიტით სომხეთში. წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქ ათინაგორასთან, იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტე I-თან. თუმცა საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური ვიზიტი საქართველოში გასაგები მიზეზების გამო ვერ შედგა.

საქართველოს ეკლესიის უმძიმეს ვითარებას გადმოგვცემს კათოლიკოზ ეფრემის წერილი გაგზავნილი ცნობილი კრიტიკოსისა და მწერლის იპოლიტე ვართაგავასადმი: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოზ-პატრიარქების: კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია. შეიძლება გულშემატკივარნი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მომქმედთ ვერა ვხედავ. მიუხედავად ასეთი მძიმე გარემოებისა, მაინც მოხერხდა მცხეთაში დამეარსებინა სამოძღვრო ორწლიანი კურსები ეპისკოპოს გაბრიელის სახელობის, გამომეცა გიორგი მთაწმინდელის ნახელავი ოთხთავი, ეპისტოლენი და იოანეს გამოცხადება, ლოცვანი, ქართველ წმინდანთა სურათები, ხატები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი ყოველწლიური. მე მჯერა, ცხოვრება დაწყნარდება, მაშინ ეკლესია საპატიო ადგილს დაიჭერს ცხოვრების სინამდვილეში" იმ დროს ეპარქიაში შექმნილ რთულ ვითარებას კარგად ასახავს ალავერდელი ეპისკოპოსის დავით ბურდილაძის მოხსენებითი ბარათი კათოლი-

კოზ ეფრემისადმი გაგზავნილი 1962 წლის 7 ოქტომბერს: „დღესასწაულის დროს (ალავერდობაზე) შემოვიდნენ ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარე მაღლაკელიძე პოლიციელებით და შეტევით მომმართეს, თუ როგორ გავბედე ალავერდში მისვლა და ეკლესიაში შესვლა. როდესაც მე ვუპასუხე, რომ მე ალავერდის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს ამ ტაძარში საღმრთო ვედრების შესრულებაო, ამაზე დაცინვით მიპასუხეს, ვინ ეპისკოპოსი ხარ, აბა, საბუთი წარმოგვიდგინეო. აქ მექვაბიშვილმა დაგვინიშნა მღვდელი კუკუნაშვილი და სხვას არაფერი ესაქმებაო... მოკლედ, შეგვექმნა ცხარე კამათი. დამემუქრნენ, დაგაპატიმრებთო. დამაპატიმრეთ-მეთქი. მათ უნდოდათ, ლოცვა შემეწყვიტა და მათი ბრძანებით ეკლესიიდან გავსულიყავი. როდესაც ამას ვერ მიაღწიეს, მაღლაკელიძემ მითხრა - შენს მოხუცებულობას ვცემთ პატივს, წირვას რომ დაამთავრებთ, აქედან სასწრაფოდ წადიო" ხშირი იყო ეკლესია-მონასტრების ძარცვის შემთხვევები. ოფიციალური ხელისუფლება სასულიერო პირებს დიდ საშემოსავლო გადასახადებს ახდევინებდა. საბჭოთა კავშირში სასულიერო პირების დაბეგვრის ერთიანი სისტემა იყო. არ ითვალისწინებდნენ მცირე შემოსავლიან და დიდშემოსავლიან ეკლესიათა თავისებურებებს. კათოლიკოზი ეფრემი აცხადებდა, რომ სასულიერო პირების საშემოსავლო გადასახადის მე-19 მუხლით დაბეგვრა ისე გამოიყურებოდა, როგორც გასანთლული თოკის ყულფი მძიმე დამნაშავის ყელის მიმართ.. მან, შექმნილი მძიმე ვითარების გამო, კიდევ ერთხელ მიმართა ფინანსთა მინისტრს: „საკათოლიკოსოს სამეურნეო ნაწილის გამგე, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია განთავისუფლდა სამსახურიდან იმის გამო, რომ ვეღარ გაუძლო მე-19 მუხლით დაბეგვრას. არავის აღარ უნდა მუშაობა... დღეს არც მდივანი მყავს, არც სამეურნეო ნაწილის გამგე, არც მძღოლი. ასე რომ, საპატრიარქო ისე გამოყურება, თითქოს ლიკვიდაცია ქმნილ

იყვეს".[1] ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, კათოლიკოზი ეფრემი იძულებული იყო, შეესრულებინა ხელისუფლების სხვადასხვა დაკვეთა. მაგალითად, ღია წერილით მიემართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის, დაეგმო მისი იმპერიალისტური მისწრაფებანი და მხარი დაეჭირა მსოფლიოში „მშვიდობისათვის ბრძოლის მედროშე" ნიკიტა ხრუშჩოვისთვის.

კათოლიკოზი ეფრემ II გარდაიცვალა 1972 წლის 7 აპრილს. 13 აპრილს დაკრძალეს სიონის საკათედრო ტაძარში.

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, თბ. 2007:51.

XIX. საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან XXI საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით

1972-1977 წლებში საქართველოს ეკლესიას კათოლიკოზი დავით V (დევდარიანი) ხელმძღვანელობდა. მისი მამამთავრობის სანა არ გამოირჩეოდა პოზიტიური მოვლენებით. ხელისუფლება უფრო ავიწროვებდა ეკლესიას და ცდილობდა, კიდევ უფრო შეემცირებინა ეკლესიის მრევლი. ფიქტიურად არსებული 15 ეპარქიიდან რეალურად მოქმედი იყო 4-5. მღვდელმთავრები თბილისის ტაძრების წინამძღვრები იყვნენ და ეპარქიებში საერთოდ ვერ ჩადიოდნენ. 1977 წლის აღდგომის დღესასწაულზე, წირვის ჩაშლის მიზნით, სვეტიცხოვლის და სიონის ტაძრებში გაუშვეს ცრემლდენი გაზი... ეკლესიას ჰქონდა ფინანსური პრობლემებიც. ამ სირთულეების მიუხედავად, კათოლიკოზმა დავით V-მ მოახერხა 3 ახალი მღვდელმთავრის კურთხევა.

კათოლიკოზი დავით V 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა. საგანგებოდ შეკრებილმა სინოდმა კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ გამოირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), თუმცა სინოდის 3 წევრმა: მიტროპოლიტმა რომანოზმა (პეტრიაშვილი), მიტროპოლიტმა გაიოზმა (კერატიშვილი), ეპისკოპოსმა ილარიონმა (სამხარაძე) მხარი არ დაუჭირეს მოსაყდრედ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურას. საპატრიარქო ტახტისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა კათოლიკოზ დავითის დაკრძალვის შემდეგ. სინოდის 4 წევრის მიერ (3 მოწინააღმდეგე) მიტროპოლიტი ილია დასახელდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად, რასაც მოჰყვა მოწინააღმდეგეთა მძაფრი პროტესტი. მათ საერო ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში დაიწყეს საჩივრების გაგზავნა და მოითხოვდნენ მიტროპოლიტ ილიას მოსაყდრეობიდან გადაყენებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სახელზე ასეთი


შინაარსის დეპეშა გაიგზავნა: „29 ნოემბერს ხელისუფლების წარმომადგენელმა თ.ონოფრიშვილმა ოფიციალურად გამოგვიცხადა საპატრიარქო ტახტზე მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის კანდიდატურა ოფიციალურად დამტკიცებულია და, თუ ეკლესიაში სამსახური გვინდა, შევწყვიტოთ მასზე საჩივრების წერა, წმინდა სინოდმა მას უნდა დავუჭიროთ მხარიო. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თქვენგან არავითარ ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია... საკითხი სერიოზულია. გთხოვთ, სასწრაფოდ მიგვიღოთ წმინდა სინოდის განსხვავებულად მოაზროვნე წევრები, რათა პირადად მოგახსენოთ საქმის რეალური ვითარება“.[1] ვინაიდან საერო ხელისუფლებიდან მათ წერილზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა, ისინი პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ 1977 წლის 18 დეკემბერს შეიჭრნენ საპატრიარქო რეზიდენციაში, დაარბიეს იქაურობა, დახიეს პატრიარქობის კანდიდატად მიტროპოლიტ ილიას არჩევის ოქმი, გაგზავნეს დეპეშები ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში და აცნობეს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) გადაყენებული იყო მოსაყდრის თანამდებობიდან და ახალი პატრიარქის ასარჩევად დანიშნული საეკლესიო კრება გაუქმებული. ხელისუფლებამ ისინი მილიციის ძალით გამოაძევა საპატრიარქოდან და დაადასტურა მიტროპოლიტ ილიასადმი მხარდაჭერა. 1977 წლის 23 დეკემბერს გამართულმა XII საეკლესიო კრებამ, რომელსაც 45 დელეგატი ესწრებოდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ილია II-ის სახელწოდებით. ახალარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია 25 დეკემბერს შესრულდა მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში. კურთხევას ესწრებოდნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყოველთა სომეხთა უმაღლესი კათალიკოსი ვაზგენი, მსოფლიო საპატრიარქოს და

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, პატრიარქ ილია II-ის ფ. 298:295.

ბულგარეთის ეკლესიის წარმომადგენლები. ინტრონიზაციის (აღსაყდრების) დასასრულს ახალარჩეულმა პატრიარქმა ამ სიტყვებით მიმართა სვეტიცხოველში შეკრებილ საზოგადოებას: „მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას. თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა. ჩვენი ეკლესიის მომავალი საქმიანობის მთავარი საკითხი უნდა იყოს ქართველ ხალხში სასოების და უტეხი ნების განმტკიცება... ჩვენი მიზანია მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის მთავარი საზრუნავი.“[1]

მძიმე მემკვიდრეობა დახვდა ახალგაზრდა პატრიარქს. ამ დროს საქართველოში მოქმედი იყო 50-მდე ეკლესია და სამლოცველო სახლი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 80-მდე სასულიერო პირი. მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედი იყო მცხეთის სვეტიცხოველი, სამთავროსა და ოლღას მონასტრები, თბილისის სიონი, ქაშუეთის წმინდა გიორგის, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმინდა ნინოს, მთაწმინდის მამა დავითის, პატარა სამების, ალექსანდრე ნეველის, მიხეილ ტვერელის, იოანე ღვთისმეტყველის, წმინდა ბარბარეს ეკლესიები. არ ფუნქციონირებდა ანჩისხატის, კარის, ფერისცვალების, წმინდა ნიკოლოზის, მეტეხის ღვთისმშობლის, ვერის ეკლესიები, ნაძალადევში, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში ჰიგიენის სახლი (აბანო) იყო გახსნილი. არცერთი მოქმედი ეკლესია არ იყო ნიკორწმინდის, მარგვეთის, აწყურის, ბოდბის, წილკნის

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. N1429.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

ეპარქიებში. ეკლესიას არ ჰყავდა მრევლი, თითქმის არ არსებობდა ქართულენოვანი სასულიერო წიგნები, ქართული სატები, ჯვრები, შემცირებული იყო მგალობელთა გუნდები. წმინდა სინოდის წევრი ექვსი მღვდელმთავრის ასაკი მერყეობდა 70-90 წლებს შორის, ხანდაზმული იყო სასულიერო პირთა უმრავლესობაც. გრძელდებოდა ხელისუფლების ზეწოლა ეკლესიაზე. პატრიარქ ილია II-ის წინაშე ბევრი სერიოზული გამოწვევა იყო: 1. ეკლესიასა და საზოგადოებას შორის აღმართული იყო ხელოვნური გაუცხოების კედელი; 2. ფორმალურად არსებული ეპარქიები, დახურული ტაძრები კვლავ უნდა აღდგენილიყო, 3. საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა არც ოფიციალური ჟურნალი, არც გამომცემლობა, 4. მღვდელმთავრების და მირონის კურთხევა სრულდებოდა თბილისში, სვეტიცხოველი, ფაქტობრივად, სახელწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმ-ნაკრძალის ნაწილი იყო, 5. საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა ურთიერთობა ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან, 6. მოსაგვარებელი იყო სასულიერო სასწავლებლების, მათ შორის სასულიერო აკადემიის გახსნის საკითხი, 7. აუცილებელი იყო ინტენსიური ურთიერთობა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, განსაკუთრებით მსოფლიო საპატრიარქოსთან, რათა მათ ეცნოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

1978-1981 წლებში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა 9 ახალი მღვდელმთავრის კურთხევა, რომლებიც გაიგზავნენ ეპარქიებში და თუმცა ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად დაიწყო საეპარქიო ცხოვრების აღორძინება. 1995 წელს ეპარქიათა რაოდენობა გაიზარდა 27-მდე, 2007 წელს - 36-მდე, ხოლო 2024 წლის მონაცემებით, საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა შეადგენს 47-ს, 41 მმართველი მღვდელმთავრით. XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის და ე.წ. „რკინის ფარდის“ გახსნის შემდეგ, საქართველოში შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ბევრი ქართველი

აიძულა საზღვარგარეთის ქვეყნებში ეძებნა თავისი უკეთესი მომავალი. ასე შეიქმნა ქართული დიასპორები ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს ეკლესიის მეთაურის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყნებში შეიქმნა ქართული სამრევლოები. პირველად 2002 წელს ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). 2023 წლის მონაცემებით, უცხოეთში არსებობს: 1. დასავლეთ ევროპის - მიტროპოლიტი აბრაამი(გარმელია), 2. გერმანიისა და ავსტრიის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), 3. ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოზი (ბოგვერაძე), 4. ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი), 5. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) ეპარქიები და შვედეთის სამრევლო მიტროპოლიტი ვახტანგი (ახვლედიანი). ამ ეპარქიებში მოღვაწეობს 70-მდე სასულიერო პირი. საზღვარგარეთის ქართული სამრევლოების მეშვეობით, ემიგრაციაში მყოფი ქართველები ინარჩუნებენ სულიერ კავშირს თავის ისტორიულ სამშობლოსთან.

1980 წლის აპრილში, სვეტიცხოველში, საზეიმო ვითარებაში მოხდა წმინდა მირონის კურთხევა. ამ ფაქტით აღდგა მირონის სვეტიცხოველში მომზადების ისტორიული ტრადიცია. 1978 წლიდან დაიწყო საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალის „ჯვარი ვაზისა“-ს გამოცემა, რომელიც ფართოდ აშუქებდა საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებს. 1978 წელს საქართველოს ეკლესიამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი. ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების სფეროში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც საქართველოს ეკლესია არ გამოხმაურებია. თანდათან დაირღვა ის ხელოვნული გაუცხოების კედელი, რომელიც ეკლესიასა და საზოგადოებას შორის არსებობდა.

1978 წელს, პატრიარქ ილია II-ის მოწვევით, თბილისში ჩამოვიდა ათონის მთის გუბერნატორი დოქტორი იოანე ცამისი. ვიზიტის ფარგლებში სტუმარი შეხვდა ქართველ მეცნიერებს და დაპირდა მათ, რომ გამოგზავნიდა ათონის მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერების ასლებს. ცოტა ხანში საპატიო სტუმარმა თავისი დაპირება შეასრულა. მეცნიერებთან თანამშრომლობით, 1989-90 წლებში გამოიცა ბიბლიის სრული ვერსია. ქართველი მეცნიერები აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის შესახებ არსებული მასალების მოძიებაში. 1978-1990 წლებში გაგრძელდა მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები. 1978 წლის 1-4 ივნისს, პატრიარქის მოწვევით, თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართოლომეოსი (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი) და შვედეთის მიტროპოლიტი პავლე. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. 1979 წლის 2-8 მაისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თანმხლებ პირებთან ერთად, სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I ის მიწვევით. შეხვედრაზე პატრიარქმა ილია II-მ განაცხადა: თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინოპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა და, ღვთის ლოცვა-კურთხევით, ჩამოვედი ამ ქალაქში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო

საპატრიარქოს, ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალიურ ეკლესიებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს. გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე მსოფლიო საპატრიარქოსთან მოლაპარაკებები 11 წელი გაგრძელდა. 1980-1981 წლებში პატრიარქმა ილია II-მ, ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს დაუგზავნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე დასაბუთებული, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წერილები და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისგან ითხოვა წერილობითი მხარდაჭერა. ამ წერილებს დადებითად გამოეხმაურნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი (1982 წ. 29.IX), პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI (1982 წ. 1.IX). მრავალმხრივ საგულისხმო იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის პასუხი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია... დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით, საქართველოს მოწამებრივმა, მაგრამ, ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში.“[1]

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. N1374.

1988 წლის აგვისტოში მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I საქართველოს ესტუმრა, მოილოცა ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი. მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია-მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის, სიმრავლემ. საქართველოს საპატრიარქოში წმინდა სინოდის წევრებთან და ქართველ მეცნიერებთან გაიმართა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში საქართველოს ეკლესიის ადგილის შესახებ. ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ 2 წელი გაგრძელდა მოლაპარაკებები, რაც დასრულდა იმით, რომ 1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა ილია II-მ კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით, მიიღო ორი სიგელი: „1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც, მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება „ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმინდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა.“ 2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოსის განჩინებით, საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნა საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში.[1]

პატრიარქ ილია II-ის ძალისხმევით, 1988 წლის 14 ოქტომბერს, თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია. 1995 წელს აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, ასევე დაფუძნდა გელათის მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს ეკლესიას, ავტოკეფალიის გაუქმებისა და 1917 წელს მისი აღდგენის შემდეგ, არ ჰქონდა ურთიერთობა ადგილობრივ მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ

[1] ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1990, N1:5-6.

ეკლესიებთან. 1917 წელს, კათოლიკოზად არჩევის შემდეგ, კირიონ II-მ დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა ჰქონოდა, რა მოხდა საქართველოს ეკლესიაში, და არ დარჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. პირველ ყოვლისა, იყო სურვილი რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში, რუსეთის ახალარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მაღალიერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისაკენ მოუწოდა. ამიტომ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ევქარისტული კავშირი არ არსებობდა. 1943 წლის 31 ოქტომბერს, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. 1946 წელს საქართველოში, ოფიციალური მეგობრული ვიზიტით, ჩამოვიდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I. 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. 1945-1948 წლებში პატრიარქი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951-1970 წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს კათოლიკოზ–პატრიარქები: მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

XX საუუნის 90-იან წლებში ბოლშევიკების მოდერნიზებული რუსეთის იმპერია საბჭოთა კავშირი დაიშალა. ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური

წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით, გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა 1993-2008 წლებში, ფაქტობრივად, ამ ტერიტორიების ანექსია მოახდინა, 2008 წელს აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობა. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 ათასზე მეტი ადამიანი კი დახოცეს საკუთარ მიწა-წყალზე. ეთნიკური წმენდა ჩაატარეს შიდა ქართლშიც. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის ბუნდოვან განცხადებებში თითქოს გმობდა ძალადობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. რუსეთის პატრიარქმა ალექსი II–მ თბილისში ყოფნისას თავი აარიდა ამ პრობლემებზე მსჯელობას. ცხუმ-აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან სეპარატისტების მიერ გამოძევებულია ქართველი სამღვდელოება და ამ დროს რუსეთის ეკლესია, საქართველოს საპატრიარქოს გვერდის ავლით, ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირების დამკვიდრებას და ამას ამართლებს მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებით, ახალისებს საეკლესიო სეპარატიზმს და მხარს უჭერს აფხაზეთში ბესარიონ აპლიას მოძრაობას, რომელიც ითხოვს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფას. აფხაზეთში მეორე სეპარატისტული ჯგუფი დოროთეი დბარის ხელმძღვანელობით მსოფლიო საპატრიარქოსაგან მოითხოვს აფხაზეთის ეკლესიის აღიარებას. ამ მოცემულობაში, როდესაც რუსეთის ფედერაციამ, საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით, დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთის ეკლესია საჯაროდ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იქცევა. რუსეთის ეკლესიამ გაამართლა რუსეთის აგრესია 1993-2008 წლებში აფხაზეთსა და შიდა ქართლში, 2010 წლის 21

დეკემბრის სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურას დაემატა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. რუსეთის ეკლესია არ აღიარებს საქართველოს ეკლესიის მეთაურის ოფიციალურ ტიტულს (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა) და საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის გამოგზავნილ წერილებში მას მოიხსენებს მხოლოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენას. 1917 წელს კათოლიკოზი კირიონ II მსოფლიო პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილში მოკლედ მოუთხრობდა მას 1811-1917 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას და აცხადებდა: „გულისხმავყოფ ბრძანებასა მოციქულისასა, თანახმად ერთობისა მას სულისასა საკვირველისასა... სიყვარულით მოგიკითხავ, უნეტარესო მამაო, და წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩვენს შორის“. ღვაწლი ჩემდა იქნების დაცვაი დოღმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩვენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმინდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილი წარმატებისათვის ერისა ჩემის ზღუდედ ჩემდა იქმნების კანონი.“[1]

კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, რუსეთის ეკლესიის გავლენით, ერიდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობას XX საუკუნის 20-60-იან წლებში. საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ ეს

[1] ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II, თბ. 2014:84.

ურთიერთობა დინამიური გახდა. 1994 წლის მაისში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I პატრიარქის რანგში პირველად ეწვია საქართველოს. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას. 2003 წლის 19-24 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I კვლავ სტუმრობდა საქართველოს. 2011 წელს პატრიარქი ილია II, მსოფლიო პატრიარქის მიწვევით, იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ მოილოცა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრები. 2013 წელს მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმიდესი ბართლომეოსი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში და მიულოცა პატრიარქ ილია II აღსაყდრების 35 წლისთავი.

ალექსანდრიის უძველეს ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაახლოების პროცესი დაიწყო 1976 წლიდან, როდესაც ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი სიკოლოზ VI სოხუმში შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას. 1981 წლის 20-31 ივლისს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. ალექსანდრიისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურებმა მოილოცეს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს დაპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. იმ დროს, როდესაც ქართველი სწავლულებისათვის საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში მუშაობა აუხდენელი ოცნება იყო, ალექსანდრიის პატრიარქმა განაცხადა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და კაიროს სამონასტრო

ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და მათ ფოტოპირებს გადაიღებენ".[1] 1984 წლის 18-30 მაისს პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის საპატრიარქოს, დაათვალიერა ადგილობრივი სიწმიდენი, მოილოცა წმინდა ეკატერინეს მონასტერი სინას მთაზე, დაათვალიერა მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერი წიგნებიც არის დაცული. ალექსანდრიის უძველეს საპატრიარქოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. მისი საქმე განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა: პართენიოსმა, პეტრე VII–მ და თეოდორე II-მ.

საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებთან. V საუკუნეში, პალესტინაში, მოღვაწეობდა პეტრე ქართველი, რომელმაც იქ დააარსა ქართული მონასტერი. აქედან მოყოლებული, XIX საუკუნემდე, ქართველები მრავლად იყვნენ წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში. ვახტანგ გორგასლის დროს უკვე აშენდა დიდი მონასტერი, რომელიც XI საუკუნის 30-50-იან წლებში განუახლებია ჯვრის მონასტრის სახელით გიორგი - პროხორე ქართველს. XIV საუკუნეში ქართველები გოლგოთას ფლობდნენ და მაცხოვრის საფლავის კლიტენი ქართველთა საკუთრება იყო. ისტორიულმა ქარტეხილებმა შეასუსტა ქართველების პოზიციები იერუსალიმში, განსაკუთრებით - XIX საუკუნეში, საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ უშედეგო აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ყოველი მცდელობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენისა. 1978 წლიდან კვლავ დაიწყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან ინტენსიური მოლაპარაკებები. 1980 წლის 29 მაისიდან 5

[1] ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", 1981, N2:9.

ივნისამდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, იერუსალიმის პატრიარქის, ბენედიქტე I-ის მიწვევით, იერუსალიმში იმყოფებოდა. 1981 წლის 17-20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I. ქართველოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის დაპირებას, რომელიც მან კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობისას განაცხადა, რომ იგი ინსტიტუტს მიაწვდიდა ჯვრის მონასტერში დაცული იმ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს, რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის აღდგა ისტორიული ურთიერთობანი. საქართველოს ეკლესიის მეთაური ამის შემდეგ არაერთხელ ესტუმრა იერუსალიმს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან ერთად იერუსალიმში საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობა.

საქართველოს ეკლესიამ აღადგინა ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთანაც. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV–V საუკუნეებში, ქართული სამწყსო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. XV–XIX საუკუნეებში, მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში, ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა საპატრიარქომ მოახერხა თავის გადარჩენა და აღმოსავლეთის (სირია, ლიბანი) ქრისტიანული ცენტრის ფუნქცია შეინარჩუნა. მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი, იგნატიოს IV, 1981 წლის ოქტომბერში, ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს და დაიწყო ორი ეკლესიის ურთიერთობის ახალი ერა. საქართველოს საპატრიარქომ

აღადგინა ურთიერთობა როგორც ბერძნულ, ასევე სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან. 2002 წელს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი ჩამოვიდა საქართველოში, 1978-2017 წლებში საქართველოს ეკლესიას ესტუმრნენ: ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, რუმინეთის პატრიარქი თეოქსტიტე, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაური დოროთეოსი, ვარშავისა და პოლონეთის მიტროპოლიტი ვასილი, სერბეთის პატრიარქი პავლე, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები: ჯერ თეოდოსი, შემდეგ ჰერმანე. 1977-2017 წლებში საქართველოს საპატრიარქო დელეგაცია სტუმრობდა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიებს, ხვდებოდა არა მარტო ეკლესიათა მეთაურებს, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებსაც.

საქართველოს ეკლესია, ისტორიულად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობას, რაც შემწყნარებლობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში, მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველი მეფეები და კათოლიკოზ-პატრიარქები ცდილობდნენ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი გაგზავნილი ქართველ მეფეთა და კათოლიკოზ-პატრიარქთა წერილები. XVI–XVIII საუკუნეებში, ირან-ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე, რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველი მოსახლეობის ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, კათოლიკოზ-პატრიარქმა კირიონ II-მ წერილი გაუგზავნა რომის პაპს. „განგებამან ღმრთისამან, აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II, არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი ჰრომთათვის

დიდისა, პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა, მათ მოწაფეთა ქრისტეისათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს, მართალსა სარწმუნოებისაი არს სიყვარული და თვისობაი ორთა ამათ ეკლესიისთაი.“ საქართველოსა და რომაულ–კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა ეპისტოლარულ ფორმას არ გასცილებია 1917-1977 წლებში. 1980 წლის ივნისში ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს იოანე პავლე II-ს. პატრიარქის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით, გულითადად მოგესალმებით. საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში" პაპი ყურადღებით მისმენდა. შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დავუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები.“[1]

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, პაპის პირადი სამლოცველო, ვატიკანის ღირსშესანიშნაობანი. ამ შეხვედრებზე გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერები დაეშვათ ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა პატრიარქს გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომელნიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. როგორც პატრიარქმა

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 145. დოკ.1839.

ილია II-მ განაცხადა: ჩვენი ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ყოველთვის გვქონდა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხია ის დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას. 1999 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის და პატრიარქის მოწვევით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი იოანე-პავლე II. ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“.[1] 2016 წელს პაპი ფრანცისკე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. 2023 წელს, საქართველოსადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, პაპ ფრანცისკეს ბრძანებით, ვატიკანში საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე დაიდგა ივერიის ღვთისმშობლისმოზაიკადასაპატრიარქოსგუნდმავატიკანში შეასრულა ქართული საგალობლები. კათოლიკურმა ეკლესიამ საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამრევლოებს გაუწია დახმარების ხელი და ღვთისმსახურებისათვის გადასცა კათოლიკური ეკლესიები.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა. ქართველებს და სომხებს, როგორც ქრისტიან

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, N16469.

ხალხებს, არაერთი ბრძოლა გადაუტანიათ საერთო მტრების წინააღმდეგ. სარწმუნოებრივ-დოგმატური განსხვავების მიუხედავად, ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იბრძოდა არაბი, თურქ-სელჩუკი, მონღოლი, ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებში ქართველ და სომეხ მაღალიერარქთა შორის იყო გარკვეული ურთიერთობები. XX საუკუნის 20-40-იან წლებში ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობა ძირითადად ეპისტოლარული ხასიათისა იყო. 1945 წლიდან ინტენსიური გახდა ურთიერთობები პატრიარქ კალისტრატესა და თბილისის სომხური ეპარქიის ყოფილ ეპისკოპოსს, იმხანად ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გევორქ VI-ს შორის. სომხური ეკლესიის ახალი მეთაური კათალიკოსი ვაზგენ I-ც ხშირად სტუმრობდა საქართველოს. მან 1977 წლის 25 დეკემბერს, მცხეთაში ყოფნისას, განაცხადა: „ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია... ძეგლი, რომელიც ქართველი ერის სულს განასახიერებს. მე მწამს ამ სულის უკვდავება, როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა.“[1] 1978-2011 წლებში პატრიარქი ილია II არაერთხელ სტუმრობდა სომხეთს. კათალიკოს ვაზგენ I-ის გზა განაგრძო კილიკიური წარმოშობის ახალმა კათალიკოსმა გარეგინ I-მა, რომელიც 1997 წელს იმყოფებოდა საქართველოში და სომეხთა ახალმა კათალიკოსმა გარეგინ II-მ, რომელიც 1999-2011 წლებში 2-ჯერ იმყოფებოდა ვიზიტით საქართველოში.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით, ევროპის განვითარებული ქვეყნები: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის დამანგრეველი

[1] ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1978, N1:15.

ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ეს დახმარება სიტყვიერ და მორალურ მხარდაჭერას არ გასცილებია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, ძირითადად, ევროპული იყო (თუ არ ჩავთვლით რუსეთის ბატონობის ხანას). ამიტომ ქართველი ხალხი, მორწმუნე მრევლი სიხარულით შეხვდა იმ ინფორმაციას, რომელიც გავრცელდა: 1979 წლის 15 იანვარს, იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად ყოფნამ მას საშუალება მისცა, მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა შეხვედრებში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დახმარებით დაიბეჭდა „ახალი აღთქმა", „სამოციქულო", „კონდაკი" პატრიარქი ილია II 1962-1997 წლებში საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წევრობის პერიოდს ასე აფასებდა: „საბჭოთა იზოლაციის დროს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნამ ჩვენს ეკლესიას საშუალება მისცა, რომ იგი მსოფლიოს გაეცნო, როგორც დამოუკიდებელი ეკლესია. ასე რომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნა ერთგვარად მათი მისიონერული მოღვაწეობის გაგრძელებასაც წარმოადგენდა".[1]

საქართველოს ეკლესიის მეთაურმა იმოგზაურა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში. სხვადასხვა დროს შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებს. მისმა შეხვედრებმა მეტი ინფორმაცია მისცა ევროპელებს საქართველოზე, მის უძველეს ეკლესიაზე, ახალი სტიმული

[1] ნათელი ქრისტესი, ტ. 2. 2006:526.



წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. საინტერესო შეხვედები შედგა აზიის ქვეყნებშიც. 1978-2015 წლებში საქართველოს ეკლესიის მეთაური შეხვდა: ეგვიპტის კოპტთა პატრიარქს შენუდა III-ს, მალაბარიის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ–კათოლიკოსს ბასილ მართომა მათე I-ს, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე-ჰაიმანოტს, სირიელ იაკობისტთა პატრიარქს მარი იაკობ III-ს, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V–ს. საქართველოს ეკლესიას დიალოგი ჰქონდა არა მარტო არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებთანაც. ამის დასტურია კავკასიის მუსლიმთა ლიდერის შეიხ ალახ შუქურ ფაშა ზადესა და პატრიარქ ილია II-ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აისახება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობაში. 2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მუჰამედ ჰათამის მიწვევით, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, შეხვდა პრეზიდენტ ჰათამსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ჰამეინეს. პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების ირანისა და საქართველოს რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა.“[1]

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეკლესიაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქართველოს ეკლესიის ყოფნასთან დაკავშირებით შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. სასულიერო პირთა ნაწილი დაუფარავად აცხადებდა, რომ ეს მიუღებელი იყო. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ,

[1] პატრიარქი, თბ. 2006:286.

საქართველოს ეკლესიის სინოდს მიეღო გადაწყვეტილება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლის შესახებ, ვინაიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭო აწყობდა ერთობლივ ლოცვებს, რაც მართლმადიდებლებისათვის დაუშვებელი იყო. ამ საკითხზე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საქართველოს ეკლესია შიდაგანხეთქილების საფრთხის წინაშე დადგა. 1997 წლის 20 მაისს, საქართველოს პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმინდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარი თქვა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. სინოდის მიერ მიღებულ დადგენილებაში ჩაიწერა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან... მართლმადიდებლები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებსა და ღვთის თაყვანისცემაში.“[1]

2014 წლის 5-9 მარტს საქართველოს ეკლესიის მეთაურმა მონაწილეობა მიიღო სტამბულში (კონსტანტინოპოლი) პანორთოდოქსულ სხდომებში, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1. მართლმადიდებლური დიასპორა: სახელმწიფო საზღვრებს გარეთ არსებული მართლმადიდებლური იურისდიქციის საკითხი, 2. ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის აღიარების პროცედურები, 3.ეკლესიის ავტონომიის სტატუსის აღიარების პროცედურები, 4.დიპტიქი: მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკური ურთიერთაღიარების წესები. 5. დღესასწაულების აღნიშვნის საერთო კალენდარი, 6.ქორწინების საიდუმლოს აღსრულების წესები და შეზღუდვები, 7.მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში, 8.კავშირი სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან, 9.ეკუმენური მოძრაობა, 10.მართლმადიდებელი ქრისტიანების წვლილი

[1] საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. N1937:158.

მშვიდობის, ძმობის და თავისუფლების ქრისტიანული იდეალების დამყარების საქმეში. შეკრებაში მონაწილეობდნენ: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, მოსკოვის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ათენის, პრაღის, ალბანეთის ეკლესიათა მეთაურები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომავალი პანორთოდოქსული კრება გაიმართოს 2016 წელს. იმავე წლის 10 ივნისს გამართულმა საქართველოს ეკლესიის სინოდმა განიხილა მართლმადიდებელ ეკლესიათა კრეტის კრებაზე მონაწილეობის საკითხი და უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე. ამის მიზეზად დასახელდა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შეუთანხმებლობა. პატრიარქმა ილია II-მ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა: „თქვენ იცით, რომ 17 ივნისიდან იწყება კრება საბერძნეთში. ჩვენ ვერ, და არ მივიღებთ მონაწილეობას, რადგან ზოგიერთი საკითხი რთულია და ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავიცვათ მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობა, დავიცვათ ერთსულოვნება, მაგრამ ერთსულოვნება უნდა იყოს ჭეშმარიტების გზაზე.“[1]

საქართველოს პატრიარქ ილია II-ს, თავისი მრავალწლიანი სასულიერო მოღვაწეობის პერიოდში, საინტერესო შეხვედრები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რელიგიურ ლიდერებთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩებთან. 1977-დან 2023 წლამდე საქართველოში 7-ჯერ შეიცვალა საერო ხელისუფლება, ყველას თავისი მოთხოვნები ჰქონდა ეკლესიის მიმართ. იყო თანამშრომლობა, გარკვეული უთანხმოებაც, კომპრომისებიც. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, იმართებოდა მოსკოვის მიერ დანიშნული ადგილობრივი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნების მეშვეობით.

[1] ინტერპრესნიუსი, 12.06.2016.

1972-1985 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე. 1985-1989 წლებში ჯუმბერ პატიაშვილი. 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. „პერესტროიკა“ (სისტემის გარდაქმნა -განახლება). ოფიციალურმა ხელისუფლებამ აღიარა ეკლესიასთან დამოკიდებულებაში დაშვებული შეცდომები და სინდისის თავისუფლების დეკლარირებული აღიარებიდან მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა. გამარტივდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ოფიციალური რეგისტრაცია და ამოქმედება. ასეთ ვითარებაში, საპატრიარქოსა და საერო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა კონსტრუქციული გახდა. 1989-1990 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო გივი გუმბარიძე. 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ (საბჭოთა ჯარებმა თბილისში რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ გამოიყენეს მომწამვლელი გაზი, ორლესული ნიჩბები, დაიღუპა 21 ადამიანი) საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა - ერთის მხრივ, არსებობდა ოფიციალური ხელისუფლება, რომელსაც ხალხში არანაირი ავტორიტეტი აღარ ჰქონდა, და, მეორეს მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც რეალურ ძალას ფლობდა და აკონტროლებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. გივი გუმბარიძის მმართველობის დროს, საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა ის ისტორიული შენობა, რომელიც 1923 წელს ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოართვა. 1990 წლის ოქტომბერში, საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, დაემხო კომუნისტური მმართველობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ილია II დაესწრო საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიას 1990

წლის 14 ნოემბერს, დალოცა სესიის მონაწილეები, ზვიად გამსახურდიას მიულოცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვა საქმიანობაში.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პატრიარქი ილია II არ დასწრებია ამ სესიას, მაგრამ მიულოცა სესიის მონაწილეებს ეს ისტორიული დღე, ასევე ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. 1991-1992 წლების დაპირისპირების დროს ეკლესიას ნეიტრალური პოზიცია ჰქონდა, რასაც ეკლესიის მიმართ გარკვეული ძალების პრეტენზიები და ბრალდებები მოჰყვა. 1992 წლის 7 მარტს მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჯერ - სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურად, ხოლო 1995 წლიდან საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული. თბილისში დაბრუნებული ე. შევარდნაძე პირველად სიონის საპატრიარქო ტაძარში მივიდა და ამით ყველას მიანიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს გაუჭირდებოდა მრავალრიცხოვანი სერიოზული პრობლემების მოგვარება. 1997 წლის 25 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრებიდან 20 წლისთავზე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პატრიარქი ილია II დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი „წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენით"

2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ სამოციქულო ეკლესიას შორის გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება კონკორდატი, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი სახელმწიფოში. კონკორდატის თანახმად: „ეკლესია

წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო სამართლის ნორმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად."[1]

1977 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობდა, აეღორძინებინა ბოლშევიკური მმართველობის დროს გაუქმებული სამონასტრო ცხოვრება, ამავე დროს აღედგინა ურთიერთობა საზღვარგარეთულ ძველ ქართულ მონასტრებთან. პირველი ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრისაკენ. 1979 წლის 5 დეკემბერს პატრიარქმა ილია II-მ ათონის ივერთა მონასტრის საბჭოს მიმართა: „აღდგეს ის კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის. ამ მიზნით, ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ წარმოვგზავნოთ თქვენთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან სამი მეცნიერი, რომელნიც გადაიღებენ ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს."[2] 1983 წელს საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ათონის ივერთა მონასტრის დაარსებიდან 1000 წლისთავი. მონასტრის საბჭოსადმი გაგზავნილ მილოცვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ათონის ივერთა მონასტერი მარადჟამს იყო და დარჩება საქართველოს სამოციქულო დედა ეკლესიის სულის განუყოფელ ნაწილად. 1990 წელს საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი. XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა იცნება, ჰქონოდათ კავშირი ათონის წმინდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან, რეალობად იქცა. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს. ასევე მნიშვნელოვანი იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან საქართველოს ეკლესიის კავშირის აღდგენა. თუმცა არის პრობლემებიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძენმა ბერებმა

[1] ს. ვარდოსანიძე, მზიანი ღამის 38 წელი, თბ. 2016:90. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფონდი N3203.

შეზღუდეს მონასტერში ქართველთა შეშვება, გაურკვეველ ვითარებაში დაზიანდა რუსთაველის ფრესკა. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა 1979 წლის 9-15 მაისს, ბულგარეთში ვიზიტის დროს, მოინახულა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი, რომელიც 1083 წელს ძმებ ბაკურიანისძეთა მიერ არის დაარსებული. ბულგარეთის პატრიარქმა მაქსიმემ განაცხადა, რომ მზად იყო ნებისმიერ დროს მიეღო ქართველი ბერები ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტერში.

1987 წლის 20 ივლისს, სინოდის განჩინებით, ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ილია ჭავჭავაძე შეირაცხა წმინდანად და ეწოდა მას „წმინდა ილია მართალი“ პატრიარქმა ილია II-მ შესანიშნავად ახსნა ამ დიდი პიროვნების დამსახურება: „ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსათვის საბედისწერო ჟამს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს, როდესაც ქართველი ინტელიგენცია და თავადაზნაურობა იყო უმოქმედო და კმაყოფილი რუსეთის იმპერატორისგან ბოძებული თანამდებობებით და ჩინ–მედლებით. ამ დროს, ღვთის განგებით, მოგვევლინა ილია ჭავჭავაძე, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც „ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა,“ როგორც სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, როგორც მქადაგებელი და წინამძღვარი. მან აღასრულა თავისი თავდადებული ცხოვრებით მცნება უფლისა: „რომელ ჰნებავს შემდგომად ჩემდა, უარჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდგებიან მე“ (მათე 16,24). მან აღასრულა უფრო მეტიც, მხოლოდ თავისი ჯვარი კი არა, მთელი ერის ჯვარი იტვირთა.“[1] ეროვნულ–სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისთავადობის იდეალების ერთგულებისათვის, 1995–2023 წლებში საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა კათოლიკოზები: პეტრე I და სამოელი; კათოლიკოზ–

[1] ილია II, წიგნ. 2. 2016:37.

პატრიარქები: მელქისედეკ I, კირიონ II, ამბროსი, კალისტრატე; ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი და მისი სამღვდელო კრებული; მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი; ეპისკოპოსები: ზოსიმე კუმურდოელი, ალექსანდრე (ოქროპირიძე), გაბრიელი (ქიქოძე); სასულიერო პირები: ალექსი შუშანია, ექვთიმე კერესელიძე, გრიგოლ ფერაძე; იმერთა მეფენი: სოლომონ I, სოლომონ II; ასევე სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილნი: ცოტნე დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

1977-2023 წლებში აღორძინდა ქართული გალობა, ხატწერის ტრადიციები, ტიხრული მინანქრის ხელოვნება, სამონასტრო ცხოვრება. ეპარქიებში აშენდა არაერთი ეკლესია-მონასტერი, გაიხსნა სასულიერო გიმნაზიები. 1997 წელს დაიწყო და 2004 წელს დასრულდა თბილისში სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე. პატრიარქ ილია II-ის სიტყვით: „სამების ტაძარი არის საქართველოს გამაერთიანებელი... ქართველმა ერმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი და ყველას უჩვენა, თუ შინაგანად როგორი ძლიერი ყოფილა“ 1977-2023 წლებში საქართველოს ეკლესიის წინაშე იყო რამდენიმე სერიოზული გამოწვევა ეკლესიის პოზიციის გამოსახატვა: 1. 1983 წლის 18 ნოემბერს, თბილისში, თვითმფრინავის გატაცების საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულ ახალგაზრდებს შორის იყო ბეთანიის მონასტრის მღვდელ-მონაზონი თეოდორე ჩიხლაძე. ხელისუფლებამ ეს ფაქტი გამოიყენა ეკლესიის და სასულიერო პირების დისკრედიტაციისათვის. პატრიარქმა ილია II-მ ოფიციალური წერილით მიმართა საერო ხელისუფლებას და მოითხოვა დაპატიმრებულებისთვის შეეცვალათ დახვრეტის განაჩენი, მაგრამ მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს და თვითმფრინავის გატაცების საქმეზე დაპატიმრებული ახალგაზრდები, მათ შორის მღვდელ

მონაზონი თეოდორე ჩიხლაძე 1984 წელს დახვრიტეს, 2. 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე საბჭოთა ჯარებმა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ მოაწყეს სისხლიანი ანგარიშსწორება. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა ილია II-ემ მომიტინგეებს მოუწოდა გადასულიყვნენ ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და ელოცათ, მათ არ გაითვალისწინეს ეს. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ საზოგადოების ნაწილი აკრიტიკებდა ეკლესიას და მის მეთაურს. 3. ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა ეკლესიისა და სახელმწიფო ურთიერთობის განსხვავებული სედვები. 4. 1992-2013 წლებში ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობაში იყო განსხვავებული მიდგომა რელიგიის შესახებ სახელწიფო კანონზე, ქვეყნის და საზოგადოების განვითარების მრავალ საკვანძო საკითსზე. ამ პერიოდს უკავშირდება ეკლესიის მიმართ საზოგადოების სახელით გახშირებული ოპონირება. 5. ციანიდის სკანდალი. 6. კოვიდპანდემიის დროს ეკლესიას და სასელმწიფოს ჰქონდა განსხვავებული მიდგომა...

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ქართველი ერის ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს. დარწმუნებული ვარ, მომავალში ის ღირსეულად გადალახავს მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას.

XX. საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 50-80-იან წლებში

1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ სტალინი და ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა გუნდმა შეცვალა საბჭოთა კავშირში რელიგიის მიმართ პარტიისა და სახელმწიფოს რელიგიისადმი 1941 წლიდან განხორციელებული ლოიალური პოლიტიკა. პარტიის პლენუმებზე დაიწყო წინა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის დაუფარავი კრიტიკა. 1954 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 2 დადგენილება. პირველი მათგანი 7 ივლისს, „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში დაშვებული შეცდომების და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილების თანახმად, მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის გაუმჯობესება აუცილებელი იყო არა მარტო პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანოებშიც, განათლების სისტემაში სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. დადგენილება მოითხოვდა, საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით, ათეისტური შინაარსის საჯარო ლექციათა ციკლს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. ხრუშჩოვი მიიჩნევდა, რომ სტალინის მმართველობის ბოლო პერიოდში პარტიამ დაივიწყა რელიგიისადმი ლენინური მიდგომა და ახლა აუცილებელი იყო ეს ნაკლოვანება გამოსწორებულიყო. ლოზუნგი „პარტია აგრძელებს ლენინის გზას და რელიგიას პირად საქმედ ვერ ჩათვლის“ ხელისუფლების ახალი პოლიტიკის მაჩვენებელი იყო. ანტირელიგიური შინაარსის მეორე დადგენილება მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის შესახებ“, მიღებულ იქნა 1954 წლის 10 ნოემბერს. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „პარტია იყენებს იდეური ზემოქმედების საშუალებებს, რათა აღზარდოს ადამიანები მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის სუ-

ლისკვეთებით, დაძლიოს რელიგიური ცრურწმენები, ისე, რომ არ დაუშვას მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა".[1]

როგორც ირკვევა, ხელისუფლებამ, ანტირელიგიური მუშაობის დროს, მიმართა რეპრესიულ ზომებს, რასაც მოჰყვა მორწმუნეთა უკმაყოფილება, ამან აიძულა ისინი ცოტა უკან დაეხიათ, თუმცა კვლავ გრძელდებოდა ანტირელიგიური ისტერია. მითითებაში, რომელიც საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებმა მიიღეს, პირდაპირ იყო მოწოდება: „რელიგია თვითდინებით არ მოისპობა. საჭიროა, რელიგიური ცრურწმენების აქტიური დაძლევა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის და იდეოლოგიური ბრძოლის გზით".[2]

ხელისუფლების მითითებით, უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო საგნად შეიტანეს მეცნიერული ათეიზმის კურსი, გაიზარდა ანტირელიგიური ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა, ტირაჟი, დაფინანსება. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკებში მისი ფილიალები (საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულები: გიორგი გიგოლაშვილი 1952-1954 წ.წ., მოსე მექვაბიშვილი 1954-1962 წ.წ., დავით ენუქიძე 1962-1963 წ.წ., დავით შალუტაშვილი 1963-1976 წ.წ., თენგიზ ონოფრიშვილი 1976-1979 წ.წ., გივი მაისურაძე 1979-1986 წ.წ., ანზორ წიკლაური 1986-1990 წ.წ.), უმკაცრესად აკონტროლებდნენ როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე სხვა რელიგიურ კონფესიათა საქმიანობას. ანტირელიგიური კამპანიის პარალელურად, საბჭოთა კავშირში კვლავ გრძელდებოდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მარგინალიზაცია. 30-იან წლებში რომის პაპ პიუს XI-ს საბჭოთა პროპაგანდა ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის" სულისჩამდგმელს უწოდებდა. ახალმა პაპმა პიუს XII-მ განაგრძო წინამორბედის კურსი და მიუღებლად მიიჩნია კომუნისტურ ხელისუფლებასთან რელიგიის

[1] მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები, თბ. 1972:370.
[2] მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები, თბ. 1972:376.

საკითხში რაიმე კომპრომისი და ამის გამო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რისხვა დაიმსახურა. ნ.ხრუშჩოვის დროს გაგრძელდა ვატიკანის, როგორც იმპერიალიზმის მსახურის, „მხილება“ მაშინდელ პრესაში იბეჭდებოდა წერილები მსგავსი სათაურებით: „ვატიკანი მშრომელთა უბოროტესი მტერია“ ანტიკათოლიკურ მოძრაობაში ხელისუფლების მოკავშირე იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ნ.ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 15 ათასამდე მოქმედი ეკლესია-მონასტრიდან 10 ათასზე მეტი დაიხურა. როგორც ირკვევა, მოქმედი ეკლესიების დახურვის საკითხი იდგა საქართველოშიც. 1963 წელს პატრიარქი ეფრემი გამოძახებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილთან, რომელმაც პატრიარქს მოსთხოვა მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის დახურვა... პატრიარქი ცუდად გახდა... მთავრობის თავმჯდომარემ დაამშვიდა და გადაიფიქრა მამა დავითის ტაძრის დახურვა. 60-იანი წლების ანტირელიგიური კამპანიის შინაარსს კარგად გამოსატავს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილის რ.ტატიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დ.შალუტაშვილისადმი: „თქვენი დავალებით, ა.წ. 4-8 მარტს, მივლინებით ვიყავი აფხაზეთის ასსრ-ში. მივლინების მიზანი იყო, შეგვესწავლა აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. „წმინდა ადგილები“ და, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად, დაგვესახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ადგილებში მორწმუნეთა მასიური ლოცვის ლიკვიდაციის შესახებ. აფხაზეთის ასსრ-ში, საბჭოს რწმუნებულ ა.ი. ლაგვილავასთან ერთად, შევისწავლეთ ე.წ. „წმინდა ადგილები" აღმოჩნდა, რომ ნაცვლად 6 „წმინდა ადგილისა", როგორც თავის ანგარიშში მიუთითებს ამხ. ა.ი. ლაგვილავა, აფხაზეთში ფაქტიურად არსებობს 3 „წმინდა ადგილი", კერძოდ, სოხუმის რაიონის სოფ. კამანასა და სოფ. თავისუფლებაში და გუდაუთის

რაიონში ახალ ათონში. დანარჩენი „ წმინდა ადგილები", კერძოდ, სოფ. ილორსა, ოდიშსა და პავლოვკაში ითვლებიან არა წმინდა ადგილებად, არამედ აქ არსებული ეკლესიების დღესასწაულებად. გადმოცემები ე.წ. „წმინდა ადგილების" შესახებ ძირითადად ერთნაირია. ქართული მართლ-მადიდებლობის წარმომადგენლები ისევე გაიგებენ მათ შინაარსს, როგორც საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის ისტორია გადმოგვცემს. ზემოაღნიშნულ ადგილებში მორწმუნეთა მასიური მსვლელობა ხორციელდება წელიწადში ერთხელ. კამანაში ყოველი წლის 4 ივლისს, ახალ ათონში 23 მაისს, სოლო სოფ. თავისუფლებაში 6 მაისს. კამანაში და ახალ ათონში, აღნიშნულ დღეებში, მორწმუნეები მოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან, თითქმის ყველა კუთხიდან. ძირითადად კი, რუსები და უკრაინელები. სოფ. თავისუფლებაში კი მიდის მხოლოდ სომეხი და ბერძენი მოსახლეობა. მაგ. ჩვენი ყოფნის დროს აქ იყო მოსული მორწმუნე უზბეკეთიდან. „წმინდა ადგილის" არსებობა კამანაში დაკავშირებულია მთის ძირიდან გამოსულ წყალთან. მას მიაწერენ განკურნების უნარს. ამიტომ, 4 ივლისს მოსული მორწმუნეები ბანაობენ მასში. ყოველი მორწმუნე, რაგინდ ავადმყოფიც არ უნდა იყოს იგი, ბანაობის შემდეგ აცხადებს, რომ იგი კარგად არის. მართალია, შეიძლება გვეჩვენოს, რომ იგი ისეთივე ჩვეულებრივი წყაროა, როგორც სხვა ადგილებში, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს წყალი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მორწმუნის ჯანმრთელობაზე. როგორც ცნობილია, მედიცინაში არსებობს ფსიქოთერაპიული მეთოდი მკურნალობისა. ავადმყოფი განეწყობა რა იმისათვის, რომ იგი თუ აღნიშნულ წყალში იბანავებს, მორჩება, ბანაობის შემდეგ ის მართლაც კარგად გრძნობს თავს. მიუხედავად იმისა, რომ კამანაში არსებულ წყაროში არავითარი სპეციფიკური არ არის და სხვა წყალშიც ისევე შეიძლება მორჩენა, როგორც ამ მდინარეში, რომელსაც გუმისთა ეწოდება, ქრისტიანული

რელიგიის მიერ ოდესღაც „წმინდა ადგილად" წოდებული გუმისთას სათავე დღესაც მაგიურად მოქმედებს მორწმუნეებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმიდან კამანამდე არის ერთადერთი საკმაო და მოუწყობელი გზა, მორწმუნეები იქამდე მიდიან არა მხოლოდ ამ გზით, არამედ მთებზე გადამავალ ვიწრო საცალფეხო ბილიკებითაც კი. შედარებით იოლია მოხვედრა ახალ ათონში, სადაც მორწმუნეებს შეუძლიათ მივიდნენ არა მხოლოდ სამანქანო, არამედ სარკინიგზო გზითაც, მაგრამ შედარებით კამანასთან, ამ ადგილის იზოლაცია ადვილია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ ადგილას არის ერთადერთი ვიწრო მისასვლელი გზა ავტომანქანის გზიდან და სარკინიგზო ბაქნიდან. ამიტომ ამ ვიწრო მისასვლელის ჩაკეტვა მთის ძირითადი მისასვლელის გაუქმებას გამოიწვევს, რაც დღესასწაულის დღეს მორწმუნეთა შეჩერების საკმაოდ ეფექტური საშუალებაა. აღნიშნული მისასვლელის ჩაკეტვა გამართლებულია იმ აზრით, რომ მთის ძირიდან გამომავალი წყარო გამოყენებულია სასმელად, ამიტომ მასში ბანაობა ნებადართული არ არის. შედარებით რთულია მორწმუნეთა შეკავება სოფ. თავისუფლებაში მდებარე „წმინდა ადგილთან" ძველი ეკლესიის ნანგრევის ირგვლივ არის სომხური სასაფლაო. ადგილობრივი სომხობის ნაწილი ყოველ წელს, 6 მაისს, მიდის თავის მიცვალებულთა საფლავზე, მაგრამ რადგან 6 მაისი არის წმ. გიორგის სახელობის დღე, აღნიშნულ ადგილას მოდის ბერძენი მოსახლეობაც. რა ღონისძიებები იქნა დასახული ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან და აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოს რწმუნებულ ა.ი. ლაგვილავასთან ერთად? საქალაქო და რაისაბჭოს აღმასკომებთან არსებული კომისიების მუშაობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ კომისიები არც სოხუმის, არც ოჩამჩირისა და არც გუდაუთის რაიონებში არ მუშაობენ. „წმინდა ადგილებთან" დაკავშირებით, ყოველგვარი საქმის კურსში არიან მხოლოდ ამ კომისიათა თავმჯდომარეები. ე.ი. აღმასკომის მდივნები. კომისიების სუსტ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ

ცნობებს რელიგიური საზოგადოებიდან იღებენ არა კომისიები, არამედ უშუალოდ იღებს რწმუნებული და იგი აძლევს ამ ცნობებს კომისიებს. რაც შეეხება „წმინდა ადგილებიდან" დაკავშირებულ მუშაობას, მას, ძირითადად, ატარებს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საოლქო კომიტეტისა და ადგილობრივი მილიციის საშუალებით. სოფ. კამანაში არსებული „წმინდა ადგილის" ლიკვიდაციის მიზნით, ამხ. ა.ი. ლაგვილავამ წამოაყენა წინადადება, აღნიშნულ ადგილას მოეწყოთ კალმახის მეურნეობა, რაც, ჯერ ერთი, ეკონომიურად ნაკლებ სარჯებს მოითხოვს, და, მეორეს მხრივ, დაიკავებდა რა იქ გამომავალ წყაროს, მორწმუნეებს მექანიკურად შეუზღუდავდა იქ ბანაობის შესაძლებლობას. ეს საკითხი ოფიციალურად დაისვა, იგი თითქოსდა მიღებულ იქნა კიდეც, მაგრამ ორგანიზაციამ, რომელსაც უნდა გაეკეთებინა იგი, უარი თქვა. რაიაღმასკომის წინაშე დაისვა საკითხი აღნიშნული ადგილის გამოყენების შესახებ. როგორც კომისიის თავმჯდომარემ, ამხ. პაიჭაძემ და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, ამხ. სიჭინავამ განაცხადეს, რაიაღმასკომი ფიქრობს სოფ. კამანაში ააშენოს ან ღორების, ანდა მეფრინველეობის ფერმა. ამით დაკავდება ის ფართობი, რომელსაც „წმინდა ადგილად" სცნობენ და, ამავე დროს, ადგილი არ ექნება მორწმუნეთა მილიციის ძალებით უკან გაბრუნებას. მორწმუნეებმა, იციან რა, რომ 4 ივლისს მათ ხელს შეუშლიან კამანაში მისვლაში, მიმართეს ახალ ხერხს. მოდიან ერთი კვირით ადრე ან გვიან და სახლდებიან ადგილობრივი მოსახლეობის ბინებში. 4 ივლისს კი იქვე, წყაროში ბანაობენ. იმ მიზნით, რომ ასეთ მოქმედებას არ ექნეს ადგილი, საბჭოს რწმუნებულის ინიციატივით, გაფრთხილებულ იქნა სოფ. კამანაში მიმაგრებული მილიციის რწმუნებული, რომ ამ პერიოდში არ დაუშვას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მორწმუნეთათვის ბინების მიქირავება. ასევე აუკრძალოს მორწმუნეებს ღამის გათევა ღია ცის ქვეშ. ამასთან ერთად, სოხუმის რაიაღმასკომთან არსებული რელიგიური

კულტების დარგის კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიის აქტივის წევრები, მილიციის თანამშრომლებთან ერთად, იმორიგეებენ ადგილზე, აუხსნიან მორწმუნეებს, რომ რელიგიური წესების შესრულება ღია ცის ქვეშ კანონმდებლობით ნებადართული არ არის, ამიტომ მათ არ უნდა შეასრულონ იგი კამანაში, სადაც არ არის მოქმედი ეკლესია. ამგვარი მუშაობა, სანამ კამანაში არსებული წყარო შემოიღობება და მიუვალი გახდება მორწმუნეებისათვის, გარკვეულად შეაფერხებს მათ მსვლელობას. თუ კამანში არსებულ წყაროს მორწმუნეთათვის განმკურნებელი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მორწმუნეები იქ მიდიან იმისათვის, რომ იბანაონ, რათა განიკურნონ, ანალოგიურ წყაროს ახალ ათონში არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ახალი ათონის „წმინდა ადგილას" მუშაობას, ძირითადად, საბჭოს რწმუნებული და ახალი ათონის სანატორიუმის დირექტორთან არსებული აქტივი აწარმოებს. ამჯერადაც ამავე აქტივთან ჩატარებულ იქნა საუბარი. გარდა იმისა, რომ ჩაკეტილი იქნება მთაში კლდეში გამოკვეთილ ეკლესიის მსგავს მღვიმესთან მისასვლელი ერთადერთი გზა, ამავე დროს, დღესასწაულ დღეებში, 23 მაისამდე და მის შემდეგ კვირეებში, ახალი ათონის სანატორიუმის ტერიტორიაზე მოეწყობა მასიური კულტურული ღონისძიებანი, რითაც მორწმუნეთა ყურადღება ერთგვარად ჩამოცილებულ იქნება „წმინდა ადგილს" ამავე დროს, თვით დამსვენებლები იქნებიან მობილიზებულნი, რათა განემარტოთ მორწმუნეებს ამ „წმინდა ადგილის" უაზრობა და ის, რომ ისინი თავიანთი ამ ადგილას მოსვლით და ღია ცის ქვეშ რელიგიური წესების შესრულებით, არღვევენ საბჭოთა კანონმდებლობას რელიგიური კულტების დარგში."[1]

პარტიული ორგანოების მითითებით, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებს ლექციების დროს ყურადღება უნდა გაემახვილებინათ მეცნიერებისა და რელიგიის ბრძოლის

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, ან 1. საქმე 76:16.

ისტორიაზე და რელიგიის რეაქციულ ხასიათზე. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა ადამიანი თავისუფალი უნდა ყოფილიყო „რელიგიური ცრურწმენებისაგან“

ანტირელიგიური პროპაგანდა გაგრძელდა ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგაც. საქართველოში, ე.შევარდნაძის კომპარტიის პირველ მდივნად ყოფნის პერიოდში (1972-1985 წ.წ.), 1975 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება „მავნე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილების თანახმად, რელიგიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება იყო ქრისტიანულ დღესასწაულებთან: „მოწამეთობა“, „სვეტიცხოვლობა“, „შობა“, „თელეთობა“ „ალავერდობა“, „გიორგობა“, „მარიამობა“, „აღდგომა“ დაეპირისპირებინათ ახალი საბჭოთა დღესასწაულები: „სახალხო ზეიმი მცხეთობა“, „სახალხო ალავერდობა“, „სახალხო თელეთობა“, „შრომის ზეიმი“, „მოსავლის დღე“ „შოთაობა“, „ილიაობა“, „თბილისობა“ პარალელურად, საეკლესიო დღესასწაულის დღეებში, ეკლესიებში ეწყობოდა კომკავშირელი და პარტიული აქტივისტების რეიდები მორწმუნეთა გამოსავლენად და დასასჯელად. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლი აღიარებდა სინდისის თავისუფლებას, მაგრამ 1977 წლის 16 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ, უფრო მკაცრი იყო და რეალურად ზღუდავდა კონსტიტუციით მინიჭებულ სინდისის თავისუფლებას. დებულების თანახმად: „ყველა კულტის მორწმუნე მოქალაქეთა რელიგიური გაერთიანებანი რეგისტრაციაში ტარდებიან, როგორც რელიგიური საზოგადოებები ან მორწმუნეთა ჯგუფები... რელიგიური

საზოგადოების რეგისტრაციისათვის მისი დამფუძნებელნი, არანაკლებ 20 კაცის შემადგენლობით, შუამდგომლობს რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისა და სამლოცველო შენობის (ეკლესიის) გახსნის შესახებ... რელიგიურ საზოგადოებებს ეკრძალებათ, შექმნან ურთიერთდამხმარე საალაროები, მატერიალური დახმარება გაუწიონ თავის წევრებს, მოაწყონ როგორც სპეციალური ბავშვთა, ახალგაზრდათა, ქალთა სალოცავი და სხვა შეკრებები, ისევე საერთო ბიბლიური, ლიტერატურული, სახელსაქმო, შრომითი, რელიგიის შემსწავლელი და სხვა ამგვარი შეკრებები, ჯგუფები, წრეები, აგრეთვე ექსკურსიები და ბავშვთა მოედნები, გახსნან ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, მოაწყონ სანატორიუმები და ორგანიზება გაუკეთონ სამკურნალო დახმარებას."[1] დებულებით აკრძალული იყო სასულიერო პირების ჩარევა რელიგიურ საზოგადოებათა ფინანსურ საქმიანობაში, უკიდურესად გართულებული იყო სამლოცველო სახლის, ეკლესიის გახსნა, ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საბჭო. მოქმედი და არამოქმედი ეკლესიები 1921 წლიდან სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. საქართველოში მას კურირებას უწევდა საქართველოში მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულ რელიგიურ საზოგადოებას სპეციალური ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში გადასცემდა ამა თუ იმ ეკლესიას ღვთისმსახურებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული უხეშად ერეოდა საეკლესიო საქმეებში და ხანდახან მათ აუცილებლად შესასრულებელ სადირექტივო წერილებსაც უგზავნიდა. 1986 წლის 21 ნოემბერს რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა გივი მაისურაძემ პატრიარქ ილია II-ს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე,

[1] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1979:27-28.

აუცილებლად მივიჩნევთ, თქვენი ყურადღება მივაპყროთ რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე, რომელიც გახშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა მხრივ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რწმუნებულთა აპარატს საჭიროდ მიაჩნია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ აღნიშნულ დარღვევათა უახლოეს ვადებში აღმოსაფხვრელად გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებები: 1.აეკრძალოთ ეკლესიის მღვდელმსახურებს და საპატრიარქოს თანამშრომლებს, უშუალოდ მიმართონ რესპუბლიკის თუ საკავშირო ინსტანციებს და აწარმოონ მათთან მიმოწერა რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით; 2.შეიზღუდოს მღვდლების სხვადასხვა ეკლესიებში გადაყვანა-გადმოყვანა; 3.მკაცრად აეკრძალოს ყველა ღვთისმსახურსა თუ ეკლესიის წინამძღვარს რელიგიური საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმეებში ჩარევა; 4.მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ყველა მღვდელმთავარი და სხვა კულტის მსახურნი, რათა შეწყდეს არამოქმედ და არარეგისტრირებულ ეკლესიებში სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობა."[1] პატრიარქმა ილია II-ემ ერთი კვირის შემდეგ მოიწვია სინოდის სხდომა, გააფრთხილა მღვდელმთავრები და ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა რელიგიის საქმეთა რწმუნებულს. ამ სადირექტივო წერილიდან კარგად ჩანს, რა დიდ სირთულეებში უხდებოდა ეკლესიას საქმიანობა.

თუმცა, 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ჯერ მოსკოვში გაუქმდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭო, 1990 წლის აპრილში კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა ასეთი შინაარსის დადგენილება: „გაუქმდეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის რწმუნებულის აპარატი ყველა თავისი ფუნქციით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიისა

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, ან 1, საქმე 551:5-6.

და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად.“ ეს საკმაოდ მტკივნეული, რთული პროცესი იყო. საერო ხელისუფლებასთან თანამშრომლობამ დინამიური ხასიათი შეიძინა. საქართველოს ხელისუფლება 90-იანი წლებიდან, საპატრიარქოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მუშაობდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ახალ მოდელზე, კონსტიტუციურ შეთანხმებაზე, ასევე საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონზე.

XXI. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება ქრისტიანულ ეკლესიებთან და სხვა რელიგიებთან, ტრადიციული და არატრადიციული რელიგიები

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მის მაღალიერარქებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ არამართლმადიდებლურ და არაქრისტიანულ დენომინაციებთან. ჯერ კიდევ VII საუკუნის დასაწყისში ქართლის კათოლიკოზს წერილი გაუგზავნია რომის პაპისათვის... ასევე ცნობილია 1223 წელს საქართველოს მეფის რუსუდანის წერილი რომის პაპ ჰონორიუს III-ისადმი. საქართველოში პირველი კათოლიკენი ფრანცისკანელთა ორდენის წევრები, მინორიტები XIII საუკუნის 30-იან წლებში შემოვიდნენ. კათოლიკური ეკლესიის მესვეურთ დიდი სურვილი ჰქონდათ რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის გაერთიანების. პაპის ბრძანებით 1240 წელს თბილისში დაფუძნდა კათოლიკური მონასტერი. ამის შემდეგ, 1258-1318 წლებში, საქართველოში კათოლიკე მისიონერების რამდენიმე ჯგუფი შემოვიდა, რომელთა მიზანიც იყო ქადაგება აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიების შეერთებისა. ქართველი მეფეები და სასულიერო პირები ლოიალურ განწყობას გამოხატავდნენ კათოლიკეთა მიმართ, მაგრამ ეკლესიების გაერთიანებაზე თავაზიან უარს ამბობდნენ. XIV საუკუნის დასაწყისში, 1329 წელს, პაპ იოანე XXIII-ის ბრძანებით, სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც XVI საუკუნის 60-იან წლებამდე არსებობდა და 13 ეპისკოპოსი გამოიცვალა. ოსმალებისაგან ბიზანტიის იმპერიის განადგურების საფრთხის პირობებში, 1439 წელს, რომის პაპმა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები ფერარა-ფლორენციაში მიიწვია და დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება. კრების

მუშაობაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი მიტროპოლიტი გრიგოლი მონაწილეობდა, მაგრამ მან უარი განაცხადა პაპის წინადადებაზე. 1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, რომის პაპის სპეციალური წამომადგენელი ლუდოვიკო ბოლონელი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა ქართველ მეფე-მთავრებს, სასულიერო პირებს და იმსჯელეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნაზე, მაგრამ ეს კოალიცია ვერ შედგა.

XV-XVI საუკუნეებიდან ოსმალები და ირანელები დაპყრობილ ტერიტორიებზე დევნიდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანებს, სამაგიეროდ, იქ შედარებით თავისუფლებით სარგებლობდნენ კათოლიკები და სომხები. რომის პაპმა აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკობის საქადაგებლად შექმნა სპეციალურად მომზადებული მისიონერთა ჯგუფები, რომლებმაც კარგად იცოდნენ იმ ქვეყნების ისტორია, ტრადიციები, ენა, მედიცინა და ადვილად შედიოდნენ მოსახლეობასთან კონტაქტში, უხსნიდნენ მათ, რამდენად კარგი იყო კათოლიკური სარწმუნოება და, პაპის ქვეშემდგომობის შემთხვევაში, როგორ იქნებოდნენ ისინი დაცული ოსმალეთისა და ირანის მძლავრობისაგან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე XVI საუკუნიდან ოსმალები მკვიდრდებიან და ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობაზე ზეწოლას ახორციელებენ, რათა ისინი გადაიყვანონ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე, უწესებენ დიდ გადასახადებს, არ აძლევენ მიწით სარგებლობის უფლებას. ასეთ ვითარებაში, იქაური ქართველი მოსახლეობისთვის ერთგვარი შვება იყო კათოლიკობაზე ან სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა. XVI საუკუნის დასაწყისში რომის პაპმა პავლე III-მ საქართველოში კათოლიკური მისიის ხელმძღვანელად დასვა ნახჭევანელი სომეხი კათოლიკე არქიეპისკოპოსი სტეფანე, რომელმაც აქ შემოიყვანა ნახჭევანელი სომეხი კათოლიკენი...

XIII-XV საუკუნეებში საქართველოში მყოფი კათოლიკენი, ძირითადად, ევროპელები იყვნენ. მათ კარგად იცოდნენ

ქართული ენა, წირავდნენ ქართულად, ადგილობრივ მოსახლეობას ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს, შემოჰქონდათ ევროპული კულტურა, ამიტომ ისინი ხალხში გარკვეული სიმპატიით სარგებლობდნენ. ნახჭევანელმა უნითორებმა კათოლიკე სომხებმა დაიწყეს წირვა-ლოცვები სომხურად და კათოლიკური სარწმუნოების ქართველების რელიგიური გასომხება, რამაც მათთან მოსახლეობის დაპირისპირება გამოიწვია. მათ პოლიტიკას მხარს უჭერდა ჯერ ოსმალეთის, ხოლო XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია... 1632 წლის კონგრეგაციის დეკრეტის საფუძველზე, საქართველოს კათოლიკეები დაექვემდებარნენ ისპაჰანის ლათინური წესის ეპისკოპოსს, ხოლო შემდგომში თბილისში დაწესდა სამოციქულო სავიკარიუსო. XVII საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ რომიდან წარმოგზავნილი მისიონერები - ავგუსტინელი და იეზუიტი მოღვაწეები გამოემართებიან. 1626 წელს პაპი ურბან VIII (1623-1644 წ.წ.) საქართველოში აგზავნის თეატინელთა ორდენის წევრებს, რომლებიც ქვეყანაში 1700 წლამდე იმყოფებოდნენ. მალე მათ გვერდით გაჩნდნენ კაპუცინელებიც, რომელთა საქმიანობა გრძელდებოდა 1661 წლიდან 1845 წლამდე, იმ დრომდე, სანამ ისინი საქართველოდან რუსეთის ხელისუფლებამ არ გააძევა. კათოლიკეთა ფინანსური მხარდაჭერით, რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნები: ლორეტას ლიტურგია, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკა. მათ საქართველოში პირველად ჩაიწერეს ქართული ზღაპრები, შეადგინეს ქვეყნის სხვადასხვაგვარი აღწერილობები, შეკრიბეს ქართული სინამდვილის ამსახველი წყაროები. ქართველ მეფეებსა და კათოლიკოზებს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდათ რომის საყდართან. კათოლიკე სამღვდელოება ჩნდება მეფეთა და დიდებულთა კარზე. ქვეყანაში ჩნდება კათოლიკური სასკოლო-საგანმანათლებლო და სამკურნალო კერები. 1628 წელს პორტუგალიელი ავგუსტინელი მოღვაწეები მეფე თეიმურაზ I-ს ჩამოუტანენ დედამისის, ქეთევან დედოფლის,

ნეშტს. მადლიერი მეფე ჩამოსულებს მიწას აჩუქებს გორში, სადაც შემდგომში კათოლიკური ტაძარი აშენდება. XVIII საუკუნეში, თბილისში, კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ კათოლიკეები მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართულ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ თუ კულტურულ ასპარეზზე. XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, კათოლიკე მოღვაწეთა საქმიანობა უფრო მეტად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროსაკენ გადაიხარა. XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში შენდება კათოლიკური ტაძრები: თბილისში წმინდა მარიამის ზეცად აღყვანებისა (1804 წელს, ამჟამინდელი საკათედრო ტაძარი) და წმინდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი (1877 წელს), ქუთაისში წმინდა მარიამის უბიწოდ ჩასახვისა (1826-1860 წ.წ.), ბათუმში წმინდა მარიამის შობისა (1903 წელს, კათოლიკე ძმების, ზუბალაშვილების ნივთიერი შემწეობით) და სხვ. 1850 წლიდან საქართველოს კათოლიკეები შედიან ტირასპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციაში, რომლის რეზიდენცია რუსულ ქალაქ სარატოვში მდებარეობდა. კათოლიკე სამღვდელოება მთელ საქართველოში ამ დროს ადგილობრივი იყო, რომელთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა 1861 წელს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) დაფუძნებულ უბიწოდ ჩასახვის კონგრეგაციის საძმოს (ქართული კათოლიკური საკრებულო სტამბოლში 1974 წლამდე არსებობდა). ამ დროს დიდად უწყობენ ხელს წიგნიერების განვითარებას, ეროვნული ცნობიერების გაღვივებას, ქართული კულტურის გავრცელებასა და გაღრმავებას ქართველი კათოლიკე მოძღვარნი (პეტრე ხარისჭირაშვილი, იოანე გვარამაძე, იოსებ ხუციშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, მიქაელ თამარაშვილი, დომინიკე პაწაძე, ალფონს ხითარიშვილი, ანსელმ მღებრიშვილი, დამიანე სააკაშვილი, გაბრიელ ასლანიშვილი, მიხეილ

თარხნიშვილი და სხვ.). 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს კათოლიკეებს დიდი დევნა დაატყდათ თავს. ამ დროს საქართველოში 50 000-მდე კათოლიკე ცხოვრობდა. დახურეს და დაანგრიეს ტაძრები: საქართველოში მანამდე მოქმედი 60 კათოლიკური ტაძრიდან კომუნისტური რეჟიმის ხანაში მოქმედებდა ერთადერთი თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი. ფაქტობრივად, განადგურდა მთელი ქართველი კათოლიკე სამღვდელოება. არქიმანდრიტი შიო ბათმანიშვილი (1885-1937 წ.წ.), რომელიც პაპმა პიუს XI-მ რომში პირადი შეხვედრის შემდეგ საქართველოს კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა, სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, 1937 წელს დახვრიტეს. უკანასკნელი ქართველი კათოლიკე მღვდლები, რომელთაც მრავალი დევნა-პატიმრობა გადაიტანეს და თბილისში საბჭოთა პერიოდში მსახურებდნენ, იყვნენ: ემანუელ ვარდიძე (1886-1966 წ.წ.) და კონსტანტინე საფარიშვილი (1887-1973 წ.წ.). მათ შემდეგ საქართველოში ადგილობრივ კათოლიკე მღვდელს აღარ უმსახურია.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ი.სტალინმა საბჭოთა კავშირში რელიგიის მიმართ მკაცრი პოლიტიკა შეცვალა, ყველა კონფესიას მიეცა გარკვეული შეღავათები, თუმცა ეს არ გავრცელდა კათოლიკურ სამრევლოებზე. ერთხანს საბჭოთა ხელისუფლება თანახმა იყო, ვატიკანს საბჭოთა კავშირში დაენიშნა კარდინალი, რომელსაც საბჭოთა კავშირში არსებული კათოლიკური სამწყსო დაექვემდებარებოდა, მაგრამ, იმ პირობით, თუ ის უსიტყვოდ შეასრულებდა საერო ხელისუფლების ყველა მითითებას. ასეთ შეთავაზებაზე რომის პაპმა პიუს XII-მ კატეგორიული უარი განაცხადა. სტალინს კარგად ახსოვდა დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე გერმანელთა ოკუპაციის დროს ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ანდრეი შეპტიცკის ანტისაბჭოთა პოზიცია,

ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირში რომის პაპს დაქვემდებარებული ძლიერი სამრევლოს არსებობა. 1945 წელს დააპატიმრეს უკრაინაში ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ყველა ეპისკოპოსი და 500 მღვდელი, ხოლო 1946 წელს, ლვოვის საეკლესიო კრებაზე, მათ მიაღებინეს გადაწყვეტილება ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის დედა რუსეთის ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ. რაც შეეხებოდა დანარჩენ კათოლიკე მრევლს, მათ კიდევ უფრო შეუზღუდეს უფლებები და ვატიკანიდან გამოგზავნილი სასულიერო პირები ქვეყნიდან გააძევეს. სტალინის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა კათოლიკეთა მიმართ შეურიგებელი პოლიტიკა. ნ.ხრუშჩოვის ხელისუფლება (1953-1964 წ.წ.) კათოლიკეებს „დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტებად" თვლიდა და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ. ათეიზმის სახელმძღვანელოში, რომელიც უმაღლეს სასწავლებელებში ყველა სპეციალობის სტუდენტებისათვის სავალდებულო საგანი იყო, საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომაულ-კათოლიკური ეკლესია მხარს უჭერდა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელებს, ისინი გამოირჩეოდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ სიძულვილით. ასეთ ვითარებაში, თბილისში ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ეკლესიის, წმ. პეტრესა და პავლე მოციქულის ტაძარს, მის წინამძღვარს და სამრევლოს უმძიმეს ვითარებაში უწევდათ ყოფნა. მორწმუნე მრევლის უმრავლესობა შიშიანობის გამო ტაძარში ვერ მიდიოდა. ტაძრის წინამძღვარმა ემანუელ ვარდიძემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საპატიმროებსა და გადასახლებაში გაატარა და დასნეულებული 1966 წელს გარდაიცვალა. ახალი წინამძღვარი კონსტანტინე საფარაშვილი ასევე დევნილი იყო ხელისუფლებისგან. იგი ერთხანს იძულებული იყო, ბორჯომში ფოტოგრაფად ემუშავა და ფარულად ახერხებდა მორწმუნე კათოლიკეების ზიარებას, მაგრამ უშიშროებამ შეიტყო და დაპატიმრებით დაემუქრა. ემანუელ ვარდიძის გარდაცვალების შემდეგ,

როდესაც კონსტანტინე საფარაშვილი დაინიშნა თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის წინამძღვრად, იგი დაბრუნდა თბილისში. მის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა რომის პაპი იოანე პავლე VI, რომელმაც 1971 წელს საგანგებოდ მიულოცა მას სასულიერო მოღვაწეობის 60 წლისთავი. 1971-1995 წლებში ტაძრის წინამძღვარი იყო იან სნეჟინსკი. ხელისუფლება, მრევლის სიმცირის მიუხედავად, გადასახადებს უზრდიდა ტაძარს, რითაც სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა.

XX საუკუნეში საქართველოსა და რომის ეკლესიების დაახლოებისათვის პირველი ნაბიჯები გადაიდგა 1970-იან წლებში. 1978 წლის მარტში თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ვატიკანის კარდინალი იოანე ვილებრანდსი. 1980 წელს პატრიარქი ილია II ვატიკანში შეხვდა რომის პაპი იოანე პავლე II-ს. 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც თბილისში საბჭოთა კავშირის რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმა სასტიკად დაარბია თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი, მათ სანუგეშებლად და დასახმარებლად, რომის პაპის იოანე პავლე II-ის კურთხევით, თბილისში ჩამოვიდა დედა ტერეზა, შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს: ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. დედა ტერეზა შეხვდა და ფულადი დახმარება გაუწია დაზარალებულებს. პატრიარქმა დედა ტერეზა ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში აღორძინდა ქართული, ლათინური, სომხური, ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკური საკრებულოები. 1992 წლის 23 მაისს განახლდა დიპლომატიური ურთიერთობები ვატიკანთან. 1993 წელს თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო. პირველი ელჩი იყო არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი (1993-1998 წ.წ.), იგი შეცვალა არქიეპისკოპოსმა პიტერ სტეფან ცურბრიგენმა (1998-2001 წ.წ.). 1996 წელს რომის პაპმა ამიერკავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა და საქართველოში, სომხეთსა

და აზერბაიჯანში ლათინური წესის კათოლიკეთათვის ეპისკოპოსის მოვალეობა დააკისრა ჯუზეპე პაზოტოს, რომელიც 2000 წელს ეპისკოპოსად აკურთხა. 1999 წელს იოანე პავლე II ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში. ეს იყო რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პირველი ჩამოსვლა საქართველოში. ამ ვიზიტს ჰქონდა დიდი პოლიტიკური და რელიგიური დატვირთვა. პაპი იოანე პავლე II შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს, პატრიარქ ილია II-ს, იმყოფებოდა სვეტიცხოველში, წმინდა პეტრესა და წმინდა პავლე მოციქულების სახ. თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც მრევლს საგანგებო სიტყვით მიმართა. 2016 წლის 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე საქართველოს სტუმრობდა რომის პაპი ფრანცისკე. ამ ვიზიტმა კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოსა და რომის ეკლესიების ურთიერთობა. კათოლიკურმა ეკლესიამ საზღვარგარეთის ქართულ სამრევლოებს ევროპის ქვეყანებში ღვთისმსახურების ჩასატარებლად დაუთმო ტაძრები. ამჟამად საქართველოში არიან ქართველი,სომეხი და ასირიელ-ქალდეველი კათოლიკები,რომელთაც აქვთ თავიანთი ეკლესიები. საქართველოში მოღვაწეობენ: ბენედიქტელთა, კაპუცელთა, კამილელთა ორდენები, სტიგმელთა კონგრეგაცია, სალელთა საზოგადოება, წმინდა ელისაბედისა და დედა ტერეზა კალკუტელის მოწყალების ორდენები, წმინდა იოსების მცირე ქალიშვილთა კონგრეგაცია და სხვა. 1996 წელს თბილისში კათოლიკე მრევლს დაუბრუნდა წმინდა მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარი, რომელსაც ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია, 1999 წელს ის აკურთხეს და გადაიქცა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის საკათედრო ტაძრად. კათოლიკური ეკლესიები გაიხსნა სამცხე-ჯავახეთში (არალი, უდე, ვალე, ახალციხე), ქუთაისში, ბათუმში. 1994 წელს გამოდიოდა გაზეთი „საქართველოს კათოლიკე“, ხოლო 1995-2005 წლებში, მანანა ანდრიაძის რედაქტორობით, გაზეთი „საბა“. 1989 წლიდან თბილისში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაცია

„კათარზისი“, რომელიც ეხმარება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. 1994 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს კათოლიკური ეკლესიის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“, რომელიც მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. სულხაან საბას სახ. კათოლიკური უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებს. 1991 წლიდან სახელმწიფო ცდილობს, კათოლიკურ თემს შეუქმნას ყველა პირობა ნორმალური ფუნქციონირებისათვის საუკუნეთა მანძილზე საქართველოში ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ სომხები. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფო მართლმადიდებლური იყო და შუა საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის კათოლიკოზ-პატრიარქები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ ყოფილა შემთხვევა, სარწმუნოებრივი განსხვავების გამო, ეთნიკური სომხების დევნა-შევიწროებისა. კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე სომხებს შეეძლოთ სომხური ეკლესიების გახსნა და წირვა-ლოცვა სომხური დოგმატიკის მიხედვით. შუა საუკუნეებში ეჩმიაწინის საკათალიკოსოს ჰქონდა თავისი საეპისკოპოსო საქართველოში. XI-XIII საუკუნეებში სომეხ-ქართველთა რამდენიმე ერთობლივი კრება შედგა: 1046 წელს ღრტილაში, 1197 წელს თბილისში, 1204 წელს კვლავ თბილისში. იყო მცდელობა, ერთიან ქართულ სახელმწიფოში ყოფილიყო ერთი ქრისტიანული აღმსარებლობის ეკლესია, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სომხური საეკლესიო წესებისა და კალენდრის ქართულთან დაახლოების მიზნით, ზაქარია მხარგრძელმაც მოიწვია ორი საეკლესიო კრება: ლორეში 1205 წელს და ანისში 1207 წელს, მაგრამ უშედეგოდ. სომხეთის ტერიტორიაზეც შეიქმნა ვალაშკერტის დიოფიზიტური საეპისკოპოსო და აშენდა ქართული ეკლესიები. ჯერ დავით აღმაშენებელმა, შემდეგ ერეკლე მეორემ 1780 და 1787 წლებში ერევნიდან ქართლ-კახეთში 7 000 სომეხი გადმოასახლა, რომელთა ნაწილი შემდეგ განჯაში გადასახლდა. 1826-28 წლებში, რუსეთ-ირანის ომის დროს, 35

000 სომეხი გადმოასახლეს ქვემო ქართლში, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის (1828-29 წ.წ.) შემდეგ, დაახლოებით 90 000 სომეხი გადმოსახლდა ჯავახეთში. ცხადია, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დიდი რაოდენობით დამკვიდრებულ სომხურ მოსახლეობას თავისი ეკლესიები და სკოლები ესაჭიროებოდა და აშენებდა კიდეც. 1655 წელს თბილისში ხოჯივანქის ეკლესია აშენდა და მასთან სომეხთა სასაფლაოც გაიხსნა, რომელიც თანდათან თბილისელ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად იქცა. აქ განისვენებენ გამოჩენილი სომეხი მწერლები, სომხური მწერლობის კლასიკოსები: რაფი, მურაცანი, ნარდოსი, პ. პროშიანი, გ. სუნდუკიანი, ჰ. თუმანიანი და სხვა. საქართველოს სომეხთა სამწყსოს იერარქები ხშირად სომხეთის ეკლესიისა და სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეებიც იყვნენ. რამდენიმე მათგანი შემდეგში სრულიად სომეხთა კათალიკოსიც გახდა. 1824 წელს არქიეპისკოპოსმა (1843-1857 წლებში სრულიად სომეხთა კათალიკოსმა) ნერსეს აშტარაკეცმა, ე.წ. ნერსესიანის სკოლა დააარსა, რომელმაც დიდხანს იარსება. ამ სკოლაში აღიზარდა სომხეთის კულტურისა და მეცნიერების მრავალი მოღვაწე:პერჩ პროშიანი,ღაზაროს აღაიანი,ოვანეს თუმანიანი,დენერიკ დემირჩიანი,ანასტას მიქოიანი. სასწავლებლის დახურვა დიდი დარტყმა იყო სომხური ეკლესიისათვის.

XX საუკუნის 30-იან წლებში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირში“ იყო სპეციალური ჯგუფი, რომელთაც, „რელიგიური ცრურწმენების“ აღმოფხვრის მიზნით, უნდა ემუშავათ საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაშიც. კვლავ გრძელდებოდა საქართველოს სომხებით დასახლებულ რეგიონებში ადმინისტრაციული წესით ეკლესია-მონასტრების დახურვა, ხოლო იმ სასულიერო პირების მიმართ რეპრესიები, ვინც ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. საქართველოში მცხოვრებ სომხებში დიდ საagიტაციო მუშაობას ეწეოდა ე.წ. „თავისუფალი სამღვდელოების“ მოძრაობა, რომელიც,

რუსული „ობნავლენცების“ და ქართული „განახლებისა და რეფორმების ჯგუფის“ მსგავსად, უპირისპირდებოდა ტრადიციულ სომხურ ეკლესიას და მის რელიგიურ ცენტრს ეჩმიაწინს. 1929-33 წლებში საქართველოში სომხური ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი არტაკ სუმბატიანცი შეეცადა „თავისუფალი სამღვდელოების“ მოქმედებების შესუსტებას, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში, ყოველთა სომეხთა უმაღლესმა კათალიკოსმა ხორენ I-მა თბილისის სომხური ეპარქიის მმართველად დააბრუნა მთავარეპისკოპოსი გევორქ ჩორექჩიანი, რომელმაც ენერგიული ზომები გაატარა საეპარქიო საქმეების მოსაწესრიგებლად. მან რეგისტრაციაში გაატარა ანტირელიგიურ კამპანიას გადარჩენილი ეკლესიები და იქ მოღვაწე სასულიერო პირები, ივალდებულა ყველა ის პირობა, რასაც სახელმწიფო რეგისტრირებულ ეკლესიებს უყენებდა. 1944-1948 წლებში საქართველოს სომხურ ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი კარაპეტ საჰაკიანი.

1941-1945 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეცვალა თავისი რელიგიური პოლიტიკა, საქართველოს სომხურმა ეპარქიამაც ისარგებლა. თუ 1934 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი იყო 4 სომხური ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას ატარებდა 14 სასულიერო პირი, 1945 წელს მოქმედი ტაძრების რაოდენობა იყო 7, სასულიერო პირებისა 20-მდე. 1945 წელს, სომეხთა უმაღლეს კათალიკოსად ყოფნის დროს, გევორქ VI იმყოფებოდა თბილისში. მან წირვა ჩაატარა სურბ-გევორქის ეკლესიაში, შეხვდა სომხურ დიასპორას და მოუწოდა მათ, მხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკისათვის.

1952-2000 წლებში საქართველოს სომხური ეპარქიის წინამძღოლები იყვნენ: არქიეპისკოპოსი ვაჰან კოსტანიანი (1953-1955 წ.წ.), ეპისკოპოსი ვარდან ტერ-საჰაკიანი (1955-1956 წ.წ.), ეპისკოპოსი ვაჰან გალამდარიანი (1956-1957 წ.წ.), არქიეპისკოპოსი კომიტას ტერ-სტეფანიანი (1957-1972 წ.წ.), არქიეპისკოპოსი გევორქ სერაიდარიანი (1972-

2002 წ.წ.). ყოველთა სომეხთა უმაღლეს კათალიკოსად ვაზგენ I-ის არჩევის შემდეგ (1955 წ.), სომხურმა ეკლესიამ, საზღვარგარეთ არსებული მდიდარი სომხური დიასპორის მეშვეობით, მოახერხა ფინანსური კრიზისის დაძლევა და გააქტიურა თავისი საქმიანობა როგორც სომხეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საზღვარგარეთ იბეჭდებოდა სომხური სასულიერო შინაარსის ლიტერატურა, სომხეთის რუკები და ვრცელდებოდა სომეხ მორწმუნე მოსახლეობაში. კათალიკოსმა ვაზგენმა საიდუმლო წერილი გაგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობასთან და მოითხოვა ჯავახეთის სომხეთისათვის გადაცემა. როგორც ჩანს, ამ წერილის შინაარსი ცნობილი გახდა პატრიარქ ეფრემისთვის, რომელმაც მკაცრი წერილით უპასუხა სომეხთა კათალიკოსის ამ მოთხოვნას.

XX საუკუნის 70-იან წლებში, არქიეპისკოპოს კომიტასის ინიციატივით, თბილისის სურბ-გევორქის ეკლესიის საკურთხეველი მარმარილოთი მოპირკეთდა. არქიეპისკოპოსმა გევორქმა 1976 წელს აკურთხა სურბ სარგისის ეკლესია. მისი ინიციატივით, 1977-1978 წლებში სურბ-გევორქის ეკლესიაში მოიხსნა გაჯით ნალესი კედელი და გამოჩნდა ცნობილის მხატვრის ნარაშ ჰოვნათანიანის მიერ შესრულებული 16 ფრესკა. 1979-1980 წლებში გაფართოვდა სომხური ეპარქიის რეზიდენცია. 1988 წელს აკურთხეს სოფელ დაღეთის სამლოცველო, 1989 წელს - დაბა შაუმიანის ეკლესია სურბ ასტავაწაწან, 1990 წელს საქართველოს სომხურ ეპარქიას გადაეცა ბათუმის სურბ ფრკიჩ ეკლესია, 1991 წელს - გუდაუთაში მეწარას ეკლესია.

2000 წლის მონაცემებით, საქართველოში სომხურ ეპარქიას ჰქონდა 20-მდე მოქმედი ეკლესია და ჰყავდა 17 სასულიერო პირი. რელიგიურ-დოგმატური განსხვავების მიუხედავად, საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის არსებობს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები და ეს გრძელდება XXI საუკუნეში. თავისი მამამთავრობის დროს კათალიკოსი ვაზგენ I მრავალჯერ სტუმრობდა საქართველოს. მისი გზა განაგრძეს სომეხთა კათალიკოსებმა

გარეგინ I-მა და გარეგინ II-მ. საქართველოს პატრიარქები მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II სტუმრობდნენ სომხეთს. 2003-2019 წლებში საქართველოს სომხურ ეპარქიას ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი ვაზგენი (მირზახანიანი), 2019 წლიდან კი - ეპისკოპოსი კირაკოსი (დავთიანი).

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მიერ იერუსალიმის აღებასა და განადგურებას უკავშირებს (ძვ. წ.აღ. 586 წ). იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელებს საქართველომდე მოუღწევიათ, მცხეთაში მისი მამასახლისისგან ხარკით მიწები აუღიათ და ძველი დედაქალაქის გარეუბანში, ზანავში, დასახლებულან. მომდევნო პერიოდში, საქართველოში დევნილ ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი შემოდის. IV საუკუნეში, მცხეთის გარდა, ებრაელები ცხოვრობდნენ ურბნისსა და ბოდბეში, კოდისწყაროსა და ხობისში. VI საუკუნისათვის ისრაელიანთა კიდევ ერთი ჯგუფი, ბიზანტიიდან დაძრული, ჯერ დასავლეთ, ხოლო მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდება. ვარაუდობენ, რომ აქ X საუკუნეში, ხაზართა სამეფოს დაცემის შემდეგ, სლავი ტომებისგან დევნილი ხაზარი ებრაელების ერთი ნაწილიც დაბინავდა. XIX საუკუნის დამდეგს თურქეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან. ამავე პერიოდში ებრაელები ირანიდან და ერაყიდანაც გადმოდიან. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) აქ პირველად 1804 წლიდან გამოჩნდნენ. 26-საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა „ქართველი ებრაელის“ ფენომენი. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მიწას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და, ამავე დროს, მტკიცედ იცავს იუდაური ცხოვრების წესს. ებრაული, მათი მშობლიური ენა, რომელზეც დაწერილია ბიბლიის წიგნები, განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა წრეებში. ამ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება ებრაულ სალოცავებში. ბეით ქნესეთი და

მისი ეზო ყველა ჭირთათმენისა და სიხარულის ადგილი იყო ებრაელთათვის. ჯამაათის (ებრაული თემი, კეჰილა) ზრდასთან ერთად, ქალაქებსა თუ სხვა სახის დასახლებებში, მატულობდა სალოცავების რიცხვიც. ქართველი ებრაელები თალმუდისტური იუდაიზმის ერთგულნი დარჩნენ. გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითად სამოსახლო პუნქტებს წარმოადგენდა: სურამი, ახალდაბა, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთისხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის შეყოლებით: სამცხე-ჯავახეთში - ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე; კახეთსა და ქიზიყში ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო; დასავლეთ საქართველოში: იმერეთში - ქუთაისი, ვანი, კულაში; სამეგრელოში ფოთი, ბანძა, სენაკი; რაჭა-ლეჩხუმში - ონი, ლაილაში, ხოტევი; გურიაში - ოზურგეთი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელებმა თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას, რათა დედაქალაქში მათთვის ახალი სამლოცველოს აშენების ნება დაერთო. 1905-1906 წლებში ახალი სინაგოგის მშენებლობა დასრულდა და ებრაელი მოსახლეობაც, ძირითადად, მის მახლობლად განსახლებულა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ კოტე აფხაზის და ვერცხლის ქუჩის მიდამოებში. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი, ძირითადად, ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ ხორცი შეისხა სიონიზმის სახით. საქართველოში ამ იდეის შემომტანები და გამავრცელებლები, ძირითადად, აშკენაზები იყვნენ. სიონისტური წრეები თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში XIX საუკუნის დამლევს ამოქმედდა. 1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა

განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს, იცავდა ქაშრუთს. წინადაცვეთა, ქორწინება და დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით სრულდებოდა. ბავშვები 13 წლის ასაკამდე სწავლობდნენ იატაკქვეშა არალეგალურ ხედერებში. მართალია, მათი არსებობის შესახებ ხელისუფლებამ იცოდა, მაგრამ ამჯობინებდა ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიექცია. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. საქართველოდან ებრაელთა გადინებამ კულმინაციას 1991-1994 წლებში მიაღწია. სადღეისოდ საქართველოს ებრაული თემი მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების მხრიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტი „ჯოინთი“ (დაარსდა 1914 წ.). „ხესედები“ საქველმოქმედო ცენტრები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი (დაარსდა 1993 წ.), რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“ საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის („სოხნუთი“). იგი საერთაშორისო ებრაული ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელობის შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.). საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის, თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში „თიფერეთ ცვი“ უკვე კარგა ხანია მოქმედებს ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია - იეშივა. მისივე ინიციატივით, 1999 წლის ივნისში დაარსდა მსოფლიო ქალთა ორგანიზაციის „ემუნა“-ს (რწმენა) თბილისის ფილიალი, რომელიც მორწმუნე ქალების მოძრაობაა და თორის მიხედვით

ცხოვრების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. რაბინმა აბრამ მიხელაშვილმა, საქართველოში მოღვაწეობა 2001 წლის ბოლოს დაიწყო. ერთ-ერთი ებრაული ფონდის დახმარებით, მან თბილისში ებრაულ ტრადიციებზე დაფუძნებული სკოლა-სასწავლებელი გახსნა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენას, ისტორიასა და ტრადიციებს ეუფლებიან. რაბინი აბრამ მიხელაშვილი აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი (დაახ. 80%) სეფარადები, დანარჩენი კი, ე.წ. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) არიან. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში. ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს მათ შორის დაპირისპირების რაიმე მაგალითი. ორი ხალხის ეს ურთიერთობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ, სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, შესაძლებელია მეგობრობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება.

ისლამის გავრცელება საქართველოში არაბობის ხანიდან VII-IX ს.ს.-იდან იწყება. აღმოსავლეთ საქართველოში ისლამის გავრცელებას ის ადმინისტრაციული ერთეულები უმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც აქ არაბებმა შექმნეს: ქართლის (გურზან), შემდეგ კი თბილისის საამირო, რომელიც კავკასიაში მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ - VIII საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა. იგი მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთს) მოიცავდა. ცენტრად თბილისი გამოცხადდა და ეს სტატუსი მან საამიროს გაუქმებამდე შეინარჩუნა. საამირო კი მაშინ გაუქმდა, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა (1122 წ.) და ტახტი ქუთაისიდან აქ გადმოიტანა. მუსლიმთა შიში, რომ ქრისტიანი მეფე მათ სარწმუნოებრივ უფლებებს შელახავდა, არ გამართლდა. მოხდა პირიქით. საბრძოლო ოპერაციების დასრულებისთანავე მეფემ გამოსცა ბრძანება, რომელიც მუსლიმთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, XII-XIII

საუკუნეების არაბი და თურქი ისტორიკოსები იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიქი და ალ-ჯაუზი აღნიშნავენ, რომ გამარჯვებულმა დავით მეფემ დედაქალაქის მუსლიმ მოსახლეობას საგადასახადო სისტემაში გარკვეული შეღავათები მისცა. XVI-XVIII საუკუნეებში ადგილი ჰქონდა სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) ინტენსიურ ისლამიზაციას. ამავე პერიოდში ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. იქ ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისლამს უფრო მეტად წარჩინებული ფენა იღებდნენ, დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. იმხანად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიც, მეტწილად, მუსლიმ მეფეთა ხელში იყო. ქართველი მუსლიმებს ის კახელებიც შეემატნენ, რომლებიც შაჰ აბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ (ფერეიდნელი ქართველები). გამაჰმადიანებას ვერ გადაურჩნენ აღმოსავლეთ კახეთის (საინგილო) მოსახლეობა. დღეს ინგილოები სამ რაიონში ცხოვრობენ: კახსა, ზაქათალასა და ბელაქანში (აზერბაიჯანი). თურქეთში ამჟამად, ანკარის ქართველთა სათვისტომოს მონაცემით, ორი მილიონი ქართველი მუსლიმი ცხოვრობს.

XIX საუკუნის დასაწყისში, გამაჰმადიანებული ქართველების აღსანიშნავად, გაჩნდა ტერმინები: „ოსმალეთის საქართველო“ და „სამუსლიმანო საქართველო“, რაც ერთიანი საქართველოს (X-XV ს.ს.) სამხრეთ დასავლეთის პროვინციებს (ზემო ქართლს) გულისხმობდა. 1878 წლიდან, აჭარის შემოერთების შემდეგ, საქართველოს შემადგენლობაში მოექცა ქართველი მუსლიმების დიდი ნაწილი. ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვანი თანამემამულეებს თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისაკენ მოუწოდებდნენ, ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური პლურალიზმი ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტია

და ამ მოვლენაში სახიფათო არაფერია. იაკობ გოგებაშვილმა მუსლიმი ბავშვებისთვის დედა ენის საგანგებო ვარიანტი შეადგინა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ და ზაქარია ჭიჭინაძემ ქართველ მუსლიმებთან ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც სარწმუნოებრივ აქცენტებს გამორიცხავდა. იმდროინდელი პრესა („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა) ყოველდღიურად აქვეყნებდა მასალებს მუსლიმთა სულიერი და ყოფითი პრობლემების შესახებ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა, პატრიოტი მუსლიმი ქართველის, სანჯაყ-ბეგ აბაშიძის შთამომავლებმა, „ქართველ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოება“ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ჩამოაყალიბეს. 1919-1921 წლებში გამოდიოდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. ქართველი მუსლიმები (მათი უმეტესი ნაწილი) მიესალმნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ისლამისადმი კეთილგანწყობის მაგალითად საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება გამოდგება, რომელიც 1920 წელს გაკეთდა: „ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო, ძმისას. უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია.

ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს“ მუსლიმი მოსახლეობის დაბალ ფენებზე განსაკუთრებით დიდი იყო მოლებისა და ხოჯების გავლენა. ხელისუფლებას აფიქრებდა მოსახლეობაში მოლების ფარული აგიტაცია საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ, ამიტომ ცდილობდა ანტირელიგიური ჯგუფების გაძლიერებას და მოსახლეობაში „ყურბან-ბაირამისა“ და „მოჰარამის“ საწინააღმდეგო პროპაგანდას, მაგრამ გაუნათლებელ მოსახლეობას მოლების უფრო სჯეროდა. ანტირელიგიურ პროპაგანდაში აქტიურად იყვნენ ჩართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელნი. „მოჰარამის“ საწინააღმდეგო კამპანიის დროს, ქვეყნის შინსახკომის წარმომადგენლები იბარებდნენ ამ ღონისძიების ორგანიზატორებს და აფრთხილებდნენ მათი მავნებლობის შესახებ. ამ მუსლიმანურ დღესასწაულს თბილისელი მუსლიმები „შაჰსეი-ვაჰსეის„ უწოდებდნენ და, აკრძალვის მიუხედავად, მაინც აღნიშნავდნენ. XX საუკუნის 40-იან წლებში, თბილისში, მეტეხის ხიდის რეკონსტრუქციის დროს, დაანგრიეს შიიტური მეჩეთი. ასეთ ვითარებაში სუნიტებმა შეიფარეს შიიტები და მოხდა მათ შორის შეთანხმება, გაანაწილეს დღეები და ორივე მიმდინარეობის მუსლიმთა სალოცავი გახდა თბილისის მეჩეთი, რაც იშვიათი მოვლენა იყო. XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მოქმედი იყო 2 მეჩეთი თბილისის და ბათუმის.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა მუსლიმ მოსახლეობაში განათლების კერების ფართო ქსელის გახსნა. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, თურქეთთან დადებული ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში დარჩა, ხოლო სამცხე-ჯავახეთი - საბჭოთა საქართველოს საზღვრებში. საოკუპაციო ხელისუფლებამ მუსლიმი მესხები „აზერბაიჯანელებად“ ჩაწერა და, შესაბამისად, მათ გაუხსნეს აზერბაიჯანული სკოლები. ამ მავნე გადაწყვეტილების შედეგი იყო მუსლიმი

მესხების ქრისტიან ქართველებისაგან კიდევ უფრო გაუცხოება და დაპირისპირება. 1944 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ, მკაცრად გასაიდუმლოებული ოპერაციის შედეგად, სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში გადაასახლა მუსლიმი მესხები, რაც დღესაც სერიოზული გამოწვევაა ქართული სახელმწიფოსათვის. 50-70-იან წლებში საქართველოს მუსლიმთა თემი გაძლიერებული ანტირელიგიური პროპაგანდის პირობებში არსებობდა, მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში თითქმის არსად არ ფუნქციონირებდა მეჩეთები, ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ვითარებას და მუსლიმ მოსახლეობაში არალეგალურად ჩასულ მოლებს მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ამის მიუხედავად, აჭარის მაღალმთიან სოფლებში დიდი იყო ადგილობრივი მოლების და მუსლიმური ტრადიციების გავლენა. უშედეგო იყო თბილისიდან ჩასული საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ლექციები და განმარტებითი საუბრები. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში, აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში მოსდა საოცარი ცვლილება - ბევრმა დატოვა მაჰმადიანობა და გადავიდა ქრისტიანობაზე. აქ მთავარი მოტივი გახდა იმ დროს პოპულარული ეროვნული იდენტობის ცნება, რომელიც ქრისტიანობის დომინანტობას გულისხმობდა. მაგრამ შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა აჭარაში გაიხსნა მუსლიმანური სასწავლებლები, საიდანაც წარჩინებული სტუდენტები სწავლის გასაგრძელებლად მიდიან თურქეთში. უკან დაბრუნებულები მყარად დგანან მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე და იცავენ მუსლიმურ ტრადიციებს.

1991 წელს, აჭარის მთავრობაში ასლან აბაშიძის მოსვლის შემდეგ, შედარებით დარეგულირდა სახელმწიფოსა და მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი აჭარლების ურთიერთობა. რეგისტრაციაში გატარდა ახალი რელიგიური

ორგანიზაციები, გააქტიურდა კონტაქტები თურქეთისა და არაბული სამყაროს ისლამურ ორგანიზაციებთან. მიუხედავად იმისა, რომ 1988-91 წლებში აჭარაში ბევრი მუსლიმანი გადავიდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და რეგიონში გაიზარდა მართლმადიდებლური სკოლების, გიმნაზიებისა და მოქმედი ეკლესიების რაოდენობა, 2000 წლის მონაცემებით, აჭარაში 100-ზე მეტი მეჩეთი, 40-მდე მედრესე, 9 სკოლა იყო. მედრესეში მოსწავლეები მხოლოდ რელიგიურ განათლებას იღებენ. აჭარის მუსლიმი მოსახლეობა, რომლებიც ქართველები არიან და პატივს სცემენ ქრისტიან ქართველებს, ამაყობენ თავიანთი წარსულით, მათ სჯერათ, რომ ისლამური სარწმუნოება ხელს არ უშლიდათ, დაეცვათ თავისი სამშობლო. აჭარის მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტებია, ხოლო ქვემო ქართლსა და კახეთში აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილი შიიტებია, ნაწილი სუნიტები. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მარნეულის, დმანისის, გარდაბნის, ბოლნისის, საგარეჯოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში აშენდა ასობით მეჩეთი, მუსლიმანური სალოცავები, შეიქმნა საკვირაო სკოლები. შიიტ მოსახლეობას კოორდინაციას უწევს ჰაჯი რამინ იგიდოვი, რომელიც ჯერ თბილისში იმამ ალის მედრესის დირექტორად, ხოლო შემდეგ სრულიად საქართველოს შეიხად დაინიშნა. რაც შეეხება აზერბაიჯანელ სუნიტებს, მათი კოორდინატორი იყო თბილისის ჯუმა მეჩეთის იმამ-ხათიბი იასინ ალიევი, რომელიც შემდეგ გახდა აზერბაიჯანელ სუნიტ მუსლიმთა მეთაური აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი.

აღმოსავლეთ საქართველოში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მაჰმადიანები არიან. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პანკისის ხეობაში განახლდა და აშენდა ახალი მეჩეთები. პანკისის ხეობის მოსახლეობისათვის სერიოზულ პრობლემად იქცა ვაჰაბიზმი, რომელიც სწრაფად გავრცელდა ახალგაზრდებში, შემდეგ ამ ახალგაზრდების ნაწილი გავიდა პანკისის ხეობიდან ახლო აღმოსავლეთში.

პანკისელი ქისტები ყველაზე მეტად არიან ინტეგრირებული ქართულ სახელწიფოებრივ სივრცეში.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში, ძირითადად თბილისსა და ქვემო ქართლში, იყო გერმანული დასახლებები. გერმანელებს ჰქონდათ ლუთერანული ეკლესიები. 1927 წლის მონაცემებით, გერმანელთა რაოდენობა 10 ათას შეადგენდა. გერმანელებს, თავიანთი იდენტობის შესანარჩუნებლად, ლუთერანულ ეკლესიებთან ჰქონდათ სკოლები, მაგრამ ანტირელიგიური კამპანიის დროს, 1931 წელს, აიკრძალა ამ სკოლების საქმიანობა. 1931 წელს დააპატიმრეს წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის პასტორი რიხარდ მაიერი, რომელიც 1933 წელს დახვრიტეს. ამის შემდეგ ლუთერანული ეკლესიები გადააკეთეს ბიბლიოთეკებად და კინო-თეატრებად. 1941 წლის 15-30 ოქტომბერს საქართველოდან ყაზახეთში გადაასახლეს გერმანელთა ოჯახები, ხოლო 1946-1947 წლებში გერმანელ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინეს გერმანელთა ეკლესია ახლანდელ მარჯანიშვილის მოედანზე. ასეთი მკვეთრი ღონისძიებების შემდეგ არ დარჩა არცერთი გერმანული სალოცავი და სასულიერო პირი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აქ მცხოვრებ მცირერიცხოვან გერმანულ დიასპორის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, აღედგინათ ლუთერანული ეკლესია. ამ საქმეში დიდი იყო გადასახლებიდან დაბრუნებული იოჰან დრეილინგის დამსახურება. მისი დაწყებული წარმატებით დააგვირგვინა დოქტორმა გერტ ჰუმელმა, რომელმაც საქართველოში აღადგინა ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია. ეკლესიას მეთაუროობს ეპისკოპოსი. ლუთერანული ეკლესია აშენდა 1997 წელს თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე. აქ ყოველკვირეულად აღესრულება ღვთისმსახურება, აქვეა მოხუცთა თავშესაფარი, უფასო სასადილო, აქვე ეწყობა საინტერესო შეხვედრები საქართველოში არსებულ სხვადასხვა კონფენსიების წარმომადგენლებთან.

XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში, ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, გადმოასახლა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირებული სექტანტები: დუხაბორები და მოლოკნები. გადმოსახლებულ სექტანტებს ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური ათეისტური ხელისუფლება დევნიდა. XX საუკუნის 50-80-იან წლებში საქართველოში, ძირითადად ჯავახეთის რეგიონში, 8 ათასამდე დუხაბორი ცხოვრობდა. მათ ნაკლები კონტაქტი ჰქონდათ რეგიონში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობასთან. ისინი, ანტირელიგიური პროპაგანდის მიუხედავად, ერთგულად მისდევდნენ თავიანთ ტრადიციებს, გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობითა და სიმშვიდით, ამიტომ ხელისუფლება თვალს ხუჭავდა მათ რელიგიურ დღესასწაულებზე. იყო შემთხვევები, როდესაც მათ ყოფით ნიადაგზე ურთიერთობა დაეძაბათ იქ მცხოვრებ სომხებთან, მაგრამ ეს დაპირისპირება მალე მოგვარდა. 1988-1989 წლებში, საბჭოთა კავშირში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების გამო, ჯავახეთში მცხოვრებმა დუხაბორებმა დაიწყეს ჯერ სტიქიურად, ხოლო შემდეგ ორგანიზებულად რუსეთში გადასახლება, ძირითადად, ტულისა და ჩერნისკის რაიონში. დუხაბორების თემის ავტორიტეტს ლუკერია გუბანოვა-კალმიკოვას სოფელ გორელოვკაში დაარსებული ჰქონდა „სიროტსკი დომ“ (ობოლთა თავშესაფარი), რომელიც საქართველოში მცხოვრებ დუხაბორთა სულიერი და კულტურის ცენტრი იყო. აქ 2001 წელს დუხაბორებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს საქართველოში გადმოსახლების 170 წლისთავი. ამჟამად ჯავახეთში ცხოვრობს 150-მდე, ხოლო ქვემო ქართლში - დმანისში - 50-მდე დუხაბორი.

მოლოკნების რაოდენობა საქართველში მკვეთრად შემცირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მათ სულ 3 სამლოცველო სახლი ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როდესაც ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ტურისტები ჩამოდიოდნენ და ხვდებოდნენ აქაურ

მოლოკნებს, მაგრამ ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა მათ ქმედებებს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოლოკნების უმრავლესობა გადასახლდა რუსეთში. 2000 წლის მონაცემებით, საქართველოში 200 მოლოკანი ცხოვრობდა, რომელთაც ჰქონდათ სამი რელიგიური საზოგადოება: ნავთლუღის, ღრმაღელისა და საბურთალოსი. მოლოკნების ნაწილი ბაპტისტურ ეკლესიას შეუერთდა.

საქართველოში „სტაროვერების“ („ძველი მართლმადიდებლების“) ეკლესია შეიქმნა 1989 წელს. მისი დამაარსებელი იყო მურთაზ ჩახავა, რომელსაც ეწოდა ეპისკოპოსი იონა. მისი გარდაცვალების შემდეგ (2003 წ.), მათი მეთაური გახდა ეპისკოპოსი პავლე ხორავა. დღეს საქართველოში ძველ მართლმადიდებელთა ჯგუფში 1000 ადამიანია გაერთიანებული.

ბაპტისტები საქართველოში XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ. ბოლშევიკური ხელისუფლების პირველ წლებში, როგორც სხვა რელიგიები, ბაპტიმიზმიც სასტიკად იდევნებოდა. 1927 წლის 27 აგვისტოს დახვრიტეს ბაპტისტების ხუცესი ილია კანდელაკი... 50-იანი წლებიდან ბაპტისტებმა გააქტიურეს თავისი მისიონერული საქმიანობა. 1959 წლიდან მათ უკვე ჰქონდათ სამლოცველო სახლი დიდუბეში. ბაპტისტები უარყოფენ მართლმადიდებლურ საეკლესიო წესებს, დასაშვებად მიიჩნევენ მოზრდილი ადამიანების მონათვლას, მათი ავტორიტეტია სახარება, აღიარებენ: ნათლობას, ზიარებას, ქორწინებას, ზეთის ცხებას, მარხვას, მონანიებას; უარყოფენ ხატებს, ბერ-მონაზვნობას. ისინი დღესასწაულობენ: შობას, ნათლისღებას, აღდგომასა და ფერისცვალებას. 1991 წელს შეიქმნა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიათა კავშირი, რომელმაც გააერთიანა საქართველოში არსებული ბაპტისტთა ეკლესიები. მათი ხელძღვანელი გახდა ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი. საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია არის ბაპტისტთა მსოფლიო ალიანსის და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრი.

სახარების რწმენის ეკლესიის („ორმოცდაათიანელები“) სახელწოდება 50 დღის ზებუნებრივ მოვლენასთან არის დაკავშირებული. ქრისტეს აღდგომიდან 50-ე დღეს, სულთმოფენობას, მოციქულებზე გარდამოვიდა წმინდა სული და მათ უცხო ენებზე დაიწყეს ლაპარაკი. ორმოცდაათიანელების მრწამსის და პრაქტიკის საფუძველს ბიბლია წარმოადგენს. საქართველოში ორმოცდაათიანელები XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ... 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან გააძევეს 300-მდე ორმოცდაათიანელი. 1961 წელს კვლავ მოხდა მათი წევრების დაპატიმრება. 1964 წელს საქართველოში, ორმოცდაათიანელების საწინააღმდეგოდ, დაიბეჭდა წიგნი „წყვდიადი“ 1980-იანი წლებიდან საქართველოში გაიზარდა ორმოცდაათიანელთა რაოდენობა. 2000 წლის მონაცემებით, საქართველში ორმოცდაათიანელების 3 ჯგუფია: 1.ქართულენოვანი, 2.რუსულენოვანი, 3.შერეული. ქართულენოვანი ეკლესიები აქვთ კახეთში, ქართლში, იმერეთში, აჭარასა და გურიაში. მათი სელმძღვანელია ეპისკოპოსი ოლეგ ხუბაშვილი (საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია).

ადვენტისტური ეკლესია ადვენტისტებს მიაჩნიათ, რომ ღმერთმა დაადგინა შაბათი დღის სიწმინდე სამყაროს შექმნისთანავე და მისცა შაბათი ადამიანს, როგორც ღმერთის ცნების ნიშანი და როგორც ათი მცნების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ ისინი შაბათ დღეს ისვენებენ. ადვენტისტებს მეშვიდე დღის ქრისტიანებსაც უწოდებენ. მათი აზრით, ბიბლიის მეშვეობით გადასცა ღმერთმა კაცობრიობას გადამრჩენელი სიბრძნე. ისინი ერთად იკრიბებიან და არჩევენ ბიბლიის ტექსტებს. საქართველოში ადვენტისტთა ეკლესიამ იარსება 1925-1957 წლებში, შემდეგ კი არსებობა შეწყვიტა. 60-იან წლებში 50-მდე კაცმა განაცხადა, რომ აღადგინეს ადვენტისტთა ეკლესია, მაგრამ ხელისუფლებამ ისინი დაარბია. XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ აღორძინდა ადვენტისტთა ეკლესია, რომელმაც ხუცესები

გაგზავნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 2000 წლისათვის, არასრული მონაცემებით, საქართველოში 300-მდე ადვენტისტია აღრიცხული.

იეჰოვას მოწმეების მიმდინარეობა 1879 წელს დაარსდა პენსილვანიის შტატში (აშშ). მათი რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების ერთადერთი ავტორიტეტი ბიბლიაა. მათი აზრით, იესო არის მაცხოვარი, რომელმაც კაცი ღმერთს შეარიგა, იგი ქრისტიანთა საკრებულოს თავია და ამ საკრებულოდ იეჰოვას მოწამეები თავიანთ თავს მოიაზრებენ. ისინი აღიარებენ ღვთის ძესაც და წმინდა სულსაც, მაგრამ არცერთს ჭეშმარიტ ღმერთად არ მიიჩნევენ. მათი მტკიცებით, ადამიანს არ აქვს უკვდავი სული, სული თავად ადამიანია. საქართველოში იეჰოვას მოწმეები გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდნენ. 1976 წლიდან მათი ცენტრი გახდა თბილისი. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში იყო 14 ათასი იეჰოვას მოწმე. მათი მომხრეები დადიან ქალაქებში, სოფლებში, სადარბაზოებში, ოჯახებში და ეწევიან აქტიურ პროპაგანდას. ისინი, რელიგიური მოსაზრებებით, უარს ამბობენ რიგი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაზე, უპირისპირდებიან ჯანმრთელობის სისტემაში მკურნალობის დადგენილ ნორმებს. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა და ყველა ადამიანს უფლება აქვს იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რელიგიური კონფენსია სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფო არის მისი შესრულების გარანტი. XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე თბილისში, „ცივილიზაციათა დიალოგის“ ფარგლებში, რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელიც მიეძღვნა სხვადასხვა რელიგიებისა და კულტურების მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხებს.

XXII. საეკლესიო მოწყობის და მართვა-გამგეობის მოდელები (1917-1995 წლებში მიღებული დოკუმენტების მიხედვით)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის ძველ დებულებებს (V-XVIII ს.ს.) ჩვენამდე არ მოუღწევია. 1811-1917 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და იმართებოდა რუსეთის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთში საპატრიარქო მმათველობა გაუქმებული იყო და ეკლესიას სახელმწიფო აკონტროლებდა სინოდის ობერ-პროკურორის მეშვეობით. რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ნიშნავდა თავის წარმომადგენელს საქართველოს ეგზარქოსს, რომელიც მართავდა საქართველოს ეკლესიას.

ისტორიულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა V-XVIII საუკუნეებში იყო 33-დან 50-მდე. რუსეთის ხელისუფლების მიერ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსი ეგზარქოსები ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ეპარქიების შემცირება-გაუქმებას. თუ 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონდა 25 ეპარქია, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მათი რაოდენობა შემცირდა 5-მდე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება მიღებულ იქნა 1917 წლის სექტემბერში, პირველ საეკლესიო კრებაზე. დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, ეპარქიები, თავის მხრივ, ოლქებად, ოლქები სამრევლოებად. 1917 წლის დებულების თანახმად, შეიქმნა 13 ეპარქია: 1. მცხეთის, 2. თბილისის, 3, ალავერდის, 4. ბოდბის, 5. ურბნისის, 6. აწყურის, 7. ქუთაისის, 8. გაენათის, 9. ნიკორწმინდის, 10. ცაგერის, 11. ჭყონდიდის, 12. ბათომის, 13. ცხუმ-ბედიის. აქედან თბილისის, ქუთაისის,

ჭყონდიდისა და ცხუმ-ბედიის ეპარქიების სათავეში იქნებოდნენ მიტროპოლიტები. დანარჩენ ეპარქიებს უხელმძღვანელებდნენ ეპისკოპოსები. დებულებით არსებობდა მღვდელმთავრის ორი ხარისხი: ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. (მთავარეპისკოპოსის ტიტული შემოვიდა 1978 წლიდან, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა -კურთხევით). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა საეკლესიო კრება, რომელსაც იწვევდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ. კრებას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი. კრება ირჩევდა პრეზიდიუმის წევრებს და მდივანს. საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა: ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა, უზენაესი საეკლესიო სამართალი, იმ საკითხების საბოლოო გადაწყვეტა, რომელსაც საკათოლიკოზო საბჭო წარმოადგენდა, საკათოლიკოზო საბჭოსა და სასამართლოს წევრების არჩევა, ძველი ეპარქიების აღდგენა ან გაუქმება, ეპარქიათა საზღვრების გამიჯვნა, სასულიერო სასწავლებლების დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის ზრუნვა, მთავარი მართვა-გამგეობის ორგანოთა შტატების დამტკიცება. ავტოკეფალიის გაუქმებამდე, XVIII საუკუნეში, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში არ ფიგურირებდა საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო. იგი შეიქმნა 1917 წელს. საკათოლიკოზო საბჭო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის დემოკრატიული სტილის დამკვიდრების პირველი სერიოზული განაცხადი იყო. საკათოლიკოზო საბჭო შედგებოდა 12 წევრისაგან, რომელსაც თავმჯდომარეობდა კათოლიკოზ-პატრიარქი, ან მისი მოსაყდრე. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ეპარქიებიდან ორი მღვდელმთავარი, რიგ-რიგობით ორ-ორი თვით და ეკლესიასთან დაახლოებული საერო პირები. საკათოლიკოზო საბჭოს სხდომები იმართებოდა კვირაში ერთხელ. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერი იყო, თუ სხდომას 8 წევრი მაინც ესწრებოდა. საკათოლიკოზო

საბჭოს თავმჯდომარეს ორი ხმა ჰქონდა. საკათოლიკოზო საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულო შესასრულებელი იყო, როგორც საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის, ასევე ეპარქიათა ხელმძღვანელებისათვის.

საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ II-ის წინადადებით, ხუთ წელიწადში ერთხელ კათოლიკოზ-პატრიარქი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა საკათოლიკოზო საბჭოს. საკათოლიკოზო საბჭოს სხდომებზე, აზრთა ურთიერთგაცვლის გზით, ხდებოდა კანონთა შემუშავება, საეკლესიო კრების მომზადება და დღის წესრიგის განსაზღვრა, საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის წარმართვა მართლმადიდებელ და განსხვავებული კონფესიების ეკლესიებთან. საბჭოს ჰქონდა კანცელარია, სამეურნეო და სამონასტრო გამგეობა, ჰყავდა იურისტი. ეპარქიებში საეპარქიო მმართველობის მთავარი ორგანო იყო საეპარქიო კრება, სადაც ეპარქიაში შემავალი ოლქები გზავნიდნენ ოთხ წარმომადგენელს. კრების თავმჯდომარე იყო ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავარი. მისი არყოფნის შემთხვევაში, კრება თვითონ ირჩევდა თავმჯდომარეს. საეპარქიო კრების კომპეტენციაში შედიოდა: საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა შერჩევა, საეპარქიო ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება, ეპარქიის დანაწილება ოლქებად, ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისათვის, საბჭოს მიერ შემუშავებული წესებისა და ინსტრუქციების დამტკიცება. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო იყო საეპარქიო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეპარქიის მღვდელმთავარი. საეპარქიო საბჭო 6 წევრისგან შედგებოდა და ირჩეოდა 3 წლის ვადით. საეპარქიო საბჭო აკონტროლებდა ეპარქიის მღვდელმთავრის საქმიანობას. ეპარქიებში შედიოდა 10/15 სამრევლო, რომელიც ერთ ოლქს ქმნიდა.

საქართველოს ეკლესიის საკათოლიკოზო საბჭოსთან არსებობდა საკათოლიკოზო სასამართლო, რომლის თავმჯდომარე საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი

იყო. იყო საეპარქიო სასამართლოებიც. საკათოლიკოზო სასამართლო იხილავდა ეპარქიებში წარმოშობილ კანონიკურ დარღვევებს, აგრეთვე საეპარქიო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავდა მსოფლიო საეკლესიო კრებების, წმინდა წერილის და „დიდი სჯულის კანონის“ შესაბამისად.

1917 წლის მართვა-გამგეობის დებულებაში მცირე ცვლილება შევიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ლეონიდეს განჩინებით, კერძოდ, 1919 წლის 30 იანვრიდან საქართველოს ეკლესიაში უარყოფილ იქნა ყოველგვარი ჯილდო სამღვდელო პირთათვის, არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა მხოლოდ გელათის, მარტვილის, ქვაბისხევის, შუამთის, შიომღვიმის, მოწამეთას, დავით-გარეჯის მონასტრების წინამძღვრებს, დეკანოზის ხარისხი მიენიჭა საკათედრო ტაძრის წინამძღვარს. აეკრძალა ეპისკოპოსის გარდა მიტრის ტარება ყველა სამღვდელო პირს.

1920 წლის 20 ივლისის მეორე საეკლესიო კრების განჩინებით, გაერთიანდა მცხეთა-თბილისის ეპარქია, რომლის მმართველად გამოცხადდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ეპარქიათა მღვდელმთავრების კატეგორიული მოთხოვნით, გაუქმდა საეპარქიო საბჭოები, შეიზღუდა საეპარქიო სასამართლოების ფუნქციები, გაუქმდა საკათოლიკოზო სასამართლო, საკათოლიკოზო საბჭომ შეითავსა საკათოლიკოზო სასამართლოს ფუნქციები.

საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ ამბროსის დაპატიმრების შემდეგ, საკათოლიკოზო საბჭოს დროებითი თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი). საკათოლიკოზო საბჭოსა და ეპისკოპოს ქრისტეფორეს შორის მძაფრი დაპირისპირება წარმოიშვა. ქრისტეფორეს მომხრე ე. წ. „რეფორმატორები“ თვლიდნენ, რომ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირებაში მთავარი დამნაშავე იყო საკათოლიკოზო საბჭო, ამიტომ მოითხოვდნენ მის დაშლას. კათოლიკოზ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ,

ახლად გაპატრიარქებულმა ქრისტეფორემ 1927 წლის 21 იანვრის დადგენილებით, გააუქმა საკათოლიკოზო საბჭო და შექმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელსაც შემდეგ ეწოდა კათოლიკოზის სინოდი, შემდეგ სასინოდო პლენუმი სასინოდო საბჭო. მისი წევრები მხოლოდ სასულიერო პირები იყვნენ და იგი კათოლიკოზ-პატრიარქის ნება-სურვილის გამომხატველი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დემოკრატიული მართვის სტილი საკათოლიკოზო საბჭოს გაუქმების შემდეგ ისტორიის კუთვნილებად იქცა.

1937 წელს, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ გააუქმა სასინოდო პლენუმი და შექმნა „კათოლიკოზის თანაი სინოდი“, რომელიც მთლიანად კათოლიკოზის კონტროლქვეშ მოექცა. 1945 წელს დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ეკლესიაში იყო 15 ეპარქია: მცხეთა-თბილისისა, აგარაკ-წალკისა, ალავერდისა, აწყურისა, ბათომ-შემოქმედისა, ბოდბისა, მარგვეთისა, მანგლისისა, ურბნისისა, ნიკორწმიდისა, ქუთაის-გაენათისა, ცაგერისა, ცხუმ-აფხაზეთისა, წილკნისა, ჭყონდიდისა.

დებულებაში ნათქვამი იყო:

„შენიშვნა 1. კათოლიკოზ-პატრიარქის სამწყსოს შეადგენს საქართველოს ეკლესიის წევრნი, მცხოვრებნი საკათოლიკოზოს გარეთ ისეთ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებელი ეპისკოპოზი არ არის. შენიშვნა 2. როდესაც კათოლიკოზ-პატრიარქი გარდაიცვლება, ან მძიმე ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო მოკლებული იქმნება საშუალებას, გაუწიოს ხელმძღვანელობა საეკლესიო მართვა-გამგეობას, მის ადგილს იჭერს ის მღვდელმთავარი, მოსაყდრის წოდებით, რომლის შესახებ კათოლიკოზ-პატრიარქის მდივანთან ინახება მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის წერილობითი განკარგულება; მოსაყდრეობა უქმდება, როდესაც კათოლიკოზ-პატრიარქი თავის

ადგილზეა. კათოლიკოზის გარდაცვალების შემდეგ კრება უნდა იყოს მოწვეული არა უგვიანეს სამი თვისა. შენიშვნა 3. ქორეპისკოპოზი შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ კათოლიკოზ-პატრიარქს".[1]

დებულების თანახმად, „სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე. კრება ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მთავრობის ნებართვით. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ნახევარზე მეტი გამოცხადდება. საქართველოს ეკლესიის კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას კათოლიკოზი ან მისი მოსაყდრე წარუდგენს; დ) არჩევა კათოლიკოზისა... საჭეთმპყრობლად (მთავარ წინამძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის კრება, ფარული ხმის მიცემით. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც უმრავლეს ამომრჩევ ხმას მიიღებს, მაგრამ დამსწრე ამომრჩეველთ ხმების ნახევარზე მეტს. შენიშვნა 1. კათოლიკოზ-პატრიარქი პასუხისმგებელია მხოლოდ კრების წინაშე. შენიშვნა 2. საკათოლიკოზო კანდიდატისათვის ბეროზის მიღება სავალდებულო არ არის. ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრივ იგი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას და სასურველია ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერი საღვთისმეტყველო მომზადება...

კათოლიკოზ-პატრიარქი თავის მოვალეობათა აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ, მათ შორის საქართველოს

1 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ. 2017:340.

ეკლესიის კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მომქმედი კანონმდებლობით. კათოლიკოზ-პატრიარქის კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას; ბ) მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელმთავრები და სამღვდელოება; დ) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ე) ზრუნავს სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; ვ) ზრუნავს ტაძართა, საქველმოქმედო და სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის; ზ) შუამდგომლობს სათანადო დაწესებულებათა წინაშე საქველმოქმედო და სასულიერო სამოსწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; თ) ზრუნავს სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველყოფისათვის; ზრუნავს სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო დაწესებულებათა მოხელეთა და სამღვდელოების ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნავს საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და გამოცემისათვის; 1) ანთავისუფლებს მღვდელმთავართა, თანახმად მათის თხოვნისა, სამსახურიდან, 2) ნიშნავს რევიზიას სხვადასხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო, 3) განიხილავს საეპარქიო და საკათოლიკოზოს წლიურ ანგარიშებს, 4) ზრუნავს კრებაზე განსახილველ საკითხთა დამუშავებისა და მასალების შეკრებისათვის, 5) ზრუნავს გალობის აღდგენა-გამშვენებისათვის, 6) ზრუნავს უეპისკოპოზოდ დარჩენილ ეპარქიათათვის, 7) აძლევს დროებით თავისუფლებას ეპისკოპოზებს და დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც დროებით ეპარქიიდან სხვაგან სადმე მიდიან; 8) იღებს საჩივრებს ეპისკოპოზთა შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას, საჭირო შემთხვევაში,

აძლევს რჩევას და მწყემსმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებს, 9) მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებთან.

სინოდი. კათოლიკოზ-პატრიარქთან არსებობს საეკლესიო სინოდი, რომლის წევრებად ითვლებიან მმართველი მღვდელმთავრები და კათოლიკოზ-პატრიარქის ქორეპისკოპოზი. კათოლიკოზ-პატრიარქი, მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად, საჭიროების მიხედვით, იწვევს კათოლიკოზ-პატრიარქის თანაი საეკლესიო სინოდს და მიმართავს სამწყსოს სახელმძღვანელო ეპისტოლეებით. კათოლიკოზ-პატრიარქი უფლებამოსილია, მიუბოძოს მღვდელმთავართ საპატიო ტიტულები და ჯილდოები. შენიშვნა: კათოლიკოზ-პატრიარქს, მღვდელმთავრებს და ეკლესიების წინამძღვრებს აქვთ ბეჭდები სათანადო მთავრობის მიერ რეგისტრირებული. სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და მოწვეულ წევრთა ნახევარი. სინოდის წევრთ არ აქვთ უფლება, თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან. თუ რომელიმე წევრი მოისურვებს კერძო აზრის შეტანას, მოვალეა, გამოსთქვას იგი სხდომაზედ და, არა უგვიანეს სამი დღისა, წარუდგინოს წერილობით სხდომის თავმჯდომარეს, ჟურნალში შესატანად. საკითხის აღძვრის უფლება აქვს სინოდის ყველა წევრს. ამ უფლების განსახორციელებლად საჭიროა წერილობითი განცხადების შეტანა კათოლიკოზ-პატრიარქის ან მისი მოსაყდრის საშუალებით, რომელიც მოვალეა აღნიშნული განცხადება გადასცეს განსახილველად სინოდის უახლოეს კრებას. როდესაც სინოდში ირჩევა საქმე სინოდის წევრის უკანონო მოქმედებათა გამო, დაინტერესებულ პირს ნება აქვს დარჩეს დარბაზში საქმის მოხსენების დროს და მიაწოდოს სინოდს საჭირო განმარტება, მაგრამ, როდესაც სინოდი შეუდგება განჩინების გამოტანას, უეჭველად უნდა დასტოვოს დარბაზი. სინოდის განჩინებას ხელს აწერს ყველაზე უწინ თავმჯდომარე და მას უკან ყველა იმ სხდომაზე დამსწრე წევრი, მიუხედავად იმისა, თანახმად იყო იგი გამოტანილ

განჩინებისა თუ არა. საკათოლიკოზოში არსებული მონასტრები ხელმძღვანელობენ კათოლიკოზ-პატრიარქის მიერ დამტკიცებულ წესდებით.

საეპარქიო მართვა-გამგეობა ეპისკოპოზი ეპარქიაში კათოლიკოზ-პატრიარქის თანაშემწე და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი არის ეპისკოპოზი. ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად საეპისკოპოზო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას. შენიშვნა 1. საეპისკოპოზო კანდიდატისათვის ბერად შედგომა სავალდებულო არ არის. მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს ცოლიანი. შენიშვნა 2. მიტროპოლიტები პატივით ეპისკოპოსებზე მაღლა დგანან; მწყემსმთავარნი პატივდებულ იქმნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით. შენიშვნა 3. მღვდელმთავარს ჰყავს მდივანი, რომელიც საზინადრობასაც ასრულებს.

ეპარქიის მღვდელმთავარს და ქორეპისკოპოზს ნიშნავს კათოლიკოზ-პატრიარქი იმ პირთაგან, რომელთა საეპისკოპოზო კანდიდატურა მოწონებულია მღვდელმთავართა მიერ. ეპისკოპოზი (მიტროპოლიტი) არის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი. მის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელ ეპარქიაში მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარ მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი საღ საეკლესიო სწავლებას იცავდნენ; დ) მას აქვს უფლება, ახსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესავურ კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებულნი არიან ეპარქიის ყველა წევრები; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ზ) ეპისკოპოზს უფლება აქვს, დამნაშავე მღვდელს მღვდელმოქმედება აუკრძალოს, ეპიტემია დაადოს, ანუ მოხსნას, და საჭიროების მიხედვით თავის ეპარქიისათვის გამოსცეს წერილობითი განკარგულებანი. **ეპისკოპოზი ვალდებულია:** ა) დაემორჩილოს საეკლესიო

კანონებსა და კათოლიკოზ-პატრიარქის მიერ გამოცემულ დადგენილებათ, ხოლო როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაებადება, განსამარტებლად კათოლიკოზ-პატრიარქს მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და, ამ მიზნით, ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია, გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, დ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა. ე) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელმთავრებს; ეპარქიის ეკლესიათა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სანთლით, საკმეველით, შესამოსელით, ჯვრებით, და სხვა ნივთებით მღვდელმთავარს შეუძლიან გამოითხოვოს სათანადო სელისუფლებისაგან ნებართვა ხსენებულ ნივთების დამამზადებელ სახელოსნოს გახსნისათვის.“[1] ამ დებულების თანახმად, საქართველოს ეკლესიას ერთპიროვნულად კათოლიკოზ-პატრიარქი განაგებს. თუმცა ახალი პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობს როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები.

ეს დებულება ძალაში იყო 1995 წლამდე. 1995 წლის სექტემბერში, სვეტიცხოველში, ჩატარებულმა XIII საეკლესიო კრებამ დაამტკიცა მართვა-გამგეობის ახალი დებულება. ამ დებულების შესაბამისად, საქართველოს ეკლესაში კიდევ უფრო გაფართოვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთპიროვნული ძალაუფლება

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

1. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. 2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ეროვნებით უნდა იყოს ქართველი, უნდა იყოს საქართველოს

[1] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ. 2017:343-344.

მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, უნდა ჰქონდეს საღვთისმეტყველო განათლება და საეკლესიო მმართველობის საკმარისი გამოცდილება, ასაკით უნდა იყოს არანაკლებ ორმოცი წლისა და არაუმეტეს სამოცდაათი წლისა, უნდა იყოს ბერი. 3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ირჩევს საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრება. 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისათვის თავისი მოვალეობების შესრულებას, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე. 5. იმ შემთხვევაში, როცა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე დადგენილი არ არის, ქიროტონიით უპირატესი მღვდელმთავარი ავტომატურად ხდება მოსაყდრე. 6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ, ქიროტონიით უპირატესი მღვდელმთავარი, წმ. სინოდის წევრთა უმრავლესობის თანდასწრებით, სსნის კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დატოვებულ ანდერძს და აცხადებს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის ვინაობას. 7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანდერძით დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრისადმი კანონიკური მორჩილება საქართველოს ეკლესიის ყოველი წევრის მოვალეობაა. 8. საპატრიარქო ტახტის დაქვრივებიდან 40 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე იწვევს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებას, რომელზედაც მოხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა. 9. საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრების წინ მოსაყდრე იწვევს წმ. სინოდს, საპატრიარქო კანდიდატების შესარჩევად. 10. წმ. სინოდი ირჩევს გაფართოებულ კრებაზე წარსადგენ სამ კანდიდატს. 11. წმ. სინოდის ყველა წევრს აქვს უფლება, წარმოადგინოს ერთი საპატრიარქო კანდიდატი,

მათ შორის თავისი თავიც. 12. სამი საპატრიარქო კანდიდატი, რომლებიც მიიღებენ ხმათა უმრავლესობას, კენჭს იყრიან გაფართოებულ კრებაზე, როგორც პატრიარქობის კანდიდატები. 13. გაფართოებული კრების ყველა მონაწილეს აქვს უფლება, გამოთქვას აზრი კანდიდატის შესახებ. 14. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მღვდელმთავრები. 15. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების მონაწილე მღვდელმთავართა ხმების ნახევარზე მეტს. 16. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ნახევარზე მეტს, ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომელიც პირველ კენჭისყრაში მიიღებს ხმათა უმრავლესობას. 17. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება (ინტრონიზაცია) ხდება მცხეთის სვეტიცხოვლის წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის საპატრიარქო ტაძარში. 18. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა, მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, ხდება სამუდამოდ (კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალებამდე). 19. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სრული ტიტულია: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე, მამაი ჩვენი... 20. ყველა სასულიერო პირი მოვალეა, ღვთისმსახურების დროს მოიხსენოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ყველა ტაძარში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, შემდეგი ფორმულით: „უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე, მამაი ჩვენი (სახელი)“ 21. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივის ნიშნებია: ძოწისფერი მანტია, შავი

საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული ჯვრითა და ფრთებზე გამოსახული სერაფიმებით, ორი პანაღია და ჯვარი, დიდი პარამანი და ჯვრის წინგაძღოლის უფლება. 22. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აქვს თავისი ტვიფრი და ბეჭედი. 23. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის მცხეთა-თბილისის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. 24. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო იურისდიქციაში იმყოფებიან როგორც თბილისის სიონის, მცხეთის სვეტიცხოვლის, გელათის, მოქვისა და გონიოს საკათედრო ტაძრები, ასევე ყველა სტავროპიგიალური მონასტერი. 25. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდს და გაფართოებულ კრებას. 26. კრებათაშორისპერიოდშისაქართველოსეკლესიის უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი"[1].

2017 წლის 23 ნოემბერს პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა ჩხოროწყუსა და სენაკის მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). პატრიარქის ამ გადაწყვეტილებას ჰყავდა მომხრეებიც და ოპონენტებიც. მიტროპოლიტი შიო ამავე დროს არის კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

[1] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ. 2017:356-358.

XXIII. საქართველოს ეკლესიის მამამთავარნი

(XVII საუკუნემდე ქრონოლოგია დაუზუსტებელია, მონაცემები ამოღებულია საქართველოს ეკლესიის 2023 წლის კალენდრიდან

I. ქართლის მთავარეპისკოპოსები

1. იოანე I (335-363 წ.წ.)
2. იაკობი (363-375 წ.წ.)
3. იობი (375-390 წ.წ.)
4. ელია I (390-400 წ.წ.)
5. სვიმეონ I (400-410 წ.წ.)
6. მოსე (410-425 წ.წ.)
7 იონა (425-429 წ.წ.)
8. იერემია (429-433 წ.წ.)
9. გრიგოლ I (434 წ.)
10. ბასილ I (434-436 წ.წ.)
11. მობიდანი (436-448 წ.წ., ნათესავით სპარსი)
12. იოველ I (448-452 წ.წ.)
13. მიქელ I (452-467 წ.წ.)

II. ქართლის კათოლიკოზები

1. პეტრე I (467-474 წ.წ.)
2. სამოელ I (474-502 წ.წ.)
3. გაბრიელ I (502-510 წ.წ.)
4. თავფეჩაღ I (510-516 წ.წ.)
5. ჩირმაგი (ჩიღირმანე) (516-523 წ.წ.)
6. საბა I (523-552 წ.წ., არჩეული მცხეთაში პირველად ქართველთაგანი)
7. ევლავი (533-544 წ.წ.)
8. სამოელ II (544-553 წ.წ.)
9. მაკარი (553-569 წ.წ.)

10. სვიმონ II (569-575 წ.წ.)
11. სამოელ III (575-582 წ.წ.)
12. სამოელ IV (582-591 წ.წ.)
13. ბართლომე (591-595 წ.წ.)
14. კირიონ I (595-610 წ.წ.)
15. იონა II (610-619 წ.წ.)
16. ბაბილა (619-629 წ.წ.)
17. თაბორი (629-634 წ.წ.)
18. სამოელ V (634-640 წ.წ.)
19. ევნონი (640-649 წ.წ.)
20. თავფეჩაღ II (649-664 წ.წ.)
21. ევლალე (664-668 წ.წ.)
22. იოველ VI (668-670 წ.წ.)
23. სამოელ VI (670-677 წ.წ.)
24. გიორგი I (677-678 წ.წ.)
25. კირიონ II (678-683 წ.წ.)
26. იზიდ-ბოზიდი (683-685 წ.წ.)
27. თეოდორე I (თეოდოსი) (685-689 წ.წ.)
28. პეტრე (სვიმონ) II (689-720 წ.წ.)
29. თალალე (720-731 წ.წ.)
30. მამაი (731-744 წ.წ.)
31. იოანე III (744-760 წ.წ.)
32. გრიგოლ II (760-767 წწ.)
33. სარმეანე (767-774 წ.წ.)
34. მიქელ II (774-780 წწ.)
35. სამოელ VII (780-790 წწ.)
36. კირილე (დაახ. 791-802 წწ.)
37. გრიგოლ III (802-814 წწ.)
38. სამოელ VIII (814-826 წწ.)
39. გიორგი II (826-838 წწ.)
40. გაბრიელ II (838-860 წ.წ.)
41. არსენ I დიდი (საფარელი) (860-887 წწ.)
42. ევსუქი (დაახ. 887-908 წწ.)
43. კლიმენტოს (908-914 წ.წ.)

44. ბასილ II (914-930 წწ.)
45. მიქელ III (930-944 წწ.)
46. დავით I (944-955 წწ.)
47. არსენ II (955-980 წწ.)

III. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები

1. ოქროპირ (იოანე) I (980-1001 წ.წ.)
2. სვიმონ III (1001-1012 წ.წ.)
3. მელქისედეკ I (1012-1030, 1039-1045 წ.წ.)
4. იოანე II (ოქროპირი) (1031-1039, 1045-1049 წ.წ.)
5. ექვთიმე I (1049-1055 წ.წ.)
6. გიორგი III (ტაოელი) (1055-1065 წ.წ.)
7 გაბრიელ III (საფარელი) (1065-1080 წ.წ.)
8. დიმიტრი (1080-1090 წ.წ.)
9. ბასილ III კარიჭისძე) (1090-1100 წ.წ.)
10. იოანე IV (საფარელი) (1100-1142 წ.წ.)
11. სვიმონ IV (გულაბერიძე) (1142-1146 წ.წ.)
12. საბა II (1146-1150 წ.წ.)
13. ნიკოლოზ I (გულაბერიძე) (1150-1178 წ.წ.)
14. მიქელ IV (1178-1186 წ.წ.)
15. თეოდორე II (1186-1206 წ.წ.)
16. ბასილ IV (1206/1208 წ.წ.)
17 იოანე V (1208-1210 წ.წ.)
18. ეპიფანე (1210-1220 წ.წ.)
19. ექვთიმე II (1220-1222 წ.წ.)
20. არსენი III (1222-1225 წ.წ.)
21. გიორგი IV (1225-1230 წ.წ.)
22. არსენ IV (ბულმაისის ძე) (1230-1240 წ.წ.)
23. ნიკოლოზ II (1240-1280 წ.წ.)
24. აბრამ I (1280-1310 წ.წ.)
25. ექვთიმე III (1310-1325 წ.წ.)
26. მიქელ V (1325-1330 წ.წ.)
27. ბასილი V (1330-1350 წ.წ.)
28. დოროთეოზ I (1350-1356 წ.წ.)

29. შიო I (1356-1364 წ.წ.)
30. ნიკოლოზ III (დაახ. 1364-1380 წ.წ.)
31. გიორგი V (1380-1397 წ.წ.)
32. ელიოზ (გობირახის ძე) (1399-1411 წ.წ.)
33. მიქელ VI (1411-1426 წ.წ.)
34. დავით II (1426-1430 წ.წ.)
35. თეოდორე III (1430-1435 წ.წ.)
36. დავით III (გობელაძე) (1435-1439, 1443-1459 წ.წ.)
37. შიო II (1440-1443 წ.წ.)
38. მარკოზ (1460-1466 წ.წ.)
39. დავით IV (1466-1479 წ.წ.)

IV. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) აღმ. საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები

1. ევაგრე (1480-1492, 1500-1503 წ.წ.)
2. აბრაამ II აბალაკი (1492-1497 წ.წ.)
3. ეფრემ I (1497-1503 წ.წ.)
4. დოროთეოს II (1503-1510, 1511-1516 წ.წ.)
5. დიონისე (1510-1511 წ.წ.)
6. ბასილ VI (1517-1528 წ.წ.)
7. მალაქია (1528-1538 წ.წ.)
8. მელქისედეკ II (ბაგრატიონი) (1538-1541 წ.წ.)
9. გერმანე (1541-1547 წ.წ.)
10. სვიმონ V (1547-1550 წ.წ.)
11. ზებედე I (1550-1557 წ.წ.)
12. ნიკოლოზ IV (ბარათაშვილი) (1562-1584 წ.წ.)
13. ნიკოლოზ V (1584-1591 წ.წ.)
14. დოროთეოზ III (1592-1599 წ.წ.)
15. დომენტი I (1599-1603 წ.წ.)
16. ზებედე II (1603-1610 წ.წ.)
17. იოანე VI (ავალიშვილი) (1610-1613 წ.წ.)
18. ქრისტეფორე I (1616-1622 წ.წ.)
19. ზაქარია (ჯორჯაძე) (1623-1630 წ.წ.)
20. ევდემოზ I (დიასამიძე) (1630-1637 წ.წ.)

21. ქრისტეფორე II (ურდუბეგის ძე-ამილახვარი) (1638-1660 წ.წ.)
22. დომენტი II (ქაიხოსროს ძე, მუხრან ბატონი) (1660-1676 წ.წ.)
23. ნიკოლოზ VI (იოთამის ძე, ამილახორის შვილი) (დაახ. 1678-1688, 1691-1696 წ.წ.)
24. იოანე VII (დიასამიძე) (1688-1691, 1696-1700 წ.წ.)
25. ევდემოზ II (დიასამიძე) (1701-1705 წ.წ.)
26. დომენტი III (1705-1741 წ.წ.)
27 ნიკოლოზ VII (ხერხეულიძე) (1741-1744 წ.წ.)
28. ანტონ I დიდი (ბაგრატიონი, ისეს მეფის ძე) (1744-1755; 1764-1788 წ.წ.)
29. იოსები (ჯანდიერი) (1755-1764 წ.წ.)
30. ანტონ II (ბაგრატიონი, ერეკლე მეფის ძე) (1788-1811 წ.წ.)

V. ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოზ-პატრიარქები (სია არასრული და ქრონოლოგიურად დაუსაგებელია)

1. ნიკოლოზ I (XII ს.-ის დასასრული)
2. დანიელი (XIV ს.-ის II ნახევარი)
3. არსენი (1390 წ.)
4. იოანე (იოაკიმე) (1455-1474 წ.წ.)
5. სტეფანე (1470-1516 წ.წ.)
6. მალაქია I (აბაშიძე) (1529-1532 წ.წ.)
7. ევდემოზ I (ჩხეტიძე) (1557-1578 წ.წ.)
8. ექვთიმე I (საყვარელიძე) (1578-1605 წ.წ.)
9. გრიგოლ I (1612-1659 წ.წ.)
10. მალაქია II (გურიელი) (1616-1639 წ.წ.)
11. მაქსიმე I (მაჭუტაძე) (1639-1657 წ.წ.)
12. ზაქარია (ქვარიანი) (1657-1660 წ.წ.)
13. სვიმონ I (ჩხეტიძე) (1660-1666 წ.წ.)
14. ევდემოზ II (საყვარელიძე) (1666-1669 წ.წ.)
15. ექვთიმე II (საყვარელიძე) (1669-1673 წ.წ.)
16. დავით (ნემსაძე) (1673-1696 წ.წ.)
17. გრიგოლ (ლორთქიფანიძე) – (1696-1742 წ.წ.)
18. გერმანე წულუკიძე (XVIII ს.-ის II ნახევარი)
19. ბესარიონ (ერისთავი) (1755-1769 წ.წ.)

20. იოსებ ალექსანდრეს ძე (ბატონიშვილი) (1769-1776 წ.წ.)
21. მაქსიმე II (აბაშიძე) (1776-1795 წ.წ.)
22. დოსითეოსი (წერეთელი) კათოლიკოსის მოსაყდრე ქუთათელი მიტროპოლიტი (1795-1814 წ.წ.)

VI. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქები

1. წმინდა კირიონ II (საძაგლიშვილი) (1917-1918 წ.წ.)
2. ლეონიდე (ოქროპირიძე) (1918-1921 წ.წ.)
3. წმინდა ამბროსი (ხელაია) (1921-1927 წ.წ.)
4. ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) (1927-1932 წ.წ.)
5. წმინდა კალისტრატე (ცინცაძე) (1932-1952 წ.წ.)
6. მელქისედეკ III (ფხალაძე) (1952-1960 წ.წ.)
7. ეფრემ II (სიდამონიძე) (1960-1972 წ.წ.)
8. დავით V (დევდარიანი) (1972-1977 წ.წ.)
9. ილია II (შიოლაშვილი) (1977 წლიდან)

XXIV. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები 2024 წლის მდგომარეობით

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II. კათედრა და რეზიდენცია მცხეთაში, თბილისსა და ბიჭვინთაში;
2. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II. კათედრა სოხუმსა და ახალ ათონში, რეზიდენცია სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში;
3. აგარაკ-წალკის ეპარქია: ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია). კათედრა და რეზიდენცია წალკაში;
4. ალავერდის ეპარქია: მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). კათედრა ალავერდში, რეზიდენცია ალავერდსა და თელავში;
5. ახალქალაქის, კუმურდოს და კარის ეპარქია: მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი). კათედრა ახალქალაქსა და კუმურდოში, რეზიდენცია ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;
6. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია: მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). კათედრა და რეზიდენცია ახალციხესა და საფარაში;
7. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). კათედრა ბათუმში, რეზიდენცია ბათუმსა და ქობულეთში;
8. ბოდბის ეპარქია: მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). კათედრა ბოდბეში, რეზიდენცია ბოდბეში, სიღნაღში;
9. ბოლნისის ეპარქია მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). კათედრა და რეზიდენცია ბოლნისში;
10. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) კათედრა და რეზიდენცია ბორჯომში;

11. გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქია: ეპისკოპოსი იოანე (შომახია). კათედრა გარდაბანსა და მარტყოფში, რეზიდენცია გარდაბანში;
12. გორისა და ატენის ეპარქია: მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა). კათედრა და რეზიდენცია გორში;
13. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია: მთავარეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა). კათედრა და რეზიდენცია გურჯაანში;
14. დმანისისა და ლორე-ტაშირის ეპარქია: მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული), კათედრა და რეზიდენცია დმანისში;
15. ვანისა და ბაღდათის ეპარქია: მიტროპოლიტი ანტონი (ბულუხია). კათედრა ბაღდათში, რეზიდენცია ვანსა და ბაღდათში;
16. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია: მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). კათედრა ზუგდიდსა და ცაიშში, რეზიდენცია ზუგდიდსა და წალენჯიხაში;
17. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია: მთავარ-ეპისკოპოსი მიქაელი (გაბრიჭიძე). კათედრა და რეზიდენცია თიანეთში;
18. მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). კათედრა და რეზიდენცია მანგლისსა და წალკაში;
19. მარგვეთისა და უბისის ეპარქია: ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე). კათედრა ზესტაფონში, რეზიდენცია ზესტაფონსა და ხარაგაულში;
20. მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქია: ეპისკოპოსი გიორგი (ჯამდელიანი). კათედრა და რეზიდენცია მარნეულში;
21. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი). კათედრა და რეზიდენცია მესტიაში;
22. ნეკრესის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). კათედრა ნეკრესსა და ყვარელში, რეზიდენცია ყვარელში, ლაგოდეხსა და კახში;
23. ნიკორწმინდის ეპარქია: ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი). კათედრა ნიკორწმინდაში, რეზიდენცია

ამბროლაურსა და ონში;
24. ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპარქია: მთავარეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე). კათედრა და რეზიდენცია ნინოწმინდასა და საგარეჯოში;
25. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია: მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია). კათედრა და რეზიდენცია ნიქოზში, ცხინვალში, ჯავასა და ახალგორში;
26. რუისისა და ურბნისის ეპარქია: მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი). კათედრა ურბნისსა და რუისში. რეზიდენცია ქარელში;
27. რუსთავის ეპარქია: დროებით თავისუფალია. კათედრა და რეზიდენცია რუსთავში;
28. სამთავისისა და კასპის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა). კათედრა და რეზიდენცია სამთავისსა და კასპში;
29. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია: მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). კათედრა და რეზიდენცია სენაკსა და ჩხოროწყუში;
30. სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია: მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). კათედრა და რეზიდენცია ყაზბეგში;
31. სურამისა და ხაშურის ეპარქია: ეპისკოპოსი სვიმეონი (ცაკაშვილი). კათედრა და რეზიდენცია სურამსა და ხაშურში;
32. სხალთის ეპარქია: მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე). კათედრა და რეზიდენცია სხალთაში;
33. ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია: მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე). კათედრა თერჯოლაში, რეზიდენცია თერჯოლასა და ტყიბულში;
34. ფოთისა და ხობის ეპარქია: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). კათედრა ფოთში, რეზიდენცია ფოთსა და ხობში;
35. ქუთაის-გაენათის ეპარქია: მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი). კათედრა და რეზიდენცია ქუთაისსა და გელათში;
36. შემოქმედის ეპარქია: მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე). კათედრა შემოქმედსა და ოზურგეთში, რეზიდენცია

ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში;
37. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი). კათედრა ცაგერში, რეზიდენცია ცაგერსა და ლენტეხში;
38. წილკნისა და დუშეთის ეპარქია: მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოშვილი). კათედრა წილკანში, რეზიდენცია წილკანსა და დუშეთში;
39. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია: მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). კათედრა ჭიათურაში, რეზიდენცია ჭიათურასა და საჩხერეში;
40. ჭყონდიდის ეპარქია: მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი). კათედრა მარტვილში, რეზიდენცია მარტვილსა და აბაშაში;
41. ხონისა და სამტრედიის ეპარქია: მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია). კათედრა ხონში, რეზიდენცია ხონსა და სამტრედიაში;
42. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). კათედრა დედოფლისწყაროში, რეზიდენცია დედოფლისწყაროსა და ქურმუხში;
43. დასავლეთ ევროპის ეპარქია: (საფრანგეთი, შვეიცარია, მალტა, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია), მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია);
44. ავსტრალიის ეპარქია: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი);
45. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა);
46. სამხრეთ ამერიკის ეპარქია: მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი);
47. ავსტრიისა და გერმანიის ეპარქია: დროებით მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე);
48. ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია: ეპისკოპოსი დოსითეოზი (ბოგვერაძე);

49. ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია: ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი);
50. შვედეთის სამრევლო: ცურტავის მიტროპოლიტი ვახტანგი (ახვლედიანი).

2023 წლის მონაცემებით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში არის 49 ეპარქია, 1 სამრევლო, 41 მმართველი მღვდელმთავარი, 1800 მოქმედი ეკლესია და 3600 სასულიერო პირი.

Sergo Vardosanidze
Doctor of Historical Sciences, Professor

History of the Georgian Orthodox Apostolic Church
Summary

Georgia is an ancient civilization located at the crossroads of Europe and Asia, where the Georgians have created their own unique material and spiritual culture. Due to its geostrategic significance, Georgia has always been a point of contention between great empires. Historically, Georgia was home to the kingdoms of Diaochi and Colcha, and later to the Colchis (Egrisi) and Kartli (Iberia). During the 10th to 15th centuries, Georgia was unified, achieving significant political, economic, and cultural success. In the 15th to 17th centuries, instead of a unified kingdom, the territories of Georgia were divided into the kingdoms of Kartli, Kakheti, and Imereti, as well as the principalities of Samtskhe-Javakheti, Guria, Odishi, Abkhazia, and, in the 18th century, Svaneti.

For centuries, the Georgian people faced invasions and conflicts with Assyria, Urartu, the Scythians, Cimmerians, Achaemenid Persia, Sassanid Persia, the Qizilbash, the Roman Empire, Byzantium, Arabs, Seljuk Turks, Ottoman Turks, Khwarezmians, and Mongols. In the Middle Ages, Georgian kings sought assistance from the Pope, the kings of France and Spain, and, in the 15th to 18th centuries, from the Russian Empire. However, real support was often lacking. At the beginning of the 19th century, Russia first conquered Kartli-Kakheti, followed by the Kingdom of Imereti and the principalities of Western Georgia. Despite this, the Georgian people fiercely resisted Russia's colonial policies and fought for the restoration of their state independence. This is evident from uprisings in 1802, 1894, 1812, 1819-20, 1832, 1841, 1857, and 1874.

In the latter half of the 19th century, a national liberation movement emerged, led by Ilia Chavchavadze. This movement

united Georgians around the ideals of «fatherland, language, and faith.» At the beginning of the 20th century, three pivotal events took place in Georgia: 1) On March 12, 1917, the autocephaly of the Georgian Orthodox Church was restored, a privilege the Russians had abolished in 1811. 2) On January 26, 1918, the University of Tbilisi was opened. 3) On May 26, 1918, Georgia declared its state independence.

In 1921, Bolshevik Russia invaded Georgia, forcibly incorporating it into the Soviet Union, a totalitarian state. On April 9, 1991, Georgia regained its state independence.

In the Christian world, the Georgian Orthodox Church is one of the oldest apostolic churches. According to church tradition, Christianity was first preached in Georgia by Saint Andrew the First-Called and Saint Simon the Canaanite. In the 320s of the 4th century, Christianity was declared the state religion of Kartli and Egrisi. In the 4th-5th centuries, the churches of Kartli and Egrisi were under the jurisdiction of the Patriarchates of Constantinople and Antioch. In the 480s, during the reign of King Vakhtang Gorgasali of Kartli, the office of Catholicos replaced that of the Archbishop as the head of the Church of Kartli. From the 11th century, after the unification of Georgia, the head of the Church was called the Catholicos-Patriarch of All Georgia. From the 15th to the 19th century, the following ecclesiastical structures existed on the territory of Georgia: 1) The Patriarchate of Eastern Georgia, headed by the Catholicos-Patriarch of All Georgia. 2) The Patriarchate of Western Georgia, headed by the Catholicos-Patriarch of Likhi-Imereti and Abkhazia.

After the conquest of the Georgian kingdoms and principalities by Russia in the early 19th century, Russia abolished the autocephaly of the Georgian Church, exiled Catholicos-Patriarch Anton II to Russia, and placed the Georgian Church under the authority of an exarch subordinate to the Russian Synod. On March 12, 1917, the autocephaly of the Georgian Orthodox Church was restored. Bishop Kirion was elected as the first head of the

restored autocephalous Church, taking the title of His Holiness and Beatitude Kirion II. From 1921 to 1990, when Georgia was forcibly incorporated into the Soviet Union, the Church faced severe persecution. Approximately 1,400 churches were closed, and around 1,300 clergy were forcibly deposed. From the 1940s onward, the Bolshevik government allowed a church that retained the outward form of Christianity but was controlled by socialist ideology. Church leaders were required to send greetings to Communist Party leaders (Lenin, Stalin, Khrushchev, Brezhnev) and were subject to the strictest governmental oversight.

After the collapse of the Soviet Union, in 2002, a constitutional agreement was signed between the Georgian Church and the state, which defined the Church›s role within the Georgian state.

The Georgian Orthodox Church has produced many great ecclesiastical figures who played pivotal roles in the history of both the Georgian state and Church. These include: Catholicos Kirion I, Grigol Khantseli, Arsen Didi, John Zosime, Ekvtime and Giorgi Mtatsmindeli, Ephrem Mtsire, Arsen Ikaltoeli, Sulkhan-Saba Orbeliani, and Anton I. Several sacrificed their lives for the freedom of the Georgian state and Church, including the following Catholicos-Patriarchs: Evdemoz (Diasamidze), Kirion II (Sadzaglishvili), and Ambrose (Khelaia); Metropolitans: Dositheos Kutateli and Ekvtime Genateli; Metropolitans Nazar (Lezhava) and Varlaam (Makharadze); and Archimandrite Grigol (Peradze), a victim of fascism.

As of 2024, the head of the Georgian Church is His Holiness and Beatitude Ilia II (Shiolashvili), who was elected in 1977.

ბოლოთქმა

გასრულდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ისტორია. ავტორი შეეცადა, სამეცნიერო-პოპულარული ენით გადმოეცა ძირითადი ისტორიული ფაქტები და მოვლენები. სამწუხაროდ, არის პერიოდები, რომელზეც თითქმის არანაირი წყარო, ან ჩანაწერი არ არსებობს, რაც ართულებს ეპოქის სრულად გააზრებას. მაგრამ, ძირითადად, მოხერხდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის რეკონსტრუქცია. წიგნი განკუთვნილია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის, ამიტომ დასაწყისში ვრცლად არის საუბარი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაზე. მომავალში განზრახულია წიგნის ინგლისურ ენაზე თარგმნა. ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას, რომელიც გათვალისწინებული იქნება წიგნის სრულყოფისათვის.

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი